


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

15 ივნისი 2012 №12(168)

რას გულისხმობს ვეფხისტყაოსნის არაბეთი
მაკა ჯოხაძე მერაბ ელიოზიშვილზე
ჯარჯი ფხოველის ჩანაწერები
ინტერვიუ გოჩა კაპანაძესთან
როალდ დალის თანამგზავრი
თამაზ ხარაიშვილის ლირიკა
ნელი ბატიაშვილის ლექსები
არაბული პოეზიის ნიმუშები
მეფისტოფელის ტრაგედია
ქარდა ქარდუხის ნოველა
ბავშვობა. ქალაქი. ნიგნი



შინაარსი

წუთები და წლები	2	პაატა ჩხეიძე დუელი ჯოჯოჯ კონრადის თვალთ
ლაპორატორია	4	ალექსანდრე ელერდაშვილი იყო არაბეთს როსტავენი?
ლიბერალური სსოვრება	6	მალხაზ ივანიძე ბავშვობა. ქალაქი. ნიგნი (ზაალ სამადაშვილის „ავტობიოგრაფიული ნიგნების ფონზე“)
მსარს-მინტავენი	8	გოჩა კაპანაძე „არაბის ავეო შინი საქციელით!“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
ნამსრები	9	გიორგი გაბუნია ილია ჭავჭავაძის ღიმილგადაკრული „ბეკინა-ნკიპურტაბი“
აროზა	10	ქარდა ქარდუხი ნატრისუარი ყვავის კვირადღე
	14	შორენა ბერელიძე ორი ნოველა
მინიატურები	16	ლელა ლაშხი მინიატურები
აოზი	19	ნელი ბატიაშვილი „მა ვიცი, ეს გზა საითაც მიდის“
პირველი შთაბეჭდილება	21	მაკა ჯოხაძე ჩუმი ბედნიერება
აოზი	22	თამაზ ხარაიშვილი შეხვედრა და სხვა ლექსები
მანიტი	24	მარიანო ხოსე დე ლარა დიდი ჭეშმარიტების აღმოჩენა
როგორ ვითხოვოთ კლასიკა	25	ნინო ბაქანიძე მეფისტოფელის ტრაგედია
ღიალოგი	30	„პოეზიის კონკია ვარ“ (თამარ შაიშველაშვილს ესაუბრება ქეთევან დოლიძე)
რეპორტაჟი	36	ნინო დეკანოძე ზიმი, რომელიც ყველასთან დარჩება (შეხვედრა გოგი ქავთარაძესთან)
ახალი წიგნები	39	როსტომ ჩხეიძე ომი რიტუალების ჩრდილქვეშ (შეხვედრა კახა კაციტაძის მონოგრაფიასთან „ადამიანი-მეომარი“)
პინტოლა	43	ნინო ჩხიკვიშვილი ვინ აქლავს ხმას რეჟისორსა და მწერალს? (მინანერი ლიანა ელიავას ნიგნზე „კინო უეკრანოდ“)
კრიტიკა	44	ნინო ვახანია ხეტილი საკუთარ სულში („ზეგზებიდან“ „რონინამდე“)
აოზის მარღიანები	48	არაბული პოეზია (მუჰამედ აჰმად ჰამადი, ნიზარ კაბანი, ომარ იბნ აბუ რაბია, აბუ ნუვასი)
ფიქრები	51	ჯარჯი ფხოველი ხელის-ბულის ანაბეჭდები
უსსოვი ნოველა	55	როლდ დალი თანამგზავრი
საორბი	60	გივი გამრეკელი და მაინც ისევ ანანდი! (2012 წლის მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში)
	62	გივი თორელი პლესა და მარადონას კამათი ბრძოლადა (ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი — ლიონელ მესი)
მოზიკა	63	ორი სტროფი ორთოქედისა

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge



შეკვეთილი საბეჭდო „ომეგა ტეგ“ PRINTED BY "OMEGA TEQ" PRINT HOUSE
საქართველო, თბილისი, სარაიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAIISHVILI STREET
დაკავშირება 00 995 322 55 03 62 TELEPHONE: 00 995 322 55 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: შატილი, ბაბუა ალუდაურის ფოტოგრაფიული

ჯოჯოჯ კონრადი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 29 ივნისს

პაატა ჩხეიძე

დუელი ჯოზეფ კონრადის თვალით

ბევრი ავტორი წერდა დუელზე.

ახლა, ამ წუთში, მოვიძიე: კაზანოვა, კლასიტი, ჩეხოვი, კუპრინი... და ჯოზეფ კონრადი.

როსტომი თავის „ქართულ დუელიანაში“ მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა ორთაბრძოლების ფენომენს ჩაუღრმავდა და XIX-XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი ამ მხრივაც შეავსო.

ბატონ ზაზა აბზიანიძის საგულისხმო წიგნაკი, „სადუელი პარადოქსები“, ქართულ გარემოს გასცდა და დუელის გენეზისის, ისტორიისა და მოდერნიზაციის ცალკეული მტრისებრი გამოკვეთა.

მე ჩემი მიზანი მაქვს ამ ოპუსის თხზვისას, ისევე ამოჩემებულ თემას მიუბრუნდები და ორი პერსონაჟის ზნეობრივი სახის ფონზე ორი მსოფლმხედველობის ახსნას შევეცდები.

სიტყვა *duel*, ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, არქაული ფორმაა *bellum*-ისა, რაც ლათინურად „ომს“ ნიშნავს და შუა საუკუნეების ლათინურში გულისხმობდა „შებრძოლებას ორ პიროვნებას შორის“, სიტყვა *dualis* (ორნი) გავლენით. როგორც ჩანს, დუელის ფუნქცია დროთა განმავლობაში ნაწილობრივ შეიცვალა და, თუ ადრე სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად (იხ. ნიკო ხიზანაშვილი, „ხმალი გატანება (ქართული დუელი)“), შემდგომ ღირსებისათვის ორთაბრძოლად დამკვიდრდა და აღარც შეუცვლია მნიშვნელობა, უბრალოდ მოძველდა.

ჩემი ღრმა რწმენითა და გამოცდილებით, დუელი დღემდე შემორჩა, მაგრამ შემორჩა განძარცვული რაინდული საბურველისაგან. ორმა გაბრაზებულმა კაცმა შეიძლება ახლაც დაუფიქრებლად ესროლოს ერთმანეთს საქართველოში, მაგრამ წესებს არ დაიცავენ. ღირსებაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს, გამოიწვევს „კაცს“ დუელში და ან დაიმალება, ან პოლიციაში დაგაბეზღებს, მოკვლას მიპირებსო. კაცური ღირსება?! მთელი ქვეყნის დასანახად ერთმანეთს წყალს ასხამენ, ულაწუნებენ და... ვითომც არაფერი. უნამუსოს აფურთხებდნენ და ვიმ, რა კაი წვიმა მოდისო!

ჯოზეფ კონრადის დროს ჯერ კიდევ ფასობდა ღირსება და ახალგაზრდობაში თვითონაც გასულა დუელში.

ჩემი აზრით, ჯოზეფ კონრადის „დუელი“ საუკეთესოა მათგან, რაც კი დუელზე დაწერილა.

ამ ნოველაში ორ დუელანტსა თუ დუელისტს შორის დაპირისპირება ღირსების საკითხს სცილდება და ნაპოლეონის აღზევებისა და დაცემის ეპოქაში ორი განსხვავებული მსოფლმხედველობისა და ტემპერამენტის კაცის ხასიათს გვიჩვენებს.

ორივე ოფიცერია, ორივე პროფესიონალი მხედარი, მაგრამ ერთი, გაბრიელ ფერო, ფანატიკოსი ბონაპარტისტია, მეორე კი, არმან დ'იუბერი, მონარქიისაკენ გადაიხრება.

„დუელი“ დუელით იწყება; ლეიტენანტი ფერო დილაადრიან დუელში მოკლავს ნარჩინებულ მოქალაქეს და, ვითომც აქ არაფერიო, მდიდარ და ლამაზ ქალბატონთან მიღებაზე წავა. ქალაქის მერის ნათესავის დალუპვით განრისხებული გენერალი ლეიტენანტი დ'იუბერს დაავალებს სასწრაფოდ მოძებნოს ლეიტენანტი ფერო და დაპატიმრებად შეიყვანოს უბრძანოს. დ'იუბერი ფეროს ხსენებულ ქალბატონთან იპოვის და ბრძანებას გადასცემს. ორივე ოფიცერი გაეშურება ფეროს სახლისაკენ, სადაც დიუბერისა და გასაოცრად ფერო შარს მოდებს და დუელში გამოიწვევს, როგორც თუ ქალის თანდასწრებით გადმომეცით ბრძანებაო. დ'იუბერი თავს იცავს, მაგრამ მიხვდება, რომ ფერო მოკვლას უპირებს და მოსაგერიებლად ხელში დაჭრის. დუელის გამო დ'იუბერი დაისჯება, რადგან გენერლის ბრძანება არ შეასრულა.

მალე კიდევ ერთი დუელი გაიმართება მონინააღმდეგეთა შორის და დ'იუბერი მძიმედ დაიჭრება გვერდში. პოლკოვნიკს სურს გაიგოს თუ რა არის დუელის გამომწვევი, მაგრამ დ'იუბერი არ განმარტავს მიზეზს და არც ფეროს დააბეზღებს, მხოლოდ იმას ამბობს, დუელი ქალის გამოაო. გამოხდება ხანი, დ'იუბერს კაპიტნის ჩინს მიანიჭებენ; ფერო გამწარდება, რაკი ჩინით უფროსს დუელში ვერ გამოიწვევს და დიდი წვალებით თვითონაც მიიღებს კაპიტნის ჩინს. კიდევ ერთხელ გაიმართება დუელი, ამჯერად ამხედრებულები ებრძვიან ერთმანეთს და დ'იუბერი ფეროს შუბლში დაჭრის.

რუსეთის მარცხიანი კამპანიის დროსაც გადაეყრებიან ერთიმეორეს უკანდახვევისას. ორივენი პოლკოვნიკები არიან. ამჯერად დუელისათვის ვერ იცლიან და მხარდამხარ იბრძვიან მტრის წინააღმდეგ.

ნოველის ბოლოს ორივე უკვე გენერალია. დ'იუბერი რესტავრირებული მონარქიის სამსახურშია, ფერო დევნილია და სასჯელი ელის. დ'იუბერი გადაარჩენს მას, მაგრამ ფერომ არაფერი უწყის. იგი შეიტყობს დ'იუბერის წარმატებას და კიდევ ერთხელ, უკანასკნელად გამოიწვევს დუელში. ამ დროს დ'იუბერს აღარც ახსოვს დუელი, იგი შეყვარებულია, დანიშნული და ეტყებით აღსავსე, ნამდვილად უყვარს თუ არა ახალგაზრდა, ლამაზ საცოლეს. დუელში დ'იუბერი დასჯაბნის ფეროს, დაინდობს და ეტყვის, რომ ამიერიდან ღირსების კოდექსის თანახმად, ფეროს სიცოცხლე მას ეკუთვნის. სახლში მისული გაოცებული დაინახავს თავის საწოლზე მჯდარ სასონარკვეთილ ადელს, რომელსაც დუელის ამბავი შეუტყვია და ტირის ცუდი ამბის მოლოდინში. დ'იუბერი ბედნიერია, უკანასკნელმა დუელმა საცოლის სიყვარულში დაარწმუნა. იგი ჩაუღრმავდება მომხდარს და პარადოქსულ დასკვნამდე მივა, რომ ფერო მისი ბედისწერაა და თავის ბედნიერებას მას უნდა უმადლოდეს.

ეს ორი კაცი ორად გახლეჩილი ეპოქის განსახიერებაა, მათი განსხვავებულობა მინიშნებს ლიბერალური რევოლუციის მიერ მოტანილ კრიზისზე და ორ გამოკვეთილ ჯგუფს წარმოაჩენს საზოგადოებაში.

ფერო მდაბიოთაგან დანინაურებული ნიჭიერი ოფიცერია. ხიბლავს ბრძოლა, მამაცია და არ უყვარს, მისი აზრით, მლიქვნელობითა და ჩანყობით დანინაურებული შტაბისტები. ამიტომ სძულს დ'იუბერი და ამიტომაც სურს მისი განადგურება.

ფერო ნაპოლეონისებური ტიპია, გამარჯვება არაფრად მიაჩნია თუ მოწინააღმდეგეს მთლიანად არ მოსპობს, ომი უყვარს და მშვიდობის დროს ვერ ისვენებს.

თუ ფერო ნაპოლეონისებური ტიპაჟია, დ'იუბერი ტიპური როიალისტია. იგი არისტოკრატია, თავდაჭერილი, პასუხისმგებლობით განმსჭვალული და დუელზე მეტად სახელსა და ავტორიტეტზე ზრუნავს. როიალისტებისადმი სიმპათიებს ნოველის ბოლოს ამჟღავნებს, რასაც უკანასკნელი დუელი მოჰყვება.

საგულისხმოა ერთი რამ — ვიდრე საფრანგეთის არმია დაუმარცხებელია, ფერო და დ'იუბერი შეურიგებელი არიან, ხოლო როცა ნაპოლეონის დამარცხებული არმია უკან იხევს, მთელ თავის ნიჭსა და მოხერხებას ერთმანეთისა და თანამებრძოლთა გადასარჩენად მიმართავენ.

რესტავრაციის შემდგომ დ'იუბერი სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევს კარიერის გზაზე; ამას ემატება ოჯახური ბედნიერება, ქალი რომელიც უყვარს და ვისაც ბედნიერება მოაქვს. საფრანგეთმა მოისვენა იმპერიული ომებისაგან და, დ'იუბერის ოჯახისა არ იყოს, მშვიდობიან მომავალს გასცქერის. დ'იუბერისა და ადელის უხინჯო და ხანგრძლივ ცხოვრებაში კონრადი ხედავს ქვეყნის ერთიანობას, მშვიდობასა და აყვავებას.

დ'იუბერისაგან განსხვავებით, ფეროს ცხოვრება გამუდმებით უარესდება და, დ'იუბერი რომ არ ჩარეულიყო, სიკვდილით დასჯიდნენ. მის უიღბლობას ის უფრო აძლიერებს, რომ ბარიერთან ველარ შეხვდება კაცს, ვინც მის ცხოვრებას ავსებდა ბრძოლიდან ბრძოლამდე. წმ. ელენეს კუნძულზე გადასახლებული ნაპოლეონივით, იგიც ჩაკეტილია პატარა ქალაქში, როგორც ციხეში, და ხელისუფლების უნებართვოდ გამოსვლის უფლება არ აქვს.

დ'იუბერსა და ფეროს შორის დუელს იწვევს არა რაიმე სახის გაუგებრობა თუ შეურაცხყოფა, არამედ განსხვავება ამ ორ მხედარს შორის. განსხვავებას არაფრად აგდებს დ'იუბერი, მაგრამ ფეროსთვის აუტანელია მოწინააღმდეგის უპირატესობის ქვეცნობიერი შეგრძნება და ალაგზნებს საბრძოლველად.

ჯოზეფ კონრადი გვიჩვენებს თუ როგორ განწმენდს და ამაღლებს დუელი ამ ორ კაცს.

ფერო ეჯობება დ'იუბერს, ცდილობს დაეწიოს და გაასწროს; რომ არა დ'იუბერი, იგი ვერც ჩინით აინევედა ასე მალა და ვერც მიხვდებოდა ბევრ რამეს, რამაც იგი ჩააფიქრა და შეცვალა.

კონრადის მიხედვით, ფერო უფრო მეტად თავქარიანი და თავზეხელაღებული იყო, ვიდრე სამხედრო პირს შეეფერება, იგი ცხოვრების აზრს ჩხუბში ხედავდა. დ'იუბერთან დუელებმა იგი შეცვალა, ისწავლა გარშემომყოფთა და

ზემდგომთა აზრის გათვალისწინება, ანუ დასძლია მდაბიური ეჭვიანობა.

დ'იუბერს არ სურს დუელი და იბრძვის მხოლოდ ღირსების დასაცავად. იგი ბუნებით წინამძღოლია და ამიტომაც აღწევს წარმატებას სამხედრო იერარქიაში. დუელი მხოლოდ აფერხებს მის წინსვლას. რომ არა ეს საბედისწერო დუელი, დ'იუბერი უფრო წარჩინებული და სანიმუშო იქნებოდა სამეფო გვირგვინის მსახურთა შორის.

მისი წარმატება იხსნის ფეროს სიცოცხლეს და პენსიასაც გაუჩინს, თუმცა მან არაფერი იცის ამის შესახებ.

ჯოზეფ კონრადის ეს შედეგრი მოგვითხრობს დუელის მიერ მოტანილ ტანჯვა-განსაცდელზე, რომლის გავლითაც განიწმინდება ორი ნამდვილი ვაჟკაცი.

ჯოზეფ კონრადის „დუელი“ 1908 წელს გამოქვეყნდა.

1977 წელს რეჟისორმა რიდლი სკოტმა წარმატებით გადაიტანა ეკრანზე ჯოზეფ კონრადის ეს ნოველი.

P.S.

როსტომის წიგნს ვანო ამირხანაშვილის ბოლოთქმა ახლავს; მასაც მინდა გამოვეხმაურო და კი არ შევედავო, რადგან თითქმის ყველაფერში ვეთანხმები, არამედ ჩემი ფიქრი მივაღვენო მის საგულისხმო წიაღსვლას.

ვითომ მხოლოდ ეს ოცდაათი დუელი გაიმართა საქართველოში?

ამ ოცდაათი დუელის მონაწილენი ხომ ცნობილი ადამიანები, ძირითადად მწერლები, იყვნენ და ამიტომ გახმაურდა მათი ამბავი. ისინი ან ხუმრობენ, ან საზოგადოებას უწვევენ ანგარიშს და ამიტომაც არავინ კვდება თუ დაიჭრება ამ დუელებში.

პუშკინი მასონების მიერ მიგზავნილმა კილერმა მოკლა დუელში.

ლერმონტოვი ოფიცერი იყო და მძიმედ შეურაცხყოფილმა ოფიცერმა მოკლა დუელში.

აარონ ბარმა ელიგ ზანდერ ჰამილტონი კი იმსხვერპლა დუელში, მაგრამ მისივე დუელი ჯონ რენდოლფ როანოკელთან მშვიდობიანად დასრულდა.

პალმს რომ ბოდიში არ მოეხადა, ნეტავ როგორ დასრულდებოდა მისი დუელი დავით კლდიაშვილთან?

და აკიმოვს რომ ტყვია არ აეცილებინა ნიკო ლორთქიფანიძისათვის?

აი, კიდევ ერთი დუელი, ბატონ ზაზა აბზიანიძის ნაშრომიდან, ოფიცერ სერგო სანაძეს მძიმედ დაუჭრია დუელში გრაფი ტოლსტოი.

გერმანულ სტუდენტთა დუელი ტრაგიკულად არ მთავრდებოდა, მაგრამ მაინც დუელი ერქვა. ამიტომ ჩვენებური კექნაობაც არ უნდა ამოვიღოთ დუელთა ნაირსახეობიდან.

ვანო მართალია, თუ დუელის წესებს არ დაიცავ, სრულყოფილი დუელიც არ გამოდის, მაგრამ ბრძოლა მაინც ბრძოლაა და ქართველს შესძლება წარბეჭედებულად მდგარიყო დამიზნებული დამბაჩის პირისპირ. ასე რომ, არც ისე პამპულები გამოვდივართ.



ჯოზეფ კონრადი

ალექსანდრე ელერდაშვილი

იყო არაბეთს როსტევენი?

დიახ, სრულიად შეგნებულად დაესვით კითხვის ნიშანი ამ წერილის სათაურად შერჩეული ფრაზის ბოლოში... ასეთი კითხვა შეიძლება გაუჩნდეს ყველას, ვინც დაკვირვებით შეისწავლის რუსთველის პოემაში ასახულ გეოგრაფიულ გარემოს და აღმოაჩენს, რომ უკლებლივ ყველა ტოპონიმი შესაბამება რეალურად არსებულ გეოგრაფიულ გარემოს და მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრა შეიძლება როგორც სახელთა ეტიმოლოგიით, ასევე ეპიკოსის მიერ მოცემული დახასიათებით თუ მინიშნებებით.

„ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ყველა გეოგრაფიული პუნქტის ზუსტი მითითება შეიძლება რუკაზე, გარდა ერთისა, და ეს გამონაკლისია „არაბეთი“. სწორედ ამიტომ იბადება კითხვა — როსტევენი მართლა არაბი იყო და არაბეთში ცხოვრობდა თუ ეს გარკვეული მიზნით შექმნილი „ნიღაბია“ სინამდვილეში არსებული სხვა ქვეყნისა თუ ქალაქისა.

ერთი შეხედვით, საეჭვო არაფერია, რადგან ქართველთათვის ცნება „არაბეთი“ ცნობილი გახდა თუნდაც მას შემდეგ, რაც არაბებმა დაიპყრეს მთელი ე.წ. „ახლო აღმოსავლეთი“, შუა აზია, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი, თითქმის მთელი ესპანეთი და, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიაც, და ეს ყველაფერი ჩვენი წ.აღ. VII საუკუნიდან დაიწყო... არაბთა მიერ შექმნილ სახალიფო, თავისი მასშტაბებით, არ ჩამოუვარდებოდა სხვა დიდი შეკონინებული იმპერიების ტერიტორიებს ფართობით (იგულისხმება თუნდა რომის იმპერია ან საბჭოთა კავშირი), ხოლო არსებობის ხანგრძლივობით ნებისმიერ სხვაზე მეტხანს იარსება. ჩვენ აღარ შეგუდგებით თვით ამ სახალიფოს დადებით თუ უარყოფით მხარეთა შეფასებას და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ საქართველო მთლიანადაც და ნაწილობრივაც გარკვეული დროის განმავლობაში შედიოდა ხსენებული სახალიფოს შემადგენლობაში და სანამ უშუალოდ რუსთველის პოემაში ხსენებულ არაბულ სამყაროს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო ფაქტი, რომ ქართულ ენაში არსებული აღმოსავლური ლექსიკა (არაბული, თურქული, სპარსული) გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა, ანუ: სპარსული ლექსიკა დამკვიდრდა ძირითადად კახეთის რეგიონებში და მერე შევიდა ზოგადქართულ მეტყველება-

ში, თურქული უფრო დასავლეთ საქართველომ შეითვისა და მერე განავრცო ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებში, ხოლო არაბული ლექსიკა დანარჩენ საქართველოს „აჩუქა“ თბილისმა და ამას თავისი კონკრეტული ისტორიული მიზეზები აქვს (ამ სტატიის ავტორი დაიბადა და შეგნებულნი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა ძველი თბილისის „გულში“ და გამუდმებით უნევს ისეთი სიტყვების ხელახლა „აღმოჩენა“, რომელიც ნამდვილქართულად მიიჩნევა... მაგრამ ეს უკვე სხვა სფერო და თემა)...

იყო არაბეთს ავთანდილ?

...იმიტომ „ავთანდილ“, რომ იგი ყველაზე მეტად „არაბია“ სხვა არაბთა შორის; პოემის თანახმად, არაბები არიან: როსტევენიც, თინათინიც, შერმადინიც, სოგრატიც და ა.შ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ ავთანდილისა თუ როსტევენის „არაბობის ხარისხის“ დადგენას, მაგრამ ავთანდილს იმიტომ ვანიჭებთ უპირატესობას, რომ თვით ავტორმა შეუთხზა მას სახელი რეალურად არსებული არაბული ენიდან; ენის რეალურობას იმიტომ გამოვკვეთთ, რომ რუსთველს შეეძლო გეოგრაფიული გარემო გამოეგონებინა ან უბრალოდ ალევგორიულობით შეენიღა, ახალ ენას კი თავისი პერსონაჟის სახელის შესათხზავად ნამდვილად ვერ გამოიგონებდა. მაშ ასე — რას ნიშნავს „ავთანდილი“? ამის შესახებ რუსთველოლოგთა ის ნაწილი მსჯელობდა და სწორი დასკვნებიც გამოჰქონდა, ვინც

იცოდა სპარსული თუ არაბული ენები. ამ ენების უცოდინრად კი სრულიად წარმოუდგენელია „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობა; არ გვსურს ახლა არანაირი პოლემიკის გამართვა „რუსთველოლოგებთან“, ეს მომავლის საქმეა, დავასახელებთ მხოლოდ ორ მაგალითს: ნებისმიერმა ირანისტმა იცის, რომ „შამშირ“ არის ხმალი, ხოლო „სათ“ შავი ფერის ძვირფასი ქვაა... არადა, მავან მეცნიერებს უნერიათ განმარტებებსა და კომენტარებში: შიმშიერი — ფარი, სათი — ნითელი ფერის ქვა... ხდება ხოლმე!

ისევ „არაბ“ ავთანდილს დავუბრუნდეთ:

ჯერ ვერცერთმა მეცნიერმა ვერ შეძლო მოეძებნა სახელი „ავთანდილი“ რუსთველამდე არსებული ლიტერატურულ თუ ისტორიულ ძეგლებში; იუსტინე აბულაძემ ასეთი განმარტება მოუძებნა ამ სახელს:

ა) „ვათან“ არაბულად არის „სამშობლო, ქვეყანა“, მისი მრავლობითი რიცხვია „ავთან“.

ბ) „დილ“ — კლასიკური სპარსულის თანახმად, გულია (დღეს სპარსელები „ყალბ“-ს ამბობენ, როცა სურთ გულის ხსენება, ხოლო „დილ“ გახდა მთლიანად შინაგანი ორგანოები, ზოგადად — სტომაქი).

„ავთან+დილ“ — გამოდის სამშობლოს, ქვეყნიერების გული.



მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციებიდან (XVII ს.)

თუმცა არის მეორე ვარიანტიც: „ავთან+დინ“ და ეს „დინ“ გახლავთ სარწმუნოება, ხოლო ამგვარი კონსტრუქცია სახელებისა ყველასათვის ყოველთვის ცნობილი იყო: ჯალალ-ედ-დინ — დიდება სარწმუნოებისა, ნურ-ედ-დინ — სინათლე სარწმუნოებისა, ფახრ-ედ-დინ — სიამაყე სარწმუნოებისა... ამავე რიგში დგას ნესტან-დარეჯანის მამის, ფარსადანის, და ტარიელის მამის, სარიდანის, სახელებიც. ესე იგი, სრული ფორმა იქნება „ავთან-ედ-დინ“ (იმასაც გეტყვით, რომ „ნესტანდარეჯანის“ შუაზე გაჭრა ან დეფისით გაყოფა, სრულიად გაუმართლებელია, ეს სახელი უნდა დაინეროს ერთად, ხოლო მისი წარმოშობა უკავშირდება ფრაზას „ნესთ ანდარ ჯეჰან“ — არა არს შიგან ქვეყნიერებისა).

რომელია უფრო მისაღები — „ავთან+დინ“ თუ „ავთან-ედ-დინ“? — ეს ჯერჯერობით გაურკვევლია, მაგრამ გარკვეულია ის, რომ ავთანდელი ძალიან უცნაური „არაბია“ რატომ?

გავიხსენოთ პოემის ეპიზოდები:

ა) ავთანდელი გულანშაროსკენ რომ მიცურავს, მოგვხსენებათ, გზაში გადაეყრება ვაჭრებს, რომლებსაც დაეხმარება მეკობრეთაგან თავის დახსნაში; იმ ვაჭრებმა ავთანდელს თავი ასე გააცნეს

**გარდახდა. ჰკადრეს: „ჩვენ ვართო
მოხალდადენი ვაჭარნი,
მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს
გვისმან მაჭარნი“ (1040)**

ბალდადელი ვაჭრები არ იცნობენ ავთანდელს, ესე იგი ავთანდელი არ არის ბალდადელი არაბი.

ბ) ეს ვაჭრები მოდიოდნენ ეგვიპტიდან:

**თქვა: „ქარავანი ეგვიპტით გამოვმართეთ ერთა,
ზღვასა შევედით ტვირთულნი ლართა
მრავალ-ფერთა“ (1042)**

ეგვიპტიდან წამოსული ვაჭრები არ იცნობენ ავთანდელს, ესე იგი ავთანდელი არ არის ეგვიპტელი არაბი.

გ) ავთანდელი მულაზანზარიდან გაემართა ნავით გულანშაროსკენ, იგი იქ ახლანდელი კუვეიტის ტერიტორიიდან მოხვდა, მანამდე კი ავთანდელი ირანის გავლით მივიდა ხატაეთამდე (ხატა-ეთი არის იგივე რუსული „კიტაი“), იქ ხატაელმა ძმებმა მიასწავლეს ტარიელის გზაკვალი, ამიტომაც უკან გამობრუნდა დასავლეთისკენ და მიაღწია დიდ კლდეებს, სადაც იყო ქვაბი, იმ ქვაბიდან კი ტარიელმა ავთანდელი ზღვის პირასა გაიყვანა და უთხრა:

**„აღმოსავლითჲკე ნადიო, პირსა იარე ზღვისასა“
(956)**

ესე იგი, თუ რუკას წარმოიდგენთ, მიხვდებით, რომ ავთანდელი ახლანდელი არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიას არ გაკარებია და არც იქიდან წამოსულა ტარიელის საძებრად, ესე იგი ავთანდელი არ არის საუდის არაბეთის

არაბი (ჩამოთვლილ რეგიონთა ადგილმდებარეობისა და მათი სახელების შესახებ ნაწილობრივ გვაქვს გამოთქმული მოსაზრებანი წერილში, რომელიც ადრე უკვე დაიბეჭდა სხვა გამოცემაში, ამიტომ აქ ამაზე არ შევჩერდებით და მთავალში ყველაფერს ერთ ნაშრომად ჩამოვაცალიებთ).

ზემოხსენებული სამივე დიდი რეგიონი რუსთველის ეპოქაში ერთ მთლიან და კონკრეტულ „არაბეთს“ წარმოადგენდა, მაგრამ ავთანდელი არცერთი ამ „არაბეთის“ ბინადარი არ არის.

მაშ სად არის ავთანდელის მშობლიური „არაბეთი“? — ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს საქართველოს ისტორიაში ყველასთვის კარგად ცნობილი ფაქტი:

თბილისის საამირო — არაბთა სახალიფოს ვასალური პოლიტიკური ერთეული საქართველოში, არსებობდა 736-1122 წლებში. არაბი ამირები თავიდან მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მართავდნენ, მაგრამ ქართველი ხალხის ბრძოლის შედეგად მათი სამფლობელო ნელ-ნელა შემცირდა. IX საუკუნის დასაწყისში საამირო მოიცავდა მხოლოდ ქართლს, ხოლო XI საუკუნიდან — ქალაქ თბილისს და მის მიმდებარე მიწებს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. საამირო საკუთარი დამოუკიდებლობისათვის ებრძოდა ქართულ სამეფო-სამთავროებს, ასევე სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას. საამიროს სამი დინასტიის — შუაბიანთა, შაბანიანთა და ჯაფარიანთა წარმომადგენლები მართავდნენ. 1122 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო თბილისი, რითაც წერტილი დაუსვა თბილისის საამიროს არსებობას და ქალაქი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად აქცია (ციტატა Wikipedia-დან).

ახლა პასუხი გავცეთ მორიგ კითხვას:

თუ ესა თუ ის ქალაქი ან ქვეყანა თითქმის 400 წელი ითვლება სხვა ქვეყნის საკუთრებად, შეიძლება თუ არა, რომ ამ გეოგრაფიულ პუნქტს დროებით და სიმბოლურად ერქვას არა თავის მშობლიური მხარის, არამედ დამპყრობი ქვეყნის სახელი? ანუ — თუ თბილისი ოთხი საუკუნე იყო არაბეთის ნაწილი, შეიძლება თუ არა, რომ ისიც „არაბეთად“ მოეხსენიებინა რუსთველის თბილისის გათავისუფლებიდან სულ რაღაც სამოცი-ოთხმოცოდე წლის შემდეგ, როცა მან პოემის წერა დაიწყო?

როგორც ჩანს, არაბეთი სხვა არაფერია, თუ არა თბილისი (თბილისის საამიროს შემორჩენილი სახელი).

შედარებისთვის გაიხსენეთ მაგალითები ახლო წარსულიდან: როცა ჩვენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევდიოდით, ყველას ეგონა, რომ ჩვენ ვცხოვრობდით რუსეთში და ვიყავით რუსები, რადგან ვითვლებოდით რუსეთის ნაწილად... ლამისაა 200 წელი გახდეს, რაც ვორონცოვი აღარ არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თბილისში „გარანცოველები“ მუდამ იცხოვრებენ და ასე შემდეგ.

* * *

**ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი
წყლისა პირსა...**


თუ დავიჯერებთ, რომ „არაბეთი“ არის თბილისი მაშინ ეს „წყალი“ უნდა იყოს მდინარე მტკვარი...

ამგვარი ვარაუდები კი იმასაც გვაფიქრებინებს უნებლიეთ, რომ ტარიელი სატრფოს ძებნამ მტკვრის პირებზე ატარა და ნადირობით გართულ როსტევეანსა და ავთანდილს თბილისის შემოგარენში შეახვედრა... მაგრამ ასეთი მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს და ჩვენ შეხედულებათა დასამტკიცებლად ბევრი არგუმენტის მოხმობა დაგვჭირდება, რაც ერთ წერილში ვერაფრით ვერ ჩაეტევა, ამიტომაც გვაქვს განზრახვა „ვეფხისტყაოსნის“ დროსა და სივრცეზე დიდი გამოკვლევის შექმნისა, მანამდე კი შევეცადეთ დაგვედგინა პოემაში მოხსენიებული „არაბეთის“ ადგილმდებარეობა... ფაქტებს ვერსად გვაქვცევით — 400 წელი თბილისი იყო არაბეთის ნაწილი და საკითხის ასე დასმით ავტორმა კარგად შენიღბა თავისი გულისწადები, ანუ ის, რომ ავთანდილი არის თვით შოთა და მისი სატრფო თინათინი კი თამარ მეფეა... ამ ალეგორიულ ნიაღვრას, ალბათ, დამტკიცება არ სჭირდება.

...და კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც რეალური დროითა და მანძილით განისაზღვრება:

ავთანდილმა ტარიელის ქვაბიდან, უფრო სწორად იქიდან, სადაც მან ტარიელისგან „აღმოსავლური ორიენტირი“ მიიღო ნიშნად, ფრიდონის მულაზანზარამდე „სამოც-ათ“ (70) დღე ზღვა-ზღვა იარა და მერე კიდევ 10 დღე მენავეთაგან მისწავლებული გზის გავლას მოანდომა... ესე იგი, სულ 80 დღე. ახლა გავიხსენოთ, რომ შუა საუკუნეებში მგზავრთათვის ყოველ 25-30 კილომეტრზე არსებობდა ქარვასლა, სადაც მათ ღამის გათევა შეეძლოთ... ანუ — ავთანდილმა იარა დაახლოებით 2000 კმ (80 დღე გავამრავლოთ 25-30 კილომეტრზე); ახლა შეგიძლიათ „Google“-ს ვირტუალურ რუკაზე გადაზომოთ მანძილი ქუვეთიდან ირანის ქალაქ ბენდერ-აბასამდე (ორმუზდის სრუტემდე) და ნახავთ, რამდენ კილომეტრსაც მიიღებთ.

ყველაზე საინტერესო დასკვნა კი ის არის, რომ ეს გზები და ქვეყნები პოემის ავტორს თვითონ ჰქონდა მოვლილი და ნანახი... შოთა რუსთველის სამოგზაური გამოცდილება გახდა, ალბათ, ერთ-ერთი სტიმული თუ საფუძველი გენიალური პოემის შექმნისა.



მარაუთი ავთანდილისა

მალხაზ ივანიძე

ბავშვობა. ქალაქი. წიგნი

დიახ, ბავშვობა — ქალაქი — წიგნი. სამერთიანი თემა ზაალ სამადაშვილის ახალ კრებულში „ავტობიოგრაფიკული წიგნების ფონზე“, რომელიც გამომცემლობა „დიოგენემ“ გამოსცა.

ეს არის მოთხრობების, მინიატურებისა და ჩანაწერების წიგნი — ნათელი, უბრალო, გასაგები ენით გადმოცემული ამბები და შთაბეჭდილებანი.

ბავშვობა: „მეოთხე კლასში ვარ ალბათ, ანდა მეხუთეში. მაცვია ბუკლეს გაქეჩილი, დამოკლებული პალტო, მუხლებამდე ძლივს რომ მწვდება. მახურავს სასკოლო ფორმის ქუდი, სამხედროებისა და მილიციონერების ქუდების მსგავსი, ოლონდ, მათგან განსხვავებით, წითელი არმიის გარეშე. დეკემბერია, თან თოვს, თან ქარი უბერავს. ფანტელები სახეში მეხლება, ლანჩებდამდნარ ფეხსაცმელებში წყალი შემდის, ჯიბეებში ჩაყოფილი ხელები მეყინება. არაფრად ვაგდებ ამ უსიამოვნებებს, რადგან კინოში მივდივარ, თან მამასთან ერთად... დედაც რომ მოდიოდეს ჩვენთან ერთად, სულ მთლად კარგი იქნებოდა... მაგრამ არ წამოგვყვა, შინ დარჩა. არ წამოგვყვა კი არა, არც უთქვამს, მეც წამოვალო. მამასთან ხმამალალი ლაპარაკის შემდეგ სამზარეულოში შევიდა და ისე გამოვიხურეთ კარი, რომ არც გამოუხედავს ჩვენკენ“ („კინო „ოქტომბერში“ წასვლა“).

პრეზენტაცია ანუ წარდგინება, რალა თქმა უნდა, „დიოგენეს“ წიგნის მალაზიაში გაიმართა. მომცრო, მყუდრო დარბაზი, სულ ალბათ ოცდაათიოდე კაცს რომ იტევს, წიგნებით არის სავსე და რალაცნაირად მოგვაგონებს გურამ დოჩანაშვილის ცნობილ „კარცერ-ლუქსს“.

წიგნებზე სჯა-ბაასისათვის უკეთეს ადგილს ვერ იპოვი. ზიხარ შენთვის მოხერხებულად, უსმენ სიტყვით გამომსვლელს და თან ათვალეირებ თაროებზე შემოწყობილ შესანიშნავ გამოცემებს, რომლებიც შენს წარმოსახვაში აბრეშუმის ჭიბბივით ქსოვენ ინტერესის პარკებს.

2012 წლის 11 მაისი. წვიმიანი, გრილი დღე. მანამდე ცა ფეხად რომ ჩამოდიოდა, პრეზენტაციის დაწყებისთვის გადაიღო.

ქალაქი: „თბილისის მაშინაც წარიყალას გაყოლებაზე აღმართული „ქართლის დედა“ გადმოჰყურებდა...“

ქალაქი იზრდებოდა — გარეუბნებში ოთხსართულიანების ნაცვლად რვა და თექვსმეტსართულიან სახლებს აშენებდნენ, მეტროპოლიტენს უკვე შვიდი სადგური ჰქონდა, ტრამვაის ვატიმანებად და ტროლეიბუსის მძღოლებად სოფლის მცხოვრებლებს უხმობდნენ, ქუჩებში „პობედებთან“, „ზიმ-მოსკვირებთან“ და „ვოლგებთან“ ერთად „ჟიგულებიც“ და „ზაპოროჟეცებიც“ მოძრაობდნენ...

„მარტოობის ასი წელი“ ახალი გამოქვეყნებული გახლდათ. ჩვენ მას ძნელად მოსაპოვებელ რუსულ ჟურნალ „ინოსტრანანაია ლიტერატურაში“ ვკითხულობდით და ვრცელი ტექსტის დიდი სიამოვნებით შთანთქმის შემდეგ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით პირველი აზრების სწორად წარმოთქმაში. გემახსოვრებათ, ალბათ: „გაეა მრავალი წელი და პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია, დახვრეტის მოლოდინში, კედელთან მდგარი...“

„ბითლზი“ დაშლილი იყო და ბიტლომანები ამბობდნენ, ეს იოკო ონოს „დამსახურებაა“. კვლავ ერთად უკრავდნენ „როლინგები“, „Led Zeppelin“ და „Deep Purple“; ცოცხლები იყვნენ ჯიმი ჰენდრიქსი, ჯენის ჯოპლინი და ჯიმი მორისონი...

— ეს დღეები სულ ამ ჯგუფებსა და მომღერლებს ვუსმენდი, მინდოდა პრეზენტაციამდე სამოცდაათიანების თბილისური სულისკვეთება სრულად აღმედგინა, — თქვა ნიგნის რედაქტორმა ანა ჭაბაშვილმა და ისიც დასძინა, რომ ზაალ სამადაშვილისთვის ჯერ ადრეა მოგონებების წერა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ეს არც არის მემუარისტიკა. პროზაა თავიდან ბოლომდე...

ნიგნი: „ბავშვობაში პირველ თებერვალს გაზაფხულის დადგომის მაუწყებლად მივიჩნევდი და ეს იმ ხალხური ლექსის დამსახურება გახლდათ, რომელიც „დედა ენაში“ ნავიკითხე პირველად. ჩემთვის ნიგნში დაბეჭდილ სიტყვას გაცილებით მეტი დამაჯერებლობა ჰქონდა, ვიდრე რეალობას; გარეთ ციოდა, ცა გადანაცრისფერებული იყო, თოვლ-ჭყაპს დაეფარა ეზოები და ქუჩები და, მიუხედავად ამისა, მაინც არ ვიბუზებოდით, რადგან, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მამხნევებდა და მათობდა სტრიქონები: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა-ჩიორამაო საძირკველი გადგაო.“ მზე ერთხელაც არ იყო ნახსენები, მაგრამ მაინც მათობდა.“

— ბატონი ზაალი საჯარო მოხელეა (თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე), მაგრამ მის ნიგნს ეს სულაც არ ეტყობა. ასე რომ, შეგვიძლია მივულოცოთ „დიდ ავიაციაში“ დაბრუნება! — ეს სალამოს წამყვანის, გურამ მეგრელიშვილის სიტყვებია.

სიმართლე ითქვას, დასაბრუნებელი რა სჭირდა, როცა არც არასოდეს დაუტოვებია „დიდი ავიაცია“ — ლიტერატურული სამშობლო.

ზაალ სამადაშვილმა ბევრი ილაპარაკა, ბევრი ისაუბრა, ბევრ თემას შეეხო საკუთარი თავისა და ნიგნის გარდა...



გაიხსენა ლაშა თაბუკაშვილის ალმანახი „სათავე“, სადაც პირველად გამოჩნდნენ მისი თაობელები, 80-იანელები: კოტე ჯანდიერი, ქეთი ნიჭარაძე, ირაკლი ჩარკვიანი, ზურაბ სამადაშვილი, ლაშა იმედაშვილი.

ისიც გაიხსენა, თუ როგორ „ალმოაჩინა“ ტომას ვულფი პაატა და როსტომ ჩხეიძეების თარგმანით; არც ნინო ქაჯაია დავინწყებია, რომელიც დიდი ინგლისურ-ნოვანებიდან ტომას ვულფსაც თარგმნის. როსტომ ჩხეიძის „ავგისტოს შვილებს“ პირუთენელი მატინე უწოდა.

გურამ გვეგვიძე, გურამ დოჩანაშვილი, ვაჟა გიგაშვილი... აი, მწერლები, ვისგანაც უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ. უფროს თაობაში მისაბაძი ბევრია, მაგრამ არის დასახელებულ მწერლებში რალაც ისეთი, რაც მახლობელი და გასაგებია დებიუტანტებისთვის.

გივი მალულარია! ვისაც ჰგონია, რომ საბჭოთა პერიოდში ქართულ მწერლობას არ გააჩნდა ეგრეთ წოდებული „უჯრის პატიმრები“ ანუ დისიდენტური ლიტერატურა, ნაიკითხოს მისი ლეგენდარული რომანი „უკუქცევა“.

აღფრთოვანებით ისაუბრა პიტერ აკროიდის 900-გვერდიან ნიგნზე „ლონდონის ისტორია“.

რატომ არ უნდა გვექონდეს ასეთი ცოცხალი თხრობა ჩვენი დედაქალაქის წარსულის შესახებ? რით ვართ ნაკლები ლონდონელებზე?

— იმით, რომ მათ ყველა წერილმანი დოკუმენტებად აქვთ დალაგებულ-დახარისხებული, ჩვენ კი ყველაფერი თავიდან გვაქვს გასაკეთებელი, — თქვა გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორმა თამარ ლებანიძემ, — მასალა არ არის, არქივებშია გაფანტული, დაძებნა და თავმოყრა ესაჭიროება.

ზაალ სამადაშვილმა სასიამოვნო ამბავი აცნობა საზოგადოებას: ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის თანამედროვე ქართული მოთხრობის ანთოლოგია, რომელიც იქაურმა პროფესიონალებმა თარგმნეს.

ბატონი ზაალი ბოლომდე ერთგული დარჩა პრინციპისა — არც ერთი სიტყვა საკუთარ შემოქმედებაზე. ამაზე ანდაზა არსებობს: „სხვისი მაზიარებელი დარჩა უზიარებელი“. სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო როსტომ ჩხეიძემ თავისი გამოსვლა. ისაუბრა ზაალ სამადაშვილის შემოქმედების მოტივებზე, სტილზე, თავისებურებებზე. აღნიშნა, რომ მას რევაზ ინანიშვილთან მარტო სისხლისმიერი კი არა, შემოქმედებითი ნათესაობაც აკავშირებს.

ამგვარად, მოიხაზა მწერლის სახასიათო შტრიხები. დაინახა სახე, ობიექტური პორტრეტი, რომელიც არ ჰგავდა სუბიექტურს, თვითგანჭვრეტის, ავტობიოგრაფიულ ნიგნების ფონზე, რომელიც 84-ე გვერდზე ელოდებოდა მკითხველს: „იცი, ვის ვგავარ ახლა? — სერჟ გენსბურგს... გემახსოვრებათ, ფრანგი შანსონიე იყო, სცენაზე ნასვამი გამოდიოდა, ანთებული სიგარეტით ხელში... სცემდა ბოლთას ვეებერთელა აუდიტორიის წინაშე და ფრაზებთან ერთად ბლუჯა-ბლუჯა ფანტავდა თამბაქოს ბოლს... ვერ გაიგებდი, მღეროდა თუ ხმამაღლა ფიქრობდა...“ („ავტობიოგრაფიკ“).

გოჩა კაკაბაძე

„არავის ავნო შენი საქციელით!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- ღვთის უარყოფა და სულიერების არქონა.
- საღ ისურვებდით ცხოვრებას?
- საქართველოში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- შინაგანი თავისუფლება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ვაჟა-ფშაველასა და გოდერძი ჩოხელის გმირები.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- დავით აღმაშენებელი, ერეკლე, ექვთიმე თაყაიშვილი, ქეთევან წამებული.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- გოია, ბოსხი, იმპრესიონისტები, ადრეული გუდიაშვილი, გაბაშვილი, ახვლედიანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ბეთჰოვენი, ვერდი, შოპენი, ფალიაშვილი, მოცარტი და ა.შ...
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- მეგობრობას, ერთგულებას, თვითშეზღოვან ოჯახისა და ქვეყნისათვის.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ერთგულებას, დედობის გრძნობას, ჭკუას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მძიმე?
- ქველმოქმედება — გაჭირვებულთა დახმარება და ა.შ.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- წიგნების კითხვა, მუსიკის მოსმენა, თუმცა ეს უფრო ყოველდღიურობაა...
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ჩემი მშობლებიდან — ორივეს ვისურვებდი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მშრომელი, ერთგული, მტკიცე, უშიშარი.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- ერთგულებას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- სიფიცხე და გულწრფელობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- როდესაც ირგვლივ გაჭირვებული ადამიანები აღარ იქნებიან...
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- საყვარელი ადამიანის დაკარგვა, ქვეყნიდან ემიგრაცია.
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- უფრო მიმტევებელი, უფრო წიგნიერი.
- თქვენი საყვარელი ფერი?

- ცისარტყელას ფერები — ესე იგი ყველაფერი...
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ყოჩივარდა.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- არწივი, ბელურა.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- ბევრი მწერალი მიყვარს — ვაჟა, ოთარ ჭილაძე, ჩოხელი, ამირეჯიბი, ჰემინგუეი, ბაღვაში, ცვიგი, ლორკა, აიტმატოვი, დოსტოვესკი, გოგოლი და ა. შ.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- პოეტთაგანაც ბევრი მიყვარს — გალაკტიონი, ანა კალანდაძე, შექსპირი (სონეტებს ვგულსხმობ), ბაირონი, შელი და ა.შ.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- მარიამ სტიუარტი, ელისაბედ პირველი.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ბევრი არიან, მაგრამ პირველად ყოველთვის ექვთიმე თაყაიშვილი მომაგონდება...
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- თამარ მეფე, გოლდა მეირი, ტეტჩერი, მედეა (მითიდან)...
- საყვარელი სახელები?
- კესანე, არჩილი, ანა, აზა.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- სიცრუეს, ლალატს.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- შიტლერი.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- დიდგორი, სტალინგრადი.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- ბატონყმობის გადავარდნა.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ხატვის.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- მინდა მშვიდად, წყნარად გარდავიცვალო...
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- განონასწორებული.
- ქმედბანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- უწყინარი ტყუილის თქმა.
- თქვენი დევიზი?
- არავის ავნო შენი საქციელით!
- თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის თქვა?
- ყველაფერს გაპატიობ!



გიორგი გაბუნია

ილია ჭავჭავაძის ღიმილგადაკრული „ბნკენა-ნკიპურტები“

1877 წლის 7 აპრილს „ივერიამ“ (6), სათაურით „რედაქციისაგან“, გამოაქვეყნა შემდეგი პატარა განცხადება: „ზოგჯერ მოგვდის ხოლმე წერილები, ლექსები და სხვა და სხვა კორრესპონდენციები და დამწერნი გვთხოვენ ცალკე ბარათით ვაცნობოთ და ვებეჭდავთ თუ არა გამოგზავნილთა წერილთა და სხვ. რადგანაც ამ ბარათების წერას დრო უნდა და ამას გარდა არც რაიმე სასარგებლო შედეგი მოჰსდევს, ამისათვის ჩვენ ვარჩიეთ პასუხი შევუთვალეთ ჩვენის გაზეთის პირით იმ მწერალთ, რომელთა ნაწერსაც ვერ დავებეჭდავთ...“

მართლაც, ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ხსენებულმა ავტორებმა თავის ფურცლებზე, რუბრიკით „ივერიის“ ფოსტა“, სისტემატურად დაიწყო დაინტერესებული ადრესანტებისათვის „შესაბამისი“ პასუხების გაცემა და, როგორც „ივერიამი“ იმხანად დასაქმებულ თანამშრომელთა ზოგიერთი მოგონებიდან ირკვევა, ამ პასუხების უმრავლესობა ავტორების დამფუძნებლისა და რედაქტორის ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნოდა. ილია, მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით, ჯანსაღი სატირისა და ცოცხალი იუმორის ნაზავით, ცოტა არ იყოს, „მკვახედ“ აუწყებდა ხოლმე დაუბეჭდავი წერილებისა და ლექსების ავტორებს მათი „ლიტერატურული ქმნილებების“ უსუსურობას და, ამასთან, პოეტობის ფინით ალტკინებულებს აძლევდა მეტად „სასარგებლო“ რჩევა-დარიგებებს. ვინაიდან წმიდა ილია მართლის ეს ღიმილგადაკრული „ბნკენა-ნკიპურტები“ თითქმის უცნობია ქართველ მკითხველთა ფართო წრეებისათვის, ამიტომ ვადავწყვიტეთ სულმნათი ერისკაცის ამ უარყოფითი პასუხების ერთ კონად შეკვრა, მათგან ერთგვარი კოლაჟის გაკეთება და ჩვენი მწერლობის მრავალრიცხოვანი მკითხველს ახლა სწორედ მას ვთავაზობთ.

* „თ.ი. ყ-ს — თქვენი ლექსი ვერ გავარჩიეთ, რადგანაც ცუდის ხელით არის გადაწერილი და რაც კი გავარჩიეთ, ვცანით, რომ ულმობელს ბედს თქვენთვის პოეზიაში ადგილი არ მოუზომავს“;

* „ავდარის“ (ლექსია) გამომგზავნელს. თუმცა იწერებით, რომ ეს ლექსი ძველია და ძველს ქალაქებში გიპოვნიათ, მაგრამ საქართველოს ბევრი არ დააკლდებოდა რა, რომ სულაც არ გეპოვნათ“;

* „ორი ქალის ბაასის“ (ლექსია) დამწერს. ჩვენც ძალიან ვწუხვართ, რომ თქვენგან ლექსად აწერილს ქალს იმისთანა უბედურება შემთხვევია. იმასაც კი ვწუხვართ, რომ იმისთანა ამბავს ამისთანა ლექსი დაუბადავს“;

* „ს. კავთისხვეს. მ. და ს.მ-ეს: ...ლექსის წერა ფინით არ იქნება. კაცს რომ ლექსის წერის ფინი მოუვიდეს, გაზეთის მკითხველისა რა ბრალია. ვისაც უნდა ამ ფინისაგან განთავისუფლება, იმისათვის ერთი უებარი ნამალი ვიცი: აიღოს თავისი უხეირო ლექსი და დღეში ორჯელ თვითონ წაიკითხოს. ამბობენ, რომ არამც თუ ფინი მეორე დღესვე დაეკარგებაო, არამედ საზოგადოლო ლექსის დანახვაც შეუზარდებაო“;

* „სალიანი, მგზავრს. თქვენის წერილისა ვერა გავიგეთ რა, თქვენს აზრს არც თავი უჩანს, არც ბოლო და თითონ ხომ არა სჩანს და არა“;

* „გ. წურბელელს. თქვენი ლექსი იმ წინოს ნაკითხეთ, ვისთვისაც დასწერეთ“;

* „ნაცნობს. თქვენ წერილს არა ვებეჭდავთ, არა ღირს მაგ უბრალო საქმისათვის მაგდენის ტყვია-ნამლის ხარჯვა“;

* „სადგ. ქ-ლი. მ. ყ-შვილს. ეგ ლექსი თითონ იმ ქალს მიართვით, ვის შესახებაც სწერთ, იქნება ესამოგონოს. სხვებისათვის-კი არაფრად სანუკარია“;

* „გუცა მტკვრისპირელს. თქვენის ნაწერისათვის თქვენვე დაგირქმევიათ სახელად ლექსი, თორემ ისე ძნელად თუ ვინმემ ლექსად იცნოს“;

* „დ. ყვირილა. მ. ა-შვილს. მოკვდა ერთი, იშვა მეორე, ბრძანეთ თქვენ. პირველისათვის სწუხართ, მეორისათვის იღვინთ, — ჩვენც თქვენთან ერთად ვწუხვართ და ვიღვინთ, მაგრამ თქვენი წერილი არ დაიბეჭდება“;

* „პატარა იმერელს. ჩვენ გვიკვირს, თუ მართლა პატარა ბრძანდებით, მაგოდენა როგორ გიტვირთვინათ. ჩვენ თქვენს წერილზე არა გვეთქმის-რა, გარდა იმისა, რაც ერთხელ ბერს თქვენისთანავე ბატონისათვის პასუხად მიუწერია:

შენ ვარდის კონავ,
დრამის წონავ,
რა მოგიჩმახავს;

* „ტ. გ-ძეს. თუ თქვენი თავი არ გებრალბათ, ჩვენ მაინც შეგვიბრალეთ და ნულა შეგვანუხებთ თქვენი უთავბოლო და სიცრუით საცხე ამბების კითხვით. საკვირველია, ღმერთმანი, სიმართლისათვის რას გაძლევენ, რომ ტყუილისათვის რა მოგცენ. თუ მაინცდამაინც არც თავს შეიბრალებთ და არც ჯიბესა, თქვენი ნებაა“...;

* „ქუთაისი, პ-რე მ-შვილს. მივიღეთ თქვენი რისხვა. ხოლო გვიკვირს, დიდმა იუპიტერმა როდის შეგმოსათ იმ ძლიერებით, რომ თქვენი სიტყვა და აზრი ხალას ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ ქართული ენის შესახებ. ჯერ ამ სარბიელზედ თქვენი ფალავნობა ხომ არაფრით დაგმობიცივებიათ, რომ თხოულობთ განუკითხველად ჩემი ინამეთო. არ მოგწონთ ჩვენი გაზეთის მიმართულება... ჩვენც ნება გვიბოძეთ, თქვენი არ მოვიწონოთ, რაც მოსანონებელი არ არის. „მონოპოლია ხელს გინყობთ“, ბრძანებთ? ნუთუ იმით, რომ ქება-დიდება არ გიგალობთ და ჯერ ხანად არც საბუთი გვაქვს იუპიტერად დაგვსვათ და თქვენს წინაშე მუხლი მოვიდრიკოთ თავყვანებითა...“;

* „გ. კ-ძეს. თქვენი ლექსი „ზღვის ალტაცებისად“ ისევ ზღვის ტალღებს მიეცით თქვენდა სამწუხაროდ და მკითხველების სასიხარულოდ“;

* „მის. აზ-ნს. ნუთუ გგონიათ, ვითომ საკმაოა კაცი გრაფი იყოს, რომ ტოლსტოობა გასწიოს“;

* „ანბანთ ქების“ ავტორს. რა დროს ანბანთქება და მერე მაგისთანა ლექსებით — ნეტავი თქვენ, რომ მოგცლიათ და სწერთ, აბა რას ჰგავს:

ან ალვად ხარ ტანადობრივ,
ბან ბულბულს მიგიგავს ენა...

— აფსუს ანბანავ, რომ ამისთანა ლექსების წერაზე იხარჯები. ანბანის მომგონს რომ ეს ჰგონებოდა, ხომ არც კი მოიგონებდა“.

დასასრულ, ვიმედოვნებთ, რომ ხელმოცარული ავტორებისათვის დიდი მამულიშვილის მიერ დაწერილი ზემოთ მოტანილი სატირულ-იუმორისტული პასუხები ნამდვილად არ „დაიკარგება“ და მათთვის აუცილებლად „გამოინახება“ შესაფერისი ადგილი უკვე დაწყებულ და ოც ტომად გამოსაცემ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალ სრულ კრებულში.

როგორი უნდა იყოს თანამედროვე მოთხრობა? ნება-უნებლიეთ დაისმის კითხვა და შენც, თუ მართლა მკითხველი ხარ და არა გადამკითხველი, გინდა უპასუხო, თუნდაც პასუხი არ იყოს პასუხისმგებლობით აღსავსე, მტკიცებულებებითა და არგუმენტებით გაჯერებული. იყოს უბრალოდ მოსაზრება, კარგი მოთხრობის ნაკითხვით აღძრულ-გამოწვეული.

ქარდა ქარდუხის „ნაცრისფერი ყვავის კვირადლე“ ის ნაწარმოებია, რომელიც თავისთავად აჩენს საბაბს მსგავსი ქრესტომათიული ფიქრებისათვის. მოთხრობა სამგანზომილებიანია. აქ არის ჰიპერრეალობა (მობილური, მესიჯი, ვიკიპედია, სამზარეულო, ყავა, ოსტეოქონდროზი, ნევროპათოლოგი, რენტგენი, ავტოპროფილაქტიკა), არის ზმანება (ყვავი — რეალურის და ირრეალურის საზღვარი) და არის რეფლექსია (ლიტერატურულ-ისტორიული რემინისცენციები).

ჩვეულებრივი ამბავია, თუ ყვავს რეალურად, ცხადად, თვალდათვალ ხედავ, მაშინვე მისტიკაში იძირები, ზმანებებში მიდიხარ. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ყვავი ნაცრისფერია? მაშინ ყველაფერი ნაცრისფერდება და ზმანებიდან ბრუნდები რეალობაში, როგორც ძილიდან ღვიძილში. და მაინც, როგორი უნდა იყოს თანამედროვე მოთხრობა? ალბათ სამგანზომილებიანი, სადაც გაერთიანდება — სინამდვილე, ზმანება და ფიქრი, ოღონდ ეს ყველაფერი — ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებულ ადამიანში. ისე, როგორც ყოველთვის.

ქარდა ქარდუხი

ნაცრისფერი ყვავის კვირადლე

— ყვა! ყვააა! ყვა! — მესმის ძილბურანში. რაღა ძილბურანია უკვე, ვფიზღლები და მხოლოდ ახლალა ვაცნობიერებ, აგერ უკვე მთელი შვიდი წელი, რაღაც მისტიკური თუ წარმოდგენილი და მონაზმანები ხმა რომ მგონია, სულაც რეალური ყვავის ხმაა.

— ყვა! ყვააა! ყვა! — ზუსტი ტონალობით იმეორებს ყვავი. სასწრაფოდ ვდგები ლოგინიდან და აივანზე გავდივარ. მარჯვნივ ქალაქი ჟღრიალებს, ჯერაც არ ახმაურებულა, მარცხნივ კი სახურავების აყოლებაზე მეზობლის გაუქმებული ანტენის თავზე, ჩემგან ათიოდე ნაბიჯზე შემოსკუპებულია ყვავი. მთლად შავი არაა, თავი და ფრთები ნახშირისფერი, გულმუცელი კი მუქი ნაცრისფერი აქვს. მეტს ველარ ვათვალთვლებ, თვალს მასწრებს, ფრიალდება და ფრთების ძძიმე ტყლაშუნით მიქრის ქალაქისკენ.

ამდენხანს რატომ ვერ მოვიფიქრე? ნამდვილი ყოფილა, ცხადი. ავისმომასწავებელი იდუმალი ხმა მეგონა აქამდე, სადაც სხეულის შიგნიდან ამოსული. არ მოგვწამლა ამ ლიტერატურამ?! თურმე აგერ ზის შუაქალაქში ანტენის თავზე და ყველაფე დაგჩხავის ზუსტად ექვს საათზე, კანტივით შეუცდომლად. ადე რა და ახედე! ტირის თოფითაც ჩამოვიღებ, საფანტით სულ თავისუფლად. გარეთ არც კი გავალ, კარის ღრეჭოდან ჩამოვხსნი. წარმოვიდგენ როგორ დაემხლართება სახურავზე, ჩამოგორდება ჩემი აივნისკენ და შემეცოდა. არა, რას ვერჩი? ცრუ მორწმუნე თუ არ ვარ და კოლექტიური აზროვნების, რას ვერჩი? თორემ, ნავის მანქანა ხო სულ ბურჭულაძის ბანით მალვიძებს! ისე მართლა ყვავია? ნაცრისფერი რო ურევია?

ცოლს თავი საბანში ჩაურგია, ბავშს ცალი ხელი ამოურჩია საბნიდან და დედის ბალიშის კუთხე ჩაუბლუჯავს. მშვიდი სუნთქვა ისმის. ფრთხილად, ნაჩქარევად ვიცვამ, შევდივარ სამუშაო ოთახში, კომპიუტერს ვრთავ და სანამ ეკრანი გაიხსნებოდეს სააბაზანოში შევდივარ. პირის დაბანას ვასწრებ, შემდეგ პაროლს ვკრებ, ღილაკს ვანწები

და სამზარეულოში მივიზღაზნები ყავის ასადულებლად. ეტყობა სამუშაო დღეებში, მაინც რო ასადგომი ვარ, არ ვაქცევდი ყურადღებას, ამ კვირადლეს კი ასე ადრინა რო გამალვიძა ამან უფრო გამალიზინა. აშხრიალდა ყავადანი. ძლივს მოვასწარი ცეცხლის აღდან მოშორება და უცებ ვიგრძენი, როგორ დამკრა მარჯვენა იდაყვთან. ფუ შენი! ექვსი თვეა ხელი ვერ მოვირჩინე. ახლა მაინც მეგონა გამიარა-მეთქი და არა, ისევ. დღესვე უნდა მივიდე ქალბატონ როენასთან. როენა? თუ ქალბატონი ექიმის თქმა ჯობია? ჩემზე უმცროსია, ქალბატონი ცოტა ტეხავს. რა ტეხავს, ასაკს რა აზრი აქვს ზრდილობის ფორმაა ხომ? ქალად ქალი მშვენიერია, აი, ექიმობის კი დიდად ვერაფერს ვატყობ. ამ ასაკში რა ექიმი იქნება? ჩემზე სწავლობს. რაღა ექიმობას სწავლობს ჩემზე, ამის დედას შემოვვლე!

ყვავი... ყვავი... ყვავი... ყვავი (აბორდაჟი) ვიკიპედია; აბორდაჟი რაღაა? მერე ვნახავ. მონადირე ქომ ყვავი; ყვავი ლიტერატურა; თეთრი ყვავი; ყვავი-ფსევდონიმების ლექსიკონი; ძერა არის ყვავი-იუთუბი; მოდი მაინც ეს აბორდაჟი ვნახოთ რაღა: აბორდაჟის ყვავი (corvus -) მოწყობილობა, რომელიც გამოიყენებოდა ბრძოლებისთვის. პირველად მისი გამოყენება მოხდა დროს, წინააღმდეგ. ხო რას ერჩი, კართაგენზე გაუმართლა ყვავსაც და რომსაც. მოდი, ვნახოთ ნამდვილ ყვავზე რას უბნობს ძვირფასი ვიკიპედია:

ყვავი, რიგის ორი კრებითი სახელწოდება. ვაა, ყვავი რო ბელურასნაირთა რიგში შედის. წარმოგიდგენია? ბელურა და ყვავი ერთი რიგის ფრინველები! შეფერილობის მიხედვით არჩევენ რუხ ყვავს (Corvus cornix) და შავ ყვავს (Corvus corone). აი! ჩემი ყვავი! რას ერჩი ყოფილა რუხი ყვავი! უცებ მობილურის ზარი მეფეთება. მოკლე ტექსტური შეტყობინებისაა. თუ გსურთ გაგიაქტიურდეთ ტარიფი ზერო. ჯანდაბა შენი. მათი არეალების სასაზღვრო ზონებში გვხვდება გარდამავალი შეფერილობის ნაჯვარი ინდივიდები. ყვავის სხეულის სიგრძე 44-56 სმ აღწევს. კი იყო ასე გაბითქინებული, სვავივითა. ბინადრობს ევროპაში, აზიასა (გარდა სამხრეთ და სამხრეთ- აღმოსავლეთისა) და ჩრდილოეთ- აღმოსავლეთ აფრიკაში (ნილოსის



შესართავი). რას ერჩი, უძველესი და ანტიკური კულტურის არეალი ჰყვარებია. საქართველოში ბინადრობს და ფართოდაცაა გავრცელებული რუხი ყვავი, შავი ყვავი კი შემჩნეულია მხოლოდ შემოფრენისას. მე კი მეგონა რუხი იყო უფრო იშვიათი. ეტყობა მუტაცია განიცადეს: შემოფრენილმა შავმა ყვავებმა გააუპატიურეს ადგილობრივი რუხი ყვავები და მათი ნაგრამი შავრუხი ყვავები ახლა მე მიფრთხობენ სისხლსა და ძილს. ყვავი პოლიფაგია (ყოვლისმჭამელი). ჰოო, ეს კი ვერაა მთლად ღირსების-მომნიჭებელი თვისება ძმაო თუ დაო ყვავო. ქალაქის ნაგავსაყრელის მეპატრონეები ვითომ? რათ გვინდა ნაგავ-გადამამუშავებელი ქარხნები, მოვამრავლოთ ყვავები, აკი ყველაფერს ჭამენო? როგორც მახსოვს სამოც წელს ძლებს. არა, რად არ წერია? ან ბრიტანეთის სამეფო ფრინველი რომაა? ნახეს მათაც სამეფო ფრინველი რა! ისევ ვგრძნობ ტკივილს იდაყვთან. არა ნავედი!

— საით ასე აღიონზე?
— მეკითხება ცოლი და თეთრი ხალათის სარტყელს იკრავს წელთან.

— ვნახავ ნევროპათოლოგს, თორემ მტკივა ისევ ხელი!

— ყავა დალიე?!

— კი, — ვუბნები ნაჩქარევად, ქურთუკის ელვას ვიკრავ, მარცხენა ჯიბეში გასაღებს ვეხები ხელით, მარჯვენაში ცხვირ-სახოცს ვეძებ ძალაუნებურად, ვპოულობ თითებს ვუჭერ და გარეთ გავდივარ.

ჰაუ. ცივა. ამ ყინვაში რამ აიყვანა იმ გასკვარამებულ ანტენაზე? გაუჭირდებოდა ხო იცი. მეცინება და ნაცნობი მეეზოვე გაოცებული მიცქერის. იხტიბარს არ ვიტყვ და ომახიანად ვესალმები. ანტენაზე ჯვარცმული საღამო. მაგარია სტურუა, ყოველმემთხვევაში ასეთი მორტყმული ფრაზებს როცა ისვრის.

მანქანის კარს ვაღებ და ცოტა მოუხერხებლად ვვდები საჭესთან. არა, უნდა ვუკლო ჭამას... თორე აგე ყვავი პოლიფაგია ყოფილა. ყოვლისმჭამელია და მაინც მსუბუქი, ფრენას ახერხებს ძამულია. წარმოგიდგენია, თანაც თავისუფლად. ჰო, თუმცა ასე მეც ვახერხებ სიარულს. მანქანას ვამუშავებ. ცოტას ვაცლი ძრავას გახურებას, ბერკეტს D-ს გასწვრივ ვაყენებ და ნელა ვწევ ფეხს მუხრუჭიდან. ვიძვრი ადგილიდან. ვუმატებ სიჩქარეს. მანქანა ადვილად ახერხებს ასწრაფებას. მსიაომოვნებს და საშუალო სიჩქარით ვაგრძელებ სვლას. ასე მწარედ საშინელ, ავისმომასწავებელ და შოკისმომგვრელ ფრინვე-

ლად რად ჰყავთ წარმოდგენილი ნეტა? პოლიფაგია. რა ასატანი ყოვლისმჭამელობაა. მაგრამ რა, ცხოველთა ხელმწიფე არ ჭამს ლემს თუ, მაგრამ ასეთ შემზარავ გრძნობას არ იწვევს. წინ თანამშრომლის მანქანას ვხედავ. მამჩნევს მილიმის და საყვირის ხმა კვეთს ჰაერს. მუზეუმის ექსპერტია, საქართველოს ისტორიის მეთოთხმეტე საუკუნის სპეციალისტი. ექსპერტი დიდი ვერაფერი, ბრწყინვალეს ვერ გაგირჩევს ალექსანდრე დიდისაგან, მაგრამ ქვედა წელი აქვს საკმაოდ კარგად დაყენებული. ჯერჯერობით ვერცერთმა უფროსმა ვერ დააღწია თავი მდედრი ობობას კუჭის წვენს. საოცარი ისაა ყველა ახალმოსული უფროსი მისი ლანძღვით იწყებს, ლანძღვით და ირონიული თვალ-წამწამთყოფით, მაგრამ წინამორბედივით ამთავრებს მაინც კარიერის კიბიდან ჩამოსრიალებას. ფუ შენი! რა ცოტა ვერ მოვასწარი. რა უბედურებაა ერთნუთიანი წითელი. სიბრძნეც მიამსჭვალეს ყვავის სახებას? ავისმომასწავებელი სიბრძნე? საიქიოს სიბრძნე ალბათ. სამასი წელი, მათუსალა და გრძნეულობა აკიდეს, არადა საცოდავი 15 დან 65 წლამდე ცხოვრობს ოლონდ არაბუნებრივ პირობებში. არაბუნებრივი რას ჰქვია, გალიაში?! ან ამხელა ალბათობა რა ამბავია, 15-65? მიხოსი არ იყოს, ცოტა ახლო-ახლო მკითხე შე შობელქაალოლო, რო უთხრა შვილს. ერთგული წყვილები ყოფილან ყვავები.

ღმერთო მართლა ამხელა მოთხოვნილებაა ამ ქალზე თუ ხელოვნურად აქვს ეს რიგები? ვადიმ სტომატოლოგივით, განზრახ რომ იბარებს ყველა ავადმყოფს ერთსა და იმავე დროს.


— ბოლო ვინაა? კითხულობს სახემწუნებული ახალგაზრდა ქალი.

— მე ვარ! — პასუხობს შავგრემანი გოგო მე რომ მკითხა ადრე იგივე რამ.

— ბევრი ვართ?

— არა, მე იმ მსუქანი ბიჭის შემდეგ ვარ! — პასუხობს გოგო. ჩემგან კარგა შორს დგანან, მაგრამ გარკვევით მესმის. თავს ვაბრუნებ, მსუქანი ბიჭს ვეძებ და ახალა ვაცნობიერებ, რომ ჩემზე ამბობს. ბიჭოს, ამხელა ვარ?! მაინც მეღიმება. მაგ განრიპულის ფონზე ალბათ. ვიმშვიდებ თავს. სამაგიეროდ, ბიჭიო ხომ თქვა და არა ბიძია.

— მობრძანდით! — მიძახის ექთანი. კარგად ჩაფუნთრუშებული, ორმოცდაათს მიტანებული ქალი. — რას უჩივით? — მეკითხება და ანკეტას აწვალავს.



მხატვარი ბერდია არაბული

— ვიყავი ადრე, ქალბატონო, ხელის თაობაზე.
 — ხო, გამახსენდით. — შემდეგ ოთახის სიღრმეში ტიხარს უსწორებს თვალს და სჭყვივის, როენა! ადრე ნამყოფია.
 — შემობრძანდით! — გამოყო თავი როენამ მინის ჩინურ ყაიდაზე მოწყობილი ტიხარიდან და თან ინტერესით დამაკვირდა, თვალნათლივ წარმოვიდგინე, როგორ ჩამოაყოლა თითი მოგონებების ანბანურ საძიებელს.
 — თქვენ მკლავი გტკიოდათ ხომ?
 — დიახ, ხელს მალლა რომ ვწვევ მხარში ვგრძნობ ტკივილს.
 — ჰოო, კი მაგრამ ამდენ ხანს სად იყავით, ექვსი თვის წინ უნდა მოსულიყავით და კურსი გაგვეგრძელებინა? ჩემზე გადმოაქვს მზერა ჩემი ანკეტიდან.
 — ვერ მოვახერხე. ასე ადვილად არ გვიშვებენ სამსახურიდან.
 — როგორ დავიჯერო, ექვსი თვის განმავლობაში მოსვლა ვერ მოახერხეთ? — წარბს მალლა წევს როენა, ირონიულ-აგრესული მზერა აქვს და ძალიან უხდება. ოცდაათიოდე წლის ქალია. წითელ სვიტერში მოქცეული ვიწრო წელი და მოკლე შავი ქვედაკაბა, ექიმის თეთრი ხალათიდან დაუნდობლად გამოჭრილ თეძოსთან ერთად, წინააღმდეგობის ყოველგვარ უნარს მაკარგვინებს.
 — თან გამიარა მაშინ და...
 — აჰა! მერე ასე ვთქვათ, რომ მოვრჩით და ახლა ისევ აგვტკივდა! ჩემკენ მოდის.
 — გადაიძრეთ სვიტერი! — ვიხდი და მაისურის ამარა ვჯდები ექიმების არასოდეს რომ არ მიყვარდა იმ სანოლზე, ყველგან ერთნაირი რომ დგას და ყველგან ერთნაირად გაჩხიკინებული ზედაპირი რომ აქვს. მიახლოვდება. მუხლისთავებთან ჩაქუჩს მირტყამს. შემდეგ მთელი ძალით, მიჭერს თითებს მხრებზე, თან თეძოთი მეტმასნება მარჯვენა მუხლთან. ოფლის წვეთებს ვგრძნობ.
 — აბა, ანე მარჯვენა ხელი ზემოთ! — წამით მისი სავსე მკერდი მეხება იდაყვზე. თვალეში ვუმზერ, მაგრამ არადა მაგდებს, სადღაც სხვაგანაა თითქოს ფიქრებით.
 — ასე გტკივთ?
 — ოდნავ.
 — მოკლედ, აუცილებელია რენტგენი. მით უმეტეს ამ ასაკში. ვა, დღეს რა თარსი დღეა. რა უნდა ამ ჩემისას, რა დიდი ხნით ვარ ამაზე უფროსი.
 — მაინც რა უნდა იყოს? ოსტეოქონდროზია?
 — ასეც შეიძლება ვთქვათ. ხალხი რო მარილებს უძახის. ხდება ხოლმე. ცოტა წონის ბრალიცაა, ეტყობა უმოძრაო სამსახური გაქვთ.
 — კი, მუზეუმში ვარ.
 — თან კომპიუტერის კლავიატურას აწვალვით ალბათ ხშირად?
 — დიახ, ნამდვილად! — ვიძახი და ისე კომიკურად გამომდის სიცოცხლის ძლივს ვიკავებ.
 — მაგრამ თქვენს ასაკში ჯერ მაინც ნაადრევია, ამიტომაც ურენტგენოდ ვერაფერს ვიტყვი. მხრის რენტგენი მინდა ორ ჭრილში.
 — როგორ?
 — დაგინერთ მე... და მერე გადავწყვეტ, რა დაგინიშნოთ.
 — ხო, ნემსი არ მინდა. მირჩევნია აბები იყოს...

— რა იყო გეშინიათ? — გულლიად ეცინება.
 — რა დროს ჩემი შიშია, არ მაქვს მაგის თავი...
 — ჰო ვნახოთ. დღეს მომიტანეთ და შევეცდები ურიგოდ შემოგიშვათ.
 — თქვენ „ბრეინ რინგზე“ დადიოდით ხომ?
 — დიახ! — მეუბნება ისე, რომ არ უკვირს და ვხვდები, რომ მასაც ვახსოვარ.
 — თქვენ გუნდს „პარადისი“ ერქვა, არა?
 — დიახ! — მეუბნება და ისაა უნდა ვკითხო შესვენებაზე ხომ არ გეცლებათ კაფეში რომ ვისადილოთ-მეთქი, რომ მეუბნება:
 — თან თქვენი კურსელის, შოთას მეუღლე ვარ! — სახეზე ღიმილი თუ რა ვიცი რა მახატია, მეყვინება. შოთა? აჰა! არა, ბატარეასთან არ იჯდა, მაგრამ არც ძალიან შორს მისგან. რალაც ვთქვა უნდა.
 — სასიამოვნოა. ისე დაგშორდით კურსელები, იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. მომიკითხეთ შოთა და მიულოცეთ, ასევე.
 გარეთ სუსხია. ქუთთუკის საყელურს მალლა ვწვევ. დაბერებულხარო გნოლივითა. გადაგვრევს ჩვენ ეს ლიტერატურა.

ბარემ პროფილაქტიკაში გავიარო, აქვეა. ერთი კვირაა ყვითლად მინთებს ჩეკი. როგორაა ქართულად? ბარათი? მოწმობა? არც ერთი არ შეესაბამება. გამაფრთხილებელი ნიშანი? ერთი მაგის! ჩეკია და მორჩა. ჰოდა დიაგნოსტიკა მეუბნება... ჰო, დიაგნოსტიკა როგორაა? ჰა? არა გვაქვს ჩვენი ძმა ეს სიტყვა? მაჯისაცა შემტყობარს ხო არ ვიტყვით? გასწი მერანო... სად ნახავდა ახლოს ყორანს ნიკო? ცხენზე შემოსკუპებულნი? რაღა საძებარი ყორანი ჰყავდა, ცხენზე გაჭენებულს ჩაესმებოდა ჩხავილი და ეშვიდაა, ნავიდა ლექსადა, ნავიდა თუ მოვიდა? ხომ არ გავსცდით? არა აგერაა, ბატონი ალიკა. სიღნაღის საუკეთესო მაჯისაცა შემტყობარი ავტომობილია. არა, კაცო, მანქანათა. მანქანებითა ეშმაისათაო, როგორ წერს?
 — გაუმარჯოს, ალიკ! რატომაა, რომ ყველაფრის ოსტატი ჩვენთან ძირითადად არაქართველები არიან? რა იყო, გვიტყდებოდა ვითომ თუ ნიჭი არ გვყოფნიდა? გელათს ვაგებდით და ჩექმას ვერ შევეკერავდით?! რა ვიცი, რკინის, თიხის, ხის ოსტატნი და არქიტექტორნი კი გვყავდა და. აბა რუსებმა გადაგვარჩიეს? ოფიცრობას არ გვიშაღებდნენო. იმას ხო არ ვიტყვით მამ, სამზარეულოში და სამშენებლო ბატალიონებში გვერჩივნა ყველასო.
 — გაუმარჯოს! რაო, აანთო ისე?
 — კი. ბევრი გყავს ხალხი?
 — მოიცა, ნოუთბუქს გამოვიტან და აქვე ვნახავ! კარგა ხანს ეჩალიჩება. ირმის შემდეგ მიადგება ყვავს თუ მანამდე? რა აზრი აქვს. მაინც დიდი ხნის სიცოცხლე აქვს ბოძებულნი. სანამ უფსკრულს არ ამოვავსებ სკორეთი, იცოცხლებო. ღორი რა, ამის ამოვსებას რა უნდაო! რაღა რა უნდა? თუმცა რა, უფსკრულის ამოვსება კი არა მთელი ქვეყანა ავავსეთ სკორეთი, ნიკოფსიითგან დარუზანდამდის და არეგანამდე. ასე ხო ითქმის? ოვსეთითგამ არეგანამდე. ჰოდა გადავფარეთ სულ თოთო, ცინცხალი სკორეთი, საკუთარი აღარ გვეყო და ყველა მეზობელს ვესესხეთ.

— როგორც გითხარი. ? სარქველია დამწვარი. იურიკას მიუყვანე ხიბულაში, გზისპირას აქვს სახელოსნო და გამოციკლის.

— უშველის ვითომ?

— როგორ არ უშველის?! ისე ატყობ რამეს?

— მეოთხეში რო უნდა ჩავარდეს, ღმუილს იწყებს: ძრავა სადაცაა გასკდეს უნდა და ვიღებ ფეხს სატერფუ-ლიდან.

— ჰო რა, მიუყვანე იურიკას, არაა პრობლემა.

— გაიხარე ძამულია! ვაა, ღვედის ჩამოქაჩვას ვერ ვახერხებ! ტკივილი მივლის მკლავში. შეიძლება ერთი წელი ასეთი ოყნა ტკივილი განუზებდეს? რაა ასეთი მოურჩენელი? იურიკასთან მისვლის რა ვთქვი მე. შავლეგო ვნახო ერთი, არ მომატყუებს მაინც. საზიზღრობაა. რამე გარედან უჭირდეს- რკინა, საღებავი თუნდაც შუშა, გამოცვლი და მორჩა. ანთებულია ყვითლად. გეუბნება, ასეთ დროს სასწრაფოდ გამორთე ძრავი და მიაგორე უახლოეს ავტოგასამართ სადგურშიო. მე კი დაეჭვნაობ ერთი კვირაა. შენს ქვენებას არ აქვს სამზღვარი. აუ, რა განწყობა ექნებოდა! ნეტა ფრაზებადე მოუვიდა?! ცხენით თქართქურისას, თუ სულაც ფეხით სიარულისას? მართლა ილიკოზე ფიქრობდა? სისულელეა ილიკოზე ფიქრით ასეთი ლექსი არ გამოუვიდოდა, ნაღდად ბატონიშვილის ნივილი ისმის: ნივილი, კივილი, ყვირილი, გოდება, ლოცვა: გააცოფებდა ყორნის ჩხავილი. მაშინ უფრო მეტად ცრუმორწმუნენი ხო იყვნენ? თუ არა? ნიკოს შეიძლება მიაწერო ცრუმენა? ვაგლახ, ვერ გრძნობენ გლახმოკვდავნი განგებას ციურს.

შავლეგო მერსედესის ქვეშ შემძვრალა კისრამდე და ფილოსოფოსივით იყურება ცაში. აი, ხელოსნების თეთრი ყვავი! რა უღიმამო მეტაფორაა! მითუმეტეს რომ მართლა არსებობს თურმე, მართალია, არა როგორც სახეობა, არამედ უბრალოდ ალბინოსი, როგორც ბუნების ანომალია.

— რაო, რას ამბობენ ღრუბლები?

— ძმას სიცოცხლე! ილიმის და ზანტად მოძვრება მანქანიდან თითქოს ქვესკნელიდან.

— რაიო ძამა?

— აანთო ყვითელი. ალიკამ? სარქველიაო რა.

— ოჰო! გადაცემათა კოლოფი? — იჭმუნება შავლეგო. თემო! თემოო! მოდი რა, ერთ წუთს. მაზუთში ნახევრად ამოგანგულგაზინთული, განრიპული, საფუძვლიანად მელიოტი თემო გვიახლოვდება; სიგარეტი ჩაუდვია პირში, თავი გვერდით გადაუხრია და ისე ურტყამს ნაფაზს, არ უნდა თვალეში ჩაუვიდეს კვამლი, თან არც დასვრილი ხელი უნდა სიგარეტს შეახოს და არის ასე ცირკის მასხარასავით გაკრიჭული.

— თემო, ალიკას უთქვამს ამ სარქველს აქვს დედა დამწვრებულიო! ლიტერატურულად იგინება შავლეგო, ბავშვობიდან ვლადაობდით ამდაგვარად და მახსენებს. რა ეშველება?

— არ აგდებს მეოთხეში? — დალაპარაკებასაც ახერხებს თემო.

— თითქმის არა, რამდენჯერმე მივაძალე და ძლივს...

— ჰო, დარხევია ავტომატიკას. ამიტომ არ მიყვარს ეგ დედაფეთქებული. მანქანას უყურებს, თანაც ამისას არ აკეთებენ. ჯობია იყიდო ახალი და ჩასვა. ტყუილა გაატყავებენ შეკეთებისას.

— იშოვება ახალი?

— ახალი რა, გერმანული გამონაცვალი თორე ახალს სად ნახავ!

— არის თქვენთან?

— მოიცა, ვიკითხავ, — ამბობს შავლეგო და სანყობისკენ უჩინარდება.

— გამამწარა ამან რა. — რალაცა ხომ უნდა ვთქვა თემურთან.

— ჰო რა, საშინელი მანქანაა, ამიტომაც გაურბის ყველა ამის შექენას. ხან რა უფუჭდება ხან რა. რაც არ უნდა აკეთო, დროებითია მაინც. ძველია და თავისი დრო მოჭმული აქვს უკვე. ევროპაში ამის შემდეგ აგდებენ და ახალს ყიდულობენ. აგდებენ რა, ჩვენცენ აგდებენ. ილიმება ცოტა ხანში ისევ პროფილაქტიკაში მოგინევს. ხელს იქნევს უგუნებოდ.

— შვიდასი დოლარია, გერმანულია მაგრამ გარანტიას არ იძლევა. უგულოდ მეუბნება შავლეგო.

— რა ვქნა? — მხრებს ვიჩქავ, თან ახლა მაგის მშოვნელი ვერა ვარ.

— მოკლედ, იარე რა და რო ჩაიშლება მერე ვიფიქროთ! დაბეჯითებით მეუბნება ახლა ტყუილა შეკეთებას არა აქვს აზრი. თუმცა მაინც მიდი იურიკასთან, რა იცი, მართო სარქველი თუა იქნებ უშველოს.

— ჰო, მივალ.

— ხელი რას შვება? გტკიოდა.

— ცოტა ისევ მტკივა.

— ცოტას არა უშავს. ანი ბოლომდე ისედაც არ მოგირჩება. მხოლოდ ცოტა ხნით თუ გაგიყურდება: მარილები, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი... ჩამოთვალა შავლეგომ და ხელი აიქნია.

— კარგი შავლეგ, კარგად!

ვემშვიდობები და სახლისაკენ მივდივარ. ახლა რენტგენის თავი არ მაქვს. ხვალაც შემიშვას იქნებ ურიგოდ. და ჩემდაუნებურად ახლალა ვაცნობიერებ, რომ ამდენი ხანი გონება რეფრენივით იმეორებდა, ან კი ყორანმან, აღარასოდეს.

— რა ქენი მა? — მეგებება გიო კარებთან, — გააკეთე მანქანა?

— ვერ მოვასწარი. ხელში ამყავს და ვაბზრიალე. ისევ მტკივდება ხელი, ლამისაა გამივარდეს ბავშვი. ფრთხილად ვსვამ იატაკზე, ხიბულაში უნდა წავიყვანო. შაბათს წავიდე.

— ექიმმა რაო? — მეკითხება ცოლი და მეჩვენება რომ გამომცდელად მიყურებს.

— ოსტეოქონდროზია, რენტგენი გადაიღე და დაგინიშნავ ნამლებსო, თან, ყოველშემთხვევისათვის ცოლს ერთი თვე ნუ შეანუნებო, ვეუბნები, გვერდს ვუვლი გალიმეზულს, საძინებელში შევდივარ და ტანსაცმელს ვიცვლი. შემდეგ აივანზე გავდივარ და ანტენას გავყურებ. შიშველ ცაში მართლაც ჯვარცმასავითაა გაჩხერილი. ყოჩაღ, სტურუა. ახლალა წარმოვიდგენ ლექსს სრულად. ანტენებზე ჯვარცმული საღამო. არა, გადაგვრევს ეს ლიტერატურა. არსად ჩანს ჩემი ნაცრისფერი ყვავი, დილაობით მოდის ეტყობა. წარმოვიდგენ ალიონზე მის ჩხავილს და ჩემდაუნებურად მეღიმება.

შორენა ბერელიძე საოჯახო ქრონიკის ოსტატია, შესანიშნავად ხედავს სოციალური პრობლემების ადამიანურ არსს და შეუძლია ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალების მეშვეობით მთელის წარმოსახვა. მის მოთხრობებს თან დაჰყვება ტკივილი და თანაგრძნობა, როგორც მთავარი ტონები, რომლებიც გამოკვეთენ თითოეული პერსონაჟის პორტრეტულ შტრიხებს.

მას თავიდან თხრობა იტაცებდა, ჰყვებოდა ამბავს, აცოცხლებდა ყოფით ნარატივს; მოვლენის, ფაქტისა და ხასიათის დიალოგით ქმნიდა მთელ პლასტიკას. ახლა ხატავს. პერსონაჟებთან დისტანციაც გაზარდა. შორიდან უყურებს მოქმედებას. ხატავს ისე, რომ თვითონ საგნები ინვევენ შეგრძნებებსა და განცდებს.

თუკი სიმპათია ეტიმოლოგიურად „თანაგანცდას“, „თანაღმობას“ ნიშნავს, მაშინ შორენა ბერელიძის პერსონაჟები უაღრესად სიმპათიური გმირები არიან, თუმცა გმირული მათში მხოლოდ ის არის, რომ ბედს შიშველი ხელებით უმკლავდებიან და მარცხზე უფრო მეტად ერთმანეთზე ფიქრობენ. მოთხრობების შემჭიდროებული ანტურაჟი და ჩაკეტილი სივრცე კომპოზიციურ ეფექტს იძლევა. თითოეული მოთხრობა თითქოს ხელისგულზე თამაშდება. ჩვენ წინაშეა უღიმღამო დღეების ქრონიკა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე ქართული საოჯახო დრამა ნაცნობი ხასიათების შესრულებით... და კეთილი დასასრულით, რაღა თქმა უნდა.

შორენა ბერელიძე

ორი ნოველა

ნრი

ორშაბათი:

— სად წავიდა ეს ოხერი ქოლგა, როდემდე უნდა ვეძებო. გუშინ ეკლესიიდან რომ მოვედი, აქ არ დავდექი?! ცოტა ხანში გავგიჟდები ალბათ, ასეთ რიტმს როდემდე გავუძლებ, არ ვიცი... უკვე ცხრის თხუთმეტი წუთია, რა საშინელებაა, ვავიანებ... ბექა, ადექი, ბიჭო, მერამდენედ გაგაღვიძო, ჩქარა, ჩქარა...

აი, ბაბუას სახლში მლესავი რომ აზელილ ცემენტს კედელს მიატყეპებდა და მერე საგულდაგულოდ გადალესავდა, ისე ეტყეპება დედაჩემის სიტყვები ვინრო ოთახის კედლებს, ისევე ეგლისება, როგორც ის მასა და რალაცნაირად ამუქებს ოთახს... აცივებს... აფორიაქებს... თვალს ვახელ, ძალით ვატოკებ სხეულს, ჯერ ერთ ფეხს ვდგამ საწოლიდან, მერე მეორეს და მხრებში მოხრილი ვჯდები კიდეზე.

— ჩქარა, რაღას ბოსიალობ, საიდან ხარ ასეთი დუნე, ბიჭო! თუმცა რა საიდან? შენ და მამაშენს ვინ მოგცათ ემოცია; თქვენ ხომ ნერვები საერთოდ არ გაქვთ, — გრძელდება კედლების შელესვა და ოთახიც უფრო მუქდება და ბნელდება... მერე სკოლა-ასეთივე ცივი, მუქი და ფორიაქამჯდარი (მომწონს ეს სიტყვა — ფორიაქგამჯდარი... სადღაც ამოვიკითხე)

სამშაბათი:

ფილმს ვუყურებ... რაღაც საინტერესოდ მეჩვენება, ტელევიზორი რომ ჩავრთე, უკვე დანყებული იყო და სათაურიც კი არ ვიცი... მესამე საათი დაიწყო, რაც ეკრანისათვის თვალი არ მომიშორებია; ჩემხელა ბიჭის ისტორიაა რა... ჩემები მოვიდნენ; დედა მაშინვე სამზარეულოში გარბის, მამა შხაპის მისაღებად-აბაზანაში...

— გაკვეთილები თუ იმეცადინე, — სამზარეულოდან მომდინარე ხმა აღწევს ჩემამდე და რამდენიმე ნაბიჯზე ჩერდება... ფილმით გაჩენილი უცნაური ველი(აი, კინოებში რომ მინახავს, რაღაც იმგვარი) იმხელა და ისეთი ძლიერია, რომ ჩემამდე არ უშვებს სიტყვებს...

— ვაიმე, დღეს ინგლისური გაქვს, ზუსტად ერთ საათში, — წინსაფრიალი და ჩამჩიანი დედა ჩემს წინ დგება და ველს სწორედ სამზარეულოს ამ იარაღით შლის და არღვევს. — იმეცადინე?

— არა, — ვპასუხობ უემოციოდ (მე და მამას ვინ მოგვცა ემოცია)... გაავებული დედა ტელევიზორს თიშავს და ინგლისურის წიგნებს უხეშად მიყრის ტახტზე...

...მე ფილმში ვრჩები...

ოთხშაბათი:

დღეს სალამოს ბეზია მოვა. მუდამ ზამბარასავით მოჭიმული დედა ამ დროს, როგორც წესი, უფრო იძაბება ხოლმე. სამსახურიდან მალე ბრუნდება და სახლს საგულდაგულოდ ალაგებს... მერე ვახშობისას გადაკრული, ორმაგი მნიშვნელობისა და შინაარსის წინადადებები, ბეზიას ამოოხვრები, დედას ანითლებული ლოყები და მამას მშვიდი სახე (ჩ ვ ე ნ ვ ი ნ მ ო გ ვ ც ა ე მ ო ც ი ა), მიმტერებული ტელევიზორს... სულ მიკვირს, ყველანაირ გადაცემას ასე ერთნაირი ინტერესით როგორ უყურებს...

ხუთშაბათი:

დღეს ექსკურსიაზე მივდივართ, შიომღვიმეში. დედაჩემი, რა თქმა უნდა, ვერ მოდის. სიმართლე გითხრათ, არც მინდა, პატარა ბიჭი ხომ არა ვარ, მიშოს და ნუგოს ასე რომ დასდევენ მშობლები კუდში, მალიზიანებს კიდეც; მათ ადგილზე მართლა უხერხულად ვიგრძნობდი თავს... ერთი კია, უფრო პატარები რომ ვიყავით და ექსკურსიაზე მინდორში საჭმელად დავსხდებოდით, თავს რალაცნაირად უხერხულად ვგრძნობდი — დედები თავიანთ შვილებს თავს დასტრიალებდნენ: ხაჭაპური გინდა თუ კატლეტი, ბლინჩიკი თუ ნამცხვარი, ესა თუ ის, — აბეზრებდნენ კითხვებით; არა, მართალია, არც მე მტოვებდნენ უყურადღებოდ, მაგრამ მაინც... იმ დროს ვგრძნობდი ჩემი მეგობრების უპირატესობას, — ისინი უფრო ლალები იყვნენ...

პარასკევი:

დღეს დილით დედამ და მამამ მაგრად იჩხუბეს. პირველად გავიფიქრე, ნეტა საერთოდ არ ვიყო ამ ქვეყანაზე მეთქი. მერე დედა კარგა ხანს გულამომჯდარი ქვითინებდა. მამამ მანქანის გასაღები აიღო და სადღაც გაიქცა გიჟით... მე სკოლაში არ წავსულვარ...

შაბათი:

დილა... ძილბურანში ვგრძნობ, როგორ მეფერება დედა: ჩემი ჭკვიანი ბიჭი, ამ სამსახურის გადამკიდე როგორ



მიგატოვე უპატრონოდ, მოგიკვდეს დედა, მაგრამ რა ვქნა, ამდენ გადასახადს რით გავუმკლავდეთ, რით... მე ვიშმუშნები, თითქოს არ მსიამოვნებს პატარა ბავშვივით რომ მეფერებინ, მაგრამ სინამდვილეში არ მომშორდეს დედაჩემი, ასე გაგრძელდეს უსასრულოდ, ამის მეტი არაფერი მინდა...
კვირა:

მშობლები შერიგდნენ და დღეს საგურამოში მივდივართ, ნათლიასთან. დედა სხვანაირად მშვიდია, ისე გიჟივით აღარ დარბის ოთახებში, მამა კი ვერ ისვენებს: ხან საბურავს ამოწმებს, ხან მანქანის მინებს წმენდს, ხან... ერთი სიტყვით, უჩვეულოდ ფუფუსებს... მე... მე კი ვზივარ ჩემს სანოლზე და ვიყურები... კედელზე გადაღესილ ცემენტის მუქ მასას გადაკვრილია ლურჯი ფერი და უცნაურად ათბობს, ამსუბუქებს, აყურებს ოთახს...

**თუ მშვიდობა დარჩა
ანუ
მანდარინის
კაი მოსავალი**

აღმართს რომ მიუყვებოდა სახლისაკენ, ფიქრობდა როგორ დაეყოლიებინა ქმარი და ოთახის მოშენებაზე ფიქრი დაენყოთ. ბანკიდან კრედიტის გამოტანის გარეშე არაფერი იქნებოდა, მაგრამ რა, პირველები ხომ არ იქნებოდნენ, მთელი ქალაქი ასე არ არის: იღებენ კრედიტს, აკეთებენ საქმეს და ხელფასიდან იხდიან ნელ-ნელა; თუმცა ამ ხელფასსაც სამსახური იძლევა, სამსახური კი დღეს რომ არის, ხვალ შეიძლება აღარ იყოს... რას იზამ რისკია ეს ცხოვრება; არ გარისკავ და იქნები „ვინოდ“ არა მარტო სახლში, არამედ სამსახურშიც, სამსახურის გარეთაც, სამეგობროშიც, აგარაკზეც (ან საერთოდ ვერ იქნები)... კართან მისულს ხმაური შემოესმა — თეო და თორნიკე (შვილები) თმებით გადაბმოდნენ ერთმანეთს, ვერ გაერკვიათ ვინ დაჯდებოდა კომპიუტერთან პირველი... ტელევიზორიდან მექსიკური სერიალისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მელოდია „იღვრებოდა“ და სავარაუდოდ, გვანცას (სტუდენტ მულიშვილს) ატკობდა. გიგა (ასევე სტუდენტი მულიშვილი) გურულ შეყვარებულს მობილურით დირექტივებს აძლევდა დღის განრიგთან დაკავშირებით... თემური (ქმარი), როგორც ჩანს, ჯერ არ დაბრუნებულიყო სამსახურიდან... ქალმა ჩანთა ტახტზე დადო, შვილები გააშველა და გოგონა სამზარეულოში გაიყოლია... გვანცამ თავისი ინიციატივით ჩაუნია ტელევიზორს, გიგამ მალევე შეწყვიტა „მობილურსტუმართან“ საუბარი და ოთახში ჩაიკეტა... ქალმა წინსაფარი აიფარა და ვახშმის მომზადება დაიწყო; ამასობაში თემურიც მოვიდა. თეოს შენიშვნა მისცა შესასვლელთან ოთახის ჩუსტები უნესრიგოდ ყრიაო, თორნიკეს საყ-



ვედურნარევი ტონით გადაულაპარაკა, ისევე კომპიუტერთან ზიხარო?! სერიალის ცქერაში გართულ დისშვილს თმები აუჩჩნა, გიგა მოიკითხა, ჯერ არ დაბრუნებულა ინსტიტუტიდანო? მერე სამზარეულოს მიადგა და ცოლს შეენხიანა, ვახშამს ძალიან ხომ არ აგვიანდებო, ბოლოს აბაზანაში შევიდა, ხელები დაიბანა და საჭმლის მოლოდინში სავარძელში ჩაესვენა... მერე სუფრა... ბიჭების — თორნიკესა და გიგას მადიანი ჭამა, გვანცასა და თეოს ციციქნა, ქმრის დაფიქრებული სახით ვახშმობა და ცოლის გაუზრებლი, სწრაფი ყლაპვა მოზრდილი ლუკმებისა (მანქანაში სარეცხის შეყრა ეჩქარებოდა)... მერე გოგონების ძალად დიასახლისობა, რაც თევშების ალაგებითა და ჭურჭლის უგულო რეცხვით შემოიფარგლა და მზადება ხვალინდელი დღის შესამოსელისა — სკოლისათვის, სასწავლებლისათვის, სამსახურისათვის; ერთი წუთით ძალიან მოუნდა ტახტზე წამოწოლა და ინტელექტუალური შოუს — „რა, სად, როდის“ — ყურება, მაგრამ ერთუზიანში მალევე ჩაუქრა, როცა ტახტზე ჩამომსხდარ ხუთ ადამიანს შეხედა, მონდომებით რომ უცქერდნენ „მატრიცას“...

მხატვარი ბადრი გავნიძე

მესამე წელია, რაც მულიშვილები — მერიკოს ბავშვები ოზურგეთიდან მათთან გადმოსახლდნენ, მას შემდეგ, რაც სტუდენტები გახდნენ — ერთი სამედიცინო კოლეჯისა და მეორე გეპეისა. მერიკომ ჯერ ბინას ვერ ვუქირავე ბაღნებს, ძაან ძვირი დამიჯდებო და

შემოიხიზნა შვილები ძმის სულ ორი ოთახისაგან შემდგარ სახლში. ბავშვებმა უმალ დაუცალეს მამიდაშვილებს საძინებელი და დედ-მამის საძინებელში გადაბარგდნენ: თეოს გიგასი ერცხვინებოდა და ოთახში ვერ დარჩა და თორნიკეს კი გვანცასი. მამამ შვილებისათვის ორსართულიანი სანოლი მოიტანა, ნიკა ზედა სართულზე განათავსეს, თეო კი ქვედა სართულზე. ცოლ-ქმარი ერთსანოლიან ხის სარეცელზე მოთავსდა (კიდევ კარგი ჭარბი წონა არც ერთს აწუხებდა). როცა ოზურგეთიდან მამიდა მერიკო ჩამოდიოდა, შვილების ოთახში იძინებდა, ქალიშვილს შეუწევებოდა ხოლმე ფეხებში... ხანდახან ძმის ოჯახის ასეთი შევიწროვებით მერიკო თავს უხერხულად იგრძნობდა და ჩაილაპარაკებდა, თუ მშვიდობა დარჩა და წელს მანდარინის კაი მოსავალი იქნა, ბაღნებს ეგება ცალკე ვუქირაო ბინაო, მაგრამ ეს წინადადება გაიჟღერებდა ხოლმე სექტემბერში, მხოლოდ ერთხელ წელიწადში. ბავშვები კი ისე მიეჩვივნენ ბიცოლას გემრიელ კერძებს, მოწესრიგებულ სახლსა და სამოსს, რომ დიდ ინიციატივას არც იჩენდნენ და არც დედას აწუხებდნენ ცალკე აგვილე ბინაო...

...ახლა ღამეა... თორნიკე და თეო თავიანთ სანოლებზე წვანან და გემრიელად სძინავთ... ქმარი წრიალებს, წრია-

ლებს, ვერ ისვენებს, მერე ხელს აპარებს ცოლისაკენ და ჩუმ ალერსს იწყებს, უხმაუროს... მესამე წელია, რაც მათი ცოლ-ქმრული ურთიერთობა ამგვარ სახეს ატარებს — ნამალევს, მოპარულს, თითქოს აკრძალულს, თითქოს სამარცხვინოს... სამარცხვინოს, აბა რა — შვილები ამავე ოთახში წვანან, სულ რამდენიმე მეტრში... როცა ვნებააშლილი ქმარი ცოლს ალერსში აიყოლიებს და თავდავიწყება უცხო, მუქი ფერის ქსოვილში ახვევს ორივეს, ყურს წვდება (ვნება მაინც ვერ აძინებს სმენის რეცეფტორებს) თორნიკეს ან თეოს სანოლის ჭრიალი, წამოხველება ან ამოქშენა და ქალი ცივწყალგადასხმულივით იშორებს ქმარს; კაცი ჩაიბურტყუნებს, ასეთ ცხოვრებას რა ვუთხრაო, გადაბრუნდება და ხვრინვას ამოუშვებს; ქალი კი წევს, ეკვრის ცივ კედელს და სხეულის მხურვალეების განვლებას ცდილობს. სისხლში აბობოქრებულ-ადულებული მდედრი ქალს ეომება, რა მოგეჩვენა, რა დროს ეგ იყო... რალა რა დროს, თორნიკეს მზერაც კი ვიგრძენიო, არგუმენტით ამტკიცებს ქალი ნათქვამს და ფეხზე დგება... ქმარი ხვრინავს, ხერხივით ბურღავს ეს ხმა ტვინის ნახევარსფეროებს და ცოლი ერთგვარ აგრესიას გრძნობს თანამეცხედრის მიმართ, მერე გარეთ გამოდის, კართან სკამზე ჯდება და ნირნამხდარი თვალებს ხუჭავს, სიამოვნებს საღამოს სიგრილე... საიდანღაც მოსული ოფლის მძაფრი სუნი ატრიალებს და კართან უნერვიოდ მიყრილ გიგას უშველვერ ბოტასებს ასყდება. რამდენჯერ ვუთხარი გვანცას, თვითონ თუ არ რეცხავს, შენ მაინც გაურეცხემეთქი, ყარს ფეხსაცმელები, ავდგები ხვალ დილით და მე თავად გავრეცხავ, ფიქრობს ქალი და ისევ ოთახისაკენ მილასლასებს... არა, აუცილებლად უნდა შევუთანხმდე თემურს და ხვალ ბანკში წავიყვანო, იქნებ ავილით კრედიტი და ამ ზაფხულს ერთი ოთახი მოვაშენოთ, თორემ მერიკო ისევ ჩამოვა სექტემბერში და ისევ იტყვის — თუ დარჩა მშვიდობა და მანდარინის კაი მოსავალი იქნა, ავუღებ ამ ბაღებს ბინას და ცალკე გავიყვანო... მერე გაივლის წელიწადი და დაამთავრებენ ბავშვებიც, მაგრამ... მაზლიშვილები იქნებიან მომავალ წელს აბიტურიენტები...

...არა ხვალვე წავიყვან ქმარს ბანკში და სესხს გავაფორმებინებ...

დაიბადა 1982 წლის 16 აპრილს, ქიათურაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ცხოვრობს თბილისში. პროფესიით ტელერადიო ჟურნალისტი, დრამის რეჟისორი. წერს ლექსებს და ნოველებს. ჰყავს მეუღლე და სამი წლის ვაჟი, შიო. მუშაობდა მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ტექნიკურ რეჟისორად, რეჟისორის ასისტენტად, შემდეგ კი რეჟისორად. მინვეული იყო ოზურგეთის ალექსანდრე ნუნუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც დადგა ინგმარ ბერგმანის კინოოველის — „შემოდგომის სონატა“ — სასცენო ვერსია. სპექტაკლი წარდგენილი იყო თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. ამჟამად გააპიესა ჰერმან ჰესეს რომანი „ტრამალის მგელი“, რომლის დადგმასაც აპირებს უახლოეს მომავალში. მისი პროზაული მინიატურები და ლექსები ხშირად გაისმის ქართული რადიო მაუწყებლობებიდან. აპირებს კრებულის გამოცემას.



ლელა ლაშვი

მინიატურები

ბუზი

ის, რისი დანერაც ეხლა მსურს, შენზეა...

ბუზილით თავს დაგტრიალებდი და შიშით მოახლოებას ვერ ვებდავდი, გამოურთავი ინერტულობა განუწყვეტლივ მჯავნიდა და შენ იდექი, ერთადერთი თეთრი იასამანი, იისფერ იასამანთა მაგიურ ლაშქარში, მე კი შენი გულისგამანვრილებლად მონრიპინე, მოლურჯო-მომწვანო, პრიალა ბუზი, გამჭვივალე და პანია ორი წყვილი ფრთით, ანუ რაინდის სრულფასოვანი გარეგნობით...

დარწმუნებული ვიყავი, რომ წუთი წუთზე სამყაროს გადატრიალების პირველი მოწმე გავხდებოდი, მეტიც, მე ამაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიმეღო. ეს მოლოდინი მახალისებდა. წვიმის წვეთებმა დროებით შეწყვიტეს წკაპუნე და მზემ ნაცრისფერ ღრუბლებში მომცრო ზომის ბზარი გააჩინა, ნელ-ნელა შუაზე გააპო და თვალებში დაუკითხავად მომაჭყიტა, მერე კი წრეზე ამდენი ფრენისგან თავბრუ დამეხვა და შენს ფოთოლს მივენარცხე. როცა აზრზე მოვედი, შენი ერთ-ერთი ყვავილის გულში ვიყავი ჩაფლული და გავირინდე, ამაზე ოცნებასაც ვერასოდეს გავებდავდი... მილიმომი, მაგრამ მონოტონურად და ეს ღიმილი უცხო და ნახვით გამოწვეული ეტიკეტის ელემენტებით იყო სავსე. გულში ხინჯს ვგრძნობდი, არათუ უცხო, შენი მეგობარი ვიყავი, თანაც დიდი ხნის და ერთგული. ერთი ცდომილება გვაშორებდა, შენ იყავი იასამანი, მე კი ბუზი მერქვა და ამით უნდა მემამყა კიდეც, ისევე, როგორც შენ შენი იასამნობით.

მილიმომი... ეს მომწონდა და გატრუნული ვინექი შენს მზისფერ გულში, ახლა ყველაზე მარტივი მოძრაობას კი ჩემი მხრიდან და საჩემოდ, მომაკვდინებლად მომეჩვენებოდა, ამიტომ სუნთქის ტრაექტორიასა და დიამეტრსაც საგულდაგულოდ ვზომავდი. საშინელმა და მოულოდნელმა ხმაურმა ტკობის კაემანს წამიერად გამოგლიჯა მკლავეებიდან. სამი მუშა ფუტკარი ჩემს ტერიტორიას უახლოვდებოდა და მათი დემონსტრაციული შემართება საოცრად გამაღიზიანებელი იყო, რა უფლებით?! ოქროსფრად მოპრიალე ნესტრები პირდაპირ შენკენ მოემართათ, შიგ გულში გვიპრებდნენ ჩასობას და მე სრულიად უკონტროლო კორა-ბუზს დავემსგავსე, არც კი ვიცი, ეს როგორ მოხდა. სიამოვნებისგან გამოწვეული დაქანცულობის მსგავსი დაღლა ხომ არ არსებობს რეალურად?! ფეხზე წამოვხტი და ერთს, ყველაზე პატა-

რას ზურგიდან დავეტაკე, მაგრად ვუკბინე, მას მხოლოდ აუქავა და მომიბრუნდა, ვიცოდი, ნამდვილად ვერ გადავრჩებოდი ამჯერად. მუცელში ნესტარი მაძგერა და დავბუჟდი, გავსივდი და ტკივილმა დამმანჭა. საკუთარი კიდურების დანახვამ, რომელიც აქამდე ნორმალურად მეჩვენებოდა, ზიზღი მომგვარა, მუცელში ნვა ვიგრძენი და გულიც ამერია, როგორ დაუნდობლად მომნამლა ამ უდღეურმა, საკუთარ ტერიტორიას ვიცავდი მხოლოდ. ალბათ არც შემიმჩნევდა, პირველი რომ არ დავტაკებოდი. დანაყრდენ და მშვიდად გაფრინდენ, უკან აღარც მოუხედავთ.

შენ ისეთი ლამაზი იყავი, ჩემს მეტი ვერავინ მიხვდებოდა (უშუალო მონმე რომ არ ვყოფილიყავი, ვერც მე გავიგებდი ალბათ), სამი ფუტკარი როგორ გამოძღა შენი სიტკბოებით და მადლობის გადახდის ღირსადაც არ ჩავთვალეს. ჩემი დროც დადგება-მეთქი, თვითგადარჩენის ინსტიქტით მოტივირებული გავხდი მომენტალურად. ალბათ ჩემზე მხოლოდ იმას ფიქრობ, საბრალო ბუზი, რას დაამსგავსა ფუტკარმაო... მაცოფებდა ამის წარმოდგენა, მე ხომ შენ გეტროფოდი და ერთადერთი, რაც შენგან მსურდა, გმირად მიგელე, შენს გმირად. მზე კი ოქროსფერი იყო, მაგრამ შენი ნათება მეტ ბრწყინვალეობას მანიჭებდა. შენი სუნი ცისარტყელას შვიდ ფერად მოსილი ალმასის სარტყელივით შემოერთყა სამყაროს და მეც შიგ მოვექეცი, ამჯერადაც. კვლავ სასტიკი ხმა და ერთი ფუტკარი მობრუნდა, ახლა რაღა უნდა, გავიფიქრე და ჩავთვალე, ჩემი უკანასკნელი ცოცხალი წუთი, მის ხელში რომ აღმოჩნდეს, აქ აღარ მოუშვებ-მეთქი, მე ხომ ჩემ პირდაპირ ვალდებულებად მიმანდა, ის წუთი შენთვის შემომენახა. როგორ დავუშვებ, ახლიდან ვუცქირო, როგორ გნოვს ეს მტაცებელი სანუკვარ სითხეს და სუქდება... დრო მჭირდება, განვსაზღვრო ჩემი საბრძოლო სტრატეგია, რეალურად კი წამიც აღარ დამრჩა საფიქრად და ამაზე ფიქრის დროს მან თავად შეცვალა ფრენის მიმართულება და გაუჩინარდა. გადავრჩით.

თითოეული შენი რხევა ჩემს გამოსაფხიზლებლად შეექმნა ქარის მონოტონურ ტალღას და წინასწარვე იცოდი, რომ მოვფრინდებოდი და ასე დაუსრულებლად, ან რა აზრი აქვს ჩემს მოგერიებაზე ზრუნვას, უფრო მეტად იცის ბუზმა გადაკიდება. მარტოობა ხომ ყველაზე დიდი სიცარიელეა და ამ სიცარიელეზე მძიმე სატარებელი არაფერია ამქვეყნად. შემამსუბუქებელ გარემოებად მიგიჩინი. სულს მიღბობდა იმაზე ფიქრი, რომ ჩემი სიახლოვე

გსიამოვნებდა და რა უნდა მომხდარიყო, რომ ამ ყველაფერზე ერთად უარი მეთქვა?! მე — ბუზს, ჰაერზე მსუბუქს, ვერც ქარიშხალი მომწყვეტს შენს ტერიტორიას. მხოლოდ მაშინ გაგეცლები ნებაყოფლობით, თუკი შენგან მოვისმენ — გაფრინდი! ჯერ კი შენგან ამის ხსენებას პირიც კი არ უჩანს...

წყლისფერი

ფანჯარაში შემობრდვიალებულ მზის ოქროსფერ სიკაშკაშეს შეუმჩნევლად შეეპარა წყლისფერი და განვიმდა.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

მომცრო ზომის ხიდისთავში მე ვინეკი, ბოლოში კი ახალგაზრდა წყვილის საქონილო სუფრა იყო გაშლილი. ხალხის ხმაურთან ერთად მუსიკის ყურისნამლები ხმაც მოჰქონდა წვიმას ჩემამდე, ოღონდ მე არაფრის გარჩევის თავი არა მქონდა. თვალი მოვკარი, ნეფემ პატარძალი როგორ მოკრძალებულად გამოიცეკვა, სინამდვილეში უხეში საცეკვაო ილეთების დასაფარად. მაქმანებიანი წყლისფერი კაბა კოხტად ადგა ტანზე პატარძალს და სავსე მკერდი დაუფარავად იპყრობდა დარბაზში მყოფთა ყურადღებას.

— არა, გოგო ამკარად უკეთესია...
 — მშვენიერი წყვილია, ვერაფერს იტყვი...
 — უკეთესი ეკუთვნოდა... (რომელი მხარის ნათესავია, ძნელი სათქმელია).
 — სიძეს სახლი ისე მოუწყვია, გამოსვლა დაგეზარება.
 — ნეტა მამამისი თუ ჩამო-

ვიდა მოსკოვიდან?
 — ფულს გამოუგზავნიდა...
 — არა, ხარჯის ოთხმოცი პროცენტი გოგოს მამამ გაიღო (საიდან აქვთ ხოლმე ასეთი ზუსტი ინფორმაცია?!).
 მიმტანები ისეთ სისწრაფით დაქრიან მაგიდებს შორის, იფიქრებ ბორბლები აქვთო ფეხზე დამაგრებული. როცა ერთ-ერთ მათგანს ჩემკენ მომავალს ვხედავ, თვალები სიხარულით მიბრწყინავს, მაგრამ ბრწყინვალეობას წყლისფერი მალევე მინაცვლებს. შეზარხოშებული სტუმრები მუსიკას ხმას აყოლებენ და რა სიამოვნებით ავიფარებდი ხელს ყურებზე, რომ შემეძლოს.
 პატარძალი რამდენიმე თვის ორსულია, ეს მხოლოდ მან და მისმა რჩეულმა იცის, სხვას კი ძალიან გაუჭირდება ამ რეალობის დაჯერება და შემდეგ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, გათავისება. ეს ხალხის ის კატეგორიაა, ქორწინებამდე შეხება რომ ეკრძალებათ, მთავარია

ხელუხლებლის სტატუსით შეუღლდნენ და მერე თუნდაც უხოციათ ერთმანეთი, სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ამის გათავისება კი ნამდვილად არავისთვის წარმოადგენს ნიცშესეულ ფილოსოფიურ დატვირთვას. მოკლედ, ამ ახალგაზრდებმა დიდ ხანს უყურეს შორიდან ერთმანეთს, იმდენხანს, რომ თავი ველარ შეიკავეს და შემოიგლიჯეს ტანისამოსი... მშობლების ფოლადისქერქიანი შეხედულება და მათი ტკბობის პარალელურ რეჟიმში ლლობას განიცდიდა, მესამე ადამიანზე არც კი უფიქრიათ, ამაზე როდის იყო ვინმე ფიქრობდა? მთავარია ამ რამდენიმე დღემ მშვიდობიანად ჩაიაროს და როცა მუცელი კარგად დაეტყობა, მოსახდენს გვერდს აბა ვინ აუვლის. დაიწყება მითქმა-მოთქმა, ამის მოტრფიალე ხალხს კი რა დალევს, იქ სადაც ყველამ ისედაც კარგად იცის, რომელი კატეგორიის სარეცხი გადაფინე აივანზე და როდის და რა ფერის ფარდებით ჩაანაცვლე ძველი. ერთი კარგი სურვილი დამებადა, რა კარგი იქნება, ყველას მისი საქმე რომ ეკეთებინა...

ნეფე-დედოფლის მაგიდის პირდაპირ, ინვალიდის ეტლში მიკოჭილი უსუსური გოგონაა, ოცი წლის, ლამაზი და თხელი. განუვითარებელი კიდურებითა და გაუნონასწორებული შესტიკულაციით. ისაა დღეს ყველაზე ბედნიერი. მისი და საქორნილო კაბით ზის, ორივეს ოცნება მან აიხდინა, თავად კი ვერასოდეს გახდება დედოფალი. ზოგი იდიოტი კი მიდის მასთან მისალოცად და სამომავლო ბედნიერებას უსურვებენ დის მსგავსად. მოკლულ გულს კიდევ უფრო უკანრავენ, მოჩვენებითად კეთილისმსურველები. რა აუცილებელია მასთან ამ მისიით მისვლა. უბრალოდ გადაკოცნონ და მოიკითხონ, პასუხს მაინც ვერავის სცემს და იტანჯება ყოველი მზერისა და თუ სიტყვის საპასუხოდ. როგორ სასტიკად მოექცა სამყარო. შესაძლებელია, ეს ზეკაცმა მის თავზე იმიტომ დაუშვა, რომ სამი ადამიანი ცხონდეს ამ გზით, დედა, მამა და თავად ინვალის გოგონა, რომელსაც მხოლოდ მზრუნველობა და სიყვარული ესაჭიროება მინაზე ცხოვრების დროს, მისი დის მსგავსი სიყვარული, რომელიც ასე ხარბად წყურია, არასოდეს გახდება მისთვის განსაცდელი... არავისთვის არ შეუძლია ამის გამხელა... უფრო ზუსტად კი ვერ...

ლაპარაკი არც მე შემიძლია, სიყვარული კი განვიცადე არაერთხელ. ინვალის არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ვნევიარ და განძრევის საშუალებაც აღარა მაქვს, რადგან ყველაფერს აქვს დრო და ხელსაყრელი გარემოება. უბრალოდ მესმის მუსიკა, ვხედავ ფხიზლებსა და მთვრალეებს, წვიმს და მანვიმს, მე კი ვნევიარ და ვერ ვინძრევი, თუმცა ეს ძალიანაც მინდა. ძალიან ბებერი ვარ და მუცლიდან წყალი მდის, მე კი ტკივილის შეგრძნება დაქვეითებული, ან სულაც არა მაქვს. ვხედავ უკანასკნელ ქორნილს და არა მაქვს უფლება მეც მათი ბედნიერების თანაზიარი ვიყო. რატომ? იმიტომ, რომ მაქვს კუდი, ოთხი ფეხი და ერთ-ერთი, უკანა, მარცხენა მოკლე, დაცქვეტილი ყურებითა და შავი ფერით მოსილი ძალი ვარ და სიცოცხლის ბოლო წუთები მაქვს. ვკვდები, როგორც რიგითი მანანნალა ძალი, ქორნილი ჯერ არ დასრულებულა, წყლისფერი კი უფრო ფართოდ მოედო სივრცეს...

ხატიაპაქალა

სული მომათქმევიწე!..

დავთმო მინდა, შეგელიო და ფსკერზე შემოგინახო, ისე, ყოველი შემთხვევისთვის და გამახსენდა, როგორ მეძახდი — გაუთვალისწინებელი ხარო. ასე არ ყოფილა და გამიხარდა. წელიწადის ოთხივე დროც არ მეყოფა ეხლა იმაზე სანერად, რას ვფიქრობ, რას ვგრძნობ, მაგრამ რომელიმე სეზონი აუცილებლად მოესწრება მის დასასრულს და ჩემი წერტილი იქნება ყველაზე ღია ფერის. აკაციის რძისფერმა ყვავილებმა მიგრძნეს და გამიღიმეს ახალშობილებმა. მე ვარ, ქარი, სულთამბუთავი უდაბნოს ქარი, ქვიშიანი და ბობოქარი... მაგრამ თბილი მზეც ვარ და თუ ძალიან დაგცხება, ჟუჟუნა წვიმად ავნიკაუნდები შენს სახეზე. ამაწკაპუნე რა, ოლონდ დამარმუნე, რომ შენ არ იქნები შენ და შენი გარდასახვის ჩრდილში ორივე დავეტყვი. ნოემბერი მახსოვს, ტკბილი და საოცრად დაუჯერებელი, რადგან არცერთი თვე არ ჰგავდა მას, რადგან ყველაფერი იმ ნოემბერში დასრულდა და გთხოვ, სული მომათქმევიწე! მუსიკის ჰანგების ისეთი როკევა ატეხილი ჩემში ველარ ვატეც და ხანშიშესულ შემოდგომასავით ავჭრელდი. ბინდი. ბინდი... ულევნი და უმადური ზამთარი მოვა და ჩემგან, ჩემს წილ, ძლივს, რის ვაი-ვაგლახით, ყინვას ხელიდანგამოწინქნილ თბილ სარკმელთან ჯდომამი კი შემეცილებს, ულევნი და უმადური, ბინდი, ბინდი... შემიძლია, საერთოდ არ დავიძინო და ძილის ლოდინს მოვუგო სასტიკი ორთაბრძოლა. ჩემს სახლთან, ყვითელ ვარდზე ხატიაპაქალა დაესვენა და მშვიდად ელოდა ბოლოყამს. ჩამოვუჯექი ჭირისუფალი, დიდოსტატი ჭირთა თმენისა და მეღირსა ფორტეპიანოს მაგიური კლავიშების კეთილზმოვანება. ეს შენ გეძღვენება ხატიაპაქალა. მშვიდად გადაფარფატი განზომილებათა გზაჯვარედინზე და არ დამივიწყო. მე დავრჩები და მოვუსმენ ფორტეპიანოს. გამახსენდები და გამეღიმება, დამეწანებები, იშვიათი სიდიდისა და სილამაზის გამო. სული მომათქმევიწე, ხატიაპაქალა გაფრინდა.

ჩვენი ფოსტა

ბატონო რედაქტორო, „ჩვენი მწერლობის“ მეათე ნომერში შირლი ჯექსონი ორი ნოველა „ნამო, მეცეკვე ირლანდიაში“ და „ორაზროვნების შვიდი სახეობა“ დაიბეჭდა. ჩვენში დიდი სიყვარულია ირლანდიის ისტორიის, კულტურის მიმართ. მათი ბედისწერა ძალზედ ახლობელია ჩვენთვისაც და გვიხარია სწორედ ეს ნოველები რომ შემოგვთავაზეთ. შირლი ჯექსონი ამ ნოველებში ტრაგიზმით აღბეჭდილ განცდათა ფიქსაციას ახერხებს და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

ბატონო როსტომ, იქნებ ქალბატონი მედეა სხვა ნოველებსაც თარგმნის შირლი ჯექსონის ავტორობით? მოკრძალებით გთხოვთ, მედეა ზაალიშვილის თარგმანებით გაგვაცნოთ მისი შეარჩია ნოველები, ნაკითხულის უკვე ნანახსა და განცდილთან შედარებისა და საკუთარი აქცენტების დასმის საშუალება რომ მოგვცემოდა.

პატივისცემით

დაა ფირცხალავა

ქუთაისი



ნელი ბატიაშვილი

* * *

სიყმანვილე, სავსე ცელქი ეშმაკუნებით,
მერე ლალატი, ოცნებათა გაცამტვერება,
მერე ფიქრი,
მერე ტკივილი,
მერე სევდა...
ახლა იმედიც უჩინარდება...
თითქოს არც ვიყო,
ყველაფერს შემდეგს რა ადვილად ვემორჩილები,
არავითარი ხავსსმოჭიდება...

* * *

ზაზას

ქარებმა შენშიც შემოაღწიეს,
აჭრიალებენ ქარიან სახსრებს,
ამ ჭრიალს იქით დუმილი ისმის,
ამალღებულები მინას და სახლებს...
ნეტავ, რას ფიქრობ მაშინ, როდესაც,
შენს გარშემომყოფთ ღმილით აქებ...

* * *

სიცოცხლე თუნდაც იმიტომ ღირს, რომ იქნებ წამით
მოჰკრა თვალი
ნეკერჩხლის ხეს, შემოდგომის სიბნელეში აბრიალებულს,
ირგვლივ ყველაფერს რომ ანათებს ჩირაღდანით,
ინვის და ინვის...

* * *

მონისლულ ზამთარს ოქროცურვილი ეფინება
დაგვიანებულ ფოთოლცვენისა,
გუშინ არ იყო?
იდგა კვირტის კორიანტელი, ამბოხი მწვანის,
საწინდარი მარადიულ მადლმოფენისა...
გაზაფხულიც თურმე ბერდება,
ერევა შუქი შემოდგომისა,
ამბოხი კი თვინიერდება
და მორჩილებით უჩინარდება.
გუშინდელს გაჰყვა გუშინდელი მშვენიერება,

იშვიათი სინარნარე,
მოსხივცისკარე...
მაგრამ იხილე,
ამ ღამეული მკრთალი შუქის სინატიფეში
ისახება მიღმიური უზადობა...
გზა კი გრძელდება,
მიაცილებენ გაზაფხულები, შემოდგომები,
თოვლი და დელგმა,
ერთხანს მისდევენ სურვილები, იმედები და ოცნებები,
რომელთაც ალბათ ელოდებათ განაპირება,
გზა კი გრძელდება...

* * *

მე ვიცი, ეს გზა საითაც მიდის,
გასავლელი დამრჩა მცირედი,
მაგრამ აი, მზე, გულში რომ მიზის,
მიზეზს არ მაძლევს მე მწუხარების!
ის სიხარულის სხივებად ინვის,
მეჩურჩულება, ასიოდ წუთის
ბედნიერება ჯერ ისევ მიცდის
ყოველი წამის სრულყოფილებით...
ეს ქარი სხვაა,
სხვა აშშორებით გაჟღენთილი,
მაგრამ კვნესა,
საუკუნეებგამოვლილი,
რომელიც მესმის
შელენილი ციხის კედლიდან,
ჩემი კვნესაა.
მე შევლალადებ სასონარკვეთით
ჯვარსა თუ ჯვარცმას, —
რად მიგვატოვე,
რად მიგვატოვე,
რად მიგვატოვე,
მამაო, ჩვენო...

* * *

ავგისტოს თვეო,
შენი ნათების საოცრებით სული ჩემი ისე ივსება,
მეჩვენება,
სხვა სივრცეებში გამავალი კარი იღება,
სადაც შევძლებ ამ ნათების ნაწილად ქცევას...

* * *

ვაი, თუ სადღაც დავიგვიანე
ან იგვიანებს ვილაც ძალიან,
ვინ დააჩნია ღამეულ თოვლს თავისი კვალი,
როგორც სევდის წყნარი ბილიკი,
ბილიკი ნაზი...

* * *

გამალებით მივდევთ სუნამოს ფრანგულ ნაკვალევს,
მონატრებაზე ვამბობ არაფერს,
არც კი გვახსოვს სინრფელე მისი.

თავანკარა და ნატიფი,
ნანვიმარზე სურნელი მიწის...

* * *

ალარც კი მახსოვს, მწამდა კი ოდეს პატრიარქების,
მაგრამ როს ვუმზერ წინაპრის მიერ სასოებით
აშენებული ტაძრის ნანგრევებს,
სული ჩემი განწირულებით
ეხეთქება სამყაროსეულ სიცარიელეს.

* * *

ერთად ერთი,
რაც გულს მიხეთქავს,
ჩემი ხალხის სიმღერასთან განშორებაა.
სხვა ყველაფერი
თამამად მიჩანს...

* * *

ზამთარმა სოფელი მდუმარებად აქცია,
გაზაფხულმა მდუმარება ზეიმად აქცია,
ზაფხულმა ზეიმი ვნებად აქცია,
შემდგომამ ვნება ნაყოფად აქცია,
ისევ ზამთარი და სიკვდილმა ყველაფერი დაიწყო თავიდან...

* * *

დრომ გაიწოვა მეგობრები,
დრომ გაიწოვა მტრებიც ჩემი,
ახლა
ერთნიც და მეორენიც
ერთნაირად მენატრება...

* * *

გულის ფეთქვის ხმა რატომ მესმის ასე შორიდან,
დოღს თუ შემოჰკრეს ნაპირზე, გაღმა.
გვამი ჩემია, ჩემთანაცაა, მაგრამ ეს გული
რად დანანნალებს უსასოო სხვათა კარდაკარ,
ვერ უპოვნია შინისაკენ მიმავალი გზა?

* * *

წარსულიდან გამოყოლილი სწორედ ის ნივთი მოგენატრება,
შენ თვითონვე რომ მიუსაჯე განადგურება.
ელდანაცემს, უაზრობად მოგეჩვენება მთელი ცხოვრება,
საკუთარ თავს დაგანყევლინებს,
ისე მწარედ მოგენატრება...

* * *

დედამინა, — სამოთხის სწორი
და სხვათა შორის,
მხოლოდ მაშინ,
თუ მოწყდი მიწას,
უნონადობის თუ გახდი ტოლი...

* * *

მიყვარს ჩანჩქერი,
მისი სწრაფვა და წვეთი მჩხვლეტი,
იგი ჩემშია
მაგრამ ჩემშია
მგლის ყმუილიც და მიწის ბელტიც...

* * *

მანანნალა ძაღლს,
ლუკმა პურისთვის რომ ამედევნა,
თვალეში ვუმზერ
და ვხედავ ჩემს თავს,
მარტოსულსა და მიუსაფარს...

* * *

გარდასულიდან მოკითხვას ველი.
ზოგჯერ მომაგნებს მიწის სურნელით,
ჩემი ბავშვობის მინდორ-ველები...

* * *

წარმატებისთვის ბრძოლისაგან გაქვავებული,
როგორ ჩვილდება გული ჩემი,
როცა ნიავს სასაფლაოდან წარსული მოაქვს...

* * *

მეგობრობაზე ლაპარაკი, —
სიტყვები ფუჭი და უაზრო,
როგორც ზღვის ქაფი...

* * *

ხალხო, გამოდით,
ნიაღვარს
იხვის ჭუჭული მიაქვს...

* * *

სამას არაგველს

დაცემულთა ნუ ჩამოწერთ დაუფიქრებლად,
მათი ყიჟინა, მათი ძახილი
ჯერ ისევ ომში გვეპატიჟება...

* * *

ადამიანებს დედამინა ჰგონიათ ნადავლი
სამართლიანი,
სირეგვენე, აღზევებული სამარისათვის.

* * *

თუ ვინმესი მშურს, შემოდგომაა,
მიაღწია სრულყოფილებას
და მშვიდად მიდის...

მაკა ჯოხაძე

ჩემი ბედნიერება

ნელი ბატიაშვილი წარმატებული დებიუტით შემოვიდა თანამედროვე ლიტერატურაში. ჩემ მიერ წაკითხულ მის პირველ მოთხრობას ლამაზი მუსიკალური სათაური „ლეგატო-ლეგატო“ ერქვა. ძირითადად ვრცელ მოთხრობებს („პოვესტს“ რომ ეძახიან) წერდა. დღემდე მასხოვს რომელიღაც ციმბირულ ქალაქში ჩასული ახალგაზრდა ქალის (თუ არ ვცდები, მუსიკის მასწავლებლის) განცდები, უცხო ქალაქის ატმოსფერო და საოცარი სიზუსტით აღწერილი ჩრდილოური პეიზაჟები. მშრალი თოვლის ხრამუნ და ყინვის სურნელი უცნაური სიცხადით შემოდოდა მკითხველში და დროსა და სივრცეში გადაადგილების სრულ ილუზიას ქმნიდა.

მერე, როგორც ბევრი იმ საბედისწერო 90-იან წლებში, ნელიც თითქოს დაიკარგა, გაუჩინარდა. პერიოდულად მახსენდებოდა, ვფიქრობდი მასზე, ვერ დავივწყებდი თუ ერთხელ მაინც ნაგეიეთხა მისი პროზა.

და აი, მოულოდნელად გამოჩნდა. თვითონ არა. შესანიშნავმა ლიტერატორმა ზაზა გოგიამ მომიტანა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ნელის ლექსები. ამ სიურპრიზმა რატომღაც ფოლკნერის მასტერკლასი გამახსენა ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სტუდენტებს რომ გაეწოდებოდა: — ბედნიერი ვიყავი როცა ლექსებს ვწერდი, არა მიშავდა რა მოთხრობების წერა რომ დავიწყე, როცა ცუდად გავხდი — რომანების წერაზე გადავედიო.

თუ დიდი მწერლის ამ ნათქვამს ქართველ ხელოვანზე განვაგრცობდი, იმედი უნდა მქონოდა, საუკეთესო ლექსებს თუ ვერა, ბედნიერ ქალბატონს მაინც აღმოვაჩენდი წლების მერე.

ამ პირუკუ (უცნაურმა) რეტროსპექტივამ გაამართლა! პროზისგან განსხვავებით რალაცნაირი უჩვეულო სიმშვიდე ჩამოდგა ლექსებში. ჰერმან ჰესეს სიბერის ბალიც დამიდგა თვალწინ, რომელშიც წლობით გამოტანჯული ჭირნახული სიმწიფით მოგვიღო მშვიდ სიბრძნეს აფრქვევს. სიყვარულის, რწმენის, სევდისა თუ ჩუმი სიხარულის გამონათებები ყოველწამიერად ეფინება პოეტი ქალის ლექსის სტრიქონებს.

ეს არც შეგუებაა და მით უფრო არც „არავითარი ხავს-მოჭიდება“. ეს არის წესი და კანონი სამყაროს ღვთაებრივი რიტმისა, დაუსრულებელი ტრიალი: გაზაფხული-ზაფხული-სემოდგომა-ზამთარი... რომლის ნიაღშიც, როგორც კარუსელის კალათებში, ისეა ჩასმული ჩვენი ბავშვობა, მარადიული წრებრუნვით სიბერეს რომ უახლოვდება.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ — რა იქნებოდა სამყარო ტაძრების გარეშე — სულიერ უდაბნოში განოლილი ერთი დიდი ფიზიკური უდაბნო.

იშვიათი გულწრფელობით და ღრმა ფსიქოლოგიური სიზუსტით ხატავს მსგავს რელიგიურ განცდებს ნელი ბატიაშვილი:

აღარც კი მახსოვს, მნამდა კი ოდეს პატრიარქების, მაგრამ როს ვუმზერ წინაპრის მიერ სასოებით აშენებულ ტაძრის ნანგრევებს, სული ჩემი განწირულებით ეხეთქება სამყაროსეულ სიცარიელეს.

„სამყაროსეული სიცარიელე“, ასეთი დამახასიათებელი ევროპული კულტურისათვის, საერთოდ, დასავლეთისათვის მას შემდეგ, რაც შხამიანი ყვავილივით გაიფოთლა და იხარა ფორმულამ „ღმერთი მოკვდა — ყველაფერი ნებადართულია“, ნელ-ნელა მთელს დედამიწას მოედო. განსაკუთრებით ამ ფორმულის მეორე ნახევარი ფანატიზმით აღსავსე აღმოსავლეთის სივრცეებშიც საშიშად მიცურავს.

ამიტომ დასავლეთ-აღმოსავლეთის „გზაჯვარედინზე“ ჯვარცმული საქართველოს მოაზროვნე შვილი ვერც ცხელი უდაბნოს მხურვალე ქვიშას დაეყრდნობა ნიადაგივით, რომლის ლანდშაფტშიც ადამიანი, როგორც გრივოლ რობაქიძე იტყოდა — „პატარა ჩანს, თითქმის ერთი ციდა“ — და ვერც ადამიანის გრანდიოზული (ავადმყოფური) ამბიციით შესრულებულ ანტიქრისტიანულ პროექტს „ნ. ა. ს. ა“-ს, როგორც დედამიწის დაპყრობის ფინალურ, ბოლო ნაწილს.

წარმატებისთვის ბრძოლისაგან გაქვავებული, როგორ ჩვილდება გული ჩემი, როცა ნიავს სასაფლაოდან წარსული მოაქვს...

ამ სტრიქონებში მართლაც ნიავის სიმსუბუქითაა გადახსნილი მშვიდი სიბრძნე, ადამიანად ყოფნის უმთავრესი არსი — გახსოვდეს წარსული! რადგან წარსულის ხსოვნა არა მხოლოდ ინტელექტს ასაზრდოებს, არამედ მომავლისათვის გულის სრულფასოვნად ძვრას უწყობს ხელს.

ქართველ პოეტს მხოლოდ ტაძარი, უფლის სახლი ეგულება ჭეშმარიტ თავშესაფრად. ამიტომაც ღვთისმადიებლობითაა აღსავსე მისი პოეზია. სიცოცხლის ყოველწამიერ გამოვლინებას მადლიერების გრძნობით ეგებება და მასთან ერთად მკითხველსაც რწმენასთან მიახლებს ჩუმი ბედნიერებით განაწყობს.

გარდასულიდან მოკითხვას ველი. ზოგჯერ მომაგნებს მინის სურნელით ჩემი ბავშვობის მინდორ-ველები...

ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე კავა-ბატა იასუნარიმ განაცხადა:

„ადვილია ბუდას სამყაროში შეღწევა, მაგრამ ძნელია შეღწევა დემონთა სამყაროში. ყველა ხელოვანს თან სდევს საბედისწერო სურვილი დემონთა მტანჯველ სამყაროში შეჭრისა“.

ნელი ბატიაშვილის პოეტური სამყარო, მისი, როგორც შემოქმედის, წარმოსახვები დაცულია ამ სურვილისაგან. იგი რა თქმა უნდა პირველ რიგში მშობლიური ლიტერატურის ნიალიდან აღმოცენდება, მაგრამ ინტელექტის, სხვათა კულტურის ათვისების თვალსაზრისით მისთვის ასევე ძვირფასი და ახლობელი აღმოჩნდა სამყაროსთან მშვიდი მიახლების ის უბრალოება და სისადავე, რომელიც, იპოვნილი პოეტების წყალობით, როგორც ყველაზე შთამბეჭდავი სამკაული, ისე აღმოაჩინა.



თამაზ ხარაიშვილი თავისი პოეტური შემოქმედებით ერთი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ეპატაჟისა და ხმაურის გარეშე მიაღწიო თვითგამოხატვის საყურადღებო, ანგარიშგასანევ დონეს.

სიმათლე ითქვას, ხმაურისა და ზრიალის მოყვარული არც ცხოვრებაში ყოფილა არასოდეს. სამოცდაათიანი წლების ბოლოს რომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, მას შემდეგ ძალიან დიდხანს წყნარად, მშვიდად მუშაობდა ოზურგეთის რაიონულ გაზეთში, სახელმწიფო სამსახურშიც იყო იქვე, მშობლიურ მხარეში. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა თბილისს დაბრუნებოდა და დაბრუნდა კიდევ ლექსების არმაღანით.

ეს მისი მეორე პუბლიკაციაა „ჩვენს მწერლობაში“. პირველი წარმატებული აღმოჩნდა. ვფიქრობთ, არც ამჯერად გაანზიღებს მკითხველს.

თამაზ ხარაიშვილი ტრადიციული ლექსის ერთგულია. ეს არის მისი მრწამსი, პრინციპი, ხასიათი. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ტრადიციის ერთგულება გამორიცხავს შემოქმედებით წარმატებას. ბოლოს და ბოლოს, რა არის ტრადიცია? — გადაცემა! წარსულის კულტურულ-მხატვრული ფასეულობების გადაცემა, დაკავშირება ახალ, თანამედროვე გამოცდილებასთან.

ამიტომაც იგრძნობა თამაზ ხარაიშვილის ლექსებში დროის გამძაფრებული აღქმა, რომელიც ვლინდება ტრადიციული პოეტური დუალიზმის ფორმებით: ნათელი და ბნელი, სიცოცხლე და სიკვდილი, დუმილი და ბგერა. ლირიკულ ინტონაციებსა და ემოციურ ტონალობებში ზოგჯერ ძნელი არ არის გალაკტიონისეული ხმების ამოცნობა, თუმცა ესეც ნიშანია, კულტურული

კუთვნილების ნიშანი. დანარჩენი ავტორისეულია — ეთიკური, სოციალური და მორალური პრობლემები, ფილოსოფიური დაფიქრებანი, ინტროსპექტული ძიებანი, მეტაფორული ფანტაზიები. ყოველი სიტყვა, სტრიქონი, ფრაზა გამოხატავს ავტორის შინაგან ხასიათს: ლექსი როგორც სავტორო ხასიათი!

თამაზ ხარაიშვილი

* * *

არ მოგასვენებს ამაღამც ფიქრი.
დაინყო შენი ციება, ელდა,
როდი გეძინა, ძველ სამელნესთან
თავმიდებული კალამი თვლემდა.
სანამ შანდალში ელვარე ზეთი
ჩაილევა და ჩაიშრიტება
შენს სტრიქონებზე როგორც მავთულზე
ჩამოისვენებს რითმის ჩიტებმა.

ახლა ნაკლებად გაინტერესებს,
რა ხდება შენი სარკმელის მიღმა.
ინყება სულის დიდი სერობა
და მაგიური სიტყვების მირქმა.

შეხვედრა

დამტვერილ ბილიკს
ოდნავ ვუგანე,
მუხლი მოვირთხი,
წყაროს წყალი
პეშვით ვიპკურე.

თვალი გამექცა,
ბლანტი სითხიდან
დაბზარული სახე მიყურებს.

დრომ გადამხატა;
თვალეებს ახსოვს
სევდამორეულს —
ათი წლის უკან
უფრო ვგავდი
მე ჩემს
ორეულს.

* * *

მომენატრე და მომესურვილე,
ახალწლის ღამეს ვხვდები ეული.
გარეთ თოვლია და როგორც მიწას,
მანვება მისი ცივი სხეული.

თუმცა ყველაფერს ისევ ვინახავ,
როგორც ინახავს სითბოს ღაღარი.
მიახლოვდება თოვლივით ცივი
შენი სხეულის თეთრი ლახვარიც.

გულდანყვეტილი მოლოდინებით,
ალბათ, ეს გრძნობაც ბაგეს ჩაიკვნეტს.
ალარც კი ვიცი, ვის შევეფარო.
გზა აღარა მაქვს არასაითკენ.

...ასამთი ფარდაგსა აზიდნა...

სამი დღე ცნობაგასენილს
მზე არ ეხილა ჩემს თვალეებს.
თითქოს ნამდვილმა მემთვრალემ
ხელადებით ვსვი ბადაგი.
ნეტავ რა მოხდა ასეთი,
ნამით აზიდნეს ფარდაგი?!

თენება სოფლად

სიმყუდროვეა. ჩქამი არ ისმის.
მხოლოდ აქა-იქ ბოლავს ბუხარი.
მთათა მწვერვალი ოდნავ შეფაკლდა,
დილა თენდება მზეთუნახავი.

რიბირაბოა, ღამეს დღე სჯაბნის,
მზეც აღმოხდება ღამაზთვალეა —

გამაოგნებლად მარადიული დაბადება და გარდაცვალება.

სოფელსა შინა ნათელი იძვრის, მზერა უნებურ ინევს ცისაკენ. მუხლმოდრეკილმა და მადლიერმა პირჯვარი სამგზის გადავისახე.

* * *

გსურდა ძველი თბილისი მტკვარში გადაგეხატა. მეტეხის ხიდს გამოსცდა თოლიების რევატა.

თითქოს თეთრი ტივები გაქცევია მეტივეს. სევდა წამომიშალეს, ფიქრიც გამანყვეტინეს.

წყლის დუდუნით დამთვრალი ნიავს იფენს მალამოდ — მტკვრის სარკეში დამხრჩვალ თბილისური საღამო.

* * *

მდინარის ჩქერი ეხლებს გაღმა-გამოღმა ნაპირებს. შავ კაბას ირგებს საღამო, ლოცვად დადგომას აპირებს.

სანთლად აინთებს ვარსკვლავებს, მთვარეს კი ხატად დაჰკიდებს. ქარს გაურეკავს ღრუბლები, გაღელვებული აქვს საკინძე.

ბაგემდუმრიად ლოცულობს, არა ზარით და გოდებით. ნებსითი თუ უნებლიე, ღმერთო, შეუნდე ცოდვები.

* * *

მე ვეძებდი თურამაულს მთავაზობდნენ ყველგან პანტას. ვინც ლალატი დამიპირა, ყველა ქარმა მიმოფანტა.

ზოგი მჩხვლეთდა შუბის წვერით, უფრო მეტი — კიდევ ენით, ბევრი ქარმა გადარეკა, იმ გზას ადგას დანარჩენიც.

სულ ლოდინში უნდა იყო — ვინ საიდან ჩაგცემს დანას?!

წყენა სხვისი სიკეთისა — ქართველების ანაზანა.

რომის გახსენება 40 წლის შემდეგ

გულაღმა ვწევარ, ქართლის მინდორი გაფენილი მაქვს როგორც ხალიჩა. ვინ მოგასვენებს თავის საამოდ, ვერ მოვიცილე ბუზი ჩალიჩა.

გულაღმა ვწევარ, ქართლის მინდორი გადავიფარე როგორც საბანი. ვინ მოგასვენებს თავის საამოდ, ცაში გრუხუნებს აეროპლანი.

ეს აბეზრები თუ მოვიშორე და შიში აღარ მექნა მესამის, გავისუსები, უამურ სიზმრებს უნდა მომიყვეს წყალი თეძამის.

სატრფიალოსავით

სიყვარული ითოვებს, სიყვარული ინვიმებს ერთხელ მოდი, მეჩვენე, მზეებერ გამოიბრწყინე.

ერთხელ მაინც გაჰფანტე უკუნი და წკვარამი. თავზე ზეცად დამხურე სათნოების კარავი.

მოდი, ისევ ეწვიე ჩემს ჩამომჭკნარ ბაღნარებს, ვით ნანატრმა ისხარმა ჩემი მტილიც ახარე.

თორემ ბილიკს ცხოვრების სულ თავჩაღმა მიყვები. მომდევს ჭირისუფალი — მგლოვიარე სიტყვები.

გამოდარება

ნეტავ რა რჯიდა მტირალა ღრუბელს? იქნებაც სჯობდა, სულ არ ეწვიმა. წაილო ქარმა სველი სხეული, მკლავზე ნებვირად გადაინვინა.

როს მთვარემ შეხსნა ღრუბლის ვუალი და დაბრუნება ტახტზე ინება. ისევ ზეცაში გადაწყდა უცებ ქარის და წვიმის განქორწინება.

როდემდე სიცრუე? როდემდე მოჩვენებითობა? ეტყობა, ზღვარი არ გააჩნია მის ძალმომრეობას, თუ მწერლებმა, საერთოდ ხელოვანებმა არ აღიმადღეს ხმა და არ ამხილეს ის სიყალბე, რაც ქვეშაღიტიტებად საღდება ხოლმე ხელისუფალთა მიერ.

მარინო ხოსე დე ლარას პოლიტიკური ესეი „დიდი ქვეშაღიტიტების აღმოჩენა“ მწვავე სატირაა ყოვეგვარი მოჩვენებითობის წინააღმდეგ და, ამდენად, მახლობელი ყველა დროისა და საზოგადოებისათვის, სადაც კი იგრძნობა ნაკლებობა იმ ქვეშაღიტიტებისა, რომლის ძიების გარეშეც ადამიანურ არსებობას აზრი ეკარგება და ემგვანება საძოვარზე გარეკილი ნახირის ყოფას, ჯეიმზ ჯოისის მეტაფორული გააზრებისა არ იყოს.

მარინო ხოსე დე ლარას

დიდი ქვეშაღიტიტების აღმოჩენა

იტყვიან, დიდ პოლიტიკურ ძვრებს სულერთია ცვლილებანი მაინც არასოდეს მოჰყვება ხოლმეო. სიცრუეა! დიდი სიცრუე! სწორედაც სხეულთა და აზრთა შეჯახების შედეგად იბადება ქვეშაღიტიტება. ასე მაგალითად, ორდღიანი ცხარე კამათისა თუ დებატების შედეგად დაიბადა სრულიად ახალი და ნათელი პრინციპი. თქვენ ალბათ ყურით არ მოგიკრავთ, რა აღმოაჩინეს სულ ახლახან, სულ ორიოდ დღის წინათ აქ, ჩვენთან, ესპანეთში, მადრიდში! დიახ, აღმოაჩინეს, გაარკვიეს და დაადგინეს, რომ თურმე კანონი იცავს და უზრუნველჰყოფს ადამიანის თავისუფლებას! არადა, ასეთი ქვეშაღიტიტება საიდუმლოდ ინახებოდა, არავინ არაფერი იცოდა ამის შესახებ! აზრადაც არავის მოსვლია, რომ ასეთი ქვეშაღიტიტებაც არსებობდა. მაინცდამაინც დიდი ამბები უნდა დატრიალებულიყო ლა გრანხაში, რომ ეს ამბავი გაცხადებულიყო, და დატრიალდა კიდევ — ეს კაბინეტის დათხოვნაო, ამნისტიაო, ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოშიო, მერე მემკვიდრე უფლისწულის ამბავი თქვით, უგუნურ რჩევას რომ დაჰყვა, ოთხმხრივი კავშირი, ბისკაის ომი, ფიცის დადება და საზეიმო აღთქმა, სტატუსის გამოქვეყნება, ფუძემდებლურ კანონთა გამოცხადება, პალატის დიდგვაროვან წევრთა აღდგენა, ეროვნული წარმომადგენლობა, ორპალატიანი სისტემა, ორჯერ დისკუსიის გამართვა, სამინისტროებში თანამდებობის პირთა გადაწვევლება, სამინისტროებში თანამდებობის პირთა გადაწვევლება, უშედეგო არჩევნები, ერთმა კი თავი შეიკავა, თუმცა ეს მაინც არაფერს შეცვლიდა, — და მთელი ეს ორომტრიალი იმისთვის დასჭირდათ, რომ პოლიტიკური კიდობნის ფსკერზე დარჩენილი, მიჩქმალული ქვეშაღიტიტება დღის სინათლეზე გამოეტანათ, მერედა რა ქვეშაღიტიტება! თურმე ნუ იტყვიან, კანონი იცავს და უზრუნველჰყოფს ადამიანის თავისუფლებას! მადლობა ღმერთს, ახლა მაინც გა-



ვიგეთ, დიახ, Girolamo, lo sappiamo! — დიახ, გვეტყვიან Sappete! გაიგეთო!

ნუთუ შეიძლება, რომ ეს უპირატესობა წავგართვან! ვინ იცის! ერთხელაც კოპერნიკს თურმე აზრმა გაუელვა, დედამინა მზის გარშემო ბრუნავსო; ერთხელ კიდევ გასენდიმ დაინახა ანაზდად, რომ სხეულებს მიზიდულობის ძალა ჰქონდათ; ნიუტონს საღდაც მიგდებულმა შუშის ნატეხმა პრიზმის თვისება აღმოაჩინა; მერე იყო და, ლინე მცენარეთა განსაყოფიერებას რომ სწავლობდა და მტვრიანას აკვირდებოდა, თავისდა გასაოცრად მცენარეთა სქესობრივი განსხვავება დაინახა.

მაგრამ რამდენი საუკუნე დასჭირდა, რამდენი ტანჯვა-ვაების გამოვლა, სამინისტროების რეორგანიზაცია თუნდაც, რათა ის დიდი ქვეშაღიტიტება აღმოეჩინათ, რომ თურმე კანონი იცავს და უზრუნველჰყოფს ვილაცას თუ რალაცას. საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო და პოლიტიკურ ქვეშაღიტიტებებს შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი ცარიელი ხელეზით მოიპოვება, მეორე — ასობით წლების მანძილზე იმალება სამინისტროების უჯრებსა თუ კიდობნებში. თურმე საკმარისი ყოფილა დისკუსიების მოწყობა, ამა თუ იმ პარაგრაფის განხილვა, სამინისტროებში რეორგანიზაციის გატარება და აჰა, *et voila la verite*. ასეა ქვეშაღიტიტებაც, ერთ დღესაც ამოხეთქავს მძლავრი ნაკადი და ირგვლივ ყველას შეეშხეება.

ერთი სიტყვით, კანონი იცავს და უზრუნველჰყოფს პიროვნების თავისუფლებას. იმ წუთიდან, რაც ეს დად-

გენილება მიიღეს და კიდევ მოიწონეს, უკვე აღარავის აქვს უფლება ანგარიში არ გაუწიოს მას. აბა ახლა რომელი ყაჩაღი თუ ქურდბაცაცა გაბედავს ძარცვასა და ქურდობას, რომელი მკვლელი ჩაიდენს დანაშაულს? ან თუ მემამბოხეები გაბედავენ თავის ანევასა და ხმის ამაღლებას, დაბოლოს, განა კარლისტები არ აიღებენ ხელს იმ თავიანთ მოქმედებაზე?

მამასადაამე, მართლაც საჭირო და აუცილებელი ყოფილა სჯა-ბაასი. ამაშია მთელი საიდუმლოებაც. რაკი კანონი იცავს, ესე იგი არც ისე ურიგო ყოფილა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ჩვენ კი ახლა უკვე გვაქვს კანონი, განა ეს დიდი ქვეშაღიტიტების აღმოჩენა არ არის? გაუმარჯოს რევოლუციას! დიდება ბობოქარ, მრავალდღიან დისკუსიებს! დიდება სამინისტროთა რეორგანიზაციების ღონისძიებებს და ბოლოს, დიდება, სამარადისო ქება და დიდება დიდი ქვეშაღიტიტების აღმოჩენას!

ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიკია

ნინო ბაქანიძე

მეფისტოფელის ტრაგედია

ავტობიოგრაფიული თხზულების „პოეზია და სინამდვილე“ მერვე წიგნში გოეთე მონატრებით იხსენებს ლაიფციგში სწავლის პერიოდს და იმ პიროვნებებსა და ნაშრომებს, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა იქონიეს მისი ადრეული მსოფლმხედველობისა და რელიგიური მრწამსის ჩამოყალიბებაზე. მათ შორისაა პარაცელსუსის, თეოფრასტეს, პელაგონის და სხვა მისტიკოს-ალქიმიკოსთა შრომები, ასევე თეოლოგისა და ისტორიკოსის გოტფრიდ არნოლდის „ეკლესიისა და ერესების ისტორია“ და სხვ.: „წინააღმდეგობის სული და პარადოქსებისაკენ ლტოლვა თითოეულ ჩვენგანში ძვეს“, — წერს გოეთე და „ვინაიდან ხშირად მსმენოდა, ყველა ადამიანი საბოლოოდ თავის საკუთარ რელიგიას ქმნისო, ამაზე ბუნებრივი არაფერი მომჩვენებია, მეც შემექმნა ჩემი საკუთარი რელიგია“. და აი, მერვე წიგნის ბოლოს გოეთე მართლაც აყალიბებს თავის პიროვნულ რელიგიას, უფრო ზუსტად, თხზავს კოსმოგონიურ მითს სამყაროს შექმნის შესახებ. ამ მითის არსი შემდეგია: ღვთაებრიობა (die gottheit) დასაბამიდან გამოვლინდა მრავალფეროვან ქმედითობაში, მაგრამ თანდათან, ქრისტიანული სამების ქმნადობით ღვთიური ნრე შეიკრა და საკუთარ ნიაღში ჩაიკეტა. ქმნადობის აუცილებლობა კი თავისას მოითხოვდა. ამიტომაც იშვა კიდევ მეოთხე ღვთაება, რომელიც უკვე გარკვეულ წინააღმდეგობებს შეიცავდა. ეს გახლდათ ლუციფერი. სწორედ მას უნდა განეგრძო ღვთიური შესაქმე, მაგრამ ლუციფერი ამპარტავნებამ შეიპყრო. იგი აუჯანყდა ღვთაებრიობას და ანგელოზთა ნაწილიც მიიმხრო. ლუციფერმა შექმნა მატერია, მაგრამ „ვინაიდან მთელი ბოროტება ლუციფერის ცალმხრობიდან წარმოსდგებოდა, ელოიმებმა (ამ შემთხვევაში — სამებამ. ნ.ბ.) დაამარცხეს ლუციფერი და აღადგინეს ღვთიური წესრიგი. სწორედ ამ დროს იქმნა ის, რასაც ჩვენ ნათელს ვუნოდებთ. თუმცა ღვთაებრივი წესრიგის ბოლომდე აღსადგენად საჭირო იყო ადამიანის შექმნა, რომელიც ღვთაებრიობასა და ლუციფერს შორის აღმოჩნდა გახიდილი. ამიტომაც ადამიანი ერთდროულად სრულყოფილიცა და არასრულყოფილიც, ბედნიერიც და უბედურიც. სამწუხაროდ, მან იოლად მოირგო ლუციფერის როლი და ქვეყნიერებას მეორე დაცემა აგებდა. თუმცა მთელი სამყარო სხვა არაფერია და არც არაფერი იყო, თუ არა მუდმივად დაცემისა და კვლავ პირველნიღბი დაბრუნების პროცესი“.

გოეთეს ამ ადრეული პერიოდის მითში უკვე აშკარად ჩანს, რომ სიცოცხლის პროცესი მას წარმოუდგენია, როგორც სულისა და მატერიის, კეთილი და ბოროტი, ბნელი და ნათელი პოლუსების ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის უწყვეტი ჯაჭვი. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მითში წარმოდგენილია გოეთეს თვალსაზრისის სამყაროსა და ადამიანების უწყვეტი განვითარების, ევოლუციის კანონზომიერი პროცესის შესახებ. აქ საინტერესო

ისაა, რომ მწერლის ადრეული შეხედულებები ფაქტობრივად მთელი მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი გზის მანძილზე არ შეცვლილა და უმაღლეს გამოხატულებას მისი „ცხოვრების მთავარ ქმნილებაში“, „ფაუსტი“ ჰპოვებს. ზემოთმოყვანილი მითის დედააზრი თითქმის უცვლელადაა შენარჩუნებული მეფისტოფელის მონოლოგში სცენიდან „ფაუსტის სამუშაო ოთახი“ (I ნაწილი).

მე ვარ ნაწილის ნაწილი იმ პირველი ბნელის, რომელიც იყო ყოველივე და ყველაფერი და თვით სინათლეს კი წარმოშვა. დღეს მშობელ დედას რომ ეცილება ბატონობას სამყაროს ზედა.*

იმავ დროს, მეფისტოფელის სიტყვებში იკვეთება მისი წინააღმდეგობრივი ბუნება, შინაგანი ტრაგიზმი, რადგან ერთი მხრივ, მან იცის თავისი ღვთიური წარმოშობის შესახებ, მაგრამ მეორე მხრივ, სიამაყითა და „უარყოფის სულითა“ განმსჭვალული და როგორც ლუციფერის მსახური, ვალდებულია, მუდმივად ებრძოდოს სამყაროს ღვთიურ, ნათელ საწყისს. საინტერესოა, რომ თქმულებაში დოქტორ ფაუსტზე, ფაუსტი ეკითხება მეფისტოფელს, ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდით. „ასეთ შემთხვევაში ღმერთის ერთგული დავრჩებოდი“, — გულახდილად მიუგებს მეფისტოფელი. როგორც მ. კვესელავა აღნიშნავს, „ღმერთისადმი ერთგულება მისი სურვილია, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული შესაძლებლობა. ეს შეგნებული აქვს მეფისტოფელს. ის ახლა ჯოჯოხეთის მსახურია და ლუციფერის დავალებათა ერთგული შემსრულებელი. ამაშია მეფისტოფელის შინაგანი ტრაგედია“.

მეფისტოფელმა წინდანინ იცის, რომ მისი ბრძოლა ღმერთთან იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული და ამიტომაც ზემოხსენებულ სცენაში ფაუსტს შესჩივის:

რაც კი არ ვცადე ამ უბადრუკ სამყაროს მიმართ, ყოველ ჩემს დარტყმას ის ჯიუტად აღუდგა წინა. სრულიად ფუჭად ჩამიარა ამდენმა გარჯამ, ზღვა და ხმელი კი, როგორც იყო, ისევე დარჩა. თუმც ხანძარს, წარღვნას და მიწისძვრებს არ ვიშურებდი,

მაგრამ რას უზამ ცხოველთა და კაცთა ბუნების ამ გამრავლების წყეულ უნარს, რომელიც ყველგან შეუპოვარი სიჯიუტით იცავს თავს შენგან!.. ასე რომ, ცეცხლი მაინც რომ არ შემომენახა ჩემს სტიქიონად, აი, მაშინ უნდა გენახათ, ფეხის დასადგმელ ადგილსაც რომ ვერა ვნახავდი.

მეფისტოფელის ტრაგიზმს ამძაფრებს ის პარადოქსიც, რომ იგი მუდამ ბოროტებას სჩადის ადამიანთა წინაშე, თავისდაუნებურად კი სიკეთის წარმოქმნას უწყობს ხელს: „მე ვარ ნაწილი იმ ძალისა, რომელიც ბოროტს/ესწრაფვის მუდამ და სიკეთეს კი იქმნ ყოველთვის“. სამაგიეროდ, სწორედ ამიტომაც ითვლება მეფისტოფელი სა-

* „ფაუსტის“ I ნაწილის თარგმანი ეკუთვნის გიორგი ჯორჯანელს. II ნაწილის ციტირებისას ვიფარგლები ჩემ მიერ შესრულებული პნკარედული თარგმანით.

სურველ სტუმრად ზეცაში. პროლოგის ღმერთი („პროლოგი ზეცაში“) მას პირდაპირ უცხადებს:

**მე მოდგმას შენსას სრულებითაც არ ვემტერები,
უარმყოფელი სულებიდან ყველაზე ნაკლებ
მაფიქრებენ მე
შენისთანა გაიძვერები.**

მართლაც, მეფისტოფელი მხოლოდ და მხოლოდ მთავარი „უარმყოფელი სულის“, ლუციფერის ქვეშევრდომია, დაბალი რანგის ქმნილებაა და შემდგომშიც, ხელშეკრულების თანახმად, იგი ფაუსტის მსახურად, მისი ყველა ნება-სურვილის აღმსრულებლად გადაიქცევა. პროლოგის ღმერთს კი მიაჩნია, რომ „აღამიანებს სჭირდებათ გარკვეული ბიძგი“, მთვლემარე მდგომარეობიდან გამოყვანა, თუნდაც ბოროტ ძალასთან შეჯახებით, რათა მათ სწორად შეაფასონ თავიანთი ქმედებები, გააკეთონ არჩევანი ბოროტსა და კეთილს შორის და მიუბრუნდნენ ღმერთს. ეს ყველაფერი იცის მეფისტოფელმაც და ზეცაში, მთავარანგელოზთა გვერდით გამოჩენისთანავე, მოკრძალებით მიმართავს უფალს: „რადგან... ჩვეულებრივ ჩემი ნახვა გსიამოვნებდა, / მიტომ გავბედე ამით შორის მეც გამოჩენა“. შესაბამისად, ჩვენ ვერ გავიზიარებთ საბჭოურ გოეთოლოგიაში დამკვიდრებულ სტერეოტიპულ მოსაზრებას ფაუსტის, როგორც ცალსახა სიკეთისა და მეფისტოფელის, როგორც ცალსახა ბოროტების განსახიერების შესახებ. უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა, რომ მეფისტოფელი ფაუსტის შინაგანი, ნეგატიური მხარეების განსახიერებაა. ან, როგორც მ. კვესელავა აღნიშნავს, „არც ფაუსტია ზედმეტად კეთილი და არც მეფისტოფელი — მხოლოდ ბოროტმოქმედი“. პირიქით, ისიც კი ირკვევა, რომ მეფისტოფელს ხშირად სრულიადაც არა აქვს სურვილი აღამიანების და მით უფრო, ფაუსტის ცდუნებისა:

**ზოგჯერ იმდენად მებრალეა ადამის ძენი,
არც კი მსურს, რომ მათ გაუუმწარო
სიცოცხლის დღენი.**

სწორედ აქ ღმერთი თავად სთავაზობს მეფისტოფელს ფაუსტის გამოცდას. კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ პროლოგის ღმერთია მოთავე ამ უცნაური ვარიანტისა და არა თავად მეფისტოფელი. მართალია, ამ უკანასკნელს ანაზღად ლუციფერული ამპარტავნება იპყრობს და მოისურვებს, ნაძლევი დაუდოს ღმერთს, რომ საბოლოოდ აცდუნებს ფაუსტს, მაგრამ ღმერთი, როგორც მოსალოდნელია, ნაძლევის ღირსად არ თვლის ამ გაიძვერა არსებას. მას მხოლოდ ის სურს, რომ ეჭვებით შეპყრობილი და უსასოობაში ჩავარდნილი ფაუსტი, რომელიც ახლა „გზაკვალაბნეული“ ემსახურება, სწორ გზაზე გაიყვანოს; მაგრამ იქვე კატეგორიულად უცხადებს მეფისტოფელს, რომ ფაუსტის გამოცდის უფლება მას მხოლოდ ამ აღამიანის სიცოცხლის მანძილზე აქვს:

**მეფისტოფელი: სანაძლეოს ვდებ, რომ მაგასაც
დაჰკარგავთ მალე,
თუ ნებას მომცემთ, რომ ჩემი გზით გავიყოლიო
და გამუდმებით კუდში ვსდიო შინა და გარეთ.**

**უფალი: დედამინაზე ვიდრე ცხოვრობს,
შენ ამგვარ რამეს
არ ავიკრძალავ, შეგიძლია კუდშიაც სდიო...
ვინც წინ ისწრაფვის, ბევრჯერ ელის შეცდომა მწარე.**

ღმერთის ამ კატეგორიული მიმართვიდან უკვე ნათელია, რომ საბოლოოდ მეფისტოფელი განწირულია, ანუ მან წინასწარ იცის, რომ ნაძლევის ნააგებს და ფაუსტის სულს ვერ დაეპატრონება. ის, რომ მეფისტოფელს კარგად აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი უსუსურობა უფლის წინაშე, ნათლად ჩანს პროლოგის მისი ბოლო სიტყვებიდანაც, რომლებშიც ბედთან შეგუებაც იგრძნობა და ერთგვარი თვითირონიაც:

**ჟამიდან ჟამზე ვსიამოვნებ მოხუცთან ბჭობით,
და თან ყოველთვის გაუზრბივარ მე მასთან დავას.
საამო არის, რომ ასეთი დიდი ბატონი
კაცთმოყვარულად ლაპარაკობს თვით ეშმაკთანაც.**

ამრიგად, უკვე „პროლოგი ზეცაში“ თვალნათლივ უჩვენებს, რომ ფაუსტურ დრამაში განგების ბრმა იარაღი თვით მეფისტოფელია და არა ფაუსტი, რადგან ამ უკანასკნელს საბოლოო ხსნა წინასწარ აქვს გარანტირებული. დიახ, მეფისტოფელმა იმთავითვე იცის, რომ უფალთან გატოლება არც მას ძალუძს და არც აღამიანს. იგი რეალისტია და ამიტომაც მოთმინებით უხსნის ზეკაცის დარიდეებით შეპყრობილ, გამუდმებით საკუთარ სვე-ბედზე მოწუნუნე ფაუსტს, სამყაროს უმაღლესი ჭეშმარიტების შემეცნებას რომ მიელტვის გამუდმებით:

**დამიჯერე, რომ დიდი მთელის წვდომის უნარი
მხოლოდ უფალ ღმერთს თუ შესწევს და ხელენიფების,
მას გარს არტყია ბრწყინვალეა გაუზუნარი,
ჩვენ კი მარადჟამს მოცულნი ვართ მკაცრი სიბნელით.**

მეფისტოფელის ტრაგიკულ ხედვრს არც ის ანელებს, რომ (როგორც ზემოთმოყვანილი მონოლოგის ნაწყვეტშიც ვნახეთ!) ხშირად ფაუსტზე ბევრად უფრო საღად და რეალისტურად მსჯელობს ან იქცევა. მაგალითად, I ნაწილის ყველაზე ტრაგიკულ, ე.წ. გრეთხენის ეპიზოდებში, რომლის ინსპირატორიც ერთი შეხედვით თვითონაა, დაკვირვება ცხადყოფს, რომ მეფისტოფელი უმეტესად იძულებით ასრულებს ფაუსტის ამა თუ იმ ბრძანებას (როგორც მისი მსახური, ხელშეკრულების თანახმად). დავინწყით იმით, რომ ალქაჯის სამზარეულოში გაახალგაზრდაებული ფაუსტი ქუჩაში ეკლესიიდან მომავალ გრეთხენს იხილავს, მოიხიბლება მისი სინორჩითა და კდემამოსილებით და მეფისტოფელს უბრძანებს, სასწრაფოდ მოჰგვაროს მსხვერპლი. მეფისტოფელის შეკითხვა: „რომელი?“ ცხადყოფს, რომ მას თავად არ ჰქონია განზრახვა გრეთხენის გზიდან აცდენისა. მეფისტოფელმა იცის, რომ გოგონა სრულიად უმანკოა და პირდაპირ უცხადებს ფაუსტს: „ასეთზე ძალა არა მაქვს“. მაგრამ ფაუსტის დაჟინებული თხოვნით, იგი იძულებულია, საქმეს შეუდგეს, თუმცა იქვე ემუდარება ბატონს, ნუ დამაჩქარებო. აქედან უკვე ცხადია, რომ გრეთხენის ტრაგედიაში დანაშაულის დიდი წილი სწორედაც რომ ფაუსტზე მოდის. შეიპარებთან რა

გოგონას უბადრუკ, მაგრამ სუფთად და სადად მოწყობილ ბინაში, მეფისტოფელი კმაყოფილებით აღნიშნავს: „ყველა ქალწული როდი ცხოვრობს აქ ასე სუფთად“. შემდეგ ეპიზოდში კი მის აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, როცა შეიტყობს, რომ მის მიერ გრეთხენისათვის დადებული, ძვირფასი სამკაულებით სავსე ყუთი ხუცესმა მიითვისა. გოეთე აქ მეფისტოფელის მეშვეობით აკრიტიკებს იმდროინდელ ეკლესიაში გამეფებულ სიხარბესა და პირმოთნეობას. გაიძვერა ხუცესმა, მეფისტოფელის სიტყვებით, ისე წაიღო სამკაულებით სავსე ყუთი, რომ მადლობაც კი არ უთქვამს:

**დედა-შვილისთვის ერთადერთი,
რაც გაიმეტა —
ღვთიური მადლის მოლოდინით
დააიძვრა.**

ენებას ატანილი ფაუსტისათვის კი ამ ყველაფერს მნიშვნელობა არა აქვს. იგი მთლიანად შეპყრობილია გრეთხენის დაუფლების სურვილით და კატეგორიულად მოითხოვს მეფისტოფელისაგან, მოიფიქროს შემდგომი მოქმედების გეგმა: „იყავ ეშმაკი და მოეშვი დოყლაპიობას!“ — რისხვით შესძახებს იგი. მეფისტოფელიც იძულებულია, განაგრძოს ბოროტების ქსელის ხლართვა, თუმცა გამუდმებით ეკამათება ფაუსტს: „მინც მე უფრო მართალი ვარ, თუ უკვირდები!“ დიახ, ამ სიტყვებს სწორედ მეფისტოფელი წარმოთქვამს და არა ფაუსტი. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ფაქტია, რომ სწორედ მეფისტოფელის მზაკვრული ქმედებების შედეგად იღუპება გრეთხენის დედა, ფაუსტთან ორთაბრძოლაში კვდება გრეთხენის ძმა ვალენტინი, ხოლო შეშლილი გრეთხენი კლავს ახალშობილ ბავშვს და დილეგში ელის სასიკვდილო განაჩენს. ტრაგედიის I ნაწილის ერთადერთ პროზად დაწერილ სცენაში „ღრუბლიანი დღე. მინდორი“, ფაუსტის უსამართლო და მწარე საყვედურებზე ბოროტი სულებისა და მეფისტოფელის მისამართით, ეს უკანასკნელი ირონიულად მიმართავს უმადურ ბატონს: „მიპასუხე: ვინ ვის აეკიდა? ჩვენ შენ, თუ შენ ჩვენ?“ ხოლო ფაუსტის დაჟინებულ მოთხოვნაზე, დაიხსნას გრეთხენი საპყრობილედან, მეფისტოფელი თავად პასუხობს სასონარკვეთით: „რატომ არ გესმის, რომ ცასა და დედამიწაზე მე ყოვლისშემძლე არა ვარ“. მეფისტოფელი, როგორც უკვე ვიცით, მართლაც არაა ყოვლისშემძლე და შემდგომშიც ვნახავთ, რომ ბევრი მისი წამოწყება მთავრდება მისივე მარცხით. ჯერჯერობით, I ნაწილის ამ ტრაგიკულ ფინალშიც ფაუსტი და მეფისტოფელი ვერ ახერხებენ საბრალო გრეთხენის გადარჩენას. აქვე მეტად საყურადღებოა, რომ გრეთხენის დახსნის უშედეგო მცდელობის შემდეგ, მეფისტოფელის რეპლიკაზე: „განწირულია“... ზეციდან მოისმის ღვთიური ხმა: „განკითხუ-



ჟენ დელაკრუა ფაუსტი და მეფისტოფელი

ლია!“ ეს ნიშნავს, რომ მეფისტოფელმა პირველი სერიოზული მარცხი იგემა უფლისაგან, ვინაიდან გრეთხენის ცოდვილი სული (ისევე როგორც II ნაწილის ფინალში — ფაუსტის ცოდვილი სული) ზემოდან იქნა შეწყნარებული. სწორედ აქვე ისმის მთავარი შეკითხვა: როგორ წარიმართება და როგორ გადაწყდება ხელშეკრულების პირობა უშუალოდ ფაუსტსა და მეფისტოფელს შორის?!

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ კვლავ ვბრუნდებით ფაუსტის სამუშაო ოთახში და მრავალი მნიშვნელოვანი პასაჟის გამოტოვებით იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ აქაც ხელშეკრულების პირობას თავად ფაუსტი სთავაზობს მეფისტოფელს და არა — პირიქით. სახელდობრ, თუ მეფისტოფელი ერთხელ მაინც შეძლებს, აგრძობინოს ფაუსტს სამყაროსეული უმაღლესი შემეცნების ნეტარი ნაში (გამოვლენილი ამა თუ იმ სახით) და ფაუსტს დასცდება: „შეჩერდი ნამო, რა მშვენიერი ხარ!“ მაშინ მისი სული, ხელშეკრულების თანახმად, სამუდამოდ მეფისტოფელის კლანჭებში აღმოჩნდება. საყურადღებოა, რომ მთელი ტრაგედიის მანძილზე ფინალამდე აღარაფერია ნათქვამი ამ ხელშეკრულების შესახებ. სამაგიეროდ, ფაუსტის შეცდომებითა და ცოდვებით აღსავსე ძიების გზა გრძელდება, ხოლო მეფისტოფელი თანდათან კარგავს თავის მაგიურ ძალას და საბოლოოდ კარგავს ფაუსტსაც.

მეფისტოფელის ფაუსტზე გავლენის შესუსტება, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ ტრაგედიის II ნაწილში მას დროებით ენაცვლება ჰომონკულუსი როგორც ჭეშმარიტი, ფაუსტური ტიპის ადამიანის შორეული პერსპექტივა. მ. კვსელავას მართებული შენიშვნით: „ჰომონკულუსი განამდვილებსაკენ თავისი მისწრაფებით ამ (ფაუსტური — ნ.ბ.) კრიზისიდან გამოსავალს უჩვენებს, თუმცა ჰომონკულუსი ჯერ კიდევ უმწეოა... და ამდენად თავად მოქმედებას კი არ განასახიერებს, არამედ მისწრაფებას მოქმედებისაკენ“. სწორედ ამიტომაც ეუბნება თალესი ჰომონკულუსს „ადამიანად ქცევამდე ჯერ კიდევ ბევრი დროაო“, ხოლო პროტეგისი ურჩევს, დაიწყოს ელემენტარულიდან, რათა თანდათანობით მიიღწიოს უმაღლეს სრულყოფას. ყოველივე ამისაგან კიდევ უფრო შორსაა ფაუსტი, რომელიც ისე ამთავრებს სიცოცხლეს, რომ ღმერთის წყალობა რომ არა, სამუდამოდ მეფისტოფელის კლანჭებში ჩაიდებდა თავს. ამიტომაცაა, რომ II ნაწილის გრანდიოზული ანტიკური ეპოპეის შემდეგ, სულიერი ზრდის ნაცვლად, ფაუსტი ისევ მეფისტოფელთან აღიანსში მოქმედებს, რასაც საბოლოო დაცემამდე მიჰყავს იგი. ამიტომაც გაისმის ასე ვიზიონურად ვაგნერის სიტყვები, რომლებიც ფაუსტისადმი, მისი ყოფილი მასწავლებლისადმი, კი არ არის მიმართული, არამედ მომავალში, ახალი, ნაღდი, ფაუსტური ტიპის ადამიანისადმი:

ადამიანი იმდენად ნიჭითაა შემკული, რომ ღირსია, მომავალში უფრო მაღალი საფეხურიდან იშვას.

უფრო კონკრეტულად, მეფისტოფელის ჰომონკულუსით ჩანაცვლება ხდება II ნაწილის II მოქმედებაში, როცა იმპერატორის სასახლიდან მოქმედება კვლავ ფაუსტის სამუშაო ოთახში გადაინაცვლებს. ჯერჯერობით, ამ და მომდევნო სცენებშიც (ისევე, როგორც I მოქმედებაში, იმპერატორის კარზე) მეფისტოფელი გვევლინება რეალისტად და სიმართლის მქადაგებლად. და ეს იმ დროს, როცა ფაუსტი საყვარელი ქალების დაკარგვის გამო (ჯერ გრეთხენი, შემდეგ — მშვენიერი ელენეს აჩრდილი), თითქოს მეტი არაფერი დარჩენია, უკვე მეორედ მისცემია ლეთარგიულ ძილს. მეფისტოფელი კი ფაუსტის ძველ, მეცნიერის სამოსში გამოწყობილა და ვაგნერის მონაფესა და ბაკალავრთან საუბარში დასცინის „დახავსებულ მეცნიერებს“, სწავლების დრომოჭმულ მეთოდებს, კარჩაკეტილ მნიგნობრებს, ისეთებს, როგორც ადრე თავად ფაუსტი გახლდათ. აქვე შეიძლება გავიხსენოთ I ნაწილის I მოქმედების სცენა („ფაუსტის სამუშაო ოთახი“), როცა მეფისტოფელი ფაუსტის ნაცვლად ებასება გულუბრყვილო, უბირ ყმანვილს, სახელგანთქმულ დოქტორ ფაუსტთან რომ მოსულა რჩევის საკითხავად, თუ მეცნიერების რომელი დარგი შეისწავლოს მომავალში. სწორედ ამ დროს გაისმის მთელი სიმძაფრით მეფისტოფელის ცნობილი სიტყვები:

ჰო, ჩემო კარგო, თეორია უფერულია, ხოლო ცხოვრების ოქროს ხე კი მწვანეა მარად.

დავუბრუნდეთ II ნაწილის II მოქმედებას. სახელდობრ, ფაუსტის ყოფილი მონაფეს, ვაგნერის ლაბორატორიაში ხელოვნური ადამიანის შექმნის ეპიზოდს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ როგორც კი ჰომონკულუსი ჩნდება, მეფისტოფელი მაშინვე მეორე პლანზე გადაინაცვლებს. ჯერ ერთი, მას არ ძალუძს, გამოიცნოს მძინარე ფაუსტის სიზმარი და თავად სთხოვს ამ კოლბაში მოფარფატე არსებას, ფაუსტის სიზმრის აღწერას. ჰომონკულუსის პასუხიდან კი ირკვევა, რომ ფაუსტი ხედავს მშვენიერი ელენეს ჩასახვის სცენას. მისი ლეთარგიული ძილიდან გამოყვანა, ჰომონკულუსის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ანტიკურ ეპოქაში გადაინაცვლებით, სადაც ფაუსტი შეხვდება სატრფოს და ამ გზით „კვლავ გამოჯანსაღდება“. მეფისტოფელი წინააღმდეგია. მას, როგორც ქრისტიანული შუა საუკუნეების ეშმაკს, არაფერი ესაქმება ანტიკურ ხანაში: „მეზიზღებიან ანტიკური დროის კოლეგებიო“, აღნიშნავს იგი. სწორედ მეფისტოფელის უუნარობის გამო, ძველ საბერძნეთში მოგზაურობისას წინამძღოლის ფუნქციას ჰომონკულუსი კისრულობს. ხოლო დანიშნულების ადგილზე მისვლისთანავე მათი გზები იყრება. დაბნეული მეფისტოფელი მახინჯ ფორკიადებს მიეკედლება და კიდევ უფრო ამაზრუნენი ხდება. იგი თავად აღნიშნავს: „თვით ჯოჯოხეთის ეშმაკებსაც კი დააფრთხოდა ჩემი ხილვაო“. ფორკიადებთან ერთად მეფისტოფელი გაირიყება სიბნელესა და დავინყებაში და დროებით საერთოდ ქრება მოქმედებიდან...

ფაუსტზე მისი გავლენის შესუსტება ასევე ჩანს ტრაგედიის ბოლო სცენებში. ას წელს მიტანებული ფაუსტი თითქოს მთელი არსებით იღვწის ხალხის საკეთილდღეოდ. აშრობს ჭაობებს, აშენებს ჯებირებს. მან ბოლოსდაბოლოს ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი ადამიანების ყოფის გაუმჯობესებისათვის შრომაში ჰპოვა. რეალურად კი, იგი ტიპური კოლონიზატორია. ხოლო მეფისტოფელი მუშების ზედამხედველად გვევლინება.

ფაუსტი ჩქარობს. მას სურს, სიცოცხლეშივე მოამთავროს დაწყებული გრანდიოზული აღმშენებლობა, მოესწროს აყვავებულ ქვეყნიერებას და დატკეპს ადამიანთა ბედნიერებით. იგი უბრძანებს მეფისტოფელს, მოუხმოს მუშებს, რათა ღამითაც არ დაიკარგოს ძვირფასი დრო. მეფისტოფელს კი მოჰყავს ლემურები, გარდაცვლილ ადამიანთა შემზარავი სულები, რომლებიც დაკისრებული საქმის შესრულების ნაცვლად ფაუსტის საფლავს თხრიან. დაბრმავებულ ფაუსტს კი ნიჩბების ხმა ნეტარ მუსიკად ჩაესმის. იგი კვლავ იწყებს ოცნებას კაცობრიობის ნათელ მომავალზე და სწორედ ამ დროს წამოსცდება მისთვის საბედისწერო სიტყვები: „თუ თავისუფალ მიწაზე თავისუფალ ადამიანთა შორის აღმოვჩნდებოდი, მაშინ კი ვეცყოდი წამს: „შეჩერდი, რა მშვენიერი ხარ...“ სწორედ ამგვარი უმაღლესი ბედნიერების წინასწარი განცდით შევიტებო ახლა უმაღლეს წამს...“ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ფაუსტი უსულოდ ეცემა მიწაზე. მეფისტოფელი კი შესძახებს: „აღსრულდა“.

გოეთოლოგები დღემდე დავობენ, თუ ბოლოს და ბოლოს ვინ მოიგო სანაძლეო: „მეფისტოფელმა თუ ფაუსტმა?! რატომ კვდება ფაუსტი? იმიტომ, რომ საბედისწერო სიტყვები წარმოთქვა (და მაშასადამე — წააგო!) თუ მხოლოდ სიბერის გამო? (და მაშასადამე — მოიგო). ვფიქრობთ, აქ სადავო არაფერია. ფაუსტმა ცალსახად წააგო სანაძლეო მეფისტოფელთან. სახელდობრ, ფაუსტი რომ ბუნებრივი სიკვდილით მომკვდარიყო, მაშინ, ჯერ ერთი, ტრაგედიის მთავარ კვანძს — ხელშეკრულებას მასსა და მეფისტოფელს შორის — ყოველგვარი აზრი და გამართლება დაეკარგებოდა. მეორეც, თუნდაც დავუშვათ, რომ ფაუსტმა გაიმარჯვა მეფისტოფელზე (ამ აზრის მომხრენი იმით აპელირებენ, რომ საბედისწერო ფრაზა ტექსტში გაისმის როგორც მომავლის ვიზიონი და არა როგორც უშუალო ანმყო), მაშინ ისმის შეკითხვა: რატომღა უნოდა გოეთემ თავის ნაწარმოებს ტრაგედია?! განა მისი დედა-აზრი სწორედ შემოქმედი ადამიანის ტრაგიკული სვებედის და მისი წინააღმდეგობებით აღსავსე გზის ჩვენება არ არის?! და გოეთეც დაუნდობლად მიუზღავს თავის პერსონაჟს ჩადენილი ცოდვების გამო: მწარე ირონიით აღწერს იგი იმ ეპიზოდს, როცა სანუკვარ მიზნებზე მეოცნებე, დაბრმავებულ და მიხრწილ ფაუსტს საკუთარი სანუკვარის კიდესთან წარმოგვიდგენს. ასეთივე ირონიაა ჩაქსოვილი მეფისტოფელის რეპლიკაშიც: „აღსრულდა“. ეს გახლავთ ჯვარცმული იესოს უკანასკნელი სიტყვა იოანეს სახარებიდან — იმ სახარებიდან, რომლის თარგმნის დროსაც ტრაგედიის I ნაწილში მეფისტოფელი ძალის სახით ეცხადება ფაუსტს. იქვე, მომდევნო სცენაში, მეფისტოფელთან კამათისას, უმაღური ფაუსტი გაცხარებით წამოიძახებს: „შენ რომ იცოდე, საიქიო ნაკლებ მა-

ნაღვლებს“. ცხადია, ფაუსტმა ჯერ არ იცის, რომ სამაგიეროდ თურმე საიქიოს ანაღვლებს იგი. საბოლოო ხსნაც სწორედ იქიდან მოდის. ამრიგად, მართალია, მეფისტოფელმა სანაძლეო მოუგო ფაუსტს, მაგრამ როგორც წინასწარ იყო განსაზღვრული, იგი დამარცხდა ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე. უფალმა ტრაგედიის ფინალში ანგელოზები მოავლინა დედამიწაზე, რომლებმაც თავიანთი მშვენიერებითა და ბრწყინვალეობით გააბრუნეს მეფისტოფელი, ფაუსტის ენტელექტია (მისი სულის უკვდავი ნაწილი) ცხვირწინ ანაპნეს და ზეცაში აიტაცეს. ამრიგად, ფაუსტმა მრავალი ცოდვის მიუხედავად, ჭეშმარიტებისაკენ დაუოკებელი სწრაფვის გამო, ღვთიური შენდობა მიიღო. უფალმა მეფისტოფელიც დაინდო და დაუსჯელად გაუშვა. ანგელოზების არაამქვეყნიური მშვენიერებით ლამის ცდუნებული მეფისტოფელი აქ კი შვებით ამოისუნთქებს: „გადარჩენილია ეშმაკის კეთილშობილი სხეული“, ნამოიძახებს იგი. ეს ფრაზა ამასთანავე კვლავ აღიქმება მძაფრ ირონიად გამარჯვებულ ანგელოზთა გალობაზე ფაუსტის მისამართით: „გადარჩენილია სული კეთილშობილი“.

ჩატარებული კვლევიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გოეთე ფაუსტზე არანაკლები თანაგრძნობით ეპყრობა მეფისტოფელს. კარლ ერნსტ შუბარტისადმი მიწერილ ბარათში (1820 წლის 3 ნოემბერი) გოეთე აღნიშნავს, რომ მეფისტოფელმა სანაძლეო მხოლოდ სანახევროდ მოიგო და თუმცა, მისივე სიტყვებით, ნახევარი დანაშაული ფაუსტის წილად მოდის, სწორედ აქ იჩენს თავს მოხუცი ღმერთის უფლება — მისი შეწყნარებისა, რაც საბოლოოდ მხიარული ფინალის საწინდარია“. კიდევ უფრო საინტერესოა ოთხი წლით ადრე (1816 წ.) გოეთეს საუბარი იოჰანეს დანიელ ფალკთან. საუბარში გოეთე დანაშებით აღნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოება ვერ უგებს მას.

— „ფაუსტის“ გაგრძელებაში, — მსჯელობს გოეთე, — ისინი რომ უეცრად ისეთ ადგილს ნაწყდომოდნენ, სადაც ეშმაკი თავად ღმერთისაგან იღებს წყალობასა და შენდობას, ვფიქრობ, ამას არც თუ ისე მალე მაპატიებდნენო.

ამავე საუბარში გოეთე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თვით ისეთმა გონებაშეზღუდულმა ქალბატონმა, როგორც მადამ დე სტალია, უსაყვედურა ანგელოზთა გალობის (იგულისხმება „პროლოგი ზეცაში“ — ნ.ბ.) სცენასთან დაკავშირებით, რომ უფალი ეშმაკის მიმართ ასეთი დიდსულოვანია. იგი ისურვებდა, უფალი ბევრად მრისხანე ყოფილიყო. მაშინ რალა მოხდებოდა, კითხულობს გოეთე, „მას რომ მეფისტოფელი უფრო მალალ საფეხურზე და ერთიც ვნახოთ, ზეცაში ეხილა?!“

ზემოთქმულიდან მხოლოდ ის შეიძლება დავასკვნათ, რომ გოეთეს ჰქონდა ჩანაფიქრი მეფისტოფელის გამართლებისა, მაგრამ თანადროული საზოგადოების შეხედულებებისა და გემოვნების გათვალისწინებით, საბოლოოდ შეცვალა ფინალი. თუმცა ტრაგედიის ქვეტექსტებში ადვილი ამოსაჩივრებია გოეთეს განუწყვეტელი მერყეობა ფაუსტსა და მეფისტოფელს შორის. ალბათ ნაწილობრივ სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გოეთე ტრაგედიის II ნაწილში ლამის ხელოვნურად აჭიანურებს სიუჟეტურ ხაზს. მკითხველსაც და მკვლევარებსაც ხშირად რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ავტორი ცალკეულ სცენებს

უმეტესად ფრაგმენტულად ტოვებს. ამის გამო იგი თავად ხშირად გამოთქვამს წუხილს. მაგალითად, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტისადმი გაგზავნილ წერილებში (1831 წლის 2 დეკემბერი, 1832 წლის 7 მარტი). ხოლო ეკერმანთან საუბარში (1827 წლის 6 მაისი) გოეთე სინანულით აღნიშნავს, „ფაუსტი“ მართლაც მშვენიერი გამომივიდოდა, რომ შემძლებოდა და ერთ წერილ ძაფზე აბმული იდეა გამეტარებინა მთელ ნაწარმოებში“. ამდენად და ალბათ ამიტომაც ტრაგედიის ფინალამდე აღარაფერია ნათქვამი ხელშეკრულების შესახებ. რაც შეეხება ფინალურ სცენას, ბუასერესთან საუბარში გოეთე ხაზგასმით აღნიშნავს: „თავიდან ფაუსტი უყენებს პირობას ეშმაკს, საიდანაც სხვა ყველაფერი გამომდინარეობს“ (1815 წლის 3 აგვისტო). ამიტომაც ფინალში ავი ნინათგრძნობით შეპყრობილი მეფისტოფელი სიმწრით წამოიძახებს: „სხეული აქაა და სულს გაფრენა სწადია, / მე მას უმალ წარუფდგენ სისხლით დამონმებულ ფურცელს, / მაგრამ სამწუხაროდ დღესდღეობით უამრავი საშუალება არსებობს, რათა ეშმაკს სულეტი წარსტაცონო“.

გოეთელოგები მართლაც ხშირად სვამენ კითხვას: განა მთელი ტრაგედიის თუნდაც ერთ რომელიმე ეპიზოდში არ ყოფილა ისეთი მომენტი, როცა ფაუსტს შეეძლო წარმოეთქვა საბედისწერო ფრაზა: „შეჩერდი ნამო, რა მშვენიერი ხარ!“ ასეთი დამაფიქრებელი სცენა რამდენიმეა ნაწარმოებში. სავარაუდოდ, ფაუსტს სანაძლეო შეიძლებოდა ნაეგო ჯერ კიდევ გრეთხენთან შეხვედრისას, შემდგომ — ანტიკურ სამყაროში გადანაცვლებისას, მით უფრო — მშვენიერ ელენესთან შეუღლებისას. ამგვარ „კრიტიკულ მომენტებში“ გოეთეს ისლა დარჩენია, ხელოვნურად, ფაუსტის საზიანოდვე შეატრიალოს სიტუაცია და შემდეგ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ პერსონაჟს ლეთარგიული ძილი მოჰგვაროს (გრეთხენის ტრაგედია, ელენეს დაკარგვა), ან უბრალოდ, დაავიწყოს ნამოქმედარი (ფილემონისა და ბაკვიდეს დალუპვა). თუმცა ცოდვილ ფაუსტს კვლავ და კვლავ ამართლებს პროლოგის ღმერთის სიტყვები: „ვიდრე ადამიანი ცხოვრობს, მუდამ ცდება“. მთავარია, რისთვის ცხოვრობს ადამიანი. თუ მისი საბოლოო მიზანი ჭეშმარიტებისა და სიყვარულის ძიებაა, მაშინ მას ცხოვრების გზაზე ჩადენილი უმძიმესი ცოდვებიც კი მიეტევება. საგულისხმოა, რომ მარადქალურის („das Ewig-Weibliche“) წიაღში ფაუსტი კვლავ ხვდება გრეთხენს და არა ფიქციას მშვენიერი ელენეს სახით. მეფისტოფელი კი გოეთესავე სიტყვებით, „მარადიული სიცარიელისთვისაა“ („das Ewig-Leere“) განწირული. ის ბოროტების მოციქულია და როგორც გოეთე სიცოცხლის მიმწუხრზე იტყვის, „მეტისმეტად ნეგატიური არსებაა“ (ეკერმანთან საუბარი, 1831 წლის 2 მარტი). თუმცა ბოროტებაც ამქვეყნიური ყოფის განუყრელი ნაწილია და პროლოგის ღმერთის სიტყვებისა არ იყოს, აუცილებელიც კი არის, „მთელმთარე ადამიანთა მოდგმის გამოსაფხიზლებლად“. ერთ-ერთ წერილში გოეთე გულახდილად აღნიშნავდა: „მე ბევრი ისეთი რამ გავაკეთე, რისი დანახვაც ახლა უკვე აღარ მსურს, როგორც ჩემს მიერ ჩადენილისა. და მაინც, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, არ წამოიშვებოდა ბევრი რამ, აუცილებელი და კეთილი“.

„პოეზიის კონკია“ პარ

□

თამარ შანიშვილაშვილს ესაუბრება ქეთევან დოლიძე

— „გმადლობ ცხოვრებაზე, რომ გამომწვი თიხა, პოეტად... და ბედისწერად რომ შემასვი ტანჯვა ზედაშით...“ — პოეტობა ბედისწერაა?

— პოეტად უნდა დაიბადო და პოეტურადაც უნდა ცხოვრობდე. შენი წილი ბედიც უნდა დაგყვეს და ილბალიც. არავინ დაიჯეროს, რომ პოეტები უიღბლოები არიან. მათი დაბადება ყველაზე დიდი ილბალი და ბედისწერაა.

პოეტი უკიდევანო სამყაროში ბუნების ხილზე მოსიარულე ადამიანია. შეიძლება მიწაზე არეული ნაბიჯებით დადიოდეს, მაგრამ ბუნების ხილზე გაგლისას, ფეხი არ უნდა დაუცდეს, ბოლო ამოსუნთქვამდე გულწრფელი უნდა დარჩეს უფლისა თუ თავის წინაშე და კიდევ ერთი — „ხიბლი“ არ გაიკაროს. ერთი ყალბი ნაბიჯიც საკმარისია, სამყაროს უსასრულობაში დროის დინებასთან ერთად რომ ჩაინთქას და ჩაიკარგოს... ცხოვრებამ თიხასავით უნდა გამოწვას, რომ მისმა ლექსებმა ოდესმე ხალხის გულამდე ჩააღწიონ და ჟამთა სვლას გაუძლონ. თავის მოსაწონებლად არასოდეს უნდა წეროს, უბრალოდ, ყველაზე და ყველაფერზე იფიქროს, იზრუნოს და ლექსებად მოუქსოვოს ადამიანებს სულიერი თუ ფიზიკური სათბუნებლები; სულის სიმები შეურხიოს და სიტყვის ძალა და მაღლი აგრძნობინოს.

უფლის განგებით, სწორედ სასწაულითა და ბედისწერით, ამ მისიით თუ მოვევლინე ქვეყნიერებას სიჭარბაგის შვილად. ჩემს მშობლებს ორი სტუდენტი გოგონა უკვე ჰყავდათ... და ოცი წლის შემდეგ მეც დავიბადე.

მამას პოეზია და პოეტები უყვარდა. ხშირად იხსენებდა, პატარა ბიჭობისას როგორ აპურებდა „კიროვის ბაღში“ ნაბადმოხვეულ, მშვიდ იეთიმ გურჯს... ბუნებაში ხომ არაფერი იკარგება და, ვინ იცის, იქნებ ამიტომაც აუხდა ლოცვად თუ წყევლად, რომ მესამე შვილი სწორედ პოეტი ეყოლებოდა.

— როდის და როგორ დაწერე პირველი ლექსი?

— მე-4 კლასში ვიყავი, როდესაც პირველად ორი ერთსტროფიანი ლექსი დავწერე, ორივე სიყვარულზე იყო. არც ერთი არ მახსოვს. მაშინ რა ვიცოდი, პოეზიის ჯვარი ასე მძიმედ საზიდი თუ იქნებოდა. თუმცა ბავშვობიდან არ მიყვარდა იოლი გზით სიარული. ერთ ადგილამდე მისასვლელად სწორი და აღმართიანი გზა რომ ყოფილიყო, აუცილებლად აღმართებით უნდა მევლო... მე-9 კლასიდან ჟურნალებს „ცისკარსა“ და „ნობათს“ ვსტუმრობდი, სადაც მიუზნებოდნენ, რომ ჩემს ლექსებს პოეზიის სურნე-

ლი დაჰკრავდა. პოეტის ჯვრის სიმძიმე უკვე გასიგრძეანებული მქონდა და ვგრძნობდი, რომ პოეზიის ზღვის ერთი წვეთი უნდა ვყოფილიყავი.

— გამოცემული გაქვს წიგნები: „მინც გათენებას ველოდები“, „შავი ქრიზანთემები“, „დალი“, „ქალი-კენტავრი“. რატომ დაარქვი ლექსების ბოლო კრებულს „კონკიას ქოში“?

— ჩემი ცხოვრება და მისგან გამომდინარე შემოქმედება, გარკვეულ პერიოდებად იყოფა. პირველი კრებული „მინც გათენებას ველოდები“ ჩემი სტუდენტობისას გამოიცა, ე.ი. მაშინ, როდესაც საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ქარიშხალი ბობოქრობდა. „შავი ქრიზანთემების“ პერიოდში გარდამეცვალა და — მზია დოლიძე და ჩვენმა პოეტურმა ორდენმა „მარად ახალმა ქნარმა“, რომელიც 1994 წელს წყნეთში, ჩემს სახლში შეიქმნა, „სევდის დედოფლად“ მაკურთხა. ცალკე წიგნად გამოცემული მითოლოგიური პოემა „დალი“ მთებსა და მარადისობაში ჩაყინულ მეუღლეს, პოეტ ზურაბ ჯაფარიძეს მიუძღვნენ. რაც შეეხება კენტავრებს, ქალი-კენტავრები მითოლოგიაში არ არსებობენ, არიან მხოლოდ კაცი-კენტავრები. ჩემი „ქალი-კენტავრი“ „მინისა“ც არის და ცისაც“. დედამინაზე ცხენის ფლოქვებით ებრძვის ცხოვრებას და ამავე დროს, უზარმაზარი ფრთებით, ზეცაშიც დაფრინავს. ეს არის ერთიანად პოეტის, ქალის, მინიერი და ზეციური ტვირთის სიმბოლო.

„კონკიას ქოში“ კი ჩემს თავდაცინებადემ მისულ სიყვარულს მიუძღვნენ. მასში უამრავი სასიყვარულო ლექსია. წიგნის გარეკანზე ჩემი 35 ზომა ულამაზესი ქოშის ფოტოა გამოსახული. კონკიას ქოშები ნამდვილად მეცვა, შემდეგ ერთი გამიტყდა და ახალი ცალი ქოში ჩემს წიგნების კარადას, კონკიას კაკლებთან ერთად ამშვენებს.

ვცხოვრობ ასი წლის სახლში. რამდენიმე ფიცრისაგან გაკეთებული ჭიშკარი ნახევრად გვერდზეა გადახრილი. უახლოეს მეგობრებს ყოველთვის ეცინებათ „მთვრალ კიბებზე“ ამოსვლისას. შვილებთან ერთად, ყოველ დილას, პურის ნამცეცებით ჩიტებსაც ვაპურებ. ამიტომ ეზო ყოველთვის საესეა ბელურებითა და ტყის გულწითელა ფრინველებით. ჩემს ფიჭვებზე ჩხიკვები ბუდეს იკეთებენ და ხანდახან ციყვებიც სტუმრობენ. ხშირად ჩემივე ლექსების ფერადი ძაფებით მოქარგული, სადღესასწაულო კაბით, წუთისოფლის ბალ-მასკარადებზეც მივდივარ. შინ დაბრუნებულს, თავი ისევ კონკია მგონია. ახლა „სევდის დედოფალი“ კი არა, უკვე „პოეზიის კონკია“ ვარ.

— „წუთისოფელმა ხელისგულზე შემომიცოცა... მე არა... მაგრამ რომ მიყვარდი, ღმერთმა იცოდა“. რით განსხვავდება პოეტის სიყვარული სხვა ჩვეულებრივი ადამიანის სიყვარულისაგან?

— სიყვარული თავად არის პოეზია და რომანტიკა. ის ყველაზე უხემ ადამიანსაც აფაქიზებს, რადგან სიყვარულში თავად უფალი სახლობს. პოეტიც ხომ ადამიანია, ოღონდ ზედმეტად მგრძობიარე. პოეტის სიყვარული „ანგარიშიანი“ არ არის და ყოფით ფუფუნებას არასოდეს ემსახურება. პოეტი მუდამ შეყვარებული უნდა იყოს, რადგან სიყვარული წყალს უსხამს მის შემოქმედებას და სხვათა სიყვარულისაგან განსხვავებით ფურცლების, წიგნებისა და მარადისობის კუთვნილება ხდება.

— „ამბობენ დილაზე მზე პირს დაიბანსო... ეს ღამე ჩემია — შეშლილი პიკასო“. აქვს თუ არა პოეზიას საერთო მუსიკასთან და მხატვრობასთან? რა ფერისაა ლექსი?

— სამივე უფლის მაღლი და წყალობაა. პოეზიას, მუსიკასა და მხატვრობას უდიდესი საერთო აქვთ — ადამიანის სულის კნელებში აღწევენ და გულსა და გონებას ბილნი ყოფისაგან ასუფთავებენ. ჭეშმარიტ პოეზიაში მუსიკა და მხატვრობა უნდა სუნთქავდეს. ლექსში შეიძლება ჩიტების ჭიკჭიკიც გაიგონო და ფერადი სამყაროც დაინახო. ლექსი რომელიმე ერთი ფერის არ შეიძლება იყოს, ისევე როგორც ერთი ფერით დახატული ნახატი, ან ერთი ნოტიო დაწერილი ნაწარმოები. სამყაროს პალიტრა უნდა გქონდეს გადაშლილი და თითოეული ლექსი მოხატო. ლექსი შეიძლება მუქ ფერებში ან ცასავით ნათელ ფერებში იყოს დახატული. ზოგიერთი ლექსი გულიდან ამოხაპული სისხლის ფერებითაც იწერება. სწორედ გულიდან ამოხაპული სისხლის ფერებისაგან იქმნება ის, რასაც „კაცნი“ შედეგებს ვეძახით.

— როგორ შეიქმნა მითოლოგიური პოემა „დალი“ და რა წინასწარმეტყველებაა მასში?

— პოემას საფუძვლად დაედო ჩემი სადიპლომო ნაშრომი „ნადირთპატრონი დალი ქართულ სამონადირო ეპოსში“. ქალღმერთმა იმდენად გამიტაცა, რომ მისი არსებობა მართლა დავიჯერე. მთებში ხეტიალისას, დარწმუნებული ვიყავი, რომ შეფარვით მიმზერდა და შეიძლება თვალი მომეკრა კიდევ. დალის მთელი არსებით ვგრძნობდი...

თავდაპირველად დავწერე ლექსი, სადაც დალი ბეთქილს დასტირის. პოემაში ეს ნაწილი ფინალია. ამის შემდეგ პოემის წერა დავიწყე. მასში გამოვიყენე ხევსურეთიდან ხურჯინით ჩამოტანილი, მონადირეთა მონათხრობი, ნამდვილი ამბები. კარგად შევისწავლე სამონადირო ეპოსი და მონადირეთა წეს-ჩვეულებები. პოემა თითქმის ერთი წელი იწერებოდა. ჩემს მეუღლეს — ზურაბ ჯაფარიძეს ვუკითხავდი. მაშინ არც ერთმა არ ვიცოდით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ „დალი“ სწორედ მას მიეძღვნებოდა. უნივერსიტეტის 95-ე აუდიტორიაში, ლიტერატურულ საღამოებზე, პოემიდან ზუსტად იმ ადგილებს ვკითხულობდი, სადაც დალი დასტირის ბეთქილს, ანდა როგორ გადაფატრავს მონადირე დალის და როგორ ამოუყვანს ოქროსქოჩრიან ვაჟს მუცლიდან... და მაშინ, ფეხმძიმედ ვიყავი!

მასხოვს, პულსი აჩქარებული მქონდა (თითქმის 120-მდე), ვინეკი ლოგინში და გაფრენილი გულით ვშუშობდი, ხან ბეთქილი ვიყავი, ხან დალი, ხან მახვში, ხანაც თამარი.



ქეთევან დოლიძე

პატარა ზურიკელა კი მუცელში დედასთან ერთად წერდა პოემას.

ამიხდა მრავალი წინასწარმეტყველება — ისევე გადამფატრეს, როგორც დალი, ისეთივე ოქროსქოჩრიანი ვაჟი, ისეთივე სულის მეხთატეხა... ქვათაცვენა, რასაც ხევსურეთში მანამდე გადავურჩით... შემდეგ როდესაც ზურაბ ჯაფარიძე მთებში დაიკარგა, ვნატრობდი, რომ ბეთქილის ბედი არ ხვდომოდა წილად ჩემს ქმარს. საუბედუროდ, ესეც ამიხდა.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ერთხელ აღმოვაჩინე, რომ „დალის“ წინასწარმეტყველების ციკლი არ არის დასრულებული. მთასა და მზეს შორის იდება მისტიკური სხივი, დალი მიდის მზეში, ცეცხლის გვირგვინს იღვამს და იწვის. ამის გაფიქრებაზე დღესაც მაყრყოლებს.

— შენ და შენი მეუღლე პოეტები იყავით. გიფიქრია თუ არა, რომ მას დაკარგავდი?

— სამყაროში არაფერი იკარგება. ის ჩემთვის მარადიულად პოეტად დარჩება. ჩვენი შეხვედრა, სიყვარული, მოგზაურობები ხევსურეთში, მისი დაკარგვა, საბედისწერო გარდასახვა იმ სამყაროში, სამშობიაროს რენიმაციაში ჩემი „უმისამართო წერილების“ წერა, მისი გარდაცვალების მერე დაბადებული მეორე შვილი, შემდეგ არაგვში, უზარმაზარ ლოდს ჩახუტებული, 7 თვის მერე ნაპოვნი ცხედარი, რომელიც მისმა

უერთგულესმა მეგობარმა, ექიმმა ზურაბ ჩიქოვანმა, დიდი ძენის შემდეგ, ჩამომისვენა... დასაფლავება... უმისოდ ცხოვრება... სულისა და ხორცის მეხთატეხა — ეს ყველაფერი ლეგენდა მგონია.

ხანდახან როდესაც ჩემს შვილებს ვუყურებ, ვფიქრობ, როგორ გავუძელი თავზე წისქვილის დოლაბის მრავალგზის ტრიალს და როგორ გადავრჩი?! ანდა (შეიძლება გაგელიმთ), საიდან მოვიდნენ ეს ბავშვები... როგორ გაზრდილან წვიმებითა და ლექსებით ნაკვებნი... მარიამი აგრარული უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტია და თავად, პატარა ვაჩეს დედაა, ზუკა — მე-10 კლასის მოსწავლეა.

დღეს ზურაბ ჯაფარიძე ამ სამყაროდან იმ სამყაროში უკვე ბაბუა გახდა. მისი გენი ჩვენს შვილებსა და შვილიშვილში განაგრძობს სიცოცხლეს. თავად კი ამქვეყნად ხელმეორედ დაიბადა, რადგან მისი გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ, ღვთის შეწევნით, მისი წიგნის „სულის ანარეკლის“ გამოცემა შევძელი. პოეტისათვის კი იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როცა სიკვდილის შემდეგ მის შემოქმედებაზე იზრუნებენ და ამაოების ქარები ლექსებს არ წაუღეკავენ. ის ბედნიერია — მისი არც კერა და არც შემოქმედება, უფლის შეწევნით, არ გაცივებულა.

ადამიანის სიცოცხლე წლების სიმრავლით კი არ განისაზღვრება, არამედ — ხარისხით. 30 წელი ზურაბ ჯაფარიძემ კაცურად იცხოვრა ქეშმარიტი მამულიშვილისა და პოეტის ცხოვრებით. გარდაცვალებაც ლამაზი და პოეტური ჰქონდა. ერთი სიკვდილი ყველას გადასატანი გვაქვს. ის კი უკვე იმქვეყნის მკვიდრია.

— როგორ ცხოვრობდი ამ ტრაგედიის მერე და როგორ მოხვედი დღემდე?

— მას მერე როგორ ვცხოვრობდი და როგორ მოვედი აქამდე, თვითონაც მიკვირს. ამის აღწერას არც ერთი ინტერვიუ ეყოფა და არც ერთი სიცოცხლე. თითქმის ყველა კულმინაციურ მდგომარეობაში ზედმეტად რომანტიკოსი ვიყავი. ჩემი ცხოვრება მისტიკურ სხივზე სიარულს ჰგავს... 27 წლის შევსრულდი, როდესაც მეორე შვილზე რვა თვის ფეხმძიმე, დავექრივდი, 33 წლის ასაკში უამრავი გამოცდა ჩავაბარე. გამოცდები დღემდე გრძელდება... 43-ის ვარ და უკან რომ ვიყურები, ასე მგონია 200 წელიწადი ვიცხოვრე-მეთქი, იმდენი რამ გადამხდენია... რამ უნდა გამაკვირვოს, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი წუთი ჩემს ცხოვრებაში უპოეზიო და დაუმუხტავი. მრავალი მძიმე განსაცდელის უამს ყოველთვის უფლის ფრთები მათბობდა.

ვმუშაობდი სკოლაში მასწავლებლად, საბავშვო გაზეთ „ზღაპარში“ შემოქმედებითი განყოფილების გამგედ, „ბუნების“ რედაქტორად, „ევრაზია ექსპრესში“ ჟურნალისტად. „ჯეჯილი“ ბუნების რუბრიკა მიმყავდა. ვმუშაობდი ტელევიზიის გაზეთში „2x2“. უამრავ ჟურნალ-გაზეთთან ვთანამშრომლობდი შტატგარეშედ და ვბეჭდავდი საკუთარ შემოქმედებასა თუ წერილებს საინტერესო ადამიანებზე: მომღერალ ლამარა ჯაფარიძეზე, მოქანდაკე გურამ პაპინაშვილზე, რეპრესირებულ პოეტ შალვა მჭედლიშვილზე, რომელიც სამშობლოს სიყვარულისათვის პოლარული წრის იქით, ვორკუტაში გადასახლეს. კატორღაში საშინელი წამება გამოიარა და ბოლომდე დიდ ადამიანად დარჩა. მოხუცობისას ძლივს აღიარეს რეპრესიების მსხვერპლად. იგი ჩემი თაობის უძვირფასესი მეგობარი, მარადიული ბავშვი იყო. როდესაც მასთან ინტერვიუს ჩანერა დავასრულე, ბატონმა შალვამ გამომაცხილა, ერთად მივუყვებოდით ძველი ჩუღურეთის ქუჩას, ფიროსმანის ნაკვალევს. უეცრად შეჩერდა და დამლოცა: „იცოდე, ამქვეყანაზე ქუდბედით დავიბადე და როცა ასეთი ადამიანი გლოცავს, კარგიაო“. მისი ლოცვა საგზლად გამყვება მთელი ცხოვრება.

ვნერდი ასევე ახალგაზრდა პოეტებზეც, ვაქვეყნებდი მწვავე წერილებსაც — როგორ გაედინებოდა ილტოს ხეობიდან 100-200 წლოვანი ხეები თურქეთში, როგორ იცლებოდა ხევსურეთი, როგორ იტყუებოდნენ ვალუტის გადამცვლელი პუნქტები... ვმუშაობდი პროზაშიც, სამი ზღაპარიც ჩამოვქოვე. არასოდეს მაკლდა პოეტური შეხვედრები და საღამოები. ყველას და ყველაფერს კუთვნილს მივაგებდი.

შვილებს ხშირად დავატარებდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მთასა თუ ბარში. ვცდილობდი, სამშობლოს ფესვების სურნელი შეეგრძნოთ. ჩალისა და ბალახის ღერებს ვაგროვებდი, ციცქნა ბუდეს ვაკონინებდი და სველ ბარტყებს ვათბობდი. ხშირად უმუშევარიც ვიყავი

და რადგან წუთისოფელი ჩემგან ხარკს მოითხოვდა, ხან ნიგნებს ვცვლიდი კარტოფილსა თუ ხახვზე, ხან ვერცხლის კოვზებს პურის ფასად. საქორწინო ბეჭედიც ჩავუგდე ხარბ ცხოვრებას ხახაში, მაგრამ არასოდეს ვწუნუნებდი. ჩემი ცხოვრება პოეზიაში ჟონავდა და განცდების კულმინაციის შედეგად, ასე იქმნებოდა ლექსები.

იმავე პერიოდში აურაცხელი ცხოვრებისეული გამოცდაც ჩავაბარე. დადგა დრო, როცა ოჯახი შიმშილისაგან უნდა მეხსნა... საქმეც გამოჩნდა: ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური ნაწარმოების „ბჰაგავად-გიტას“ გასალექსად მაღალი ანაზღაურება შემომთავაზეს. მიხერული თანხა საცდელ სამუშაოებში, შემდეგ კი, დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში, თვიურად 1500 ლარი. ამ შემთავაზებამ საგონებელში ჩამაგდო. ოცნების თვალშეუდგამი „კოშკებიც“ ავაგე. არ დამრჩა მეგობარი, რჩევა არ მეკითხა. ჩემი მაშინდელი მოძღვრისგანაც თანხმობა მივიღე, მაგრამ რალაც მაინც არ მასვენებდა, ვეჭვობდი — საქმე სექტასთან მქონდა. ამის მიუხედავად შეთანხმება შედგა და საცდელი სამუშაოების გასამრჯელოდ 30 ლარიც მივიღე. სახლში წამოსულმა ვიგრძენი, რომ ჯიბეში 30 ვერცხლი მედო!.. თანხა მაშინვე დამეხარჯა. ძალიან ავფორიადი. რამდენიმე დღეში, სამსახურში 50-ლარიანი ხელფასის ნაცვლად, არც მეტი, არცნაკლები, 30 ლარი ავიღე... თანხა მაშინვე დავაბრუნე — ესეც თქვენი 30 ვერცხლი-მეთქი... არ დამავეწყდებოდა იმ ადამიანის უზომოდ გაოცებული და გაკვირვებული თვალები... თავად კი ჯიბეში 50 თეთრი ძლივს მოვჩხრიკე და საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. თითქოს უფლით ავივსე. ამ ამბავთან დაკავშირებით, დიდი განცდების შედეგად, სამი ლექსი დაიბადა.

მასხოვს, ერთხელ მეტროში, მოხუცებული ქალი მოწყალებას ითხოვდა, ხუთი თეთრითაც ვერ დავეხმარე და როცა მათხოვრის ხელი ჩემს ხელს შეეხო, შემრცხვა და მის გამონვდილ პეშეში ცრემლი ჩამივარდა.

უცნაურობებითაა სავესე ჩემი ცხოვრება. ერთხელ სამედიან ვბრუნდებოდი. ტაძრის ეზოს გამოსასვლელში მათხოვრებს მოეყარათ თავი. რაც ხურდა-ფული მქონდა ჩამოვურიგე. ერთ-ერთმა მკითხა, — მოწყვნილი რატომ ხარო? — პოეტი ვარ-მეთქი — ვუპასუხე. „თუ პოეტი ხარ, ლექსი გვითხარო“. — თავი არ დამიზოგავს, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ტაძრის წინ „პოეზიის საღამო“ გაიმართა. ჩემი ნიგნებითაც დავასაჩუქრე. გაოგნებულ-გახარებულთ მოწყალებისათვის ხელის განვდაც კი ავიწყებოდათ... აღარ გვეთმობოდა ერთმანეთი...

ჩემთვის ფული არასოდეს ყოფილა მთავარი. ამქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერება მხოლოდ ის არის, როცა გრძნობ, როგორ შემოდის შენს სულში უფალი...

თითქმის აღარც კი მასხოვს, უკანასკნელად როდის ვმუშაობდი. სამსახურს მუდმივად ვეძებდი. გამომცემლობებში ჩემი ადგილი ვერ ვიპოვე... ბოლოს გადავწყვიტე, სრულიად უცხო ადამიანებთან მივსულიყავი, თან მათი ფსიქოლოგიური დამოკიდებულებაც მაინტერესებდა უცნობის მიმართ. ვგრძნობდი, დიოგენეს ფარნით დავდიოდი და ადამიანებს ვეძებდი. ვაკიდან თავისუფლებამდე თითქმის ყველა დანესებულების კარზე დავაკაკუნე და სამსახური ვითხოვე. ვეუბნებოდი, რომ პოეტი ვიყავი, ხუ-

თი წიგნის ავტორი, გურამ რჩეულიშვილის პრემიის ლაურეატი, იენის უნივერსიტეტის პროფესორის, ჰაინც ფინ-რიხის მიერ გერმანიაში გამოცემულ „ქართველ მწერალთა კატალოგში“ შეტანილი და ჭურჭლის მრეცხავის ადგილს ვეძებდი, რისთვისაც ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა მოითხოვეს. „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!“ — ჭეშმარიტად ბრძენის ნათქვამია. მრეცხავის ადგილიც არსად აღმოჩნდა. ზოგი ზემოდან მიყურებდა, ზოგი — ქვემოდან. მახსოვს, მხოლოდ ერთადერთ, შუახნის ქალბატონს თვალები ცრემლით ავესო. ეტყობოდა, მწერლობის ფასი კარგად იცოდა... მაშინვე გამოვტრიალდი... და ქაშუეთთან ძალიან დიდი სასწაული მოხდა, გული რომ არ გამისკდა. ამდენი უარი არასოდეს მიმიღია... მთელი ცხოვრების უარები რომ შემეგროვებინა, იმ ერთი დღის დახვეწებულს ვერ აინონიდა. ფიზიკურადაც ძალიან დავილაღე. ფეხის ძირები მტკიოდა, უფრო მეტად კი სული.

რატომ გეგონა გული ბუდეს გამოლენავდა...

სულსაც სჭირდება ფორიაქი ჩამოგირითმოს...

არაფერია... დაგინუნეს, ჭურჭლის მრეცხავად?!

მინავლებული ნაკვერჩხალიც გამოსცემს სითბოს...

თავისი დაბადებით ისევ ლექსმა გამამხნევა.

თითქმის ყოველდღე ჩემს ცხოვრებაში სასწაული ხდება. ხშირად ისეთი გრძობა მეუფლება, უფლის სტუმრობა რომ ჰქვია და შიგნით ჩაბნელებულ კუთხე-კუნჭულსაც რომ ანათებს...

ჩემი შემოქმედება თიკანივით ჯიუტად მიუყვება დედინაცვალ ცხოვრების ნაკვალევს. მართალია, დედინაცვალ დედობას ვერასოდეს გაუნევეს, მაგრამ მის დევნაში ცხოვრებას სწავლობს და რამდენადაც მწარეა მინაზე დაწარცხება, იმდენად ტკბილია წამოდგომა. თუ არ დაეცი, წამოდგომის სიხარულს ვერ შეიგრძნობ და სხვის ჭირსაც საკუთარივით ვერ გაითავისებ.

— ქეთევან, ზღაპრებს წერ. რომელია შენი საყვარელი ზღაპარი?

— ზღაპრები ბავშვობიდან მიყვარს. პატარა რომ ვიყავი, სიზმრებშიც ზღაპრებს ვხედავდი — დევების ქორწილს, კუდიან დედაბრებს, ცხრათავიან გველეშაპებს, თვალუნვდენელ ქარაფებს, საიდანაც ვეშვებოდი და ხშირად იატაკზე ტუჩებდასისხლიანებულსაც გამომღვიძებია, მერე კი დედაჩემის უსათნოეს თვალებს დავუმშვიდებოვარ. ხანდახან ახლაც მგონია, რომ ზღაპარში ვცხოვრობ.

უპირატესობას ქართულ ხალხურ ზღაპრებს ვანიჭებ. ყველა დღის დიდებით რომ იწყება, თითოეულ მათგანში უფალი რომ სუნთქავს, სწორედ ამიტომაც გამოირჩევა განსაკუთრებული სიბრძნით.

ყველაზე მეტად მიყვარს ჩემი ბავშვობის ზღაპარი „მეჩონგურე“, სადაც უკვდავების ვაშლის მოსატანად წასული მეჩონგურის სიმღერაზე, გველეშაპს ჩასისხლიანებული თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდება და მეჩონგურეს სიცოცხლესაც აჩუქებს და უკვდავების ვაშლსაც. ბავშვობისას ეს ატირებული გველეშაპი ძალიან ხშირად თვალწინ მედგა ხოლმე.

სამი ზღაპარი მაქვს შექმნილი: „უფლის საჩუქარი“, „ცხოვრების გაკვეთილები“ და „საოცარი თევზი“. ძალიან

მინდა ზღაპრები ვწერო. წიგნების მალაზიებში თანამედროვე ზღაპრების დეფიციტია. იყიდება ან ქართული ხალხური, ანდა ცნობილი უცხოური ზღაპრები. ბავშვებს კი ახალი ზღაპრები უნდათ. ქართულ ზღაპარს ახალი სასიცოცხლო ძალა სჭირდება. კარგი იქნება გამომცემლობები ამაზე თუ იზრუნებენ.

— რას ფიქრობს გურამ რჩეულიშვილის პრემიის ლაურეატი დღევანდელ მომრავლებულ პრემიებზე? პოეტი ლექსით რჩება. კონკურსში გამარჯვება რამდენად არის პოეტის დონისა და ხარისხის განმსაზღვრელი?

— პრემია, რომელიც 26 წლის ასაკში მივიღე, პირველი კრებულისათვის „მაინც გათენებას ველოდები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომანიჭა. რჩეულიშვილის პრემია ჩემთვის განძია, რადგან მას გურამ რჩეულიშვილის სახელი ჰქვია. არასოდეს მიფიქრია, რომ ამით სახელს მოვიხვეჭდი და მის უკან თუნდაც მცირედი თანხა იქნებოდა.

ლექსი ანაზღაურების გამო კი არ ინერება, არამედ იმიტომ, რომ ის შენთვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, განცდების კულმინაციის ფურცლებზე გადმოღვრა. შემოქმედებითი შრომა უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. შედეგი კი ჩვენს ქვეყანაში პოეტური საღამოები და სასწაულებითი გამოცემული წიგნებია.

პრემიები სახელისა და დიდების გარდა, ფულსაც უკავშირდება. იმას კი არ ვამბობ, რომ პოეტი არ უნდა დაფასდეს... პირიქით, ყველაზე მეტად სასიხარულოა, რომ საზღაურის გარეშე დაწერილ ნააზრევს რაიმე ჯილდოს მიანიჭებენ, მაგრამ ეს ყველაფერი მარაზმად გადაიქცა. დღეს თვითონ იგონებენ პრემიებს საკუთარი თავებისა თუ ახლობლების დასაჯილდოებლად. სიყალბეა საკონკურსო ლექსებზე პოეტთა გვარ-სახელების არმინერა და ნომრებითა და „პაროლებით“ გაგზავნა. ჟიურიმ ძალიან კარგად იცის, ვინ რომელი ადგილი უნდა დაიკავოს. წარდგინებაზე კი ვითომ ეს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. შეიძლება რაიმე ყოფითი ჩაანყო, მაგრამ „ნიჭის ჩანყოფა“ არ შეიძლება. თუმცა პრემიებს ხანდახან ნიჭიერი ადამიანებისთვისაც იმეტებენ. ასევე საშინელ მარაზმად არის გადაქცეული პოეზიის საღამოები (რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება). ხშირად ხდება, რომ უნიჭოს ტაშს უკრავენ, ადიდებენ და სწორედ მას უჩნდება ამბიცია, რომ უპირველესი იყოს. ამას „პირველობის ავადმყოფობას“ დავარქმევდი. შეიძლება ისინი ამხილო, მაგრამ შური არ უნდა გაიკარო, რადგან თუ ვინმეს სხვა ადამიანისადმი შური ჩაუსახლდება, მაშინ მან მისი ცხოვრება და ცოდვებიც უნდა იტვირთოს. საერთოდ კი ყველას თავისი განსაზღვრული ადგილი აქვს პოეზიაშიც და ცხოვრებაშიც...

კონკურსში გამარჯვება არასოდესაა პოეტის შემოქმედების დონისა და ხარისხის განმსაზღვრელი. სწორედ ასეა — პოეტი ლექსით რჩება, მხატვარი — ნახატით. ჭეშმარიტი შემოქმედება ადრე თუ გვიან დედამიწას ამოხეთქავს და თუნდაც ლოდებში აყვავილებს. მაგალითისათვის ფიროსმანის გახსენებაც საკმარისია. მთავარია, რწმენა არ დაკარგო და კალამი ხელიდან არ გაგეშვას. ღვარძლი არ გაიკარო და „ხიბლში“ არ ჩავარდე, სუფთა გული და სუფთა ხელი გქონდეს, რომ შენმა ნიჭმა, უფლის

შენეწვით, ჭეშმარიტი შემოქმედება დაბადოს და ქვეყანას ემსახუროს.

— რას ფიქრობ თანამედროვე ქართულ პოეზიაში არსებულ ტენდენციებზე? ბოლო დროს რითმა ძველ-მოდურად მიიჩნევა, სამაგიეროდ, მომრავლდა ე.წ. ტექსტები. ახერხებ თუ არა, შენი სათქმელის სრულყოფილად გადმოცემას რითმიანი ლექსებით?

— უბრალო მაგალითით დავიწყებ: როდესაც ჩემი შვილები პატარები იყვნენ, მარიამი ლექსს კითხულობდა, რაზეც ზურვიკელა ცეკვავდა. ეს უტყუარი დასტურია ქართული ლექსის მუსიკალობისა. არაფერს ვამბობ გალაკტიონის პოეზიის მუსიკაზე, რომელიც განსაკუთრებულ ჰანგებს გამოსცემს. ქართულმა ტრადიციულმა ლექსმა, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სიტყვის მუსიკალობის მთელი ეპოქა შექმნა. ჩვენ კი ყველაფერში ხომ უცხოელებს უნდა ვბაძავდეთ?! რითმიანი ლექსში რთულია მთელი ნაზრევი ჩატიო, თან ძველი რითმებიც ნაკლებად, ან სულაც არ გამოიყენო. რითმის ძველმოდურად მიჩნევა, გაცილებით იოლი გზაა. ამიტომაც მომრავლდა ე.წ. პროზაული ტექსტები, რომლებსაც „თეთრ ლექსებს“ არქმევენ და პროზაში ერევათ. ვერლიბრს კი რიტმი ყოველთვის უნდა ჰქონდეს და პროზისგანაც უნდა განსხვავდებოდეს. თეთრი ლექსის სათავე ანტიკური ხანიდან იწყება და მასზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება ახალ რითმებს, ისინი ისევე უღვივია, როგორც ზღვაში თევზი, მხოლოდ მიგნება სჭირდება. რითმიანი ლექსი წყაროსავით რაკრაკებს, ჩიტვით გალობს. ურითმო ლექსს კი ვერც დაიმახსოვრებ. თუმცა ნიჭიერი შემოქმედი თავის ნააზრევს როგორი ფორმითაც უნდა, ისე გადმოსცემს.

რითმიანი ლექსებით ჩემს სათქმელს ყოველთვის ვამბობ.

— დღესაც გრძელდება დაყოფა პოეტურ კასტებად. „კარის პოეტებად“, ჭეშმარიტ პოეტებად... არსებობენ „უსახელო უფლისციხელები“, რომლებიც არანაირ პროვილეგიას არ ითხოვენ. რას ფიქრობ ამის შესახებ?

— არ მჯერა ისეთი „მწერლების“, რომლებიც „სახელს იმკვიდრებენ“ თამარ მეფის შეურაცხყოფით, „ვეფხისტყაოსნის“ ნაბილწვით და ე.წ. ნაწარმოებებში უხვად გამოყენებული „ცხრა სართულიანი“ გინებით. რეკლამა სწორედ მათ ემსახურება. ზოგი მათგანი საგანგებოდ მიდის ევროპისა თუ ამერიკის ძვირადღირებულ სასტუმროებში „შედეგების“ დასაწერად, ზოგი კი ინგლისურადაც წერს, თითქოს უძველესი, მშობლიური ენა და დამწერლობა არ ჰქონდეს. ყველას კარგად მოეხსენება, ვაჟა-ფშაველა სად და როგორ პირობებში ქმნიდა გენიალურ ნაწარმოებებს.

ფუფუნება და ხელისშეწყობა „კარის პოეტებს“ არ აკლიათ, მაგრამ არსებობენ „უსახელო უფლისციხელებიც“, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან სიტყვას და არანაირ პროვილეგიას არ ითხოვენ. პოეტი მურღვა არდოტელი (ნიკო ზვიადაური) პირიქითა ხევესურეთში ცხოვრობს და სიტყვისა და ერის უანგარო მსახურია. საქართველოს საზღვრის მცველი, მიღმახვეის მეციხოვნე, მთაში მძიმე შრომით, სამშვილიან ოჯახსაც უძღვება, სააქაო საქართველოსაც მასპინძლობს და ლექსებსაც კვეთავს საჭრეთელით. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ერთ-ერთ ნომერში

ფოლკლორისტმა სოფიო ჯაფარიძემ მურღვა არდოტელი საზოგადოებას გააცნო.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ასეთი წერილები და ინტერვიუები სულის საკვებია დღევანდელ გამოფიტულ ყოფაში. მურღვას მსგავსად „უსახელო უფლისციხელია“ ყაზბეგის რაიონის მკვიდრი, ღირსეული და ღირებული პოეტი თენგი ავსაჯანიშვილი. თბილისში კი ნამდვილ პოეტებს ხომ კადრს მიღმა უწევთ ცხოვრება.

იმედია, დრო ყველაფერს გაფილტრავს და ჭეშმარიტი შემოქმედება მარადიულად დარჩება.

— ამბობენ, თანამედროვე საქართველოში ლექსი არავის სჭირდებაო. როგორ ფიქრობ, რატომ დაკარგა ლექსმა მკითხველი?

— ჭეშმარიტი პოეზია სულის სისუფთავეა, ანდა მისკენ მიზანმიმართული სწრაფვა. თანამედროვე საქართველოს უზნეო ყოფას, სულის სისუფთავე ისე სჭირდება, როგორც არასდროს, მაგრამ რეკლამა უკეთდება უზნეობას, გარყვნილებას, რაც იზიდავს ადამიანის ისედაც ცუდი საქმისაკენ მიდრეკილ გონებას. თითქმის მთელი ტელევიზია ერთი დიდი შოუა, რომელიც ადვილად იპყრობს საშოვარსა თუ საარსებოზე გადაგებული მასის ისედაც დაქანცულ გონებას, სადაც ჭეშმარიტების ადგილი ნაკლებად თუ მოიძებნება. ტელევიზიაში — მასობრივი მკვლევლობები, უბედურებები, ისეთი ფილმები, მაღლობა უნდა ვთქვათ, ადამიანებმა ერთმანეთი რომ არ შეეჭამათ.

ინტერნეტში ბევრი საინტერესო ინფორმაციის მოძიება შეიძლება, მაგრამ ხალხის ძირითადი ნაწილი გასართობს უფრო ეძებს, ვიდრე სააზროვნოს. ტელევიზიაში ტრიალებენ ერთი და იგივე ვაი-პოეტები... ჭეშმარიტი შემოქმედება მდორე ხარისხის მწერლობით ჩაანაცვლეს, რამაც მიზანმიმართულად ადამიანთა სულიერების დაქვეითება გამოიწვია. მკითხველს კი ჰგონია, რომ რუსთაველის ქვეყანაში პოეტი აღარ არსებობს... ადამიანები ზედაპირულები გახდნენ და მხოლოდ მცირე ნაწილს შეეძინა სალი აზროვნების უნარი. ხალხს ჭეშმარიტი ღირებულება დაუშალეს. ასე მგონია, თუ მათ უჩვენებ და დაანახებენ ნამდვილ შემოქმედებას, ისინი მას დანახავენ და უეჭველად აღმოაჩენენ. ლექსს მკითხველი კი არ დაუკარგავს, არამედ დააკარგვინეს, რადგან სულიერი ღირებულებების გარეშე, ადამიანი ადვილად სამართავი ხდება.

— როგორც გოდერძი ჩოხელი იტყოდა, რა არის შენი ყველაზე „დიდი დარდი“?

— „სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა“.

— სიკვდილი?

— „სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“ — განმარტა გოდერძი ჩოხელმა. ეს „დიდი დარდი“ გაათასკეცდება, როდესაც ხედავ დღევანდელ საშინელ ყოფას. სწორედ ამას ვერ გაუძლო გოდერძი ჩოხელის ფაქიზმა სულმა.

ჩემი დიდი დარდი სამშობლოა, მამულ-წყალია. ყოველი დღის გათენებისას ეს დიდი დარდი გულსა და გონებაში ღრუბლად ჩამოწვება ხოლმე და საგონებელში მაგდება. დღეს უძღურებაში მყოფია საქართველო. არ ვიცი, შეიძლებოდა თუ არა, მაგრამ ყოველდღიურობით აფორი-

აქებულს, მისთვის „უძღურებაში მყოფის ლოცვაც“ წამიკითხავს. საზოგადოება სერიოზულად ავადაა, უფრო სწორად დაიმსხვრა და მისი ნამსხვრევებისაგან მცირე, მოაზროვნე ნაწილია გადარჩა. უნდათ, რომ ეს მცირე ნამსხვრევებიც ერთმანეთს დაუპირისპირონ, ჩამარხონ და საქართველო ერთ დიდ სასაფლაოდ აქციონ!..

ეს არ მოხდება!!!

— უნდა იყოს თუ არა პოეტი სამშობლოს გამეორება?

— პოეტი და არა მარტო პოეტი, სამშობლოსათვის უნდა ცხოვრობდეს, სამშობლოსათვის უნდა სუნთქავდეს და მისი გადარჩენისათვის იბრძოდეს. შენს ქვეყანაზე უკეთესად, რაც არ უნდა კარგად იცხოვრო, რაც არ უნდა აწყობილი გქონდეს ცხოვრება, თუ აღარ გექნება „ენა, მამული და სარწმუნოება“, თუ სამშობლო შენი დაუდევრობით, თვალსა და ხელს შუა გაგიქრება, კარგად ვერ იქნები. შენც აღიგევი პირისაგან მინისა, ამიტომ თუ ქვეყნისათვის არა, შენი გადარჩენისათვის მაინც უნდა იბრუნო.

ჩვენ ის ქვეყანა ვართ, ქრისტეს ნატანჯი პერანგი გულში მაგრად რომ ჩავიკარით და ვერავინ წავგვლიჯა, ჩვენ 100 000 მონამის, წმიდა ქეთევან დედოფლის ნაწამები სულისა და სხეულის ქვეყანა ვართ... ღალატი და მტრობა უღევად გვქონდა, მაგრამ ქვეყნის ჭირ-ვარამი ერთეულების მხრებზე გადასულა. ჩვენი ქრისტიანული ერთგულება და მაღლი არა მხოლოდ საქართველოს, მთელ დედამიწას ამაგრებს სამყაროს სივრცეში.

ჩვენ ის უძველესი ერი ვართ, უკვდავების წყლის მოსატანად რომ გვაგზავნიდნენ და ჩვენივე სამშობლოს გადასარჩენად, საკუთარი სისხლი, პეკვებით მოგვქონდა.

რატომ დავებჩავით... ასე რიგად რატომ დავითრგუნეთ, სად გაქრა ჩვენი ვაჟკაცური შემართება, მამაცი სული?! გრაალის თასში ერთი და იმავე მნიშვნელობით ჩანურულია საქართველო და ქრისტიანობა. ამ თასს ყველამ ერთად ხელი მაგრად უნდა ჩაგჭიდოთ, რომ მსოფლიო გლობალიზაციაში აღრეულებმა ერთმანეთი არსად დავკარგოთ და ღვთის შეწვევით, გადავრჩეთ. ქართველები ხომ ოდითგანვე გრაალის მცველები ვიყავით!..

— რა არის შენი ჰობი?

— ქვებს ვაგროვებ... ხევსურეთიდან მთის ბროლები ჩამოვიტანე, ზღვისპირეთიდან — ფერადი კენჭები. სიპი ქვებიც მაქვს, ფიქალი რომ ჰქვია, ზოგი მიღმახვეიდან, ზოგი ყაზბეგიდან. ხერთვისიდან და საფარიდან ვულკანური წარმოშობის ლოდის ნატეხები წამოვიღე.

მახსოვს, საფარის მონასტრის ეზოდან გამოვდიოდი, გარეთ მძლოლი ძალიან ჩქარობდა. ტაძრის ეზოში საკმაოდ დიდი და ლამაზი ქვა დავინახე. შევჩერდი. დაუკითხავად ვერ წამოვიღებდი, მაგრამ არც მეთმობოდა. მძლოლი ისევ აჩქარებდა მგზავრებს. ჭიშკრიდან გასული, შემოგტრიალდი, ქვა გულში ჩავიხუტე და მონასტრისკენ გავიქეცი. თითქმის გულამოკვარდნილი, ქაქანით მივიღი მოძღვართან და ქვის ნამოღების ნებართვა ვთხოვე. მან ჯერ გაკვირვებულმა შემომხედა, შემდეგ კი ღიმილით დამთანხმდა. მოძღვარს დიდი მადლობა გადავუხადე და გულში ჩახუტებული ქვა ისევ სირბილით სამარშრუტო მანქანამდე მივიტანე. თანამგზავრები გაკვირვებულები იყვნენ, — რისთვის გინდაო — მეკითხებოდნენ. ერთხელ ჩემმა ერთმა მეგობარმა ხუმრობით მითხრა: — შენ იმდენ ქვას და-

აგროვებ, ერთ სახლს ააშენებო. ჩემი გოგონა კი მეუბნება: — ალბათ, ქვები იმიტომ გინდა, საქართველოს მტკიცე საზღვარი შემოავლო, რომ მტერი ველარ შემოვიდესო. ასე იცინიან ხოლმე...

მე და ჩემს ქმარსაც, ხევსურეთიდან ფეხით წამოსულებს, ვინ იცის რამდენ კილომეტრზე გვითრევია ლამაზი მთის ბროლებით დამძიმებული ზურგჩანთები, მაგრამ გადასაყრელად არასოდეს გაგვიმეტებია.

შარშან, იერუსალიმიდან ჩამოტანილი „მოსეს ქვა“ მარჩუქეს. შუაზე გატეხილ კაკალს ჰგავს. გულის მაგიერ, შიგნით, პანანინა ბროლები უწყვია. ვინ იცის, რამდენი ამბის მომსწრეა... ვინ იცის, რა სინმინდია...

ძალიან მიყვარს ქვები. მათ დიდი იდუმალება მოსავთ.

— რომელია შენი საყვარელი ყვავილი?

— როგორც პოეზიის ზღვიდან არ შემიძლია საყვარელი პოეტის ამორჩევა, ისევე არ შემიძლია საყვარელი ყვავილის დასახელება. ყველას თავისი ადგილი აქვს. მიყვარს კარგი ლექსები და ლამაზი, სურნელოვანი ყვავილები.

არსებობენ ქოთნის, ეზოს, მიწდვრის, ტყისა და მწვერვალების ყვავილები. ტროპიკულ ჯუნგლებში მტაცებელი ყვავილებიც ხომ არიან?! ყველას თავისი სურნელი და სიმბოლიკა აქვს: ვარდი ბუნებისა და ხელოვნების ერთიანი შემოქმედების სიმბოლოა, ია — სინაზისა და მოკრძალების, სუმბული — მარადიული ხსოვნის, ადონისი — უკვდავი სიყვარულის, ცისანა — ერთგულებისა და მეგობრობის, ქრიზანთემა — მაცოცხლებელი მნათობის, ნარგიზი — თავის თავზე შეყვარებული ადამიანის, პეონი — თავმომწონეობისა და ამპარტავნების, ყაყაჩო — უდანაშაულო მსხვერპლის, ტიტა — ბავშვური ბედნიერების სიმბოლო...

ძალიან მიყვარს აყვავებული ხეხილი: ბრონეულის, ტყემლის, ატმის ყვავილები. არ შეიძლება ვარდი იას შეადარო, ან სუმბული — ქრიზანთემას. როგორ შეიძლება იასამანი არ გიყვარდეს, ანდა ჟასმინის სურნელებით არ დათვრე. კაქტუსის უღამაზეს ყვავილებსაც ხომ იდუმალი სურნელი აქვთ?!

ერთხელ ერთმა მთამსვლელმა ტიანშანიდან ჩამოტანილი ედელვაისები მარჩუქა. ისინი ხავერდის ნაჭერზე ჩავამაგრე და გამორჩეული საჩუქარი ჩარჩოში ჩავსვი. ხანდახან წიგნებში ჩემივე ჩადებულ გამხმარ ყვავილებსაც ვპოულობ ხოლმე.

ყვავილებსა და პოეტებს შორის განსაკუთრებული, იდუმალი ურთიერთობა არსებობს. მიხაკი ტიცვიან ტაბიქეს მაგონებს, ყაყაჩოები — ლადო ასათიანს, აყვავებული ბრონეული — ჯანო გიორგაძეს. პანანინა იამ კი ყოველთვის ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველა უნდა გამახსენოს.

თუკი ყველა პოეტის შემოქმედებას თავისი განსაკუთრებული ყვავილის სურნელი უნდა ასდიოდეს, მაშინ ჩემს ლექსებს, ალბათ, ქრიზანთემების სურნელი ექნებათ, იმიტომ, რომ შემოდგომით ქრიზანთემებთან ერთად დავიბადე. წელს ჩემი დაბადების დღე მეტად უცნაურ თარიღს 11.11.11-ს დაემთხვა.

ალბათ მკითხავ, შოთა რუსთაველი რომელი ყვავილის სურნელს გაგონებსო, და გიპასუხებ კიდევ — „ვეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებული, ვაზის ყვავილობის უძველესი სურნელი აქვს, ათას, ასი ათას, მილიონ ყვავილის სურნელში რომ გამოარჩევ.

ნინო დეკანოიძე

ზეიმი, რომელიც ყველასთან დარჩება

დასაწყისისათვის გინდა რაღაცას ჩაავლო. თუნდაც პანია შტრიხი, გაგონილი სიტყვა თუ დანახული სურათი მისაყურისძირებლად არ გაიმეტო და შეაშველო შესაფერისი ფორმა გამოსახატავად, რათა ერთფეროვნებასაც აცდე ცოტათი, თანაც განაცდევინო გარემო წამკითხველს, ვისაც ჩვევად აქვს, შინაურ რეპორტაჟებს თვალი მიადევნოს ჩვენს ჟურნალში.

ტრადიციული სამშაბათობა 11 მაისის. მზადება სტუმართან შესახვედრად. დარბაზს თანდათანობით ემატებიან. მწკრივებში ჯერ კიდევ ჩანს თითო-ოროლა თავისუფალი სკამი. მიუხედავად ამისა, პოეტურად შემოსილი სიფრიფანა ქალბატონი კიბეზე წამოსკუპებას ინებებს თინეიჯერივით. უმჯობეს ადგილს შესთავაზებენ და იუარებენ. აქ მირჩევნია, ყმანვილებთან, ფოტოებსაც მოხერხებულად გადავიღებო...

ლონისძიების სტუმარი — თეატრისა და კინოს ცნობილი მოღვაწე.

ხალისიანი მასპინძლის გულითადი სიტყვის შემცირებულის ვარიანტი.

როსტომ ჩხეიძე: ...ასეთ დროს აუცილებელიცაა ხოლმე პროფესიის აღნიშვნა, თანამდებობის მითითება, ტიტულების დასახელება, მაგრამ ეს არ სჭირდება გოგი ქავთარაძეს, იმიტომ, რომ ის არის გოგი ქავთარაძე.

გვსმენია და ვიცით ცნობილი მოღვაწენი, რომლებსაც არ აკლიათ დაფასება-აღიარება, მაგრამ მაინც ვერ იმკიან იმ სიყვარულს, რაც რჩეულთა ხვედრია. ძალიან ცოტა ადამიანია დაჯილდოებული საყოველთაო სიყვარულით, რომ შემოვხაზოთ ჩვენს გონებაში, თუ ვინ გვიყვარს, ეჭვი არ მეპარება, ერთ-ერთი უდავოდ ბატონი გოგი აღმოჩნდება. და ამ დროს ჩვენ თვალწინ გადაიშლება პანორამა იმ ქართული ფილმებისა, სადაც მან თავისი ნიჭი ჩააქსოვა და პიროვნული თვისებებითაც გახდა დასამახსოვრებელი: „ქორწილი“, „თეთრი ქვები“, „განგაში“, „ჩარიამა“, „მაცი ხვითა“ და არაერთი კინოხელოვნების ნიმუში შეგვიძლია მოვიხმოთ. თუმცა ბატონი გოგი თეატრის რეჟისორიცაა. პოპულარობა კი, ალბათ, უფრო კინო-როლებმა მოუტანა. ჩვეულებისამებრ, მსახიობი თამაშობს იმ პერსონაჟს, რომელიც უნდა განასახიეროს. მაგრამ ისე მოხდა, რომ გოგი ქავთარაძის კინონიღები მისი სულიერების გამომხატველიც აღმოჩნდა. ამ დროს ძნელია გასამიჯნავად როლი და პიროვნება. და რომ გავიხსენებთ მის პერსონაჟებს, არიან ალალი, მიაბიტი, უხო-

მოდ შეყვარებულნი ადამიანზე. სწორედ ასეთია ბატონი გოგი.

დღეს, როგორც საერთოდ ნიშანდობლივია ჩვენი თავყრილობებისათვის, უპირველესი იქნება უშუალობა და სინაფელი. ბევრი რამ აქვს გასახსენებელი ბ-ნ გოგის. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა შუაგულში ტრიალებს, უამრავ ადამიანთან ჰქონია ურთიერთობა და გულდასაწყ-

ვეტი იქნებოდა, ეს ყველაფერი გამქრალიყო, დავინყებას მისცემოდა. კარგია, რომ მოგონებების წერა დაიწყო. ვიგულისხმობ, სულ მალე მისი ავტობიოგრაფიული რომანი, როგორც სანდო ნიგნი, გვექნება ხელთ.

ვიდრე დარბაზი განწყობა დიალოგისათვის, თეატრის ცნობილი მსახიობი დიმიტრი ჯაიანი მონდომებს სიტყვა თქვას: მოგესალმებით, ჩემო ძვირფასებო. დაწყება ცოტათი ძნელია, მაგრამ ამჯერად არ უნდა გამოძინდეს, რადგან ისეთ პიროვნებაზეა საუბარი, საოცრად რომ უყვარს საქართველოს. უპირველესად მინდა აღვნიშნო გოგი ქავთარაძის კეთილი ბუნებრივი თვისებები. ამ ადამიანის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა. ხოლო ის ათი წელიწადი, სოხუმში რომ დაჰყო ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად

გოგი ქავთარაძე

და ემსახურა ეროვნულ საქმეს, ბიოგრაფიაში შემორჩება განსაკუთრებულად; მისი რეჟისორობის პერიოდი იყო „ოქროს ხანა“ ქართული დასისათვის. რასაკვირველია, არც მანამდე აკლდა თეატრს პროფესიონალები. გნებავთ, გავიხსენოთ ვასო ყუმიტაშვილი — გენიალური რეჟისორი. აგერ, დარბაზში ბატონ ზურაბ კანდელაკს ვხედავ, მასაც საოცარი სპექტაკლები ჰქონდა სოხუმის თეატრში, ან რომელი ერთი ვახსენო — ლერი პაქსაშვილი თუ იური კაკულიანი... საოცარი ხალხი. მაგრამ ის ათი წელიწადი მაინც სულ სხვანაირი იყო — ტრიუმფი სპექტაკლებისა: „ბრძოლა ტახტისათვის“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „თოლია“, „ფსკერზე“...

და აი სოხუმისკენ მიდრეკილმა გონებამ და ნაღვლიანმა ფიქრმა ერთი ძველი ამბის მოყოლა მოანდომა; როცა სოხუმის თეატრმა, ხუთთვიანი გასტროლით საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში იმოგზაურა: მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, მინსკი, მურმანსკი და ბალტიისპირეთშიც გადაინაცვლეს. წარდგენენ რიგელი მყურებლის წინაშე სპექტაკლი — „ბრძოლა ტახტისათვის“.

დიმიტრი ჯაიანი ემოციურად ახმინანებს: — ახლა რასაც ვიტყვი, არსადა აღნიშნული, ეტყობა შემთხვევა არ მომეცა. მეამაყება ეს ამბავი და ბარემ გაგიზიარებთ. ერთი სიტყვით, გადაჭედილი დარბაზი. მსახიობებმა ცეცხლი დაანთეს სცენაზე, შეუძლებელი შეძლეს. მთავრდება პირველი მოქმედება ჩემი მონოლოგით, სადაც პატრიოტული მუხტი ელვარებს... და მიეწყო ტაშიც. მიუხედავად იმისა, ფარდა დაეშვა, ოვაცია არ ცხრებოდა. ბისზე გვიხმობდნენ, რაც



ყოვლად წარმოუდგენელია დრამატული თეატრისათვის... სინდისს გეფიცებით, მთელი 15 წუთი არ გაჩერებულანო.

ატყობს ორატორი, მსმენელიც რომ აიყოლია. თავმომწონეობაც ემატება, მაგრამ რად გინდა, გოგი ქავთარაძე გადაულაპარაკებს: — ნოდარ მგალობლიშვილს არ სჯერაო.

განა იუარებს დაბეზლებული. ასხეპილი კეთილი ღიმილით ბეჭედს დაუსვამს გოგი ქავთარაძეს — არ მჯერა შენი არაფერი, საერთოდო.

— იკითხოს ბატონოო, — წყენას დაიტყობს ღიმიტრი ჯაიანი, — ჩემ გარდა იმ სპექტაკლში ორმოცდაათი კაცი თამაშობდა და თუ არ სჯერა, იკითხოსო.

— მაინც არ სჯერაო, — ახლა მასპინძელიც რომ ვითომ უთანაგრძობს და გახალისებულ დარბაზსაც გადახედავს ენერგიული მთხრობელი, სხვა ამბის გუნებაზეც მოვა: კერძოდ, თუ როგორ მიიწვია გოგი ქავთარაძემ გიზო ჟორდანიას „მარადისობის კანონის“ დასადგმელად თეატრის ახალმიჩენილ სცენაზე. და ეს ქმედება მისი კეთილშობილებითა და მისი პროფესიული თავმდაბლობით ახსნა. და კიდევ გამოკვეთა გოგი ქავთარაძის განსაკუთრებული უნარი, რომ პირადულ შეხედულებებს თეატრში მოღვაწეობას არასოდეს უქვემდებარებს. არის მიმტეველები, რომ იცის ნამდვილი ხელოვანის ფასი და ამ თვალსაწიერიდან წყვეტს ნებისმიერ პროფესიულ საკითხს, თუნდაც სადავოს.

და ბოლოს, გულს დააკლდა ომახიან მთხრობელს; რახან უმეტესიც ემეტებოდა სათქმელად, მუხრან მაჭავარიანის ლექსი მოიშველია:

**მატარებლიდან მოვკარი თვალი,
მუხლამდე წყალში ბიჭები იდგნენ,
არაფრის გამო, თან გავიხარე
თუ არ გინახავს, ვერ წარმოიდგენ.
მატარებლიდან მოვკარი თვალი
მუხლამდე წყალში ბიჭები დგანან,
ჭიდან წყალს იღებს ვილაცა ქალი,
რა ლამაზია ჩემი ქვეყანა!**

ალარ დაყოვნებს როსტომ ჩხეიძე შეკითხვასაც: **ბატონო გოგი, ასეა ხოლმე. მსახიობს, რეჟისორს თუ მწერალს ძნელად გამოერჩევა როლი, სპექტაკლი, ნაწარმოები. ყველა ერთნაირად მიყვარსო, გავგივონია. თქვენთვის თუ არის გამორჩეული კინოროლი ან სპექტაკლი (დადგმული ან ნათამაშები).**

— ძნელია, რასაკვირველია. კეკელუცობისთვის კი არ ამბობენ, მართლაც შეილებივით არ გამოერჩევათ. მე მაინც მგონია, ეს არის სოსოია ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მე ვხედავ მზეს“. გიგა ლორთქიფანიძემ მანდო სრულიად ახალგაზრდას როლი მარჯანიშვილის თეატრში... აქ არის კაცი, ვისმა თაობამაც მე გამზარდა (ნოდარ მგალობლიშვილს გულისხმობს). მაღლიერი ვარ და არც არასოდეს დამავინწყდებო. მერე იყო პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე — გიზო ჟორდანიას რეჟისორობით, შექსპირის შაილოკი — დოდო ალექსიძესთან. როგორც რეჟისორი კი ვიტყვი, კარგი სპექტაკლი ჯერ არ დამიდგამს, ასე მგონია.

საერთოდ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი, თეატრი ყოფილიყო ერთიანი, გუნდური — საერთო საქმისათვის. ხელმძღვანელობა — ეს სულ განსხვავებული მოვალეობაა. თქვენ მიმხვდებით, ბ-ნო როსტომ, როგორც რედაქტორი. წარმომიდ-

გენია, როგორ არჩევთ და ალაგებთ ჟურნალის ამა თუ იმ ნომერს წინასწარ. თეატრის ხელმძღვანელობა ადამიანებთან ურთიერთობაა. თუ ახლობლური განცდა არ გაგაჩნია დასთან, თუ საერთო მაჯისცემას ვერ გრძნობ, არაფერი გამოვა.

იყო ასეთი შემთხვევა. ერთხელ, დღილი მივიჩქაროდი რეპეტიციასზე. კოლეგა შემხვდა და შემომჩვილა გაბეზრებულად, რეპეტიციასზე მივიღივარო. გავიფიქრე, ან თავს რად ინვალებს, ან იმათ რას ერჩის-მეთქი. მერე, სულ სხვა ვითარებისას, ვკითხე მის ერთ-ერთ მსახიობს, როგორი ხელმძღვანელია-მეთქი. მიმიხვდები ახლავყო. ამას წინათ ორმოცამდე კაცი სცენაზე შეგვეკრიბა და ჩვეულებრივამებურ, გაიტაცა ლაპარაკმა, თან უკან-უკან იხევდა და ისე ჩავარდა ორმოში, არავინ მოინდომა გაეფრთხილებინაო. ასეა, ვილაცამ ხომ უნდა დაგიძახოს, არიქა, არ გადავარდეთო...

ისევე ხალისიანი ამბის გაზიარებას მოინდომებს: — სოხუმის თეატრში რომ მივედი, წინდანი გამაფრთხილეს, სერგო პაჭკორია და ბორის თოფურიძე არ ელაპარაკებიან ერთმანეთს ოცდახუთი წელიაო. ცალ-ცალკე გავიხმე, რა უსაშველო გჭირთ-მეთქი. — არ მიხსენო მაგის სახელიო — იყო ერთის პასუხი. მეორეც გაურკვეველად აბუზლუნდა. საბაბი აღარც ახსოვდათ შემოწყობისა და მიერჩვივნენ იმნაირად ყოფნას. ერთხელაც, გასტროლებზე მივემგზავრებით მატარებლით. ისე მოვახერხე, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადავიდებულეც ცალკე კუბე შევურჩიე. პირველად სერგო პაჭკორია მოკალათდა. მალე ბორის თოფურიძემაც მიუკაკუნა კარზე. რაღას იზამდნენ. ამასობაში დაიძრა მატარებელიც და კარგა მანძილზე სოხუმსაც რომ გასცდა, ვაგონში ლილინი დატრიალდა. იმ ლილინმა მათ კუბესთან მიმიყვანა და რას ვხედავ: შემოუდგამთ შინახადი ჭაჭა თავისი მისაყოლებლით და უჭახუნებენ გემრიელად. — კაცო, ახლა მიხსენე გამაგებინეთ, რატომ ემდუროდით ერთმანეთს-მეთქი. ვერ გაიხსენეს...

სულ ვცდილობდი, კაი გარემო ყოფილიყო ჩემს ახლობლებს შორისო, ყველას გასაგონად ხომ იტყვის, თავმომწონედაც გადახედავს ჩვენს რედაქტორს და რასაკვირველია, არ იცის, მსგავს შემთხვევას „აქეთაც რომ ჰქონდა ადგილი“. ერთმანეთზე გამწყარალ, ორ ძალიან კარგ კაცს და რედაქციის ჩინებულ მუშაკებს მიუჩინა ნათელი და მყუდრო ოთახი. რა თქმა უნდა, გაუმართლა ჩანაფიქრმა, და თანაც როგორ!..

გოგი ქავთარაძემ აღნიშნა, რომ სიყვარულის გარეშე თეატრი არ არსებობს. იმ სისხლიან 37-ში, როცა არსთაველის თეატრის მსახიობები ემსხვერპლნენ რეჟიმს, მარჯანიშვილიდან არავინ დაუსმენიათ. მიხეილ ლორთქიფანიძე, ერთადერთი კაცი შეიწირა რეპრესიამ, ისიც ოჯახს უმტრეს. კამათისა და ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, მაინც უვლიდნენ ერთმანეთსო.

იყო ეს ტრადიცია მარჯანიშვილის თეატრში და მეც მომყვება, რადგან 18 წლისა მივედი, ანუ იქ დავიბადე და, როგორც ჰემინგუეი იტყოდა, ეს არის ზეიმი, ყოველთვის ჩემთან რომ იქნება.

ასე რომ, გაჭიანურებულად გიპასუხეთ, მაგრამ გულის კარნახით კი მოგახსენეთ.

სალომე კაპანაძე — ყველა თქვენი როლი ვიცი და მომწონს. შაილოკი და ბაჩანა განსაკუთრებით მიყვარს, რადგან სოხუმი მახსენდება... დიდებულად ჩაიფიქრეთ ჟიული შარტავას, მართლაც ეროვნული გმირის ხსოვნის საღამოც. უნდა გთხოვოთ, სოხუმურ პერიოდზე მოგვიყვით. რა გაქვთ მოსაგონარი? ოღონდ პოლიტიკის გარეშე.

— როდესაც სოხუმში ჩავედი, უკვე დამთავრებული

იყო ყველაფერი. ორად გახლეჩილი თეატრიდან ქართულ დასს სხვა შენობა მიუჩინეს. ვიდრე საცხოვრებლად ბინას გამოიმყოფდნენ, სასტუმრო „აფხაზეთში“ გაჯერდნენ. სხვა-თაშორის, პირველი, ვინც მინახულა, იყო ნური ქიშმარია, აგრეთვე აფხაზური თეატრის მსახიობები. ჩვენ ვმეგობრობდით სტუდენტობის წლებიდან და ურთიერთობასაც ვინარჩუნებდით. ერთხელ, შინაურ სადილზე, უშანგი მეზურნიშვილთან ერთად სერგო ბალაფშიც მივიპატიჟე. დედაჩემმა ტკბილად უმასპინძლა სტუმრებს. მერე და მერე, აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი, როცა შემხვდებოდა ხოლმე, აუცილებლად მოიკითხავდა გულითადად დედას.

ვაკონინებდით ერთიანობას რალაცნაირად, თანდათანობით კი ცივდებოდა და გულგრილდებოდა. ველარ ვუშველეთ. და თუ რამის გამოსწორება გვინდა, კარგი უნდა გავისხენოთ. ქრისტიანები თუ ვართ, ვიყოთ მიმტყვებლნიც. რასაკვირველია, ძნელი საქმეა, მაგრამ მაინც ვცადოთ.

გენო კალანდია გულითად სიტყვას შეაგებებს მეგობარს: გოგი ქავთარაძეს არ სჭირდება საზოგადოების წინაშე წარდგენა. იმდენად საყვარელი და სახალხო კაცია. ბედნიერი ვარ მისი მეგობრობით. საერთოდ მთელი ცხოვრება განვებივრებული ვიყავი უღალატო დიდი კაცებით, დიდი ქართველებით. გოგი სულ სხვაა. მისი მოღვაწეობა აფხაზეთში, მართლაც ზეიმი იყო ჩვენთვის. ახლა რომ უნდათ დაამკვიდრონ, თითქოს სოხუმი არასოდეს ყოფილა ქართული და აფხაზეთიც გარუხებული იყო, არ არის მართალი. სოხუმში ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება ცოცხლობდა იქ მოღვაწე მამულიშვილთა თავდადებით. დამოუკიდებელი ცხოვრება რომ უნდა დაგვეწყო, იმ დროს ჩამოვიდა გოგი ქავთარაძე. მერე კი სლოვაკი მწერლის პიესა „შეცდომის უფლება“ რომ ვთარგმნი თეატრისთვის, იმ სათაურს დავუესხებით: თქვენ არასოდეს შემცდარხართ, როგორც ქართველი, როგორც პატრიოტი და როგორც ძმა. აი ახლა, როგორი სიყვარულითა და ტკივილით ვისხენებთ აფხაზეთს, და სამაჩაბლოსთან ერთად, ვერაფერზე გავცვლით, მითუმეტეს NATO-ზე. ჩვენს სამკვიდროში აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ.

გოგი ქავთარაძემ — გენომ პიესა ახსენა და თითქოს შემავალიანა, გითხრათ, ჩემს წიგნსაც „შეცდომები“ ჰქვია. სამწუხაროდ, ადამიანის ცხოვრება ჯაჭვია შეცდომებისა, სულ ცდილობს გამოსწოროს, მაგრამ არ შესწევს ძალა.

თეატრმცოდნე **ვენერა ანდრონიკაშვილი**, ერთ-ერთი პირველი პედაგოგი გოგი ქავთარაძისა, ინსტიტუტის წლებზე მოყვება, ზუსტად და ხატოვნად, თანაც, ნამონაფარის ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოჩენა გამოუვა სახელდახლოდ: — უპირველესად მასში ამოიცნობოდა შინაგანი, დაფარული არისტოკრატიულობა, ემჩნეოდა ოჯახიშვილობა. და რაც მთავარია, ის ხელოვნებაში მოვიდა ნამდვილი სათქმელით. თითქმის არაფერი ჩამქრალა მის ხასიათში. გოგი არის ისევ შინაგანად მართალი, ანათებს იმ დიდი სიკეთით, ადამიანში ადამიანის მონახვას რომ შეადლებინებს. აქვს ნიჭი სხვისი გახარებისა და ეს გრძნობა ქვეყნისადმი მისი დამოკიდებულებით აიხსნება.

რომც არ გინდოდეს, უნდა გამოხვიდეო, საკუთარ თავზე ამბობს **ნოდარ მგალობლიშვილი**: — ბ-ნ გოგიზე საუბარი ძალიან ძნელიც არის და ძალიან ადვილიც. იმიტომ, რომ მასშია ეს ყველაფერი, მთელი სიმდიდრე — ადამიანური, შემოქმედებითი...

არ ვიცოდი მისი წიგნის სათაური. ეს არის საოცარი მიგნება და შეიძლება გახდეს ნიმუში ყველასათვის. ადამი-

ანმა თავის შეცდომებზე უნდა ისწავლოს, უნდა დაუტოვოს თაობას პროგრამა, როგორი წესით იცხოვროს.

...ვისაც არ უნახავს და არ მოუსმენია, როგორ შემოვიდა გოგი თეატრალურ სამყაროში, ძალიან გაუჭირდება იმის განსაზღვრა, თუ რა ცვლილება განიცადა ადამიანმა, ზოგადად, ბოლო ათწლეულებში.

სიკეთეს, გულითადობასა და გულწრფელობას თავის ყველა სპექტაკლსა თუ როლში ასახიერებს. და ეს მუხტი შეუმჩნევლად გადადის მაყურებელში. სანახაობა რომ დასრულდება და მინ დაბრუნდება, მერე ფიქრობს, რის საფუძველზე დგას ეს ადამიანი. უნდა ითქვას, რომ პროფესია მსახიობისა და პროფესია რეჟისორისა მასში თანაბარ სიმაღლეზეა და ეს არ გახლავთ ადვილი.

ერთი სიტყვით, ბატონმა ნოდარმა გოგი ქავთარაძის პიროვნული თვისებები წარმოაჩინა თეატრში და თეატრს გარეთ. მისი პროფესიონალიზმიც განსაზღვრა, არცთუ მარტივად, პროფესიული ჭრილიდან. ძალიან მომხიბვლელია ცხოვრებაშიო, — დასძინა. განსაკუთრებით თამაშობის ხარისხი განუსაზღვრა და თავდებადც დაუდგა: — რამეს თუ დააპირებთ, თამადას უკეთესს ვერ ინატრებთო...

გოგი ქავთარაძე, თითქოს რთული გამოცდა ჩაებარებინოს, შვებით ამოთქვამს: მე ხომ ვიცი, როგორი პირდაპირი და რადიკალურია, ამას თუ ფიქრობდა ჩემზე, ვერც დავიჯერებდიო.

მასპინძელი კი, რომ არ მოცდნენ, პირდაპირ ინვესს და აგულიანებს დარბაზს შეკითხვებისთვის, ურჩევთ, საკუთარი პოზიციაც გაახშიანონ. **მანანა გაბაშვილი, ნარგიზი ჭელიძე, ზურაბ კანდელაკი, ქეთი შენგელია** შთამბეჭდავ გამოსვლებში **გოგი ქავთარაძეს** წრფელ პატივისცემას უდასტურებდნენ, როგორც შემოქმედს, როგორც პიროვნებას.

და შესაბამისად, პასუხებიც გახლდათ გულწრფელი, ნათელი, იუმორითა და სიყვარულით აღსავსე. გოგი ქავთარაძემ უდიდესი სითბოთი ილაპარაკა იმ რეჟისორებზე, თეატრსა და კინოში რომ მიიწვიეს და თავის დროზე ასპარეზი გაუშალეს როგორც მსახიობს. და აი ეს პლეადაც: **მიხეილ თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, გიზო ჟორდანიას, მიხეილ კობახიძე, დოდო ალექსიძე...**

რეპორტიორისთვის ვერშესალევი ამბები ითქვა მრავლად, ოღონდ დოდო ალექსიძეზე ლამის ნოველა მოხაზა ზეპირად გოგი ქავთარაძემ.

სოხუმის თეატრის სცენაზე „ვენეციელი ვაჭარი“ დოდო ალექსიძის რეჟისორობით. უთეატროდ დარჩენილი ხელოვანი მიწვევას ადვილად დათანხმდება, ხასიათის სიმტიკიცის მოდუნებას კი არაფრისდიდებით დათმობს. შაილოკი **გოგი ქავთარაძემ** უნდა ითამაშოს, ასე მიაჩნია მანესტროს, ლამის ყოველკვირა რომ გადასერავს ცას თვითმფრინავით თბილისსა და სოხუმს შორის. პირველი ბზარიც. მსახიობებს ეჩვენებათ, რეჟისორი დიქტატორობს და გოგი ქავთარაძეს გაენდობიან, თამაშს არ გვაცლისო. ესეც ფიცხლად შეაგებებს, ცოტაც დააცადეთ, ბიჭებო საყვედურს გამოთქვამენ, ხელს გვიშლის როლის განმტიკიცებაშიო.

— მე ხელს ვუშლი? მეგონა ხელს გინცობდით. **Хорошо**. და დოდო ალექსიძე გულისწყევტას ჩაიკეცავს. ხელმეორე რეპეტიციაზე რეჟისორი დააცდის „პროტესტანტებს“, ითამაშონ სურვილისამებრ. და გამოუვათ რალაცა საზიზღარი. შენუხდებიან, დაირცხვენენ კიდევაც. და აღარ დააყოვნებს მანესტროს სასხვათაშორისოდ ირიბი ნათქვამი: — თამარა

არის ავად, ნინკას თოთო ბავშვს სულ ატატება უნდა. ხანდა-ხან საჭმელიც აკლიათ, სასმელიცო. და მე კი, ყოველ კვირა, სოხუმში მოვფრინავ ამ იდიოტობის საყურებლადო. ჩემს ოჯახს რა ვუყოო. მერე მიდგა მსახიობებს სახელდებით და სულ ბრდღვინი ადინა. გოგი ქავთარაძეს მოერიდება მეგობრებისა, ჰგონია, რეჟისორმა დაინდო... და უცბად გამჭოლი მზერა მისკენ და სეტყვა სიტყვებისა: **Вы играли ужасно под мудрым руководством...** და სახტად დარჩენილი მსახიობები თავბრუდამხვევი საფიქრალით...

შერიგდებოდნენ, რასაკვირველია. რეპეტიციები მაინც ვერ აენწყობა. „შაილოკი“ ფარხმალს ყრის, მევახშეს ვთამაშობო. მანეტროც ზუსტად გასათვალისწინებელი რჩევით: შაილოკს უნდა ჰქონდეს სოსოიას თვალებიო... მთლად ვერ ჩანვდება. მცირეოდენი დრო რომ გაივლის... ერთხელაც, ღამის 3 საათზე გოგი ქავთარაძის ბინაში ტელეფონის ზარია... — რა სიზმარი ვნახე იციო? შაილოკის სახლი დამესიზმრა, კედლებზე მიქელანჯელოს, ლეონარდოს და რაფაელის სურათები უკიდიაო... ასე გაუხსნა გზა და მიახვედრა, რომ შაილოკმა იცოდა არა მხოლოდ ოქროს გამორჩევა, დიდი ხელოვნების ფასიც...

და „ვენეციელი ვაჭარი“ საგასტროლოდ მოსკოვში, პუშკინის თეატრში... კომპოზიტორი კალმანოვსკი საგრემიორო-

ში მიეჭრება და მუხლებზე დაუწოქებს გოგი ქავთარაძეს, თანაც, სულმოუთქმელად დაეკითხება: ვინა გყავს ებრაელი? შაილოკის როლის შემსრულებელი ვერაფრით გაახარებს: — სუფთა ზესტაფონელი ვარ, დედიტაც და მამითაცო.

— არა, არაო, — აღელვებულ კალმანოვსკის არ უნდა დაიჯეროს — ბაბუაჩემი გამახსენე, როცა დილაობით სინაგოგაში მიდიოდა ხოლმეო. ოღონდ ეს მოგონება თავის ქებად არ ჩამითვალთო. შაილოკი დოდომ გამოძერწა ისე სასწაულად, როგორც ბატკანს გამოიყვანენ, სუფთას და ქათქათასო.

„ქორნილი“ რომ უხსენეს, თავიდან ბოლომდე მიშა კობახიძეს მიუწერა „ასქულიანი“ და კვლავ სიკეთით აღსავსე მოგონებებით ფილმზე მუშაობის პერიოდი გააცოცხლა...

ყოველი პასუხი თუ განმარტება გოგი ქავთარაძის მიერ გამოთქმული, გაფიქრებინებდათ, მხოლოდ ნიჭიერ კაცს შესწევს უნარი ამგვარი თავმდაბლობისა; ხოლო უკვალოდ რომ არაფერი ქრება, ღვთის წყალობაა და აგრეთვე, სამი მიზეზიც სიკეთისა: ყოველ შემთხვევაში ასე ათქმევინებს სულხან-საბა თავის ავკარგიან პერსონაჟს: „— პირველად, კარგის ნერგის ხილი ვარ; მეორედ, ხელოვანის მებაღის შეწვრთნილი“, ...მესამე კი ეგებ თავად ამოიკითხოთ.

დაბოლოს, ეტიკეტით და მის გარეშეც, ითქვა იმის გამოც, რომ აქ, „ჩვენი მწერლობის“ ჭერქვეშ არის შესა-

როსტომ ჩხეიძე

ომი რიტუალების ჩრდილქვეშ



შახშიანება კახა კაციტაძის მონობრაჟიანთან „ადამიანი-მეომარი“

განზრახვა მონუმენტური გახლდათ.

განმზრახველი — სწორედაც შესაფერისი, სულაც მარტო რომ ითავებდა ამხელა პროექტის ხორცშესხმას.

და ყოველივე ერთიანობაში რომ გაეაზრებინა, მოკლე პროსპექტი ასე ჩამოენერა:

პირველი ტომი — „ადამიანი-მეომარი“ — უნდა დათმობოდა ომის ფენომენის გააზრებას არქაულ კულტურებში, უმთავრესად ევროპის ოთხი გეოგრაფიული პერიფერიის მითოსზე დაყრდნობით: სკანდინავია-ისლანდია, ირლანდია-კონტინენტური კელტიკა, ბალკანეთი, კავკასია.

მეორე ტომი ომის ფენომენის გამოვლენას შეისწავლიდა ძველ აღმოსავლეთში.

მესამე ტომი — ანტიკურობაში.

მეოთხე ტომი — შუა საუკუნეებში (დაზუსტებისათვის

ის შენიშვნა დაერთოდა: თუ, რასაკვირველია, ეს ტერმინი შეიცავს პოზიტიურ მეცნიერულ შინაარსსო).

მეხუთე ტომი — მოდერნიტის ეპოქაში (XVII-XX საუკუნეებში, როდესაც სწორედაც ყალიბდებოდა და რომლის მიმართაც გამართლებული გახლდათ კლაუზევიცის თეზისი: ომი არის სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელება სხვა, ძალისმიერი საშუალებებითო).

დაბოლოს, მეექვსე ტომს უნდა მოეცვა თანამედროვე, პოსტმოდერნის ხანა.

სამწუხაროდ, ამ მონუმენტური განზრახვისა მხოლოდ ერთი სვეტი თუ ნანგრევი დაგვრჩებოდა, თავისთავად შთამბეჭდავი; „ადამიანი-მეომარი“, ხოლო მეორე ტომის მომზადება სადღაც განწყდებოდა და ჩანაფიქრიც ჰაერში გამოეკიდებოდა.

ჩვენს რეალობაში ამ ექვსტომეულის შემქმნელი მხოლოდ კახა კაციტაძე იყო, მისი კოლოსალური, მრავალმხრივი და ენციკლოპედიური განათლება და ხედვის ჰორიზონტის სიფართოვე გახლდათ ის საძირკველი, რომელზეც უნდა ამოშენებულიყო ეს ვეება ნაგებობა, ერთნაირად მნიშვნელოვანი ფილოსოფოსებისთვის, კულტუროლოგებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, ლიტერატორებისთვის, ფოლკლორისტიებისთვის, ანთროპოლოგებისთვის, პოლიტოლოგებისა თუ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთათვის...

და თუმცა ამ ღრმად მოაზროვე კაცის ნაადრევი გასვლა ნუთისოფლიდან უნუგემოდ შეგვატოვებდა ხელთ კიდევ ერთ განუხორციელებელ პროექტს, პირველი ტომი, გარდა თავისთავადი მეცნიერული ღირსებებისა, ერთგვარ გზამკვლევადაც წავგადგება ამ ურთულესი მოვლენის არსში ჩასახედად, ომი რომ წარმოგვიდგება, და ადრე თუ გვიან ამ საქმის გამგრძელებელსაც გამოარჩევს და შთააგონებს კვლევის სწორი გზით წარმართვასა და ღირსეულად დაგვირგვინებას.

კახა კაციტაძე ომის გააზრების ტიპებს რომ გამოყოფდა (აღამიანური გახსნილობის ამ სხვადასხვა ფორმას, რომლებიც კონკრეტულ აღწერას საჭიროებდნენ), ერთმანეთისგან განსხვავებულს, შესაბამისადაც განსაზღვრავდა მრავალტომეულის თვითეული წიგნის სტრუქტურას და უპირველესად, ცხადია, გამხსნელი ტომისა — ომი არქაულ საზოგადოებაში, როდესაც ეს მოვლენა გაიზარებოდა მაგიურ-რიტუალური თვალსაზრისით (იგივე ითქმოდა ძველ აღმოსავლეთზეც, ოღონდ იქ ეს გააზრება რამდენადმე განსხვავებული ხდებოდა).

ამდენად, ადამიანის არსებობის ამ ტიპში ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ ომთან დაკავშირებული ღვთაებრივი თუ დემონური პერსონაჟები და სიმბოლოები. ეს უბიძგებდა მკვლევარს, რომ წიგნში არქაული მითოსური პერსონაჟებისა და სიმბოლოების მინი-ლექსიკონი ჩაერთო იმ იმედით, თხრობას უფრო გაახალისებსო.

რაკილა წიგნი მკითხველთა ფართო აუდიტორიას გულისხმობდა, კახა კაციტაძე შეეცდებოდა, რაც შეიძლება პოპულარული ფორმით დაენერა, და ერთადერთ გამონაკლისად დარჩებოდა მონოგრაფიის 59-72-ე გვერდები, როდესაც ავტორი — პავლე ინგოროყვას კვალად — ამტკიცებდა, რომ მოგვეპოვება წარმართული ხანის ტექსტი, რომელიც სამხედრო მითოპოეტურ წარმოდგენათა სფეროს განეკუთვნება. და ასეთ დროს, რასაკვირველია, ვალდებული გახლდათ სათანადო მეცნიერული არგუმენტაციაც მოეხმო.

გადაივლიდა ის დრო, როდესაც ეჭვითა თუ ირონიით შეხედავდნენ ლეონტი მროველის საისტორიო ქრონიკაში პავლე ინგოროყვას მიერ მიკვლევულ წარმართობის ხანის პოეტურ ტექსტებს, ისე შერწყმულს მემატეიანის თხრობაში, რომ დაკარგულიყო სალექსო სტრუქტურა.

დღესდღეობით ჩვენს მეცნიერებაში საცვებით გაზიარებულია ეს აღმოჩენა, მაგრამ მაინც კარგია, თუ დამატებითი არგუმენტაციითაც შეივსება და განსხვავებული რაკურსიდანაც განმტკიცდება. და წიგნში „ადამიანი-მეომარი“ სწორედაც მახვილგონივრული საბუთებია მოხმობილი, რათა ჩართული ტექსტის — „ბრძოლა გამირთა და სასტიკება ჰაერისა“ — წარმართობისდროინდელობა დადასტურდეს, სალექსო ნყობა თავიდან ბოლომდე სახეების პარალელიზმზე რომ აგებულიყო, ხალხურ ეპოსთან კი მითოლოგიური შინაარსი აკავშირებდა.

**მტყერი ფერხისა მათისა — ვითარცა ღრუბელი სქელი;
ელვა აბჯრისა მათისა — ვითარცა ელვა ცისა;
ხმა პირისა მათისა — ვითარცა ხმა ქუხილისა;
სროლა ისრისა მათისა — ვითარცა ტეხა მუხისა;
ტყორცა ქვისა მათისა — ვითარცა სეტყვა ხშირი;
თხევა სისხლისა მათისა — ვითარცა წვიმის ლუარი.**

პავლე ინგოროყვა იშვიათი ალლოთი რომ აღადგენდა ჟამთა ვითარებით ერთ, ჩავარდნილ სტრიქონს („სროლა ისრისა მათისა — ვითარცა ტეხა მუხისა“), კახა კაციტაძეც დაეთანხმებოდა ამ მარჯვე კონიუქტურასა თუ „გადაძახილს“ უცნობ პოეტთან, თავის მხრივ კი დასძენდა, რომ ამ პოეტური ტექსტის რიტმული სტრუქტურა სრულ პარალელს პოულობდა ინდოევროპული ენების არქაულ პოეზიაში, და მიუთითებდა თამაზ გამყრელიძისა და ვიარჩელავ

ივანოვის მონოგრაფიას „ინდოევროპული ენები და ინდოევროპელები“.

კიდევ რა მეტყველებს ძეგლის მითოსურ ხასიათზე?

რაკილა ამ ყაიდის ტექსტთა ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მასში არასაკმარისადაა დაცალკევებული გრამატიკული თუ სემანტიკური კომპლექსები — არასაკმარისადაა გამოხატული მოქმედების ადგილი, მოქმედების სუბიექტი, მოქმედების ინსტრუმენტი, ზმნა და მისი ობიექტი, ამ ძეგლშიც ამ თავისებურებას უნდა ეჩინა თავი. ეჩინა კიდევ — გაურკვეველი იყო ისიც კი, თუ ვის ეხებოდა „მათისა“: მხოლოდ შვიდ ძმას თუ მათთან ერთად ნებროთის სამოც გამირსაც. ტექსტში არ ლოკალიზდებოდა ადგილი, არ გვხვდებოდა ზმნები...

მერეა და, რაკილა მასში გადმოცემულ ხდომილებებს „მინიერ“ და „ციურ“ ასპექტში სრული პარალელი მოეპოვებოდა, ამგვარი პარალელიზმი სწორედაც მითოსურ რეალში ტრიალებდა, და მირჩა ელიადე ამიტომაც მსჯელობდა ამ მხატვრულ მოვლენაზე, როგორც მითოსური ტექსტის აუცილებელ ატრიბუტზე („ზალმოკსისიდან ჩინგიზ-ხანამდე“).

და კიდევ — ტექსტის მითოსურობას მონაშობდა მასში შემასმენლის არარსებობა, რაც სრული გაუგებრობაა ქართული ენის ნორმების გათვალისწინებით. მაგრამ ყველაფერს გასაგებს ხდიდა ეგრეთწოდებული ინიუქტივის არსებობა მითოსურ ტექსტთა ენაში.

ამ აზროვნების თანახმად ხომ ყოველივე, რაც მოხდა, ხდება და მოხდება, იმის განმეორებაა, რაც სამყაროს პირველქმნის ჟამს ხდებოდა. როდესაც, ვთქვათ, ინდოელი ბრაჰმანი ასრულებდა რიტუალს, რომელიც „იმეორებდა“ ღვთაება ინდრას მიერ დემონ ვრიტრაზე გამარჯვებას (ეს გამარჯვება პრომიტოსურ დროში აღსრულებულიყო), იგი ინდრას გამირობის ამბავს ინიუქტივით გადმოსცემდა, ანუ ისე, რომ არ აკონკრეტებდა დროის მოდუსის მიმართებას მეტყველების მომენტთან. ესაა ინიუქტივი, როგორც გრამატიკული კატეგორია — გადმოცემული დრო შეიძლება ეხებოდეს წარსულსაც, აწმყოსაც, მომავალსაც და მითოსური ღვთაების მიერ შესრულებულ პირველქმნილ აქტსაც.

მაგრამ ასეთი ზოგადობა ქართული ზმნის სპეციფიკას რომ ეწინააღმდეგება?

ამიტომაც ინიუქტივის მისაღწევად, ასე აუცილებლად სათვის მითოსური ტექსტის შესაქმნელად, წინადადებიდან შემასმენელს გამოტოვებდნენ ხოლმეო, — ივარაუდებდა კახა კაციტაძე და იმ დეტალსაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ „ქართლის ცხოვრების“ მომდევნო, ზოგიერთ ტრაფარეტულ გამოთქმაში, რომელიც ამკარად ამ ძველი პოეტური ძეგლიდან განვითარებულიყო, შემასმენელი ჩნდებოდა.

ამ ძეგლის მითოსურობის დასადასტურებლად კიდევ რაღა უნდა თქმულიყო, ამიტომაც მკვლევარი უკვე მასში განვიფიქრებულ მითოლოგიას გამოჰყოფდა იმის გასარკვევად, თუ რა სახის მითთან გვაქვს საქმე.

უძველეს ქართულ პოეტურ ძეგლში მოთხრობილი რომ იყო რვა ძმის ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ, ამ რვა პერსონაჟიდან ერთი გახლდათ გამორჩეული და განსაკუთრებული, დანარჩენები კი ფაქტობრივად მისი თანაშემწეები. ეს სქემა, ეს ფორმულა კი — 1+7 — საკმაოდ გავრცელებულიყო სხვადასხვა ხალხის მითებსა თუ ეპიკურ წარმოდგენებში, ფესვი რომ მითოსში გადგმოდა.

აგერ აქადურ მითოსში ღვთაება მარდუქს ქაოსურ ძალთა დამარცხებაში ეხმარებოდა „შვიდი ქარიშხალი“; აგერ ხეთურ-ხურიტულ მითოსში ქექა-ქუხილის ღვთაებას ეხმარებოდა 70 დაბალი რანგის ღვთაება (მითოსურ სიმბოლიკაში 70 თავისებური ვარიანტი 7-ისა); ისე ეს ფორმულა ყველაზე უკეთ ინდურ ჰიმნთა კრებულში შემორჩენილიყო, „რიგ-ვედად“ სახელდებულში. ვრიტრას დამარცხებაში ინდრას ეხმარებოდნენ ღვთაებრივი პერსონაჟები, მარუტები რომ ერქვათ. მათი რიცხვი მითის სხვადასხვა ვერსიაში სხვადასხვაგვარი გახლდათ, თუმც ყველაზე დაზუსტებულ ჰიმნებში შეიძინა არიან და მათი სახელებიც კი შემოგვრჩენია.

ცხადია, კახა კაციტაძე ამ რიცხვობრივ კომბინაციას სულაც არ მიიჩნევდა ერთადერთ საბუთად, რომ ქართულ ძეგლში იგივე მითოლოგმა ჩნდებოდა, რაც „რიგ-ვედაში“, და უფრო საფუძვლიანი არგუმენტების ძიებას გააგრძელებდა.

და რაკილა ზოგიერთი არგუმენტი ეხებოდა პერსონაჟთა ატრიბუტებს, იგი ერთმანეთს შეუდარებდა მარუტებსა და ჩვენი ტექსტის ძმებს. და შეუდარებდა იმ ნიუანსობრივობით, მის მახვილ თვალსა და გონებას რომ სჩვეოდა, და ამჯერადაც გაათვალსაზიარებდა, რომ შვიდი მარუტისა და ქართული ძეგლის მითოლოგიას შორის ისეთი პარალელები შეიმჩნეოდა, ტიპოლოგიური მსგავსების ჩარჩოებს რომ სცილდებოდა.

შვიდი ძმის მოქმედება გაიაზრებოდა როგორც დამაბნელებელი, მარუტებიც დღისითაც სიბნელეს ქმნიდნენ, და როგორც შვიდი ძმა, ასევე მარუტები საავდრო ღრუბელს უკავშირდებოდნენ; ძმები ისევე ატარებდნენ მოელვარე აბჯარს, როგორც მარუტები; მარუტები, შვიდი ძმის დარად, გამოსცემდნენ ხმას, რომელიც ქუხილივით გაისმოდა; ქართული ძეგლის პერსონაჟებიც და ინდური ჰიმნისაც ერთნაირად იყვნენ ისრის მსროლელი მშვილდოსნები; ისინიც და ესენიც ქვისმტყორცნელებიც გახლდნენ; ხოლო რაკილა სხვადასხვა ჰიმნში წვიმა მარუტთა სხეულებიდან ჩამომდინარე სითხედ მიიჩნეოდა, მათი და შვიდი ძმის შედარება აქაც ერთმანეთს ემთხვეოდა.


ეს მტკიცება კი უბიძგებდა ახლებურად წამოეჭრა საკითხი ქართულ-ინდოევროპული კონტაქტების შესახებ.

— თუ აქამდე ეს კონტაქტები უპირატესად ლინგვისტური მასალის საფუძველზე შეისწავლებოდა, ვფიქრობთ, ჩვენი ანალიზი გარკვეულ ბაზას ქმნის მითოსური მასალის ანალოგიური შესწავლისათვის.

პავლე ინგოროყვას მასშტაბური ხედვა და გაბედული ჰიპოთეზები ძალდაუტანებლად რომ იწვევს მკვლევარებს შორი და თამამი ხედვისაკენ, თუნდა ამ წიგნის ეს მონაკვეთიც მოწმობს — ნამდვილი მეცნიერის ხელში რარიც სახიერად და დამაჯერებლად შეიძლება ამეტყველდეს მანამდე დაფარული რეალიები.

კახა კაციტაძე სკეპტიკოსთა იმ მოსალოდნელ წამოდავებასაც გაითვალისწინებდა:

რამდენად არის შესაძლებელი, რომ ქრისტიანობამდე-ლი არქაული ტექსტი ჩანართის სახით შემორჩენილიყო



უფრო გვიან, აშკარად ქრისტიანობის შემდგომ შექმნილ ძეგლში?

და პასუხსაც წინასწარვე შეაგებებდა ირლანდიური ეპოსის მოშველიებით — „მაგთურიედთან მეორე ბრძოლა“ ქრისტიანობის შემდგომ ხანას განეკუთვნებოდა, თუმც მისი არქეტიპი მითოსში მოიძებნებოდა და ამიტომაც წარმოსახულიყვნენ ძველი კელტური ლმერთები, როგორც ირლანდიაში მცხოვრები სხვადასხვა ტომის წინაპრები.

აქ თითქოს უნდა მოთავებულიყო მსჯელობა, მაგრამ პავლე ინგოროყვასაგან შეგულიანებული მკვლევარი ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონის შევსებასაც შეეცდებოდა და საამისოდაც ამ ტექსტს დაეყრდნობოდა, სიმცირის მიუხედავად ამდენი მსჯელობა-

ანალიზის საშუალებას რომ იძლეოდა და არაერთ საიდუმლოსაც გვიმჟღავნებდა.

— ელვა აბჯრისა მათისა ვითარცა ელვა ცისა, — იკითხებოდა ტექსტის ერთ-ერთ სანყის მუხლში და მიიჩნეოდა, რომ „ცა“ აქ ზეცის კამარას გულისხმობდა, მაგრამ თუკი მოვიშველიებდით შედარებით მითოლოგიას, აღმოჩნდებოდა, რომ მითოსური აზროვნების ტრანსფორმაციის პროცესში ცის ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა გარდაისახებოდა საზოგადოდ აღებული ობიექტის, „ცა“-ს, აღმნიშვნელ სიტყვად.

ძველინდური დიაუსი, რომელიც თავდაპირველად ზეცის ღვთაების სახელი გახლდათ, თანდათან შეიძენდა ცის, როგორც ობიექტისა და დღის აღმნიშვნელი სიტყვის მნიშვნელობას.

და მტკიცებისას გამოჩნდებოდა მირჩა ელიადესეული ციტატა, ამ თემის კვლევისას ამ დასკვნამდე რომ მისულიყო:

— დიაუსმა განიცადა „ნატურალისტური“ სპეციალიზაცია... **ურანული** (ციური) **საკრალურობის** მატარებლიდან გადაიქცა ლექსიკურ ერთეულად, რომელიც აღნიშნავდა **დღიურ ურანულ ფენომენებს** („ცა“, „დღე). ეს მისი „პასიურობის“ კიდევ ერთი შედეგია; საკრალურობა „მიდის“ კოსმიური მოვლენებიდან, ხოლო ტერმინები, რომლებიც საკრალურს აღნიშნავდნენ, პროფანირდებიან (გამოიყენებიან ჩვეულებრივი ობიექტების აღსანიშნავად): ცის **ღმერთი** ადგილს უთმობს **სიტყვას**, რომელიც აღნიშნავს „ცას“, „დღის ცის მოვლენებს“.

დიაუსის მსგავსი მრავალი მაგალითი კიდევ რომ შეიძლება ჩამოითვალოს, თავისთავად ეს მაინც არ ადასტურებს, რომ ქართულ რწმენა-წარმოდგენებშიც იმავე პროცესის მოწმენი ვხვდებით და ცის ღმერთის სახელი ცის, როგორც ობიექტის, აღმნიშვნელ სიტყვად გარდაისახა?

თავისთავად არ ადასტურებს და... კახა კაციტაძე გააგრძელებდა ამ მიმართულებით ფიქრსაც და ძიებასაც და წამოსწევდა რუსი ლინგვისტის ნ. ტრუბეტკოის ჯერ კიდევ 1908 წელს დაწერილ ნაშრომში — „ქვიდან დაბადების ფრიგიული მითის ჩრდილოკავკასიური პარალელები“ — გამოთქმულ დაკვირვებას:

— თვითონ ქართველური ხალხები, ჩანს, ბერძნულ ზევსს აიგივებდნენ თავიანთ ცის ღმერთ ცა-სთან, რასაც

მონშობს ხუთშაბათის — „ზევის დღის“ — გადათარგმნა მეგრულად და სვანურად „ცა-ს დღედ“.

საუკუნე ჩაივლიდა და ამ თემას აღარავინ შეეხებოდა.

არადა, ძალდაუტანებლად ჩნდებოდა ცნობიერებაში, რომ ხუთშაბათი ბევრ ხალხს ჭექა-ქუხილის და მეხთამტეხელი ღვთაების მეუფების დღესთან გაიგივებინა. რა ბერძნული ზევსი და რომაული იუპიტერი და რა ბაბილონური მარდუქი და გერმანული თორი!..

და ივანე ჯავახიშვილი გაკვირვებით რომ შენიშნავდა: რატომ შემოგვრჩა მეგრელებთან და სვანებთან ხუთშაბათი ცის დღედ (მეგრული „ცაშხა“, ჭანური „ჩაჩხა“, სვანური „ცაშ“), როდესაც სხვა ხალხებში არ ყოფილა ცის (გულისხმობდა ცის, როგორც ობიექტის) დღის დანესების პრეცედენტიო, — კახა კაციტაძე თავის მოსაზრებას შეაშველებდა: ვითარება ძირეულად იცვლება, თუ ვიგულისხმებთ, რომ „ცა“ დასაბამისეულად ჭექა-ქუხილისა და მეხთამტეხის ზეციურ ღვთაებას აღნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ შეიძინა ცის, როგორც ობიექტის, აღნიშვნელი სიტყვის მნიშვნელობაო.

აქვე გავვიმუღავენება თავის ლინგვისტურ დაკვირვებასაც, თუ როგორ შემორჩენილიყო ცა-ს ასეთი ტრანსფორმაცია სიტყვაში „ნაცარი“. ეს სიტყვა მორფოლოგიურად ხომ ასეთი სტრუქტურისაა: ნა-ცა-რი, სადაც „ნა“ მიმღობის მანარმოებლის როლში გამოდის, „რი“ („არი“) სუფიქსია, ხოლო „ცა“ ძირია („ნასახლარის“ ტიპის სიტყვებისა არ იყოს); მისი შინაარსი კი ასე უნდა გაშიფრულიყო: ნა-ცარი, როგორც რაღაც დამწვარი, დაფერფლილი, „ცა“-ს ზემოქმედების შედეგია, ხოლო „ცა“ აქ დამწველად, დამფერფლავად ანუ ჭექა-ქუხილის, ციური ცეცხლის მოქმედებასთან დაკავშირებულ რაიმედ გვევლინება — ობიექტი კი არა, სუბიექტია, რომლის ზემოქმედების შედეგადაც ვიღებთ იმას, რასაც წვა იწვევს — ნაცარსო.

ძიების გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა და კახა კაციტაძესაც რა შეაჩერებდა, ვიდრე ყველა გარემოებას არ გაითვალისწინებდა.

განა ანაგრამულობასაც არ უნდა ეჩინა თავი, თუკი ტექსტი მართლაც საკრალური გახლდათ და არა საისტორიო თხზულების რიგითი პასაჟი, თუნდ პოეტური სუნთქვით გაჟღერებული?

აკი ირწმუნებოდა ზოგადი ენათმეცნიერების ფუძემდებელი ფ. დე სოსიური, რომ არქაული პოეზიისათვის, გარდა ალიტერაციისა, ნიშანდობლივი უნდა ყოფილიყო ანაგრამულობაც ანუ მოვლენა, როდესაც უძველეს პოეტურ ძეგლში (ვთქვათ, რელიგიურ ჰიმნში) გარკვეული პერიოდულობით ჩნდებოდა მარცვალთა, რომელიც დამოფრულად იმეორებდა იმ ღვთაების ან მითოლოგიური პერსონაჟის სახელს, ვისაც ეს საგალობელი ეძღვნებოდა.

ამიტომაც არქაული ინდოევროპული ენების პოეზიაში იმ საკრალური არსების სახელის მარცვალთა განმეორებას, ჰიმნი ვისაც ეძღვნებოდა, ამ პოეზიის მთავარ პრინციპად მიიჩნევდა: ეს ადასტურებს პოეტის სწრაფვას, მიბადოს საკრალური სახელის მარცვლებსო.

ამ დაკვირვებას ქართველი მკვლევარი „ქართლის ცხოვრების“ იმ ფრაგმენტს რომ მიუსადაგებდა, აღმოჩნდებოდა, რომ ტექსტის განმეორებად რიტმულ ფონს, რომელიც ალიტერაციის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს შეადგენს, ქმნიდა გამუდმებით განმეორებადი პირველი ნახევარკარედის (სტრიქონის პირველი ნახევრის) ბოლო

სიტყვა „მათისა“ და მეორე კარედის ასევე განმეორებადი პირველი სიტყვა „ვითარცა“.

ანაგრამების თეორია გვიდასტურებდა, რომ ეს სიტყვა „ვითარცა“ შეიძლება მიგვეჩინა ღვთაება ცა-ზე დაშიფრულ მინიშნებად.

რაც შეეხება მარცვალ „სა“-ს სიტყვაში „მათისა“, შესაძლებელი გახლდათ მისი ანალოგიური ახსნაც: ჯერ ერთი, „ც“-სა და „ს“-ს ვარირება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. და მეორეც, გარდა ფონოლოგიური მსგავსებისა, შინაარსობრივი კავშირიც შეიმჩნეოდა.

თუ იმასაც გავითვალისწინებდით, რომ ეს ტექსტი წერილობითი კი არა, ზეპირად წარმოსატქმელი უნდა ყოფილიყო, ასეთ დროს კიდევ უფრო ნაიშლებოდა ზღვარი „ს“-სა და „ც“-ს შორის.

ამრიგად, ლოგიკური მსჯელობა ამ დასკვნით უნდა დაბოლოებულიყო: ძველ ქართულ პოეზიაში ანაგრამულობის არსებობა შეინიშნება. ანაგრამის ობიექტი ღვთაება „ცა“ უნდა ყოფილიყო, რომელიც თავდაპირველად მეზრძოლ მეხთამტეხელ ღვთაებად წარმოგვიდგებოდა და მხოლოდ შემდგომ გადაიქცეოდა ფიზიკური ობიექტის — ცის — აღმნიშვნელ სახელადო.

მთელი ეს განსჯა-ანალიზი ექსტრავაგანტურად გამოიყურება?

მკვლევარი აღიარებდა ამგვარი აღქმის შესაძლებლობას და სულაც არ ამტყუნებდა მკითხველს, თუკი ასეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, მაგრამ თავს მოვალედ მიიჩნევდა წრფელად გაემუღავენებინა ყველა ის მოსაზრება, დაკვირვება თუ ჰიპოთეზა, რაც ამ უძველესი პოეტური ძეგლის შესწავლისას გასჩენოდა, და მისი — ამ უძველესი მითოპოეტიკური ტექსტის — განსაკუთრებული მნიშვნელობა კიდევ ერთხელ გამოეკვეთა.

— ეს საკითხი განხილვად ღირს, — ასეთია მისი მოკრძალებული შეფასება ამ ღრმა და მრავალმხრივი, თუნდაც ექსტრავაგანტური მტკიცებისა, და გული წყდებოდა, რომ ეს მონაკვეთი ერთადერთ გამონაკლისად რჩებოდა წიგნში და არ შეეძლო ყველა თავისი მოსაზრებისა თუ გაბედული ჰიპოთეზისათვის მეტ-ნაკლებად ვრცელი ექსკურსები დაერთო, გაეშალა და დეტალურად ჩაჰყოლოდა.

ეს მონოსაფია ხომ — მიუხედავად ერთგვარი კომპილაციური ხასიათისა — საკვება ორიგინალური მიხვედრად დაკვირვებებითაც, და ასე რომ გაჰყოლოდა, ისედაც მონუმენტური განზრახვა სულაც დაუსრულებელი აღმოჩნდებოდა. არსთაგამრიგეს რომ ეცლია და ხანგრძლივი სიცოცხლე მიენიჭებინა მკვლევარისათვის, ვერა და ვერ მოათავებდა და ექვსი ტომი, ვინ იცის, რამდენ წიგნად გადაჭიმულიყო, მკითხველი რომ ვეღარც გაჰყვებოდა კომპოზიციამორღვეულსა და ამორფულს.

არადა, ეს ერთადერთი გამონაკლისი რომ არ გვეხვედებოდა პირველ ტომში, რაღაც ლაზათი და მომხიბვლელობა მოაკლდებოდა და ვერც კახა კაციტაძის ძიებისა და აზროვნების სიღრმეზე შეგვექმნებოდა ჯეროვანი შთაბეჭდილება, ახლა ეს მონაკვეთი რომ მოგანდომებს, ისევე გაშალო და დამატებითი არგუმენტაციით შეავსო მკვლევარის ცალკეული მსჯელობა-მეხედულებანი, როგორც თვითონ შეავსო პავლე ინგოროყვას ის მახვილგონივრული მიგნება, ახალ კარს რომ შესწინა ქართული პოეტური აზროვნების

ისტორიაში და საიდან სად გადაგვახედებდა. შეგულიანებით ხომ გვაგულიანებდა და გვაგულიანებდა!..

და ნიშანდობლივია, რომ ამ მონოგრაფიაშიც ერთადერთი გამონაკლისი პავლე ინგოროყვას სახელის ირგვლივ იქსოვება.

ნეტა სხვა ტომებში სხვა ასეთივე განმარტებები ვისით იქნებოდა შთაგონებული, თვითუფლები ნიგნს ასე რომ გააღაზათიანებდა?

რაოდენ სამნუხაროა, რომ ეს მხოლოდ სავარაუდოდ გავგვხდომია.

არადა, გაბედული განზრახვა რომ ჩაეთქვა, მთელი ძალ-ღონითაც მოჰკიდებოდა. თავზე ეყარა ნიგნები, როგორც საერთოდაც სჩვეოდა ძიებებში ჩაფლულს, ამოყვინთვას ექვსი ტომი რომ უნდა ამოეზინა მასთან ერთად.

კარს მაინც შეგვიხსნიდა ამ სამყაროსი, ომი რომ ერქვა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავდა და თავის ნებაზეც ათამაშებდა, თამაშის შუაგულში კი კაცობრიობა მოქცეულიყო და ვერა და ვერ დაეღწა თავი ამ დემონური საწყისისათვის. ამიტომაც როგორმე ისე უნდა მორგებოდა, მსხვერპლად არ შესწირვოდა და სულიერებაც ეხსნა. თავიდან მაინც იმას ეცდებოდა, რიტუალებში მოექცია და ეგებ ამით როგორმე დაემორჩილებინა, და მთლად დამორჩილება თუ ვერა, მოშინაურებით მოეშინაურებინა...

აქეთ გვათამაშებდა, აქეთ...

დაე ამ თვალთაც მიმოგვეტარებინა მზერა კაცობრიობის ისტორიისათვის, სამხედრო და კულტუროლოგიური ფონი ერთმანეთს რომ შენაცვლებოდა.

აგერ შესაფერისი კაციც გამოჩენილიყო, ამ უზარმაზარ თემას ექვსად რომ დაანანილებდა და ერთბაშადაც შემოხვევდა ხელს იმ რწმენით აღვსილი: ძალიც შემწვევს ქადილისაო...

ძალი კიდევ შესწევდა...

და ამიტომაც არ მოერიდებოდა, რომ პირველი წიგნისათვის საქვეყნოდ გახმაურებული კულტუროლოგიური მონოგრაფიის სახელწოდებას დასესხებოდა: ჰოიზინგას „ადამიანი-მოთამაშე“, — არ შეშინებოდა მკითხველის მხრივ ნება-უნებლიე შედარებისა... მსგავს სახელს რომ არქმევ, იმის გვერდით შენი წიგნი არ უნდა ფერმკრთალდებოდეს, თორემ კონტრასტი ძალზე წამგებიანი აღმოჩნდება. ხოლო თუ იმავე წრეში მოექცევი, ამგვარ გადაძახილებს უკვე სულიერი მემკვიდრეობითობის მნიშვნელობა ენიჭება.

ამჯერად როგორც წარმოგვიდგება.

ეგაა, დრო აღარ ჰყოფნიდა და მხოლოდ შეღებულ კარს დაგვიტოვებდა „ადამიანი-მეომარის“ გარეკანში მოქცეულს — დანარჩენი თქვენით ეძიეთ და ჰპოვეთო!..

ვინ აქლავს ხმას რაქისორსა და მწერალს?

(მინაწერი ლიანა ელიაშვილს ნიგნზე „კინო უკრანოდ“)

ჩემი პირველი შთაბეჭდილება „ზზიანეთია“, კინომსახიობ ლია ელიაშვილს გაუმეორებელი მშვენივით შემკული.

ფილმი ისეთივე რომანტიკულია, როგორც იყო მაშინ ჩემი გამოგონილი სამყარო. სამყარო, რომელშიაც ვცხოვრობდი!..

შემდეგი მძაფრი შთაბეჭდილება „სინემა“... რალაც უცნაური, დაფარული სევდიანა და დარდით დანისლული, — ასე შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში ეს ორი ფილმი, რომლის ავტორიც მაშინ, ვინ იყო, არ ვიცოდი.

...მაგრამ ამ ორივე ფილმში რალაც ჩემეული აღმოვაჩინე და შევიყვარე.

შევიყვარე!

მაგრამ რატომ?

რატომ მოხდა ასე? — ამაზე არ დავფიქრებულვარ.

მაშინ ამისი ამოხსნა არ მიცდია.

გადის დიდი დრო.

ძალიან დიდი დრო და ... როსტომ ჩხეიძე მჩუქნის ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემულ კინორეჟისორ ლია(ნა) ელიაშვილს ნიგნს „კინო უკრანოდ“.

ვმლი ნიგნს, ვკითხულობ — ავტორისეულ „მოკლედ ჩემს შესახებ“ და ამ უპასუხო კითხვას ძალიან მარტივად ვპასუხობ.

თურმე... აი, რატომ: მეც ხომ მაშინდელ პიონერთა სასახლეში, შემოქმედებით სტუდიაში ლიგია პაიჭაძესთან, დეიდა ფაციახთან (დეიდა ფაციკო, ასეც მოვმართავდით სტუდიის აღსაზრდელები) დავდიოდი...

ახლა ის რომ მოვყვე, თუ როგორი პედაგოგი და პიროვნება იყო ლიგია პაიჭაძე, ბევრი რამ უნდა მოვიგონო და ეს ჩემი წერილიც სულ სხვანაირად ავაგო, ამიტომაც მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ პედაგოგმა ჩემი პროფესიული არჩევანი განსაზღვრა და ამისთვის მისი მადლიერი ვარ...

კიდევ ვიტყვი ამასაც: ის არ გათხოვილა და მთელი ცხოვრება მონაფეების, უფრო ზუსტად, თავისი შვილობილების — სტუდიელების აღზრდას შეალია, მოგვატარა საქართველო და შეგვაყვარა ჩვენი სამშობლო — საქართველო!

მან — ფაცია დეიდა — ზედმიწევნით კარგად იცოდა ყოველი ჩვენგანის სატყეარი და სიხარული, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური ინილო-ბინილო... და ასე მგონია, რომ ჩვენში, სტუდიელებში, რალაც საერთო, მატერიალურად უხილავი, მაგრამ სულიერად ნამდვილად ხილული და ძლიერი კავშირი გააბა, რითაც თაობებს შორის არსებული ბარიერი თუ დაპირისპირება მოსპო!

და ახლა, ამდენი წლის შემდეგ ვხვდები, თუ რატომ გახდა ჩემეული ქალბატონი ლია(ნა) ელიაშვილს მსოფლმხედველობა და ფილმები!

და კიდევ, რაც აუცილებლად მინდოდა მეთქვა ამ ნიგნის შესახებ:

ამ მოთხრობების, ესეებისა და წერილების წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია გულგრილად დახურო კრებული და თაროზე შესანახად შემოდო. ასე ვერ მოიქცევი, რადგანაც ეს ნიგნი, შენგან, მკითხველისგან, ჯიუტად მოითხოვს პოზიციას — ან უნდა მოგწონდეს, ან საცხებით მიუღებელი უნდა იყოს.

ეს ნიგნი ერთგვარი ფსიქოლოგიური ტესტია. ტესტი, რომელიც „აღმოაჩენს“ და „საამჟამაოზე გამოიტანს“ სხვათათვის, საზოგადოებისთვის (და ზოგჯერ შენთვისაც) დაფარულ პიროვნულ, ეროვნულსა და მოქალაქეობრივ პოზიციას... აი, რით არის ეს ნიგნი ჩემთვის ძალიან ფასეული და საყურადღებო!

მე ხმამაღლა და დაუფარავად ვაცხადებ:

ვიზიარებ ავტორის პოზიციას!

ვემზრობი მას და მესმის მისი, როგორც შემოქმედის (მით უფრო, რომ ჩემი

უსაყვარლესი რეჟისორი ფედერიკო ფელინი!)!

ვემზრობი მას და მესმის მისი, როგორც ქალის!

ვემზრობი მას და მესმის მისი, როგორც მამულიშვილისა და მსოფლიო მოქალაქის!

მე ხმას ვაძლევ კინორეჟისორსა და მწერალს ლიანა ელიაშვილს, მაგრამ... სხვა ჩვენი თანამოქალაქე (და პროფესიონალი) რას ფიქრობს ჩემს არჩევანზე?

აი, ახლა, ყველაზე მეტად სწორედ ეს მაინტერესებს!..

ნიგნო ჩხიკვიძისილი

ნინო ვახანია

სეტიალი საკუთარ სულში

□

„ზებზებია“
„რონიამღა“

ამას წინათ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ გამოქვეყნდა ნახევრად სახუმარო განცხადება. განმცხადებელი თხოვდა ყველას, ვისაც კი ბოლო დროს დაწერილ ნაწარმოებებში შეხვედრია, ან თვითონ გამოუყენებია სიტყვა „რონიანი“, გამოსმაურებოდნენ. თხოვნას არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია („ჩვენს მწერლობაში“ ამის შესახებ არანაირი ცნობა არ დაბეჭდილა), რაც, სავარაუდოდ, იმას ნიშნავს, რომ სიტყვა „რონიანი“ ბოლო ხანებში არავის გამოუყენებია და არც სხვის ნაწერში ნაუკითხავს, ყოველ შემთხვევაში — ჩვენი ჟურნალის მკითხველთაგან. ამ ტესტმა, რომელიც ჯანო ჯიქიძემ შემოგვთავაზა და რომელსაც რედაქციამ სიამოვნებით აუბა მხარი, თავის დროზე კიდევ გამამხიარულა და კიდევ დამაფიქრა, მაგრამ, ალბათ, იოლად მიმავინყდებოდა, რომ არა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ წიგნად გამოცემული ჯანო ჯიქიძის **„რონიანი, ტრიპულენ და იგავი მარტისა“**. მოთხრობა ეძღვნება „ტრაგიკულად დაღუპული თბილისელი უსინათლო მუსიკოსის, კომპოზიტორ ვიკტორ ტოკარევის ხსოვნას“, რომელსაც ავტორი თურმე ხშირად არონინებდა ხოლმე, — გვამცნობს წინათქმა (სხვათა შორის ჯანო ჯიქიძე არაიშვიათად უძღვნის მოთხრობებს მეგობართა ხსოვნას — პიროვნების დამახასიათებელი სტრიქონი).

ყველამ ვიცით, რომ სიტყვით შექმნა უფალმა სამყარო და ისიც ვიცით, რომ ეს სიტყვა არ ყოფილა არც „დანკაპა“, არც „დალაიქება“ ან „დაესემესება“. ხილული სამყარო ღვთის სიტყვა და ადამიანთა სიტყვას აქვს (უნდა ჰქონდეს) ღვთიური ძალა და მადლი. სიტყვის გაფრთხილება ენისა და ერის გაფრთხილებაა, სიტყვის (სიტყვათა) გამეტება ენისა და ერის გამეტება გამოდის. რამდენი კარგი სიტყვა დავივიწყეთ, რამდენია მხოლოდ სულხან-საბას „სიტყვის კონას“ თავშეფარებული — ზოგი დროებით, ზოგი, ვინ იცის, სამუდამოდაც. ცოცხალი სიტყვა თუ უნახავს ვინმეს? ხორცშესხმული სიტყვა თუ გამოცხადებია ვინმეს? ლამაზ ქალად ქცეული სიტყვა თუ სტუმრებია? იქნებ პოეტებს სწორედ ასე (ამ სახით) ეხსენებთ ზეციური საუნჯე.

ჯანო ჯიქიძე გვიყვება „რონიანის“ გამოჩენისა და მისი გადარჩენისთვის ბრძოლის ამბავს. „დავინყების არ გეშინია?“ — ყველას გვეკითხება ჩვენგან მოძულეებული ზმნა. ცხადად თუ ფარულად მის გვერდით დგანან არსებითი და ზედსართავი სახელებიც. კდემამოსილებას ასხივებს „ლეჩაქი“, წმინდაა, როგორც ცის ნამი „ბინულ“... ისინიც გვთხოვენ, გვა-

მუნათებენ, გვევედრებიან... „დავინყების არ გეშინიათ?“ ნუ-თუ ყველა ქართული სიტყვა „მაგარია“ და „პრობლემამ“ უნდა ჩაანაცვლოს? ეს ამ საყოველთაო გლობალიზაციის ჟამს ავტორის მიერ გამოთქმული შიშია, შიში, რომელსაც საფუძვლად საკუთარის, მშობლიურის ტრფიალი უდევს.

კეთილხმოვან, ნაზ და ნარნარ „რონიანთან“ ერთად სა-შიშია სხვისთვის სიკეთის ქმნა, სხვისი „გარონინება“, უბრალოდ, სხვა (და სიყვარული) არ დაგვაგინყდეს, თორემ დარჩება ეს ქვეყანა უხეშობასა და ძალადობას...

მოთხრობაში ჩართულია „მარტის არაკი“, რომელსაც არაჩვეულებრივად კითხულობს ავტორი (აუდიოდისკზე ჩანერილი ოთხი ნაწარმოებიდან ორს მსახიობი ნინო კასრადე ახმოვანებს, ორს — თვითონ ავტორი. და მსმენელმა არ იცის, რომელი რომელს ამჯობინოს, იმიტომ, რომ მსახიობის სწორ, სათანადოდ აქცენტირებულ, კარგ მეტყველებას მხარს უსწორებს და თავისებურ ხიბლს სძენს ავტორის ოდნავ არქარებული ტემპი, სასიამოვნო ხმა. ასევე დასამახსოვრებლად და სახიერად კითხულობს იგი ნაწყვეტს მოთხრობიდან „სხუაი“. „მარტის არაკი“ ყველა დავინყებული ავტორის ხსოვნად, ყველა ხალხური არაკისა და ლექსის, ზღაპრისა და პოემის სადღეგრძელოდ ითქმის და გულისხმობს (მოიცავს) დავინყებული გმირების, დავინყებული სიტყვების, დავინყებული ტერიტორიების, დავინყებული ნეს-ჩვეულებების, დავინყებული ასოების სადღეგრძელოსაც კი.

„იქნებ, ამ სადღეგრძელომ მაინც გვიშველოს ცოცხა, ჩვენც რომ არ მივეცეთ დავინყებას!“ — ავტორთან ერთად მკითხველსაც აქვს ამის გაფიქრების უფლება.

ჯანო ჯიქიძე უზღვავე ფანტაზიის მწერალია. მას შეუძლია დახატოს სრულიად წარმოდგენილი სიტუაციები, პერსონაჟები ამოქმედოს, ამყოფოს წარმოსახვით შექმნილ, ხაზგასმით არარეალისტურ სამყაროში ისე, რომ იმავე დროს ყველაფერი იყოს სავსებით რეალისტური. საგანგებოდ შექმნილი ფანტასტიკური გარემოს მიღმა დახატულია, ასახულია თანამედროვე ყოფა, ჩვენი ყოველდღიურობა.

ჯანო ჯიქიძე თხრობისას თვითონაც ლაღობს და მკითხველსაც ალაღებს. სილაღეს განაპირობებს მწერლის მიერ ენის ფლობა, წერის ტექნიკის სრულყოფილად ცოდნა, მკითხველის აყოლიების უნარი. შეიძლება ითქვას, იგი სახელების დარქმევის დიდოსტატია. შეუძლებელია დავინყნოთ ვირომადლი, მეზმანა, ედუ, სხვა პერსონაჟთა სახელებიც. ლადო ასათიანი წერდა: „რამდენი ნოდარი, რევაზი, თამაზი, ვახტანგი... და სხვა გმირებია თანამედროვე მწერლების ნაწერებში. როგორი სახე აქვთ? რა აცვიათ?.. აბა, დაიძახე ლუარსაბ თათქარიძე! ოთარაანთ ქვრივი!“ ახლა მე მინდა ვიკითხო, ვისაც წაკითხული აქვს მისი მოთხრობების კრებული **„ზეგზებზე“** (გამოცემული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ), აბა, დაიძახე: რუსტიკო, ბა (ბათილი)!.. მაშინვე თვალწინ წარმოგიდგებათ ცოცხალი პერსონაჟი და სულაც არ დაგჭირდებათ ფიქრი მათ გასახსენებლად (მითუმეტეს — დიდხანს ფიქრი). ეს, რა თქმა უნდა, ავტორის ოსტატობაზე მეტყველებს.

სხვათა შორის, მწერალი ცოცხლად, ნათლად, სისხლსავსედ ხატავს არა მარტო ადამიანებს, არამედ — ცხოველ-ფრინველებსაც და ასე გასინჯეთ — უსულო საგნებსაც. ვთქვათ, მოთხრობაში **„საფულე“** ეს საგანი — საფუ-

ლე — მართლაც ხორცშესხმულ პერსონაჟად წარმოგვიდგება. თავისი მონოლოგით საფულე გვაცნობს პატრონს, სერ გრილს, მის მეგობარს, მეზობელ ქალს, მალაზიის გამყიდველ მისტერ ცენტნერს, ჯიბიგირსა და სხვებს, ერთი სიტყვით, საზოგადოებას, დამახასიათებელი ავ-კარგით. როგორც მწერალს შეეფერება, ჯანო ჯიქიძეს გამახვილებული აქვს უნარი ადამიანთა ქცევებში, ურთიერთობებში დეტალების, წვრილმანების შემჩნევისა. სწორედ ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტები ხსნიან ხოლმე ადამიანის სულს, მის შინაგან ბუნებას, და გვეხმარებიან სინამდვილის სწორად აღქმაში. მთხრობელის (საფულის) შეხედულებანი მუსიკის, კერძოდ, ჯაზის, სხვადასხვანაირი მსმენელის, ადამიანის ტვინში არსებული დისკომფორტის, სიყვარულისა და სხვა საინტერესო საკითხთა შესახებ ააშკარავებს ამ სრულიად

არარომანტიკულ ეპოქაში სასწაულებრივად გადარჩენილ რომანტიკოსთა და, პირველ რიგში, ავტორის რომანტიკულ განწყობასა და ხედვას.

სხვათა შორის, ამ მოთხრობის (სხვა მოთხრობებისა) ნაკითხვა და გაგება სხვადასხვანაირად შეიძლება: რომანტიკული თვალი მასში სიყვარულისა და ერთგულების მარადიულობას დაინახავს, პრაქტიკულმა თვალმა, შესაძლოა, საფულისა და მისი დანიშნულების მარადიულობა დაინახოს. როგორც ავტორი წერს, ნახატს, რომელსაც „ტყე“ ჰქვია, განსხვავებულად აღიქვამენ მონადირე, ბიოლოგი, კრიმინალისტი და „ბუნების მეგობარი“. „მონადირე ფიქრობს, რომ ამ ტყეში ნადირს შეიძლება ნააწყდეს, ბიოლოგი აღმოაჩენს, რომ მხატვარს დაურღვევია პრინციპი „ბრძოლა არსებობისათვის“, კრიმინალისტის აზრით, აქ მკვლელებმა მსხვერპლი თუ გადამალეს, ან მიაგნეს, ან ვერა. „ბუნების მეგობარს“ მშვენიერი ჰერბარიუმი გამოუვიდა. მორჩა“.

ამ დებულებას გარკვეულწილად ემორჩილება კრებულში შესული სხვა ნაწარმოებებიც. მათი კითხვისას მწერალს უნდა აჰყვე. ვფიქრობ, შეუძლებელია ამ წიგნის კრიტიკული თვალთშეწონვა. თუ თავიდანვე გაიზიარებ იმ პირობითობას, რომელსაც მწერალი გთავაზობს და აჰყვები თამაშში, მაშინ ყველაფერი გხიბლავს, მოგწონს და უნებურად წიგნისა და ავტორის სასიამოვნო ტყვეობაში აღმოჩნდები; ხოლო თუ ერთხელაც გაუფიქრდი ტექსტს და განზე გაიწიე, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არც წიგნი მიგიღებს და მიგიკარებს.

პატარა მინიატურა „წერტილი“ არაჩვეულებრივად ხატავს სატრფოსგან განზილებული ქალის ფსიქოლოგიას. სულ ორიოდე გვერდზე ზუსტად არის აღწერილი, რო-

გორ ჩადგა ქალის სულში ატეხილი ქარიშხალი, როგორ თანდათან შეიცვალა თავდაპირველი მრისხანება და სამაგიეროს გადახდის სურვილი სიმშვიდითა და ფუჭი ოცნებით, იმედით, რომ ტელეფონით საუბრისას ვერ გაუბედავენ იმის გამეორებას, რაც წერილის ბოლო აბზაცში ეწერა. „დაძინებამდე ნახავს სიზმარს...“ ამ მოქნეული ფრაზით მთავრდება მინიატურა, რომელსაც შესანიშნავად კითხულობს ნინო კასრაძე (ჩანანური აუდიო დისკზე). სხვათა შორის, ასევე ზუსტი მახვილებით, ნაწარმოების განწყობის შესაბამისად კითხულობს მსახიობი „**მონოფონსაც**“ — მარტოობაში მცხოვრები, ცალად მყოფი ქალის სულის ამოძახილს. ბავშვის, მოზარდის ფაქიზი სულია ნაჩვენები მოთხრობაში „**ორუცნობიანი**“, მაშინ

როცა სკოლაში ორუცნობიანი განტოლების ამოხსნას ასწავლიან, პატარა ადამიანები მრავალუცნობიანი ცხოვრების შეცნობას იწყებენ. ო, როგორ სჭირდებათ ამ დროს გამოცდილი ხელის ზომიერად შემველება...

რაზე უნდა წერდეს ჯანო ჯიქიძე, როგორი ფანტასტიკური, ზღაპრული სიუჟეტიც უნდა ჰქონდეს მის თხზულებებს, ყველა ნაწერი ეროვნული მუხტითაა გაჯერებული, ქვეყნის სიყვარულით, საკუთარის, ძველის, ფესვების მონატრებით აღბეჭდილი. „**ზღაპრის**“ (მოთხრობის სათაურია!) პერსონაჟია მეზმანა. ბუნების ლალი შვილი გარემოსთან სიმღერით ურთიერთობს. თითქოს პირველქმნილი ადამიანი ის-ისაა იწყებს

მეტყველებას, იწყებს სიმღერით, ახალშობილ ხმას შეუერთებს ღვთის მიერ გაჩენილ საოცრებას — სამყაროს, და შემოქმედს სამადლობელს ისეთი სიმღერით უქმევს, რომელსაც „**მოუსმენდი** და მოგიდებოდა, ზეცისათვის შეგეხედა და ღრუბლებისთვის ნაგეტანებინა ხელი“...

მამაპაპურის დანგრევა ენახება მეზმანას, თუ ძველთან კავშირი წყდება, მაშინ დედა-ბოძს უჭირს, კედლები იზზარება, სული გაუცხოვდება. ავტორს ეოცნებება ისეთი ადამიანების არსებობა, რომელთა საქმიანობაც საიმედოდ დაიცავს სულში ღრმად ჩაკირულ ეროვნულ ფასეულობებს. ღვიძილში ნანახი სიზმარია, სხვა რა? „**კოჭები** გასწორდნენ, ქვებმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და კედლები ფეხზე წამოდგნენ, ქერი ჭრიალ-ღრჭიალით გაიმართა; სახურავზე კი ისეთი რამ ხდებოდა, სიზმარშიც რომ არავის უნახავს — მანამდე არეულ-დარეული კრანეტები მეზმანას სიმღერაზე დამჯერი ჯარისკაცებით სწორ მწკრივებად განლაგდნენ; იმ ღამის სიმღერას კი ბოლო არ უჩანდა...“

თვითონ მწერალი ემსახურება ასე ერთგულად თავის ქვეყანას (კალმით, რასაკვირველია), ხოლო მეზმანა, ვგონებ, შემოქმედის განზოგადებული სახეა, საერთოდ, ჯანო ჯიქიძის ნაწერებში ეროვნული ტკივილები გაცილებით



უფრო მძაფრადაა აღბეჭდილი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. „რუსტიკო და მისი ჯანი“ ახლახან გადახდილი ომითაა შთაგონებული და თავისებურად, სხვა ქრილში, სხვა რაკურსით აირეკლავს ადამიანთა, სწორედ ადამიანთა ყოფას (მიუხედავად იმისა, რომ თვით რუსტიკო მერცხალია).

ჩვენი ქვეყნის ახლო წარსული არეკლილი და ჯანო ჯიქიძისებურად გარდასახული მოთხრობაში „ორღესული“. გამჭვირვალეა მინიშნება ჯერ მარტო პერსონაჟის სახელით — ედუ. ის ეპოქა დღეს უკვე აქტუალური აღარაა, მაგრამ „დიქტატურის ანატომია“, სამწუხაროდ, კვლავ სადღეისო თემაა. ქვეყნისთვის დიდი ვერაფერი შელავათია, როცა ერთ დიქტატორს მეორე, უფრო ახალგაზრდა ცვლის. ღირსებააყრილ ხალხს აღარაფერი შეუძლია, მაგრამ ხსოვნით ყველაფერი ახსოვს. რომელ ქრილშიც (ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ, დიაგონალურ, ბოლოს-ნინა თუ ბოლო) უნდა დაინახო დიქტატურა, ყველგან და ყოველთვის ერთმანეთს ჰგავს, ერთნაირი მახასიათებლები აქვს და, თუკი თვითონ მმართველთა აღარ ახსოვთ ზოგი რამ, ავტორის თქმისა არ იყოს, „ჩვენ ხომ გვახსოვს!“

ანგელოზსაც გაუჭირდება ანგელოზური ცხოვრება ცოდვილ მიწაზე. ის, რაც კაცს ამაღლებს, ფრთებს ასხამს თუ ზეცამდე ასასვლელ კიბეს მიუყუდებს, სხვისთვის, მოყვასისთვის ზრუნვა და ლოცვაა. თანაც ისე, რომ მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ „სხვის“ ეროვნებას, სარწმუნოებას, მითუმეტეს, სოციალურ მდგომარეობასა თუ სხვა „სტატუსს“. ქართულ-ლეკურ-სპარსულად ლოცვა არა მარტო შესაძლებელი, არამედ ღვთის სათნოცაა, როცა შეყვარებულთა და მათი მეგობრის გადარჩენას ითხოვს. „ვეფხისტყაოსნის“ ალუზია აქ არაფერ შუაშია. ეს იდეალები ისე ღრმადაა ჩაქსოვილი ავტორის (და ყოველი ჩვენგანის) არსებაში, რომ საგანგებო გამოხმობა, ინსპირირება საჭირო არაა. „წინანდლის ანგელოზი“ თავისთან დაუმსახურებლად არავის წაიყვანს („იმშადაგური“) ადამიანს სულ უნდა ახსოვდეს, რომ საბოლოოდ ყველას ერთი გზა აქვს — არყოფნისკენ, „საცა არა არს თუალღება“ და უმაღლესი მსაჯულის წინაშე ყველა თანასწორია.

„კვირის ბოლოს ბოლოში“ კარგად ჩანს, რა დიდი მენტალური განსხვავებაა თვით მართლმადიდებელ ქრისტიანთა შორისაც. მართლაც, „დიდი ძეს კაცით კაცამდე“. კაცის მოკვლა ხომ იარაღითაც შეიძლება და ტყეში მარტო მიტოვებითაც და ვისაც ხილული იარაღი არ გამოუყენებია, სულაც არ ნიშნავს, რომ კაციც არ მოუკლავს.

როგორც ავტორის სხვა არაერთი ნაწარმოები, „ვაფელი მდოგვით ანუ ტკბილ-მწარე სიზმრებიც“ სავსებით რეალისტური მოთხრობაა. მასში ჩვენი ყოფა აირეკლება მსუბუქი იუმორით, დიდი წარმოსახვით, წარმოუდგენლად ფანტასტიკურ გარემოში, ირეალური პერსონაჟებით, მაგრამ — მართლად, ზუსტად, უტყუარად. ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე მყოფი ადამიანის ჩვენებანი ან იქნებ ჯანმრთელი კაცის სიზმრები. სხვა სამყაროში, უცნაურ გარემოში შემთხვევით აღმოჩენილი პერსონაჟი თავის თავგადასავალს გვიყვება, საკუთარ განცდებზე გვესაუბრება. მკითხველი ხვდება, რომ მთხრობელთან ერთად ჯოჯოხეთში მოხვდა. ოღონდ ჯერ

იქ საბოლოოდ დამკვიდრებული არ გახლავთ და, საბედნიეროდ, კიდევ აქვს საშუალება გათავისუფლდეს, თავი დააღწიოს იქაურობას (ჯოჯოხეთის, განსაზღვრული სხეულის მხატვრულ ნაწარმოებში მაშინვე დანტეს სახეებს ნამოტივტივებს ხსოვნაში, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯანო ჯიქიძის „სიზმრებს“ ამ შემთხვევაში დანტესთან არაფერი აქვთ საერთო).

მდოგვიანი ვაფლის გარემო, ჯოჯოხეთის ყოფა თითქმის არაფრით განსხვავდება ამქვეყნიური („ინსოლატივის“) ცხოვრებისგან (ძალიან მომწონს მწერლის მიერ შექმნილი სიტყვები). იქაც ყველანი (დაპატიმრებულები) ერთნაირები არიან და ფეხნაყოფილები დადიან. იქაც მთავარი მოვლენა არჩევნებია. არჩევნებში მონაწილეობას იქაც უიოლებენ ამომრჩეველს იმით, რომ ფიქრს არ ავალბენ, წინასწარ უსაზღვრავენ, ვის უნდა მისცეს ხმა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება იქაც ყველასა აქვს (უნიფორმებისა) და იქაც მილიონ სამუშაო ადგილს ჰპირდებიან ხალხს გამარჯვების შემდეგ. „კონდენსატებს“ (იმქვეყნიურ ბინადრებს) ჯოჯოხეთის მოდერნიზაციით შეიქცევენ და ნამდვილის ნაცვლად სთავაზობენ „ვიტომ“, „თითქოს“, „ალბათს“. შეეს იქაც ურჩევნია, რომ ხელქვეითი საკუთარ ფეხებზე არ იდგეს, რაც უნდა ხმამაღლა ლაპარაკობდეს, ხალხის ხმა იქაც კოლოს წუილზე მეტად არ ისმის. ბაქო-ჯიქიძის ნავთობსადენი იქაც აქტუალურია და ყველანი, ბაჯეიქოპანები, საბოლოოდ კი ბათილები არიან — ოღონდ თვითონ არაფერი დაუმავდეთ და ყველაფერზე აწერენ ხელს. მოკლედ, ზედამდომელნი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ადამიანი მიწასთან გაასწორონ.

მივხვდებით კი ჩვენ, რომ „მიწასთან გასწორებას მიწაში ჯობია?“ დავიბრუნებთ საკუთარი თავის პატივისცემას, ღირსებას, სიამაყეს ან შეგვანუხებს მაინც მათი დაკარგვა? ამ და მსგავს კითხვათა პირდაპირ დასმით არ ტვირთავს მწერალი თხრობას, ზედმეტად არ გვანუხებს ცხოვრებისეული ფილოსოფიით. მოთხრობაში ყველაფერი ბედნიერად კი მთავრდება, მაგრამ ეს მაინც არ არის ამერიკული „ჰეი ენდი“. საფიქრალად, სხვა რომ არა იყოს, ადამიანის თანდაყოლილი თვისებები — გაუმადლორება, უგუნურება, უმადურობაც... — გვეყოფა. მსუბუქ სტილს შეაფარა მწერალმა მძიმე საფიქრალი.

მოთხრობის ერთი პერსონაჟი, დეიდა თლასპი, თიმსალ მაკოსა („ბაში-აჩუკი) და ასინეთას („დათა თუთაშხია“) ჩამოჰგავს ერთგვარად. ან იქნებ არც ჰგავს (ვერ დავამტკიცებ), მაგრამ ასეთი ასოციაცია კი აღმიძრა...

ქართული ზღაპარი მკაფიო გამოხატულებათა ქართველი ხალხის სულიერი მშვენიერებისა. ხანდახან გვეჩვენება, რომ იგი კარგავს პირდაპირ დანიშნულებას, აღარ გვეძლევა ცოცხალ განცდაში და მხოლოდ მეცნიერთა და მკვლევართა ინტერესთა საგანი ხდება. როცა უფროსები ბავშვებს ძილის წინ ზღაპარს უყვებიან, იქ, ზღაპარში თბილა, ხოლო როცა ზღაპარს მეცნიერი-ფილოსოფოსი კითხულობს, ზღაპრის გმირებს სცივათ, როგორც ზამთარში, — ასე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ავტორი ეროვნული კულტურის ამ სფეროსადმი. უმოწყალოდ იკვეცება ზღაპრები, მოუცლელ, დაღლილ, თავგაბეზრებულ დიდებს ეჩქარებათ თხრობის დამთავრება, ცალკეულ ეპიზოდებს დაუნანებლად იმეტებენ გამოსა-

ტოვებლად და საბოლოოდ — დასაკარგად. და აი, მწერალი თვითონ იჭრება ზღაპარში („ხუთკუნჭულა“) და იქ მნეს, მცველს, გულშემატკივარს მიაველენს. ზღაპრის მწე უფროთხილდება, ელოლიავება, ეფერება, აგროვებს და ამთლიანებს დაკარგულს, დასაკარგად განწირულსა თუ გადაკეთებულს. არ შეიძლება, რომ დევმა ხუთკუნჭულას შეაგინოს, იმიტომ, რომ „თუ ზღაპარი აირ-დაირია, არც ამ ქვეყანას დაადგება უკეთესი დღე“. სადაც მამა-პაპათა მიერ დატოვებულ სიმდიდრეს, საგანძურს არ იცავენ, იქ არც ქვეყანას (მის ტერიტორიებს) უფროთხილდებიან. ტრადიციების, ზღაპრების უცვლელად შენარჩუნება, „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლაი“ ხომ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

ცვლილების წინააღმდეგი, ავტორთან ერთად, არც ჩვენ ვართ, ოღონდ იმ პირობით, თუ ეს ცვლილება ღირსებისა და თავმოყვარეობის დაცვაში დაგვეხმარება; თუ მტკიცედ და თამამად გვათქმევინებს: უცხო მოჯამაგირედ არ დაუდგები; ბოლოს და ბოლოს, თუ იმის ძალას მოგვცემს, რომ დაკარგული (ნართმეული) ბლოც (სოხუმიც) დავიბრუნოთ. „ბლოს დაბრუნება სულაც არაა ზღაპარი...“ — ასე იმედიანად მთავრდება „რეპორტაჟი ფქვილის უდაბნოდან“ და რა კარგია, რომ ეს იმედი გადამდებია.

„მგზავრის წერილები“ ყველა ქართველისათვის ნაცნობი და ახალგაზრდობიდანვე შესისხლხორცებული ნაწარმოების ალუზიას, ცხადია, შემთხვევით არ იწვევს. ილიას თხზულების სათაურის ზუსტად გამეორება, გადმოტანა მწერლური ხერხია, რომელიც თავიდანვე ამზადებს მკითხველს მწერლის ჩანაფიქრის შესაცნობად, თორემ ილია და მისი „მგზავრის წერილები“ მხოლოდ ნაწარმოების ბოლოსაა ნახსენები და მანამდე იქნებ არც გაგვახსენდეს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე „მგზავრის წერილებში“ მოგზაურობა ვირტუალურ სამყაროში ხდება, კომპიუტერში „დანაკავით“, „რიფიით“ თუ „რევერსით“ ვიკვლევთ გზას, ავტორი გვაფრთხილებს, რომ ადამიანს მხოლოდ ერთი სიცოცხლე აქვს (და არა რამდენიმე, როგორც კომპიუტერის ეკრანზე). ვინც თავის სავალ გზაზე ილიას გეზს მოჰკრავს თვალს, ბედნიერია. იარეთ ილიას გზით და არ დაივიწყოთ წინამური, რადგან წინამური ჯერ არ დასრულებულა — მწერლის მთავარი სათქმელიც, ალბათ, ესაა.

„თორნიკე თავისთავის“ პერსონაჟი არაფრით ჰგავს სახელოვან თორნიკე ერისთავს. ჩვენი თანამედროვე თორნიკე თავისი მოსახელე წინაპრის მხოლოდ პაროდიაა. თხრობის მანერით ეს მოთხრობა მათა ჯალიაშვილმა თავის შესანიშნავ ბოლოთქმაში ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ შეადარა. ფუნქციადაკარგული პერსონაჟები, რომლებშიც არ იციან, „დაჩნდნენ რისადა“, ერთგვარად დავით კლდიაშვილის სამყაროსთანაც გასდებენ ხიდს.

მთელი წიგნის სათაურად ერთ მოთხრობის სახელწოდება გატანილი — „ზეგზეგზე“. პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ ხერხს — სხვის ტექსტში შესვლასა და უკვე აღწერილის სხვა ჭრილში და სხვა თვალთ ალქმას — წარმატებით იყენებს მწერალი. პირველი თვალის მოვლებისას, ტექსტში გრაფიკულ გამოსახულებათა, ნახატების დანახვისას, ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ მოაგონდება

კაცს. მერე ვიგებთ, რომ ეს ნახაზები ავტორს შესავლის, ე.წ. „ფსევდომეცნიერული პროლოგისთვის“ დასჭირდა. მთავარი მიზანი შესავალშივე გაცხადდა — მე ვეძებ მამას. ღმერთს ეძებს მწერალი. ყველა ადამიანმა თვითონ, დამოუკიდებლად, საკუთარი სულიერი ენერგიით უნდა „აღმოაჩინოს ზეციერი მამა, ხელახლა უნდა გაიაროს კაცობრიობის მიერ არაერთხელ განვლილი გზა და ისე მიეახლოს უფალს. ჯანო ჯიქიძემ ამ გზაზე თავი ოთხთავს შეაფარა, კი არ შეაფარა, შიგ შევიდა და შეუმჩნევლად შიგვე დასახლდა. მკის დროს პურის ყანაში, მნიფე თავთავებს შორის მოქცეული ფიქრობს, რომ იესო მონაფეებთან ერთად სწორედ დღეს, შაბათს ჩამოვივლის და რაიმეს შეცვლა შეუძლებელია (როგორც არ შეიძლება, ვთქვათ, გიორგი ლეონიძის „ყივჩალის პაემანში“ ქართველი მოყმისა და ყივჩალის შებრძოლება სხვანაირად დამთავრდეს, ვიდრე ამას ხალხური „შემომეყარა ყივჩალი“ გადმოგვცემს). თავისი პიროვნული დამოკიდებულება აქვს ამბის მთხრობელს იესოსადმი. უყვარს მაცხოვარი რბილი, მონყალე, ჩვეულებრივი სასწაულების შესახებ მოუბარი: „შეხედეთ ლელვს, როცა მისი ტოტები რბილია, ახლოა გაზაფხული“. ვერ უყვარს მოძღვარი მკაცრი, განმსჯელი, პასუხის მომთხოვნი.

ზოგი სიმბოლო თუ მინიშნება ტექსტში გამჭვირვალეა, ზოგი — ოდნავ ბუნდოვანი. თუმცა ეს ხომ მოთხრობაა და არა ოთხთავის კომენტარი. ამიტომ გონებისთვის გაუგებარიც კი გრძნობისთვის საგსებით მისაღებია. ერთმანეთს ენაცვლება სერიოზული და ხალისიანი, თვითირონიით შეზავებული სტილი თხრობისა. ალბათ, ამის გამოისობითაც ნაწარმოები მძიმედ არ იკითხება. სიმსუბუქის განცდას ტოვებს ტკივილიანი ფრაზები: „მე არ ვიცი. ყანის მარგვლა არ ვიცი. მოსავლის შენახვა არ ვიცი. მარტო პურის ყიდვა და ჭამა ვიცი“, ან: „ვაზის გასხვლა არ ვიცი, ღვინის დაყენება არ ვიცი. მარტო დაღვევა ვიცი“. არის კი ღმერთთან მომხმარებლური დამოკიდებულება რწმენა? სიცოცხლეშიც იესოსგან სასწაულებს ითხოვდნენ. სხვანაირად ვერ იჯერებდნენ მის მეფობას.

„თქვენი სლოკინი, ხელთა ფოტინი ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნიაო“, — მიმართავდა ილია ჭავჭავაძე საზოგადოების ნაწილს. ჩვენი ლოცვა კი არ არის სლოკინი ან პირჯვრის წერა — ხელთა ფოტინი? შეგვიძლია სახარებისეული სიბრძნის შეთვისება, რაც მთავარია, რწმენა უკომენტაროდ? ცოდნა ხელს ხომ არ გვიშლის გულით შემეცნებაში? ადამიანთა უმრავლესობა ხომ „გზააბნეულია და სულ სხვა რამეზე ფიქრობს იმის მაგივრად, რომ გეზის გასწორებას ეცადოს?“

ამ მოკლე მიმოხილვაში მეტად ვერ მომიხერხდა. „ზეგზეგზე“ მეტ ყურადღებას იმსახურებს, ალბათ, დაინერება კრიტიკული წერილები ცალკე ამ მოთხრობის შესახებ, რადგან იგი იძლევა საშუალებას, სხვადასხვა რაკურსით ნაკითხვისა. მწერლისეული ძიება კი გრძელდება. ის დიდი ხნის დაწყებულია — პრეისტორიულ ხანაში, და მარადიულად გაგრძელდება — სამყაროს დასასრულამდე.

თუ გამომივა, ჯანო ჯიქიძისებურად მინდა დავამთავრო: მწერლის ზეგზეგზე სიარულს, საკუთარ სულში ხეტივალს, მამის ძებნასა და საერთოდ, ყოველგვარ ძიებას გაუმარ-ჯოს!

მუჰამად აჰმად ჰამადი

თანამედროვე ეგვიპტელი პოეტი. დაიბადა 1941 წელს. ლექსებს აქვეყნებს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. რამდენიმე კრებულია და თარგმანის ავტორია. მას ეკუთვნის შარლ ბოდლერის „პარიზის სპლინის“ არაბული თარგმანი. იგი ბოდლერისა და სიმბოლისტთა თაყვანისმცემელი და, შეიძლება ითქვას, მიმდევარიცაა. ჩემს სისხლში ბოდლერი ტირის, — ნათქვამია მის ერთ-ერთ ლექსში. ჰამადის შემოქმედებას არაბი კრიტიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ. მისი ლექსების ფორმა თავისუფალი ლექსია. იშვიათად მიმართავს კლასიკურ სალექსო ფორმასაც (ბეითი, მონორიმი).

საღამო ბარში
მდინარე ტემზის სანაპიროზე
(ნანყვეტი)

ქარების ხელი ხვეტს ყვითელ ფოთლებს ხეთა შტოებზე,
შემოხვევია ბებერ ლონდონს სმოგი, დუმილი,
და შემოდგომის იერით დასცქერს ქუჩების ბეტონს,
ქვასა და მინას.

ნისლის თითები უხილავი ლონდონის ცაზე
მეყსეულად ეხება მეყსებს,
უეცრად ნაცრის რუხ უდაბნოში იფეთქებს ზეცა
და ღრუბლებიდან წვიმის თქეში გადმოიღვრება.
და განიბანა ჩემი ყარობი, მშფოთვარე სული,
როცა შევედი ღვინის ბარში მდინარის პირს შუა ქალაქში.

* * *
იდგა საღამო და წყვდიადი მოდიოდა სადღაც შორიდან
და საქსაფონი
ყმუოდა როგორც მარტოხელა მშიერი მგელი.
მას პასუხობდა წინწილათა ველური რიტმი,
მელოდიები.

და ტამტამის ხმა დაჟინებით უხმობდა დამსწრეთ,
რომ ჩამოიხსნან მათ ნიღაბი ნაირნაირი,
ჩამოიშორონ ახალი სახე,
გაიძრონ ტყავი, მორიდება, სიმბდალე, სპლინი
და ამ სიგიჟის არენაზე

საცეკვაოდ შეერთდეს ყველა.
აღმოდებული არენის ჭერზე
შუქის სვეტები ანაწილებს ჩრდილებს და ფერებს.
წმინდა ნერვიულ მოძახილად გადაიქცევა სიმღერა ბენდის,
განსაცდელისგან თითქო ვინმე ითხოვდეს შველას.
იკლაკნებიან სხეულები, შორდებიან და ერთდებიან
და არის ჭედვა
ბრინჯაოსი, ალმასების და სპილენძისა,
ოქროს წნულების, პრიალა ვერცხლის.
იკარგებოდა ღრიანცელის ლაბირინთებში
სევდიანი გიტარის უღერა.
იდგა დარბაზში ბოლის ღრუბელი,
ტრიალებდა ღვინის სასმისი
და სასმელსა და თასში კლავდნენ ყვირილს და სევდას.
ლამე ნასვამებს გულში იკრავს
და საღამო ისევ გრძელდება...

სიყვარულის ხილი

ახლა ჩემს გულში პოეზიას დაუვანია
და რადღა ეძებ იქ ბრონეულს

ჩემი სიყრმის სიყვარულისა?
ის იყო ერთ დროს ნამიანი ვარდის კუნწულა,
წყარო ჰიმნების,
მერცხლები რომ ლოცულობენ მისი რითმებით
მარმარილოს მოელვარე საკურთხეველში.

თქვენ გიგალობდნენ, შენს წამნამებს,
ხავერდოვანი მდელოსაებრ რომ ჩრდილავენ
ფირუზის წყაროს.

ეს შენ ააგზნე მის ძარღვებში ცეცხლის სპაზმები
და იმ ცეცხლისგან ნაცრის გარდა აღარა დაგვრჩა.

მე ის ნაცარი ცეცხლს გავატანე,
ის ჭრილობა, სისხლისაგან რომ იწრიტება.
მის ნაწიბურებს კრავს ნაზავი ლექსის ხატების:
გვენია, რომ გიზგიზებს ვულკანების ამოფრქვევისას,
მხურვალე სისხლის ნაკადულები;

იდუმალი ლოცვის ჩანჩქერი და წვიმები
მარადიული სევდიანი მდუმარებისა...
რადღა დაბრუნდი მოულოდნელად

და რატომ გინდა, რომ ჩემს მკერდში
ამოჩხრიკო ბრონეული მშვენიერი სიყვარულისა?

მას პოეზიის მდინარეში დაუვანია
და გაუნოდე ხელი მის ტალღას, ნერვების ხანძარს.

მიუკაკუნე წყნარად მისი კასიდების კარს,
თუ გასურს, რომ შეგხვდეს.
ეგებ მოესმას შეხმიანება თვალუნვდენელი შორეთიდან

და ეგების! კარიც გაგიღოს.
და სევდიანი საგალობლების სარკმელებიდან
იქნებ სახეშიც შემოგხედოს,

მზეო ოქროს სასუფევლისა.
იქნებ მას შეხვდე როგორც სიმბოლოს

უკიდევანო მშვენიერი ოცნებებისა,
გალობათა მეტაფორებში და ყოფიერ საბურველებში,
ანტონიმებში: სიყვარული და სიძულვილი,

ნამსხვრევები ვარსკვლავის ფრთებზე, ღრუბლების ექო,
ნაყოფიერი ველები და

ხეობები გვალვისაგან გადახრუკული.
ან შეხვდე როგორც მგზავრობის რიტმს

დაცემულ ველზე
ცეცხლისაკენ მწუხარებისა და დავინყების,
ანდა პირიქით — ხსოვნისაკენ,

და შენ უთუოდ შეხვდები რითმას,
რავის (რითმის ძირითად ბგერას).

ახლა კი შენ მას მოველინე იმ ხილის დარად,
ტოტზე უდროოდ რომ გამოჩნდება.
შენ ვერ შეხვდები მის თანაგრძობას,

ეგებ იმ ლექსმა ხელიც კი დაგვნას,
მდინარემ კლდიდან მოხეთქილმა ცეცხლის და კვამლის,
რატომღა ეძებ ახლა კვამლის ხვატს

და რატომ გინდა ამოჩხრიკო
ბრონეული მხურვალე ვენების.

ო, ნუ დაატეხ ნაცრის გროვას
მძვინვარ ქარიშხალს!

ვედრება

შეგვიწყალე, ყინვის უფალო,
სიცარიელის სარკეებზე თეთრი ფიფქებით
შიშის ქმნილებებს რომ დახაზავ ზღაპრულ ხაზებად.
მერე კი ძილში გველანდებიან ეშვით, ბრჭყალებით.
მერე გიზგიზებს სულში ბნელის, ძალმომრეობის უსასოობა
სივრცეების მისაქციელზე.
შეგვიწყალე და ნუ ჩააქრობ ცეცხლს კერიაზე,
ნაფოტებში, შეშის გროვებში.
ცეცხლს ნუ ჩააქრობ,
არ ჩაქრება ნაპერწკლები გაფრენილი სიტყვით კონებში
და არც ხანძარი ანვერილი სისხლის ძარღვებში.
ცვივიან ირგვლივ მკვდარი ხეები ჰორიზონტის

თეთრი სვეტები

როგორც ქვეყნები ერთ დროს ჩვენი გამომდევნელი.
აღწევს ჩვენამდე დაცემის ხმა სადღაც შორიდან
და მეორდება როგორც ექო მდუმარებაში
აღამიანთა მოგონებებიდან.

შეგვიწყალე ყინვის უფალო,
ჩვენ ხომ სამხრეთის ტრამალებში არ გვაქვს არა რა
თვინიერ შენი ხატებისა ვით ობოლი მარგალიტისა.
გარდმოავლინე წყალობა შენი ვერცხლისფერი, ნაზი, ფაფუკი
და გულთა ცეცხლზე გამოვაცხოვოთ ხშიადს თოვლისგან
იმ გულთა, სადაც იწვის სევდა, სასონარკვეთა.
გარდმოავლინე ბამბის ფიფქები,
რომ დავართოთ ჩვენი თითებით და მოთმინებით,
და დავგრიხოთ მერე ძაფებად,
რათა მოვქსოვოთ საფარველი გზნების, სითბოსი,
ვიდრე ნაგვცხებდნენ აღსასრულის ნელსურნელებას
მანამ, სანამ დავცემოდეთ.
ეს სიკვდილია, რომ უთვალთვალეებს ჩასაფრებული
ნაბიჯების ნაბორძიკებას,
რომ მერე ქარის ქალაქებში დაიწყოს როკვა
ვით ქარბორბალამ.
მისი სიცივე თუ გადაგვაქცევს პალმის კუნძებად
ყვავილთ ველზე.

შენ მოგვივლინე სიცოცხლის წყალი
დაეძინება მთრთოლვარე ფესვებს.
დახშე ნაპრალი სიკვდილის და მუხანათობის,
რათა არ ვიქცეთ საფლავის ლოდად.
ზეთისხილის ხეს გადაუშლია მწვანე ტოტები
შენს წმიდა ცაზე

და შევექცევით მის ნაყოფს ამოს,
დახუნძლულ ტოტებს ვებლაუჭებით.
და ტოტები თუ დაგვივინყებენ,
სიცარიელის სარკეებზე არ ნაშლიან მტრობის სტრიქონებს,
მაშინ სამხრეთის ტრამალებზე არ დაგვრჩება აღარაფერი,
თვინიერ შენი ხატებისა, ვით ობოლი მარგალიტისა.
შეგვინდე მაშინ, ყინვის უფალო!



ნიზარ კაბანი

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არაბი პოეტი (1923-1998). დაიბადა სირიის დედაქალაქ დამასკოში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაბული ლექსის განახლებაში. პროფესიით ექიმმა კაბანიმ სამოღვაწეოდ დიპლომატიური სარბიელი აირჩია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა: კაიროში, მადრიდში, ლონდონსა თუ პეკინში. ამ ქვეყანათა კულტურის გაცნობამ კაბანის საშუალება მისცა, თავისი პოეზია ახალ-ახალი ელფერითა და აქცენტებით გაემდიდრებინა. მისი პოეზიის მთავარი ჟანრი სატრფიალო ლირიკაა. ზოგჯერ ქალების პოეტსაც უწოდებენ. აქვს პატრიოტულ და პოლიტიკურ თემაზე დაწერილი ლექსებიც. ავტორია 35 პოეტური კრებულისა. ფორმა — თავისუფალი ლექსია.

სიურრეალისტური კასიდა

- 1. საყვარელო, შენ არ გესმის და მეც ვერაფერი გამიგია, რომ სიყვარულის თვისებაა დაამსხვრიოს ჩვეულებრივი, შეჩვეული და გასაგები და სიყვარულის პირობაა, ჩემო ძვირფასო, არც კი ვიცოდეთ ჩვენი სახელი. რომ სიყვარულის თვისებაა, არ დავინახოთ, რა გველოდება და უკანაც არ მოვიხედოთ. რომ სიყვარულის თვისებაა, მიწოდონ მკვლელი მაშინ, როცა მოკლული მე ვარ.
- 2. ჩემო ძვირფასო, არც შენ გესმის და მეც ვერაფერი გამიგია... გასხიპე თუნდაც ნახევარი იმ სიტყვებისა, გაბრაზებულს რომ დამცდენია, და დახვეწე ჩემი გრძნობები, და ბრჭყალები დამაგლიჯე, და შეაგროვე ყველა ეკალი და ტალახი, რაც მისროლია, იყავი ჩემი მეგობარი სამარადისო, როდესაც მოვალ და თან მოვიტან ყვავილებს... მთვარეთ... წელიწადის დროთ.
- 3. საყვარელო, შენ არ გესმის და მეც ვერაფერი გამიგია. და ამისდა მიუხედავად, მაინც გრძელდება სიცილიცა და შეძახილიც, მზის ამოსვლაც და მზის დავანებაც. განა რას ვკარგავთ, საყვარელო, გამომიწოდო შენი ხელები. ჩემმა ხელებმა ოქროს სხმულზე იმოგზაურონ. რას ვკარგავთ, ჩემო დედოფალო, რომ გავემართო ყანებისაკენ ისე, როგორც წყვილი ბელურა... რას ვკარგავთ, ჩემო მბრძანებელო, რომ აღისფერსა და მორცხვ (ბაგეს) დავაბეჭდო ჩემი ამბორი, განა რას ვკარგავთ, ხალასო ოქროვ,

რომ აღვმალდეთ სუფიებივით
ღმერთთან შერწყმის და გარდასახვის საფეხურებზე
და მოციქულზე რომ ვილოცოთ,
საყვარელო, რას დავკარგავდით?

გზავნილი წყაღვეებითიდან

შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ,
დამეხმარე, ნავიდე შენგან.
თუ ხარ ჩემი შეყვარებული, დამეხმარე,
რომ მოვრჩე შენგან.
ის რომ მცოდნოდა, სიყვარული სახიფათოა,
არასოდეს შეგიყვარებდი.
ის რომ მცოდნოდა, ზღვა ასე ღრმაა,
არ შევცურავდი.
მე ჩემი ბოლო რომ მცოდნოდა,
არ დავინწყებდი.
მენატრები და,
მასწავლე, როგორ არ მომენატრო,
მასწავლე, როგორ ამოვიძიკვო
სიყვარულის ფესვი გულიდან
და როგორ კვდება ცრემლი გუგებზე.
მასწავლე, გული როგორ კვდება
და ყელს იჭრიან მაშინ ვნებები,
და თუ ხარ ღმერთის მოციქული,
ამხსენი ჯაღო,
ეს უღმერთობა.
ეს სიყვარული ჰგავს ურჯულობას
და დამიხსენი უღმერთობისგან.
ძლიერი თუ ხარ,
ამომიყვანე ამ მორევიდან.
მე არ ვფლობ ცურვის ხელოვნებას
და ნავიც არ მაქვს.
შენი თვალების ლურჯი ტალღა მითრევს სიღრმეში,
მე კი არა მაქვს სიყვარულის გამოცდილება.
ძვირფასი თუ ვარ შენთვის, მაშინ მომიკიდე ხელი.
მე ვარ
თავით ფეხებამდე შეყვარებული,
მე წყლის ქვეშ ვსუნთქავ,
მე ვიხრჩობი...
ვიხრჩობი...
ვიხრჩობი...

ომარ იბნ აბუ რაბია

შუა საუკუნეების არაბი პოეტი (644-712). არაბული სატრფილო ლირიკის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი ლაზალები (სატრფილო ლექსი) მცირე მოცულობის (430 ბეითი) თხზულებებია. მათი უმეტესობა არის მოკლე მოთხრობა, სურათი პოეტის სატრფილო თავგადასავლისა, ან მისი განცდების ემოციური აღწერა. მისი ლაზალების დიდი ნაწილი პოეტის სიცოცხლეშივე სიმღერით სრულდებოდა, რასაც მის მიერ გამოყენებული სალექსო საზომებიც უწყობდა ხელს. მისმა ლაზალებმა ღრმა კვალი დააჩინა არაბული სატრფილო ლირიკის განვითარებას.

* * *
მოგონებებმა ლექსად მაქცია
მახსოვს, ნავიდნენ განთიადისას

თვინიერ ჯვორზე ამხედრებული
ქალნი, გზაში რომ ერთად არიან.

მათშია ჰინდიც და იმას ვნატრობ,
ვიცოცხლო მანამ, სანამ ის არის

და აღსასრული როცა ენევა,
მეც მომენიოს მისი ისარი.

* * *
გული ჯიუტად სიყმანვილეს ისევ იჩემებს,
თუმც რახანია სიჭაბუკის დამტოვეს წლებმა.

და მიხმობს ჰინდის სიყვარულისთვის
გული, რომელიც ჯერ ისევ ფეთქავს.

ვთქვი, თვალები რომ ამიწყლიანდა
და დამიბინდა სამზეო ცრემლმა:

თუმც სიყვარულის და სიხარულის
მერე დღეს ჰინდი ნავიდა ჩემგან,

რას იზამ, ხალხი ამ ქვეყანაზე
ხომ ერთიანად მიდის და ქრება.



არაბული ბანაკი უდაბნოში

აბუ ნუვასი

გამოჩენილი პოეტი (VIII-IX სს). დედით (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მამითაც) სპარსელია, რაც მის პოეზიაშიც აისახა. ერთხანს ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის კარის პოეტი იყო და მასთან ერთად „ათას ერთი ღამის“ პოპულარულ პერსონაჟად იქცა. აბუ ნუვასის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ღვინის თემას, ე.წ. ხამრიათს. ღვინო მის ლექსებში სულიერი და ხორციელი სილამაზის წყარო, ტკბობის სიმბოლოა. მისი ღვინის ჰიმნები ზოგჯერ მხურვალე ექსტაზში გადადის. ამ მხრივ მან გარკვეული გავლენა იქონია არაბულ მისტიციზმზე. რელიგიური თემა მისი ღვინის ლექსებში ცინიზმითაა შეფერილი. თავაშვებული ცხოვრებისა და ისლამის გმობის გამო საპყრობილეშიც იჯდა. აბუ ნუვასი უხეხა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემასაც. აქ წარმოდგენილი მისი ლექსი ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოებია.

* * *

ჰეი, რამდენი დიდებული წევს ღირსეული მიწის ნიაღში და რამდენი დახვეწილი სილამაზეა მიწის ნიაღში.

ჰეი, რამდენი გონიერება და სიმამაცე და რამდენი მტკიცე აზრია მიწის ნიაღში.

ცოცხალი რაა? მომაკვდავი, შვილი მკვდრისა, ნაშიერი მიცვალებულთა.

ჭკუათმყოფელი წუთისოფელს როცა გამოცდის, მაშინ მიხვდება ეს ქვეყანა ყოფილა მტერი, გადაცმული მოყვრის სამოსში.

* * *

შესცოდე მეტი ამაქვეყნად, რაც შეიძლება. რადგან შეგვხვდება იმ ქვეყანას მონყალე ღმერთი.

და დაინახავ, თუ მიხვალ და შენდობას შესთხოვ, რომ მიეახლე უფალსა და მეუფეს სულგრძელს.

და აი, მაშინ სინანულით დაიკბენ თითებს, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლის შიშით ამდენი დათმე.

* * *

თუკი მანიჭებს ნეტარებას ღვინის სმა ლხინში. მე დასალევად მარხვის ბოლოს ვერ ველოდები.

დალიე ღვინო, საოცარი რამ არის იგი. დალიე, თუნდაც მან ცოდვები აკვილოს დიდი.

ჰე, შენ, ვინც მკიცხავ ჭვირვალისა, ნითელის სმისთვის, ნავალ ჯოჯოხეთს, შენ იყავი სამოთხის მკვიდრი.

არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

ბუნებაში ხომ არაფერი არ იკარგება: მოვიძიოთ გარდასულის რარიტეტები: რუსთაველის ხელნაწერი, წმინდა დავით აღმაშენებლის დეკრეტები, თამარ მეფის ბრძანებები და წერილები და სხვა... და სხვა...

პლატონს ბაძავს ჩვენი მთავრობა: პოეტებს აძევენს ჯანდაბაში; ოღონდ არგუმენტები არა აქვს! პლატონს არგუმენტები ჰქონდა. ამათ არა აქვთ! ვერც ის იაზრეს, რომ არგუმენტის და მიზეზის სესხება შეიძლება: ისესხონ პლატონისაგან! ფული ხომ მილიარდობით ისესხეს რაგინდარა მტარვალისაგან... ხოლო არგუმენტი რომ ისესხონ, ამისთვის, სულ ცოტა, პლატონის ნაკითხვას საჭირო. ოჰ! ეს კი არ უნდათ! თანაც ნაკითხვა რაღაა: ეს მთავრობაა, ძმაო, და არა მკითხველი! ასეა ხომკი! ასეა ასე!

ერთი მოგონება. ეს მოხდა რუსთაველზე... ჩქარი ნაბიჯით მიდის კოლაუ, ხელში „სეტკა“ უჭირავს, ეტყობა, ხორავით სავსე... ღვივა გამოეკიდა, ზურგში უბნკინა კოლაუს! უსწრაფესად შემოტრიალდა მოხუცი კოლაუ: ბოქსიორის პოზა მიიღო, დაუნდობლად მოუქნია... „გეზუმრე, ბატონო კოლაუ!“ „ეხლა ნადი და შენნაირ ნაბიჭვრებს ეხუმრე!“ ამ უზუსტესი სიტყვებით ამონურა კოლაუმ ეს მოულოდნელი კონფლიქტი და გზა განაგრძო...

წმინდა დავით აღმაშენებლის ბეჭდის წარწერა: „ჯვართა მტერთა მძლეველი, მე, დავით, ვარ უძლეველი“... წმინდა თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარის წარწერა: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯვარისაო, შენითა წინანარძლოთა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“...

როდის შეიქმნა „გალობანი სინანულისანი“ — დიდგორამდე თუ დიდგორის შემდეგ?

აი, დიდი ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია: მის ხელოვნებას ბევრჯერ გაუოცებია მაცურებელი!.. მაგრამ ჩვენ უფრო გაგვაოცა მწერლობის ილუზიონისტების გა-

მოჩენამ: მათ მოულოდნელად გააქრეს უზარმაზარი გამომცემლობა „მერანი“!.. როგორც ჩანს, ახლა მათი მიზანია მწერალთა კავშირის კუთვნილი სხვა შენობების გაქრობა!.. ალბათ, ამასაც წარმატებით განახორციელებენ, რადგან ილუზიონისტების ძალმოსილებას წინ ვერავინ აღუდგება! ვაშა და დიდება თქვენ, მწერლობის ილუზიონისტებო! ეს იქმარეთ, ახლა წიგნების წერა გაიხსენეთ, თუმცა აქ ილუზიონისტის ხელობა, მაინცდამაინც, ვერაფერში გამოგადგებათ! რაც დაგინერიათ, სჯობია, ის გააქროთ!

ეს იყო ჯურღმულთა განათების, გულის წყვიდადის გატყევის ხანგრძლივი, დაუოკარი მცდელობა: პლანეტარული წესრიგის ერთგვარი გადასხვაფერების გმირული ცდა, რაც ღვთის ნების გარეშე არა ხდება და ამ ცდის შედეგსაც ის მიითვლის, ვინც საქმის, ქმნადობის მეუფეა და კაცნი ამ შედეგს აღიქვამენ სწორედ ღვთაებრივი გზით, რაც ერთი, საკმაოდ ბუნდოვანი, გაცვეთილი, მაგრამ მრავლისდამტვევი სიტყვით გამოიხატება... ეს არის სამყაროს პირველსიტყვა: სიყვარული...

ხელთუქმნელის, დიადის კანტისეული განსაზღვრება: ის არის, რაც არის! წმინდა ვაჟა-ფშაველაც ასე განსაზღვრავს თავის პოეზიას: „მაინც ის არის, რაც არის, ჭორები მოამორეთა!..“ ორი დიდი სულის ნათესაობა!

დიდი ასკეტი: ვაჟა-ფშაველა! ნანერები, პირისახე, მოგონებები... ყველაფერი ამას მეტყველებს!

წმინდა ვაჟა-ფშაველას ერთი სურათი: პოეტი დგას ჩარგალში, თავისი სახლის წინ: უკან ჩანს ხის სვეტი და საჩეხის ჯვარედინად გადახიდილი ფიცრები... ხმალი და ხანჯარი, აგრეთვე საპირისნამლე ქისა, შუასაუკუნეების მეომრის მსგავსად, წელზე ჰკიდია, ხოლო ძველისძველი ბერდენკა კონდახის ძირს დაბჯენით უჭირავს ორივე ხელში: თოფისთვის ხელები ისე შემოუხვევია, თითქოს ეს მრისხანე იარაღი ცოცხალი არსება იყოს! ესეც თვისება რაინდისა...

ასე ვიტყვი და ამაში თვით არავინაიც უეჭველად დამერწმუნებოდა: მე ვწერდი ჩემთვის და კიდევ ორი-სამი კაცისათვის!.. ეს იყო და ეს!..

„შექმენი შენი კუნძული“: ესაა ჰამაბადას სიბრძნე. ინდური სულის წყურვილი თავისთავადობისა... ამ გზით მიღის ყოველი შემოქმედი...

სიბრძნე ყოფიერების რუტინად არასოდეს გადაიქცევა და არც მისი ნაწილი გახდება!.. მაგალითი: ლევ ტოლსტოის ცხოვრება და მოღვაწეობა...

გადავიწყე ოპტიმიზმი: ის თხელკედლიან გულებს ამაგრებს! გამოტყედი, მითხარი ერთი სიმართლე: აქ რომ გაჩნდი შენ იმის მერე ჩარჩენილი ხარ დაბადებიდან სიკვდილმისჯილთა დედამიწაზე!

არაბიჯის თავს, ხოვლებში, ცხვარ-ბატკანს ვმწყემსავდი... უცბად ფრთების ბარტყუნი გავიგონე, თანაც, იქვე ორი წითელი თვალი დავლანდე: არწივი იყო! როგორც ჩანდა, ბატკანს დაეცა... მე ბატკანი არ გავატანე. ეს კი მწარედ დაამახსოვრდა, არწივის ფრთების ქარმა ძირს რომ დამცა რამდენიმეჯერ!.. არწივი საღვთო ფრინველია, არწივის მოკვლას გვიკრძალავდნენ უფროსები!.. ერთხელ შემთხვევით მოვკალი ორბი. ტყის ბილიკზე ვიგრძენი, რომ რაღაც ცხოველი მაღალი ხიდან დამცქეროდა: მე კილდონი მეგონა და ვესროლე. ხიდან ჩამოვარდა ძალიან დიდი ორბი! დღემდე მომდევს ის უნებლიე ცოდვა!

არწივის ცა ხომ გაგიგონია. ახლა ამასაც გაიგონებ, რასაც წერენ: თვითმფრინავს ჩიტი შეეჯახა და ჩამოაგდო! თვითმფრინავების სიმაღლეზე ჩიტები ვერ ადიან... ეს არის არწივების ცა და თვითმფრინავს იქ თუ რამე შეეჯახა: ეს იყო არწივი! კი არ შეეჯახა, არამედ თავს დაესხა; თავს დაესხა და თვითმფრინავი დააზიანა, ან ჩამოაგდო!.. ბელურა ღირსეული ჩიტია, მაგრამ არწივების მაღალ ცაზე ის ვერასდროს ვერ აფრინდება!..

დამიჯერე: არ დავიწყო ენის ღვთაებრივი წიაღი: არ გაექცე „სიტყვის მიმართ თავდავიწყებულსა და ეგზალტირებულ სიყვარულს“. (ფსევდო-ლონგინე).

ახლა მოუსმინე დემოსთენეს: დააკვირდი, ის დღევანდელ საქართველოზე წერს: „უკეთურნი, ბილწნი, პირფერნი! მათ შემუსრეს სამშობლოს თავისუფლება და თავდაპირველად ფილიპეს, შემდეგ კი ალექსანდრეს მიჰყიდეს იგი. თავისი ღორმუცელობა და პირუტყვიანი ვნებები რომ აქციეს კეთილდღეობის ერთადერთ კრიტერიუმად, მათ დაამხეს და ფეხქვეშ გაათელეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაც ძველ ბერძნებს სიკეთის ერთადერთ ჭეშმარიტ საზომად მიაჩნდათ“ (დემოსთენე)... ახლა ფსევდო-ლონგინეს მოუსმინე: „ვერცხლის მოყვარებამ და განცხრომისაკენ დაუოკებელმა ლტოლვამ შერყვნეს, შებილწნეს ჩვენი სინამდვილე და ბინიერების უფსკრულში გადაისროლეს იგი“ (ფსევდო-ლონგინე).

„მოგონებანი ფიროსმანზე“, ოდესღაც რომანივით რომ წავიკითხე. ახლაც, სულ ცოტა ხნის წინ, ამ წიგნმა ისევ გამახსენა თავი: ან რაღა გახსენება მინდოდა, კარგად მახსოვს და ეგაა: წიგნმა თითქოს თავისით გადმოაბიჯა თაროების საპატიმროდან და მიიტაცა სითბო ჩემი

ხელისგულებს, ჩემი თვალების სარკმლებიდან ჩამოსული მზე და წვიმა დაიფინა გულისფიცარზე!.. სარკმლის სურნელი დგას ფიროსმანის უმნიკვლო გზაზე, სარკმლისა და სანთლის სურნელი...

სიკვდილზე ფიქრი: ასაკის მომატების კვალდაკვალ ის უფრო მძაფრდება და, ცხოვრების ორომტრიალში გასრესილ, შუბლდანაოჭებულ მავანს თუ ნახავ, ეს ცხოვრების ბრალი როდია, ეს იმ ტვირთის შედეგია, რისი შემსუბუქებაც დღემდე ვერავინ შესძლო, უფროდაუფრო რომ მიძიმდება, უფროდაუფრო ფატალური რომ ხდება!..

„მრისხანა ბილიკები პოეზიისა“... ეს ოთარ ჩხეიძეა. ამგვარ რამეს მხოლოდ პოეტი თუ იტყვის: ისიც ხომ პოეტი იყო. მან შექმნა ახალი ენა სალიტერატურო ენის წიაღში, რომლის შიდა მხარეც პოეზიაა. თანაც: მარტო ენა კი არ შექმნა, ასევე შექმნა უამრავი ახალი სიტყვაც: ალავსო სალარო ქართული სიტყვიერებისა...

დოგენე: ადამიანს ვეძებ!.. ვის ეძებდა, ხმისგამცემს, თუ ქვეყნისათვის გამოსადეგ ადამიანს?! ორივე შემთხვევაში მარტოობის დარდის დათრგუნვას ლამობდა! ხმისგამცემს თუ იპოვიდა: სიმარტოვის დარდს გადაიყრდა! ქვეყნის სარგო ადამიანს თუ იპოვიდა, ამით სამშობლოს დარდსაც დათრგუნავდა და კმაყოფილებასაც მოიპოვებდა! ნეტავ, ვინმე იპოვა?! ვინ იცის, ეგებ, ეს ორი სიტყვა უდაბნოში ამოა ღალადი იყო!.. ვინ იცის!..

იმ მწერლების საყურადღებოდ, ქართულ სინტაქსს ხელალებით რომ არღვევენ; ვიტყვი: გრამატიკა ხომ ქვეყნის კონსტიტუციაზეც უმაღლესია! გავიხსენოთ ლათინების ნათქვამი: „საკითხავია, რომის მეფე ხომ არ არის, გრამატიკაზე მაღლა რომ დგას?“

ხვალინდელი დღის ბურუსი და გაურკვევლობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვთქვათ, ხვალე ამას და ამას გავაკეთებო, ხვალე ამას და ამას დავწერო... ამ მხრივ მწერლობა წყვილია და მოცული და რადიკალურად განსხვავდება საქმიანობისაგან... ასე: ხაზაზმა უდავოდ იცის, რომ ხვალე პურს გამოაცხოვოს, ხოლო მწერალი სულ ტყუილად დაიქანებს ხვალინდელი დღის გამო: მან წინასწარ არაფერი არ იცის!..

ლიტერატურის საყოველთაო, მაცოცხლებელი გავლენა: მსოფლიო ლიტერატურათა თანაზიარობა... ჩვენ არ გავგივლია მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი, მაგრამ ეს მსოფლიო მაცოცხლებელი გავლენა: ის გვეხმარება, გვიბიძგებს, ჰაერს გვინილადებს, სისხლს გადაგვისხამს... და აი, გულებს აღარ გვიღრღნის ლიტერატურის „ამოხეული ფურცლების“ გრძნობა, რაც მოსალოდნელი იყო და რაც მაცოცხლებელმა გავლენამ დაგვამძვინა!

აჰა: ნიჭით ცხებული ახალგაზრდა: ისინი ბევრნი არიან: ჩვენი ლიტერატურის ხვალინდელი დღე!.. როგორც ლათინები იტყოდნენ, ვირი ყურებით გამოიცნობა... რალა დაგვრჩენია, ჩვენც უნდა გამოვიცნოთ და ვალიაროთ: ჩვენს ლიტერატურას უდავოდ დიდებული დრო ელოდება!

აჰა: გაცოცხლდა ნაცარქექიას მითი: მეოცნებე და მობერებებით გამორჩეული ქართველი ნაცარქექია ლამის კისერზე მოაჯდეს ნუკლიარული ბომბებითა და რაკეტებით აღჭურვილ რუსის დერჟიმორდა დევს, რომელიც ისეთ ტლინკებს ყრის და ისეთ მუშტებს იქნევს, ლამის მთელი კავკასიონი ნააქციოს! მაგრამ ძალა ძალაში როდია: ძალა მოხერხებაშია!.. და, სანამ ამ ჭეშმარიტებას დერჟიმორდა დევი გაიგებს, ეგებ ნაცარქექიამ სადგისი ბოლომდე დაასოს და რიყის გალიგვული ქვებიც გაანურვინოს!

აი, საბუთები: დიდი ნიჭის თანამდევი მწერლური აზროვნება, წარმოსახვის გამოგნებელი უნარი (ზოგნი ფანტაზიას რომ ეძახიან), მწერლური თავშენიერება, ამას ემატება ცხოვრების გრძელი გზა, გამოცდილება: ყოველივე ამას ბედისწერა ძვირად იმეტებს!.. ეს საბუთები სიცოცხლის მიწურულს ისე მოჩანს, როგორც „ნაგებული თამაშის“ კომპონენტები... ასე ხედავს ცხოვრებას საღად მაცქერალი მწერალი, თორემ თავისთავზე შეყვარებულ ნარცის მწერლებს ამგვარი რამ არც დაესიზმრებათ!.. აი, რას წერს თამაზ ჭილაძე, დიდი მწერალი: „ასე თუ ისე, სიბერე, ეტყობა, ნაგებული თამაშის გარჩევაა, მეტი არაფერი“... შენი არ ვიცი, მე კი ნამდვილად ვენდობი ამ სიტყვებს...

მომინდება, ზოგ ჩვენს თანამედროვე მწერალს „დიდი მწერალი“ რომ დავარქვა... ამის საბუთებიც არის, წყალი რომ არ გაუვა, ისეთი... მაგრამ განა შენ დამიჯერებ, ჩემო ურწმუნო ძმაო?!

ამბობენ, ალექსანდრე მაკედონელი კარგად იცნობდა თავის ჯარისკაცებს და ყოველ მათგანს გვარ-სახელით მიმართავდაო: ბრძოლის უამს გამხნეების შეძახილს შეაშველებდა ხან ერთს, ხან მეორეს და ა.შ. იცნობენ თავის ჯარისკაცებს კაბინეტებში გამოკეტილი ჩვენი სარდლები?! ჯარს არ უნდა შევხედოთ როგორც რესურსს, როგორც მასას: შევიცნოთ ის, როგორც ინდივიდების ლირსეული კრებულები!..

ასეც მოხდა: საქართველო ვერ გატეხეს: არ გატყდა საქართველო! მის გულს ეს სტრიქონებიც ამაგრებს, არხოტელი ხევსურის ნათქვამი: „არ გასტყდე, ჩემო არხოტო, ბასრო ფოლადო, რკინაო!“

გადაწერების ხანა: ქმნადობის გულის ერთგვარი, ნაწილობრივი შესვენება...

არავინაის გაკვირვება: ნაწილიანი იყო ბერთ გაგაი: ნაწილის ნიშანი მკერდზე ეტყობოდა: შავფერი რამ ტვიფარი. საკვირველი ვინმე კი იყო, იტყოდა არავინაი, ომში ტყვია და ხმალი მაგას არ ეკარებოდა, მაგრამ მტრის უშიშს წვიმის ეშინოდა ყველაზე უფრო: წვიმამ ნაწილი არ ჩამომრეცხოსო, თანაც ელვა ხო საშველს არ აძლევდა, მაშინვე მაგას ჩამოენვედებოდა საწვიმო ღრუბლიდან: მესს გაურბოდა მთელი სიცოცხლე! რო მოკვდა, ახლა საფლავის გამო შეიქნა ერთი ამბავი: ბერთ გაგაის შვილი ბერაი ჰყვებოდა, მეხი სცემს მამაჩემის სამარეს და, ალბათ, იმის სანყალ გულსაც აწუხებსო!.. მე ვურჩიე, ვეყო, მანდ მეხამრიდი დააყენე და საფლავსაც ეშველებო... დააყენა მეხამრიდი და საფლავმაც მოისვენა და ბერათ გაგაის გულმაც! ეგრე იყო, ეგრე!..

გაიხსენე დიდი მარსელ პრუსტი: „წიგნები მარტოობაში იქმნება, ისინი მარტოობის შვილები არიან“... გაიხსენე დიდი მარსელ პრუსტი და შენს მარტოობას ჯოხს ნუ მოუღერებ: ახლოს გყავდეს, ხელი ჩამოართვი, ჩაეხუტე!..

ასე განბჭობდა არავინაი: დაბერდა ღამე, ეს დღე არის მისი სიბერე...

გეუბნები: თუ მაინცდამაინც უეჭველია, რომ ახალგაზრდა პოეტმა ვინმე მავანი პოეტი ბომონად და ორიენტირად გაიხადოს, მაშინ რაღა საჭიროა შორს წასვლა და მრისხანე ოკეანის ორად გაპოზა; აგერ, აქვე დაეძებნოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავი „ანდერძი ავთანდილისა“: ამაზე დიდი ორიენტირი და გზის გამკვლევი მე სხვა ვინმე არ მეგულება! არც ქართულმა ლიტერატურამ იცის უფრო დიდი და აღმატებული ლექსი! ასე: „ანდერძი ავთანდილისა“, ახალგაზრდა პოეტისთვის დანატოვარი...

სიკვდილზე როცა საუბრობდა მუდამ ხორხეს ბოს ნათქვამს იხსენებდა არავინაი: ღმერთი მთელ სამყაროშია გაბნეული: ყოველ სულდგმულში და ყოველ მცენარეშია და ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ღმერთის ქმნილი და ღმერთის ნაწილიაო... ამ დროს დიდი ქადილით და სიამოვნებით წამოიძახებდა: აბა, სიკვდილი მოვიდეს და ღმერთის ნაწილი მომკლასო!.. ეგ ხორხეს ბო ვილა ოხერიო, რო ეკითხებოდნენ, პასუხობდა: ეგ არის, ვინც არის: წმინდა მოსეს შემდეგ მაგის მეტს ღმერთთან პირისპირ არავის უსაუბრიაო!

ვინ იყო ყაჩაღის საცოლე „ღვდლიანთ ქალაი“?.. გამოტყდით, გუდამამყრელებო!.. „გათხოვდი, ღვდლიანთ ქალაო, მე ნუ დამინყებ ლოდინსა, სანამდინა ხარ ჯეილი, ხანი გაქვს პატარძლობისა!..“ ღვდლიანთ ქალაი გათხოვდა, თუ არა?..

უქოჭოდ ვირი ვერ იმუშავებსო, ეგრეა ნათქვამი, მაგრამ ვირი ქოჭსაც მოიგდებინებს და პატრონსაც ტყუპი ნიხლით გაუმასპინძლდება: განსაკუთრებით შუბლში დაჯახება უყვარს!.. ალბათ იმიტომ შუბლი საკმაოდ ფართოა და ზედ ორივე ქაჩაჩი კარგად ეტევა! თანაც თავის დახრას უნდა ვერიდოთ, მაშინ, როცა ვირს უკან მისდევთ, თორემ... მეტს აღარ ვიტყვი: ყველაფერი ნათელია! ფრანგებს ვირზე შესანიშნავადა აქვთ ნათქვამი: სიყვარული ისეთი რამეა, ვირსაც კი ააცეკვებსო... და სანამ აქ მოვჭლიკავთ და მოვალთ, გავიხსენოთ ანტიკური „ოქროს ვირი“... გავიხსენოთ თანამედროვე ესპანურენოვანი შედეგური „პლატერო და მე“, ქართულ ენაზე შესანიშნავად რომ ამეტყველა ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა...

დამიჯერე: პოეზიას ნუ დახედავ ეჭველმეჭველი თვალთ! პოეზია გულგახსნილი ადამიანების დღესასწაულია! პოეზია თამაშია, სულის გარდასახვაა: მივიღოთ ის გულისთვალთ, როგორც პოეტური სულის გრადაცია და დავტოვოთ ისე, როგორც თეატრს ვტოვებთ: იდუმალი სიხარულით... და პოეზიასთან შეხვედრის ჟამს თუ ამ სიხარულმა არ აგვაგოს, გამოდის, რომ უხეირო წარმოდგენას დავსწრებივართ და ეგაა!.. თანაც, როგორც ჩანს, მავანი პოეტი — პროტაგონისტიც ენის ნიაღში ვერ თამაშობს გულის მიმტაცად!

ხასიათის ერთ-ერთი მხარე: ჯობნების, მეტოქეობის წადილი; გრძნობა, რომელსაც ემყარება სახელოვნო ფოლკლორი, კაფია, გალექსებები; ამას წინ უსწრებს საბრძოლო ხელოვნება და აგრძელებს სპორტის ეროვნული სახეობები, ვთქვათ, ქართული ჭიდაობა, მუსიკის თანხლებით რომ სრულდება და ზოგი ნიუანსით ცეკვას უახლოვდება!

ის ყველასთან არის, ვინც გულს გაუხსნის, ვინც ღვთაებრივი სინანულით აღივსება და შთახდება მონამებრივი ტანჯვის უფსკრულში, რათა ამაღლდეს სინანულის კიბეებით.

წმინდა ვაჟა-ფშაველას ორმოცდაათი წლის იუბილე არ გადაუხადეს. იმიტომ, რომ არ ისურვა. პირიქით: დასცინოდა იუბილეების გადახდით შეპყრობილებს: „იუბილეი“ გახშირდა, როგორც მაისში რწყილები“...



დემკორაცია

ანა პილი

როალდ დალი

თანამგზავრი

ახალი მანქანა მყავდა. გადასარევი რამე იყო. დიდი ჯ 3,3 ი, რაც 3,3 ლიტრს ნიშნავს. გრძელი ძარა, სანავის შეფრქვევის სისტემა. სიჩქარის მატება საოცრად სწრაფად შეეძლო, მაქსიმალური კი საათში 129 მილი! ჰქონდა. გარედან ცისფერი გახლდათ. შიგნით, სალონში, ლურჯი ფერის სავარძლები შესანიშნავი ხარისხის რბილი, ნამდვილი ტყავისგან იყო დამზადებული. ფანჯრები ავტომატურად ადიოდა და ეშვებოდა. ლიუკიც ავტომატურად იმართებოდა. ანტენა თავისით ჩნდებოდა, როდესაც რადიოს ვრთავდი, და თავისით ქრებოდა გამორთვისას. მძლავრი მოტორი დაბალ სიჩქარეზე უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა და იღრინებოდა, მაგრამ როგორც კი სიჩქარე საათში სამოც მილს აღწევდა, უკმაყოფილო ხმები წყდებოდა და ძრავა, თითქოს სიამოვნებსო, კატასავით იწყებდა კრუტუნს.

ლონდონისკენ მივემგზავრებოდი. ივნისის მშვენიერი დღე იყო. მინდვრებზე ბალახს თიბავდნენ. გზის ორივე მხარე ბაიებს გადაეყვითლებინა. სიჩქარე სამოცდაათამდე ავწიე. საჭეს, რომ არ გამტკიცოდა, ორი თითი მსუბუქად ჩამოვადე და მოხერხებულად მივეყრდენი სავარძელს. ცოტა ხანში გზის პირას დავინახე კაცი, რომელსაც ცერა თითი აეშვირა და გამვლელი მანქანის გაჩერებას ცდილობდა. მუხრუჭს დავანექი და მანქანა მის წინ გავაჩერე. მე ყოველთვის ვუჩერებდი მანქანას მთხოვნელს. ვიცოდი, რა გრძნობაც ეუფლებოდა ადამიანს, რომელიც გზის პირას დგას და გვერდით ჩავლილ მანქანებს თვალს აყოლებს. მეზიზღებოდა ის მძღოლები, რომლებსაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს ვერ მხედავდნენ. განსაკუთრებით ისინი, ვინც მარტო მგზავრობდა დიდი, ცარიელი მანქანით. საერთოდ, დიდი, ძვირადღირებული მანქანები იშვიათად თუ აჩერებენ ხოლმე. ყოველთვის მხოლოდ პატარები, ან ძველი, ჟანგიანი მანქანები თუ შემოგთავაზებენ ნაყვანას. ან კიდევ ისეთები, რომლებიც უკვე გატენილია ბავშვებით, მძღოლი კი გეუბნებათ: „მოგონი მოვახერხებთ კიდევ ერთი ადგილის გამონახვას“.

კაცმა ღია ფანჯარაში თავი შემოყო და იკითხა:

— ლონდონში მიდიხარ, უფროსო?

— ჰო, — ვუპასუხე მე, — ჩაჯექი. ის ჩაჯდა და მე მანქანა დავძარი. მგზავრი პატარა ტანისა იყო. სახით ვირთხას ნაგავდა. ჰქონდა ჩამუქებული კბილები. შავ, ეშმაკურ, ცოცხალ თვალს ვირთხასავით აქეთ-იქით აცეცებდა. ყურების ზედა ნაწილი ოდნავ ნაწვეტებული ჰქონდა. თავზე ნაჭრის კეპი ეხურა. ტანზე უზომოდ დიდჯიბეებიანი მონაცრისფრო ქურთუკი ეცვა. ეს ნაცარა ქურთუკი, ცოცხალი თვალები და ნაწვეტებული ყურები მას, ყველაზე მეტად, რაღაც უზარმაზარ ადამიან-ვირთხას ამსგავსებდა.

— ლონდონის რომელი ნაწილში მიდიხარ? — ვკითხე მე.

— მე ლონდონის გავლთ სხვაგან მივდივარ, — ეპსომში, დოლზე. დღეს დერბის² დღეა.

— ესე იგი დღეს დერბია, — ვთქვი მე. — ნეტავ მეც შემიძლოს წამოსვლა. მიყვარს დოლზე თამაში.

— მე არასოდეს ვთამაშობ დოლზე, — თქვა მან, — არც კი ვუყურებ. სულელური, უაზრო საქმეა.

— აბა, რატომ მიდიხარ? — ვკითხე მე.

შეეტყო, რომ ჩემი შეკითხვა მაინცდამაინც არ ესიამოვნა. პატარა, ვირთხისებრი სახე საერთოდ არაფრისმთქმელი გაუხდა. ხმაამოულებლად იჯდა თავის ადგილზე, წინ იყურებოდა და გზას თვალს არ ამორებდა.

— ალბათ, სათამაშო ავტომატების მუშაობას ადევნებ თვალყურს, ან რაიმე მსგავსს საქმიანობ, — განვგრძე მე.

— ესეც ისეთივე სისულელეა, — მიპასუხა მან. — რა კაფია მაგ ბინძურ მანქანებთან მუშაობა და არიფებისთვის ბილეთების მიყიდვა. ყველა შტერს შეუძლია მაგის კეთება.

ამის შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. გადავწყვიტე მეტი აღარაფერი მეკითხა. გამახსენდა, როგორ მალიზიანებდა ჩემი უმანქანობის წლებში, როდესაც მეც შემხვედრი მანქანებით ვმგზავრობდი, მძღოლების შეკითხვები — საით მიდიხარ? რატომ? რას საქმიანობ? ცოლი გყავს? მეგობარი გოგონა? რა ჰქვია? რამდენი წლისა ხარ? და ასე გაუთავებლად. ვერ ვიტანდი ამას...

— ბოდიშს ვიხდი, — ვთქვი მე, — რა თქმა უნდა, საერთოდ არ მეხება რას საქმიანობ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მწერალი ვარ. მწერალთა უმრავლესობა კი საოცრად ცნობისმოყვარეა.

— წიგნებს წერ? — მკითხა მან.

— დიახ.

— წიგნების წერა კაია, — თქვა მან. — ეს ისეთი პროფესიაა, რომელსაც დიდი ოსტატობა სჭირდება. ჩემი საქმიანობაც დიდ ოსტატობას მოითხოვს. არაფრად მიმაჩნია ის ხალხი, ვინც მთელი თავისი ცხოვრება ისეთ წვრილმან, ერთფეროვან საქმეს აკეთებს, რომელშიც ოსტატობის ნასახიც კი არაა. ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ?

— ჰო.

— ცხოვრების საიდუმლო ის არის, — განავრძო მან, — რომ გახდე ძალიან, ძალიან მაგარი ისეთ საქმეში, რომელიც ძალიან, ძალიან ძნელი საკეთებელია.

— შენსავით, — ვთქვი მე.

— ზუსტად ეგრეა. კაცი თავის საქმეში ისეთი მაგარი უნდა იყოს, როგორც ჩვენ ორივე ვართ.

— რამ გაფიქრებინა, რომ ასეთი კარგი ვარ ჩემს საქმეში? — ვკითხე მე. — ამქვეყნად უამრავი ცუდი მწერალია.

— კაი მწერალი რო არ იყო, ასეთი მანქანით არ ივლიდი, — მიპასუხა მან. — ალბათ ბლომად მაყუთი ღირდა.

— იაფი არ ყოფილა.

— რამდენის აქაჩვა შეუძლია? — იკითხა მან.

— ას ოცდაცხრა მილი საათში, — ვუთხარი მე.

— დავნაძღვედეთ, ვერ აწევს.

— აწევს, თავს დაავდებ.

— მანქანების ყველა მწარმოებელი მატყუარაა, — თქვა მან. — შეგიძლიათ იყიდოთ ნებისმიერი მანქანა, რომელსაც



ისურვებთ, მაგრამ ის ვერასდროს შეძლებს იმის გაკეთებას, რასაც მწარმოებლები თავიანთ რეკლამებში გვპირდებიან.

— ეს შეძლებს.

— მიდი აბა, დაამტკიცე, — თქვა მან. — მიდი, ჰო, უფროსო, მიაწე და ვნახოთ ერთი, რას იზამს.

ჩვენ ჩალფონტ სენტ პეტერის¹ წრიულ გზის გასაყართან ვიმყოფებოდით, რომლის შემდეგაც მაშინვე იწყებოდა ფართო, ცალმხრივი გზის სწორი, გრძელი მონაკვეთი. როგორც კი გადასახვევს გავცდით და ცალმხრივზე გავედით, მაშინვე ფეხი მაგრად მივაჭირე აქსელერატორს. ამხელა მანქანა ისე შეხტა, თითქოს ნესტარი უჩხვლიტესო და ათი წამიც არ იყო გასული, რომ სიჩქარე ოთხმოცდაათამდე ავიდა.

— მაგარია! — შეჰყვირა ჩემმა თანამგზავრმა. — მშვენიერია! მიდი, მიაწე!

მეც, სადამდეც შესაძლებელი იყო, პედალს ფეხი მივაჭირე და აღარ ავუშვი.

— ასი! — შესძახა მან. — ას ხუთი! ას ათი! ას თხუთმეტი! მიდი, არ აუშვა!

გარე ზოლზე ვმოდრაობდით და უამრავ მანქანას ისე ჩავუქროლეთ, თითქოს გაჩერებულები იყვნენ — მწვანე მინის, დიდ კრემისფერ სიტროენს, თეთრ ლენდროვერს, უზარმაზარ სატივროს, რომელიც მისაბმელით შავ კონტეინერს მიაგორებდა, ფორთოხლისფერ ფოლკსვაგენის მიკროავტობუსს...

— ას ოცი! — იყვირა ჩემმა თანამგზავრმა, რომელიც ალტაცებისგან თავის ადგილზე ზევით-ქვევით ხტოდა. — მიდი! მიდი! აანეწინე ას ოცდაცხრამდე!

სწორედ იმ წამს პოლიციის სირენის წივილი შემომესმა. თანაც ისე ხმამალა, კაცი იფიქრებდა, თითქოს შიგნით, მანქანაშივე ჩართესო. მერე შიგა ზოლზე მოძრავმა, მოტოციკლიანი პოლიციელის ლანდმა გვერდზე ჩავვიარა და გაჩერების მოთხოვნის ნიშნად ხელი აღმართა.

— ერიჰა! — ვთქვი მე. — რანაირად?! — პოლიციელის სიჩქარე ას ოცდაათი მაინც იქნებოდა, როდესაც გავვასწრო. ამიტომაც შესანელებლად კარგა ხანი დასჭირდა. ბოლოს, როგორც იქნა, მან გზის პირას გააჩერა. მეც იქვე, მის უკან შევჩერდი.

— არ ვიცოდი, რომ პოლიციელის მოტოციკლს ასე ჩქარა შეეძლო სიარული. — ძლივს ამოვიბლუყუხე.

— ამას შეუძლია. — თქვა ჩემმა თანამგზავრმა. — შენი რომლისაცაა, იმავე ფირმისაა, BMW R90S. ყველაზე სწრაფი ბაიკია. ახლა უკვე ამათ იყენებენ.

პოლიციელი მოტოციკლიდან გადმოვიდა და მანქანა გვერდულად დააყენა საყრდენზე. შემდეგ ხელთათმანები ნაიძრო და დასაჯდომზე ფრთხილად დააღაგა. ის უკვე აღარ ჩქარობდა, რადგანაც მშვენივრად იცოდა, რომ ახლა მის ხელში ვიყავით და ვედარსად წავუვიდოდით.

— ნამდვილ ხათაბალაში გავები. — ვთქვი მე. — ძალიან არ მომწონს ეს ამბავი.

— რაც აუცილებელია, იმაზე მეტს ნურაფერს ეტყვი, გასაგებია? — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა. — წყნარად იჯექი და ზედმეტად კრინტს ნუ დაძრავ.

პოლიციელი ნელი ნაბიჯით ჩვენკენ მოდიოდა. ისე, როგორც ჯალათი უახლოვდება თავის მსხვერპლს. ის იყო დიდი, ხორცსავესე, ლიპიანი მამაკაცი. ლურჯი ბრიჯი მჭიდროდ შემოტმასნოდა უზარმაზარ თეძოებზე. დამცავი სათვალე ჩაფხუტზე აენია, რომლის ქვემოთაც წითლად ალაყლაყებული, ფართოლოყებიანი სახე მოჩანდა.

ჩვენ სკოლის დამნაშავე მოსწავლეებით ვისხედით და მის მოსვლას ველოდით.

— შეხედე ერთი, ეშმაკს არ ჰგავს? — ჩამჩურჩულა ჩემმა თანამგზავრმა.

პოლიციელი ჩემს ჩამონეულ ფანჯარასთან მოვიდა და თავისი მსუქანი ხელი ზედ ჩამოადო.

— ძალიან ჩქარობთ? — იკითხა მან.

— არ ვჩქარობ, ბატონო, — ვუპასუხე მე.

— იქნებ თქვენი მანქანის უკანა სავარძელზე ქალს მშობიარობა დაენყო და სამშობიაროში მიქრიხართ? ასეა?

— არა, ბატონო.

— ან იქნებ თქვენი სახლი იწვის და მიქრიხართ, რათა ზედა სართულის ოთახებში გამომწყვდეული ოჯახის წევრები გაათავისუფლოთ?

— არა, ბატონო, ჩემი სახლი არ იწვის.

— თუ ასეა, მაშინ საკუთარი თავი ძალზე ცუდ ყოფაში ჩაგივლიათ. ასე არ არის? თუ იცით, რამდენია ამ ქვეყანაში სიჩქარის მაქსიმალური ნებადართული ზღვარი?

— სამოცდაათი, — ვთქვი მე.

— ხომ არ შეწუხდებით, რომ მითხრათ, რა სიჩქარით მოძრაობდით სულ ახლახან?

მე უსიტყვოდ ავიჩიქე მხრები.

შემდეგი ფრაზა ისე ხმამალა წარმოთქვა, ადგილზე შევხტი.

— ას ოცი მილი საათში! — იღრიალა პოლიციელმა. — ეს დანესებულ ზღვარზე ორმოცდაათი მილით მეტია!

მან თავი მიაბრუნა და ნერწყვის კაი გვარიანი მასა გადმოაფურთხა. ფურთხი მანქანის გვერდს დაეცა და ნელა დაცურდა მის მშვენიერ ცისფერ საღებავზე. მერე ისევ მოაბრუნა თავი და ჩემს თანამგზავრს დაჟინებით მიაჩერდა.

— თქვენ ვილა ბრძანდებით? — მკაცრად იკითხა მან.

— მგზავრია, — ვუპასუხე მე, — ახლახან დამემგზავრა.

— თქვენთვის არ მიკითხავს, — თქვა მან, — მას ვკითხე.

— რამე დავაშავე? — ნაზი, დათაფლული ხმით იკითხა ჩემმა თანამგზავრმა.

— ადვილი შესაძლებელია, — უპასუხა პოლიციელმა. — ყოველ შემთხვევაში, მოწმე ნამდვილად ხართ და ცოტა ხანში თქვენთვისაც მოვიცლი.

— მართვის მოწმობა, — დაიღრინა და ხელი გამომიწოდა.

მართვის მოწმობა მივანოდე. მან მუნდირის მარცხენა გულის ჯიბე გაიხსნა და ერთდროულად შიშისა და მოწინების გრძნობის გამომწვევი საჯარიმო ქვითრების წიგნაკი ამოიღო. გულდასმით გადაწერა მართვის მოწმობიდან ჩემი სახელი, გვარი, მისამართი და უკან დამიბრუნა. მერე ნელა შემოუარა მანქანას წინიდან, წაიკითხა ნომერი და ისიც საჯარიმო ქვითარში ჩაწერა. ასევე ჩაწერა დანაშაულის ჩადენის თარიღი, დრო და სამართალდარღვევის ყველა სხვა ნერილმანი. შემდეგ ქვითრების დასტას ზედა პირი მოხია და მე გადმომცა. მაგრამ ვიდრე გადმომცემდა, ყურადღებით შეამომნა — გარკვევით იკითხებოდა თუ არა მთელი ინფორმაცია მის საკუთარ ასლზე. ბოლოს ქვითრების წიგნაკი გულის ჯიბეში ჩააბრუნა და ლილიც შეიკრა.

— ახლა თქვენ, — მიმართა ჩემს თანამგზავრს, მანქანას შემოუარა და მუნდირის მეორე გულის ჯიბიდან პატარა, შავი წიგნაკი ამოიღო.

— სახელი? — ისევ დაიღრინა მან.

— მაიკლ ფიში, — თქვა ჩემმა თანამგზავრმა

— მისამართი?
 — უინძორ ლეინის თოთხმეტი, ლუტონი⁴.
 — მაჩვენეთ რამე, რაც დაადასტურებს, რომ ეს თქვენი ნამდვილი სახელი და მისამართია. — უთხრა პოლიციელმა. ჩემი თანამგზავრი ჯიბეში ჩაძვრა და იქიდან საკუთარი მართვის მოწმობა ამოიღო. პოლიციელმა მონაცემები შეამოწმა და საბუთი უკანვე დაუბრუნა.
 — რას საქმიანობთ? — იკითხა მან მკაცრად.
 — ტაშტის მიმტანი ვარ.
 — რა ხართ?
 — ტაშტის მიმტანი.
 — ნელა გამიმეორე.
 — ტ ა შ ტ ი ს მ ი მ...
 — საკმარისია. შეიძლება ვიკითხო, რას წარმოადგენს ეს „ტაშტის მიმტანი“?
 — ტაშტის მიმტანი არის კაცი, რომელსაც მისადგმელი კიბით ცემენტი ააქვს კალატოზთან. ტაშტი კიდევ არის ის, რითიც ააქვს ცემენტი. ამ ტაშტს გრძელი სახელური აქვს, ზემოთ კუთხეებში კი ხის კიდებიათაა ამალღებული...
 — კარგი, კარგი. ვისთან მუშაობთ?
 — არავისთან, უმუშევარი ვარ.
 პოლიციელმა ეს ყველაფერი თავის შავ წიგნაკში ჩაწერა. მერე წიგნაკი ჯიბეში ჩაიღო და ღილი შეიკრა.
 — უბანზე დავბრუნდები თუ არა, თქვენს მონაცემებს შევამოწმებ, — უთხრა ჩემს თანამგზავრს.
 — ჩემს მონაცემებს? რა დავაშავე? — იკითხა ვირთხისსახიანმა კაცმა.
 — თქვენი სახე არ მომწონს, ეს არის და ეს, — თქვა პოლიციელმა.
 — ალბათ მისი ფოტოც გვექნება სადმე, ჩვენს კარტოთეკაში. მანქანას შემოუარა და ჩემს ფანჯარას დაუბრუნდა.
 — ალბათ ხვდებით, რომ სერიოზულ უსიამოვნებაში გაქვთ თავი გაყოფილი, — მითხრა მან.
 — დიახ, ბატონო.
 — იმის მერე, რაც ამ ამბავს მოვრჩებით, კარგახანს აღარ მოგიწევთ ამ თქვენი მდიდრული მანქანის საჭესთან დაჯდომა. ის კი არა, საერთოდ არცერთი მანქანის საჭესთან დაჯდომა აღარ მოგიწევთ რამდენიმე წელიწადს. უკეთეს რამესაც გეტყვი, იმედი მაქვს გარკვეული დროით ჩაგსვამენ კიდევ.
 — ციხეს გულისხმობთ? — ვკითხე შემფოთებულმა.
 — სწორედაც, — თქვა და ტუჩები გაანკლაპუნა. — საკანში, გისოსებს მიღმა, ყველა იმ კრიმინალთან ერთად, ვინც კანონს არღვევს. ამას გარდა, დიდი ჯარიმაც გელოდებათ და ამით არავინ იქნება ჩემზე მეტად კმაყოფილი. სასამართლოში გნახავთ, ორივეს. უწყებას მიიღებთ.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

შეტრიალდა და მოტოციკლისკენ წავიდა. ფეხის მკვეთრი მოძრაობით საყრდენი თავის ადგილზე დააბრუნა და მოტოციკლს გადააჯდა. მერე სტარტერს ჩამოკრა, მოტორის გრუხუნით გზას გაუყვა და თვალს მიეფარა.
 — უუფ! — ძლივს ამოვისუნთქე მე.
 — მორჩა... ჩაგვაგლეხ, — თქვა ჩემმა თანამგზავრმა — თანაც კაი მაგრა...
 — გინდოდა გეთქვა, რომ მე ჩამავლეს...
 — მართალია, — თქვა მან. — ახლა რაღას აპირებ, უფროსო?
 — ახლა პირდაპირ ლონდონში, ჩემს ადვოკატთან მივიღივარ სასაუბროდ, — ვუპასუხე მე. მანქანა ავამუშავე და დავძარი.
 — არ დაიჯერო, რაც ციხეში ჩასმაზე გითხრა. მხოლოდ სიჩქარის გადაჭარბებისათვის ციხეში არავის სვამენ, — თქვა ჩემმა თანამგზავრმა.
 — დარწმუნებულნი ხარ, რომ ასეა? — ვკითხე მე.
 — ეგრეა, დარწმუნებული ვარ. — მიპასუხა მან. — მათ შეუძლიათ მართვის მოწმობა ჩამოგართვან. კიდევ შეუძლიათ დიდი, უზარმაზარი ჯარიმა აგკიდონ, მაგრამ მეტს კი ვერაფერს იზამენ. ენითუთქმელი შვება ვიგრძენი.
 — ჰო, მართლა, — ვთქვი მე, — რატომ მოატყუე?
 — ვინ, მე? — თქვა მან. — მაინც რამ გაფიქრებინა, რომ მოვატყუე?
 — შენ უთხარი, უმუშევარი ტაშტის მიმტანი ვარო. მე კი მითხარი, რომ შენი საქმიანობა დიდ ოსტატობას მოითხოვს, შენ კი ამ საქმის ნამდვილი ოსტატი ხარ.
 — ვარ კიდევ, — თქვა მან, — მაგრამ სულაც არ იყო აუცილებელი პოლიციელისთვის მეთქვა ყველაფერი.
 — მაშ რას საქმიანობ? — ვკითხე მე.
 — ეჰ, — თქვა მან ეშმაკურად, — ეტყობა მაინც მომიწევს თქმა, არა?
 — იქნებ ისეთი რამაა, რისიც გრცხვენია?
 — მრცხვენია? — შესძახა მან. — მე მრცხვენია ჩემი საქმიანობის? ისე ვამაყობ იმით, როგორც არავინ თავისი საქმიანობით მთელს მსოფლიოში.
 — აბა, რატომ არ მეუბნები?
 — თქვენ, მწერლები, მართლაც ძალიან ცნობისმოყვარეები ყოფილხართ. — თქვა მან, — მანამდე არ მოისვენებთ, სანამ პასუხს არ გაიგებთ.
 — სულაც არ მენაღვლება, მეტყვი თუ არა. — ვიცრუე მე. მან თავისი პატარა, ვირთხისებრი, ეშმაკური თვალებით ირიბად გამომხედა და მითხრა:
 — მე მგონი, ძალიანაც გენაღვლება. სახეზე განერია.

ფიქრობ, რომ მე რაღაც ძალიან უჩვეულო საქმით ვარ დაკავებული და ერთი სული გაქვს გაიგო, რა არის ეს.

სულაც არ მომეწონა, რომ ჩემი აზრები ასე იოლად ამოიცნო. გაეჩუმდი და გზას მივაჩერდი.

— ისე, მართალი ხარ, — განაგრძო მან. — მე მართლაც უჩვეულო საქმით ვარ დაკავებული. ყველაზე უფრო უცნაური და საკვირველი საქმით.

მე ვლუმდი და ველოდი, კიდევ რას იტყოდა.

— ამიტომაც უცნობებთან საუბრისას განსაკუთრებით ვფრთხილობ. ამას შენც ხედავ. საიდან უნდა ვიცოდე, რომ შენ, მაგალითად, გადაცემული პოლიციელი არ ხარ?

— ნუთუ პოლიციელს ვგავარ?

— არა, არ ჰგავხარ, — თქვა მან, — და არც ხარ. ამას ნებისმიერი სულელი მიხვდება.

ჯიბიდან თამბაქოს შესანახი თუნუქის ყუთი ამოიღო პაპიროსის ქაღალდების შეკვრასთან ერთად და სიგარეტის გახვევას შეუდგა. ცალი თვალით გახვებდე. სისწრაფე, რომლითაც მან ეს საკმაოდ რთული ოპერაცია შეასრულა, წარმოუდგენელი იყო. სიგარეტი დაახლოებით ხუთ წამში გამზადდა. მან ქაღალდის კიდეს ენა გაუსვა, დააკრო და სიგარეტი ტუჩებში მოიქცია. მერე, კაცმა არ იცის საიდან, მის ხელში ანთებული სანთებელი გაჩნდა. სიგარეტი აბოლდა, სანთებელა კი გაქრა. ერთად ეს ყველაფერი სრულიად განსაცვიფრებელი სანახაობა გახლდათ.

— არასოდეს მინახავს, ვინმეს სიგარეტი ასე სწრაფად გაეხვიოს. — ვთქვი მე.

— აჰ, — თქვა მან, — ესე იგი შეამჩნიე.

— რა თქმა უნდა. ეს სრულიად ფანტასტიკური იყო.

ის საზურგეზე გადაწვა და გაიღიმა. ჩანდა, ძალზე ესიამოვნა, რომ შევამჩნიე, თუ რა სწრაფად შეძლო სიგარეტის გახვევა.

— გინდა იცოდე, ამას როგორ ვახერხებ? — მკითხა მან. — გინდა, აბა რა.

— ყველაფერი ჩემი არაჩვეულებრივი თითების დამსახურებაა. ჩემი თითები, — თქვა მან და ორივე ხელი წინ გაიშვირა, — მსოფლიოს საუკეთესო პიანისტის თითებზე უფრო სწრაფები და საზრიანები არიან.

— პიანისტი ხარ?

— თავს ნუ ისულებლებ, — თქვა მან. — მე რა, პიანისტს ვგავარ?

თვალი შევავლე მის თითებს, რომლებიც ისე ლამაზად ჩამოქნილი, ისეთი თხელი, გრძელი და ისე საოცრად დახვეწილი იყვნენ, თითქოს მის დანარჩენ სხეულს არც კი ეკუთვნოდნენ. ნეიროქირურგის ან მესაათის თითებზე უფრო ელეგანტურად გამოიყურებოდნენ.

— ჩემი საქმე, — განაგრძო მან, — ასჯერ უფრო ძნელი საკეთებელია, ვიდრე პიანინოზე დაკვრაა. ყველა სულელს შეუძლია პიანინოზე დაკვრა ისწავლოს. დღევანდელ დღეს რომელ ოჯახშიც უნდა მოხვდე, თითქმის ყველგან ნახავ სულ პანანინა ბავშვებს, რომლებიც პიანინოზე დაკვრას სწავლობენ. ხომ მართალია, არა?

— მეტ-ნაკლებად, — ვთქვი მე.

— თქმაც არ უნდა, მართალია, მაგრამ ერთი კაციც კი არ მოიძებნება ათ მილიონში, რომელსაც შეუძლია ისწავლოს ის, რასაც მე ვაკეთებ. ათ მილიონში ერთი. ამაზე რაღას იტყვი?

— გასაოცარია, — ვთქვი მე.

— მართალი ხარ, მაგის დედაც, გასაოცარია, — თქვა მან.

— მგონი ვხვდები რას საქმიანობ, — ვთქვი მე. — ფოკუსებს აკეთებ. ილუზიონისტი ხარ.

— მეე? — ჩაიფრუტუნა მან, — ილუზიონისტი? ნუთუ შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ დავდივარ რაღაც უბადრუკ საბავშვო წვეულებებზე და ცილინდრებიდან კურდღლები ამომყავს?

— მაშინ კარტის მოთამაშე ხარ. ხალხს სათამაშოდ აიყოლებ და შენთვის წაუგებელ ხელს ირიგებ ხოლმე.

— მე! დამპალი შულერი! — იყვირა მან. — ეს ამ ქვეყნად არსებულ თაღლითობათა ყველაზე უფრო საცოდავი სახეობაა.

— კარგი, გნებდები. მანქანა ახლა უკვე ნელა მიმყავდა — არა უმეტეს ორმოცი მილისა საათში, რათა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ კიდევ არ გამაჩერებდნენ. ამასობაში ლონდონ-ოქსფორდის მთავარ გზაზე გავედით და დენჰემის⁵ მიმართულებით დაღმართს დავუყვევით. მოულოდნელად ჩემს მგზავრს ხელში შავი ტყავის ქამარი დავუწახე.

— ხომ არ გეცნობა? — მკითხა მან. ქამარს იშვიათი ნაკეთობის თითბრის ბალთა ჰქონდა.

— ეე! — ვთქვი მე. — ჩემია, ხომ? ჰო, ჩემია! საიდან?

მან ჩაიცინა და ქამარი აქეთ-იქით ნელა გააქან-გამოაქანა.

— როგორ ფიქრობ, საიდან მექნება? — თქვა მან, — შენი შარვლიდან, რაღა თქმა უნდა.

ხელი წელისკენ წავილე და საქამრე მოვისინჯე. ქამარი აღარ მეკეთა.

— შენ რა, მანქანის ტარებისას ქამარი მომხსენი? — ვკითხე განცვიფრებულმა. ჩემმა მგზავრმა, რომელიც მთელი ეს ხანი თავის პატარა, ვირთხის თვალებს არ მამორებდა, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— შეუძლებელია, — ვთქვი მე, — შენ ჯერ ბალთა უნდა გაგეხსნა, მერე კი ამ სიგრძე ქამარი მთელი წელის გარშემო საქამრეებიდან გამოგესრიალებინა. დავინახავდი. ანდა რომც არ დამენახა — ვიგრძნობდი.

— ჰო, მაგრამ არ ვიგრძენია, ასე არაა? — თქვა გამარჯვებული სახით, ქამარი მუხლებზე დაიგდო და მაშინვე მის თითებში მოქანავე ყავისფერი ფეხსაცმლის თასმა გაჩნდა.

— ამაზე რაღას იტყვი? — შესძახა და თასმა აიქნია.

— რა, მერე? — ვთქვი მე.

— აჰ, ვინმეს ფეხსაცმლის თასმა ხომ არ დაუჰკარგავს? — იკითხა და გაიკრიჭა. თვალები დავხარე და მზერა ჩემს ფეხსაცმელებს შევავლე. ცალზე თასმა აღარ იყო.

— ღმერთო დიდებულო! — ვთქვი მე, — როგორ მოახერხე? დაბლა დახრილი არ დამინახიხარ.

— შენ არაფერი დავინახავს, — ამაყად განაცხადა მან, — ერთი გოჯით განეულიც კი არ დავინახივარ, და იცი რატომ?

— ჰო, — ვთქვი მე, — ვიცი, იმიტომ, რომ ფანტასტიკური თითები გაქვს.

— ზუსტად მასეა, — შესძახა მან. — კაი სწრაფად კი მიხვდი, არა?

უკან გადაინია, თავისი ხელით გახვეული სიგარეტი მოქაჩა და კვამლის წვრილი ზოლი საქარე მინას მიაბოლა. იცოდა, რომ ამ ორი ტრიუკით ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა და ამით ძალზე ბედნიერი ჩანდა.

— არ მინდა დამაგვიანდეს, — თქვა მან, — რომელი საათია?

— აგერ საათი, შენს წინ. — ვუთხარი მე.

— მანქანის საათებს ვერ ვენდობი, — თქვა მან, — შენი რა დროს აჩვენებს?

სახელო ავინიე, რომ ჩემს მაჯის საათზე დამეხედა. საათი ადვილზე აღარ იყო. მე კაცს გავხედე. მანაც ღრეჭით გამოძხვდა.

— ესეც შემხსენი, — ვთქვი მე. მან ხელი გამომიშვირა. ხელისგულზე ჩემი საათი ედო.

— კაი რამეა, — თქვა მან, — უმაღლესი ხარისხი, თვრამეტკარატიანი ოქრო. კარგადაც გაიყიდება. ხარისხიანი ნივთებისგან ხელის გაცლა სულაც არაა ძნელი.

— დამიბრუნე, თუ სანინალმდეგო არაფერი გაქვს, — ვთქვი საკმაოდ გაღიზიანებულმა. მან ფრთხილად დადო საათი ტყავის თაროზე, რომელიც მის წინ იყო.

— მე შენ არაფერს აგაცლი, უფროსო, — თქვა მან, — შენ ჩემი მეგობარი ხარ, პატივი მეცი და მანქანით მიგყავარ.

— მიხარია ამის მოსმენა, — ვთქვი მე.

— მე მხოლოდ შენს შეკითხვებს ვუპასუხებ, — განაგრძო მან, — შენ მკითხე, რას საქმიანობ, პურის ფულს რითი შოულობო, მე კი გაჩვენე.

— სხვა კიდევ რა გაქვს ჩემი? — მან კვლავ გაიღიმა და თავისი ქურთუკის ჯიბიდან ერთიმეორის მიყოლებით დაინწყო ჩემი კუთვნილი ნივთების ამოლაგება: მძლოლის მონიშნობა, რგოლი, რომელზეც ოთხი გასაღები ეკიდა, რამდენიმე ბანკნოტი, ცოტა ხურდა, წერილი გამომცემლებისგან, დღიური, ძველი ფანქრის ნაღვეი, სანთებელა და ყველაზე ბოლოს ჩემი ცოლის ულამაზესი, ძველებური საფირონის ბეჭედი, რომელიც მარგალიტებით იყო განწყობილი. ბეჭედი ღონდონელ ოქრომჭედელთან მიმქონდა, რადგანაც ერთი მარგალიტი დაკარგული იყო.

— აჰა, ესეც სხვა კაი რამეები, — თქვა მან და ბეჭედი თითებში აათამაშა. — მე-18 საუკუნისაა, თუ არ ვცდები, მეფე ჯორჯ მეხამის მმართველობის ხანისა.

— მართალი ხარ, — დავუდასტურე განცვიფრებულმა, — სავსებით მართალი. — მან ბეჭედიც, სხვა ნივთებთან, ტყავის თაროზე დადო.

— ჯიბგირი ყოფილხარ, — ვთქვი მე.

— არ მომწონს ეს სიტყვა, — მიპასუხა მან, — უხეში, ვულგარული სიტყვაა. ჯიბგირები უხეში, უზრდელი ხალხია, რომლებიც მარტივ, არაპროფესიულ საქმეებს აკეთებენ და ბრმა, მოხუც ქალბატონებს აცლიან ფულს.

— აბა, თვითონ, საკუთარ თავს რაღას ეძახი?

— მე? მე **თითოსტატი** ვარ, პროფესიონალი **თითოსტატი**. — ეს სიტყვები მან ისეთი სიამაყით და ისე საზეიმოდ წარმოთქვა, თითქოს სამეფო ქირურგიული კოლეჯის პრეზიდენტი, ან კენტერბერის არქიეპისკოპოსი ყოფილიყო.

— ეს სიტყვა აქამდე არასდროს მსმენია, — ვთქვი მე, — შენ გამოიგონე?

— არა, რა თქმა უნდა, მე არ გამომიგონია. ასე იმათ უწოდებენ, რომლებმაც თავიანთ საქმეში უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს. ხომ გავიგონია, მაგალითად, **ოსტატი**, **დიდოსტატი**. ისინი თავიანთ ხელობას უმაღლეს პროფესიულ დონეზე ფლობენ. მეც ჩემს თითებს უმაღლეს დონეზე ვფლობ, ესე იგი **თითოსტატი** ვარ.

— საინტერესო სამუშაო უნდა იყოს.

— საოცარი სამუშაოა, — მიპასუხა მან, — დიდი ხიბლი აქვს.

— ამიტომ დადიხარ დოღზე?

— დოღზე იოლია საქმის კეთება, — თქვა მან, — უბრალოდ, დოღის შემდეგ იქვე უნდა იტრიალო, მოგებულ იღბლიანებს თვალ-ყური ადევნო და მათი ფული აიღო. როდესაც ვინმეს ხედავ ბანკნოტთა მსხვილი შეკვრით, უბრალოდ უკან მიყვები და შენ საქმეს აკეთებ. ეს არის და ეს. თუმცა, ცუდად ნუ გამიგებ, უფროსო. წაგებულებისგან არასოდეს არაფერი მიმაქვს, არც ღარიბებისგან. მხოლოდ იმათ მიყვები, ვისაც ამის საშუალება აქვს — მოგებულებსა და მდიდრებს.

— ძალზე დიდი თავაზიანობაა შენი მხრიდან, — ვთქვი მე.

— ხშირად ჩაუვლიათ?

— ჩაუვლიათ? — იყვირა აღშფოთებულმა, — ჩემთვის?! მხოლოდ ჯიბგირებს იჭერენ ხოლმე, თითოსტატებს — არასოდეს. მისმინე! რომ მდომოდა, პირიდან პროთესს გამოგაცლიდი და ვერაფერს იგრძნობდი.

— პროთეზი არ მაქვს, — ვთქვი მე.

— ვიცი, — მიპასუხა მან, — სხვა შემთხვევაში უკვე კარგა ხნის ნაღებული მექნებოდა.

მე მისი ნათქვამი დავიფერე. ეს გრძელი, მარჯვე თითები ყოველს შემძლენი ჩანდნენ.

ცოტა ხანი ხმის ამოუღებლად ვიმგზავრეთ.

— ის პოლიციელი შენზე დაწვრილებითი ცნობების მოძიებას აპირებდა, — ვთქვი მე. — ოდნავ მაინც არ განუხეხებს ეს ამბავი?

— ვერავინ შეძლებს ჩემზე რაიმე ცნობის მოპოვებას, — თქვა მან.

— ისინი შეძლებენ. პოლიციელმა ხომ თავის შავ ნიგნაკში ძალზე ყურადღებით ჩაინერა შენი სახელი, გვარი და მისამართი.

კაცმა ერთხელ კიდევ გადმოხედა თავისი ვირთხის თვალებით და ეშმაკურად გაიღიმა.

— აჰა, ესე იგი, ჩაინერა, — თქვა მან. — მაგრამ სანაძლეოს დავდებ, ყველაფერს თავის გონებაშიც ასევე კარგად ვერ ჩაინერდა. ჯერჯერობით არცერთ პოლიციელს არ ვიცნობ, რიგიანი მეხსიერება რომ ჰქონდეს. ზოგიერთს საკუთარი სახელის დამახსოვრებაც კი არ შეუძლია.

— მეხსიერება რა შუაშია? — ვკითხე მე, — ყველაფერი ხომ მის ნიგნაკშია ჩაწერილი?

— ჰო, უფროსო, ჩაწერილია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მან დაკარგა ნიგნაკი. მან ორივე ნიგნაკი დაკარგა. ერთში ჩემი მონაცემები იყო ჩაწერილი, მეორეში კი — შენი.

კაცს მარჯვენა ხელის ნატივ თითებში საზეიმოდ ეჭირა ორივე ნიგნაკი, რომლებიც პოლიციელისთვის ჯიბებშიდან ამოეცლია.

— ყველაზე იოლი საქმე იყო, რომელიც აქამდე გამიკეთებია, — ამაყად განცხადა მან.

ისე ავლელდი, რომ კინაღამ საქმე გამეცქა და ლამის გვერდით მიმავალ რძის მანქანას შევეჯახე.

— ახლა პოლიციელს არცერთ ჩვენგანზე არაფერი აქვს, — თქვა მან.

— გენიოსი ხარ! — ვიყვირე მე.

— მას არა აქვს არც სახელები, არც მისამართები, არც მანქანის ნომერი. საერთოდ არაფერი, — თქვა კაცმა.

— შეუდარებელი ხარ.

— მე მგონი, აჯობებს, როგორც კი შესაძლებელი იქნება მთავარი გზიდან გადაუხვიო, — თქვა მან. — კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ამის მერე პატარა კოცონს გავაჩაღებთ და ნიგნაკებს დავწვავთ.

— ფანტასტიკური ჯეელი ხარ! — შევეძახე მე.

— მადლობა, უფროსო, — თქვა მან, — ყოველთვის სასიამოვნოა, როცა ღირსეულად გაფასებენ.

ინგლისურიდან თარგმნა
მალსაზ უშტკარაძემ

1. სიგრიის საზომი ერთეული. განასხვავებენ საზღვაო და სახმელეთო მილს. სახმელეთო მილი უდრის 1609,344 მეტრს.

2. სამი წლის ასაკის წმინდასისხლიანი ცხენების დოლი. 1780 წლიდან ყოველწლიურად იმართება ლონდონის მახლობლად, ქალაქ ეპსომში. სახელი ეწოდა მისი დამფუძნებლის, მეთორმეტე გრაფ დერბის პატივსაცემად.

3. ჩალფონტ სენტ პეტერი — ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელი ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთში — ბაკინგემშირში.

4. ქალაქი ბედფორდშირის საგრაფოს სამხრეთ ნაწილში, ლონდონიდან ჩრდილო-დასავლეთით 48 კმ.

5. (აქ) ნივთიერების საერთო მასაში ოქროს შემცველობის განმსაზღვრელი ერთეული. ერთი კარატი შენადნობის 1/24.

სკორტი

გივი გამრეკელი

და მაინც
ისევ ანანდი!

ჭადრაკის გულშემატკივრები მიიჩნევენ, რომ დღეისათვის წამყვანი, ე.წ. სუპერკლასის დიდოსტატები აშკარად ჩამოუვარდებიან წარსულის კორიფებს. ლაპარაკია არა მარტო თამაშის საერთო კლასზე, არამედ სპორტულ შედეგებზე. სად, და, ვთქვათ, ვინ გაიმეორებს რობერტ ფიშერის მიღწევებს: 6:0 მარკ ტაიმანოვსა და ბენტ ლარსენთან, 7,5:2,5 ტიგრან პეტროსიანთან, 12,5:8,5 მატჩში მსოფლიო პირველობაზე ბორის სპასკისთან?! თუ ადრე, ვთქვათ, ნახევარი საუკუნის წინათ, „ხეკლასის“ დიდოსტატების რიცხვი ოცსაც კი აღემატებოდა, ახლა მათ თითებზე ჩამოვთვლით, შეიძლება ოთხია, შეიძლება ხუთი თუ ექვსი. ასაკის გამო ჭადრაკი დატოვა ჯერ კარპოვმა, სულ ოთხი წლის წინათ კი კასპაროვმა, რომელიც ბევრ ექსპერტს ყველა დროის ?1 მოჭადრაკეთა ცი მიაჩნდა. მართალია, თვით კასპაროვმა, რომელიც ბოლო ხანებში ხშირად ჩამოდის თბილისში, დაუფარავად თქვა, რომ მას ასეთ დიდ პატივს ნუ ანიჭებენ: „ყველა დროის უძლიერესი მოჭადრაკე ყოველთვის ფიშერია“.

ჭადრაკში სისტემატურად ბევრი რამ იცვლება — უცვლელი რჩება, და ეს სავესებით გასაგებია, განსაკუთრებული ინტერესი მსოფლიო პირველობის მატჩებისადმი. იყო დრო, როცა ასეთი ორთაბრძოლები ქალთა შორის თითქმის საქართველოს საკუთრებად ითვლებოდა, ახლა კი აქედან დღეისათვის შორს ვართ. ამიტომ ამ თემაზე სჯობს სხვა დროს ვილაპარაკოთ და დღეს კი შევეხოთ საკითხს — რა ხდება ვაჟთა შორის.

2000 წლისთვის, როცა კასპაროვმა მოულოდნელად დაუთმო მსოფლიო ჩემპიონის წოდება ვლადიმერ კრამნიკს, მან მაინც შეინარჩუნა უძლიერესი დიდოსტატის ავტორიტეტი და კვლავინდებურად ლიდერობდა წამყვან მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტს. იგი პირველი იყო მაშინაც კი, როცა შეწყვიტა გამოსვლები და, როგორც გაირკვა, საბოლოოდ გამოეთხოვა ჭადრაკს. რაც შეეხება კრამნიკს, იგი არ აღმოჩნდა თუ შეიძლება ასე ითქვას, „საიმიედო ჩემპიონი“ და უკვე 2002 წელს სასტიკი წინააღმდეგობას წააწყდა ახალგაზრდა უნგრელ პიტერ ლეკოსთან. საინტერესოა ითქვას, რომ ლეკო დიდხანს ლიდერობდა და მხოლოდ ბოლო პარტიის მოგებით კრამნიკმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. რაც შეეხება ახალგაზრდა უნგრელს, ამ შედეგმა მასზე ისე ცუდად იმოქმედა, რომ თითქმის ჩაიქნია ხელი ჭადრაკზე და, თუ ხანდახან მაინც გამოჩნდებოდა, ვერაფერ საწუგეშოს ვერ აღ-

წევს. კრამნიკს კი უნდა ეზრუნა თავისი წოდების დაცვაზე, რაც 2010 წლამდე შეინარჩუნა, ვიდრე დამარცხდებოდა ინდოელ ვიში ანანდთან, რომლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ელიზბარ უბილაევას, რომელიც დღეისათვის აზერბაიჯანელ მოჭადრაკეთა მთავარი მწვრთნელია.

ვის უნდა მიეღო მონაწილეობა 2012 წლის მატჩში მსოფლიო პირველობაზე ანანდის წინააღმდეგ? ასახელებდნენ იმავე კრამნიკს, ბულგარულ ვესელინ ტოპალოვს და სხვებს. რატომ არაფერს ამბობდნენ ნორვეგიელ ვუნდერკინდ მაგნუს კარლსენზე, რომელიც უკვე რამდენიმე წელია სათავეში მოექცა მსოფლიო რეიტინგ-ლისტს? საქმე ის არის, რომ კარლსენმა, ჩვენ არ ვიცით, ვისი რჩევით, გადაწყვეტილება მიიღო — ამჯერად თავი შეეკავებინა მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლაში. კარლსენი ძალიან ახალგაზრდაა (დაიბ. 1990 წელს) და მიიჩნევენ, რომ მისი დრო ჯერ არ დამდგარა. მას არ დაეთანხმა კასპაროვი, რომელიც მთელი ორი წლის მანძილზე ავარჯიშებდა, რჩევებს აძლევდა ჭაბუკ ნორვეგიელს, მიიჩნევდა, რომ კარლსენს ახლაც ჰქონდა წარმატების კარგი შესაძლებლობა. სხვა ექსპერტების აზრით, კარლსენის სადებიუტო მომზადების დონე არასაკმარისია (რა თქმა უნდა, სხვა პრეტენდენტებთან შედარებით), საერთაშორისო ტურნირებში ბევრ შემთხვევაში თავიდანვე მძიმე პოზიციებს იღებს და წარმატებას მხოლოდ თავისი განსაკუთრებული ტაქტიკური გამჭრიახობის წყალობით აღწევს. ასეა თუ ისე, ახლა მაგნუს (რაც ლათინურ ენაზე „უდიდესს“ ნიშნავს) კარლსენი იმედებს უკვე პრეტენდენტთა მორიგ ასპარეზობაზე ამყარებს, რომელიც წელსვე დეკემბერში გაიმართება. ვნახოთ!

რაც შეეხება პრეტენდენტთა უკანასკნელ ტურნირს, აქ ვერაფერს გახდნენ ვერც ტოპალოვი და კრამნიკი, ვერც არონიანი და კამსკი. აქ საკმაოდ მოულოდნელად პირველ ადგილზე გამოვიდა და პრეტენდენტის კვერთხი მოიპოვა 44 წლის ბორის გელფანდმა, რომელიც საჭადრაკო თვალსაზრისით საკმაოდ ხანდაზმულად ითვლება. ეს ასეა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ გელფანდმა, რომელიც ყოფილი მინსკელი და ცნობილ მწვრთნელ ალბერტ კაპენგუტის აღზრდილია, დღეს კი ისრაელში ცხოვრობს, სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა: ნახევარფინალში მოუგო გატა კამსკის, რომელიც ხანგრძლივი, თითქმის ათწლიანი შესვენების შემდეგ წარმატებით დაუბრუნდა ჭადრაკს, ფინალში კი ალექსანდრ გრიშჩუკი დაამარცხა.

ამის შემდეგ ბორის გელფანდს ბევრმა ჟურნალისტმა მიაკითხა. გაიხსენეს, რომ ოდესღაც იგი მსოფლიო ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის, ჭადრაკის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა რობერტ ფიშერისა და აკიბა რუბინშტეინის პარტიებს (თამაშის მანერით გელფანდი მართლაც ძალიან ჰგავს რუბინშტეინს). ითქვა ისიც, რომ როცა ფიშერი დროებით, თითქოს დაუბრუნდა ჭადრაკს და განმეორებით მატჩში ანგარიშით 10:5

სძლია სპასკის, კასპაროვმა უარყოფითი აზრი გამოთქვა, პირველ რიგში ამერიკელის შესახებ. კითხვაზე, რას გაანცობდა 20 წლის პაუზის შემდეგ დაბრუნებული ფიშერი ივანჩუკსა და გელფანდთან, მსოფლიო ჩემპიონმა კატეგორიულად განაცხადა, ვერაფერს გაანცობდაო. ვინ იცის, ვინ იცის! ჟურნალისტებს უკითხიათ ახალგაზრდა გელფანდისათვის, აუცილებელია თუ არა უმაღლესი განათლება მოჭადრაკისათვის? მინსკელმა ხუმრობით თქვა, აუცილებელი სულაც არ არის, რომ მე ინსტიტუტში იმიტომ შევედი, მშობლებისათვის რომ არ მენყენინებინაო. „ასე ვფიქრობ, რომ დიდოსტატის ნოდება ახლა მეცნიერების დოქტორის ტოლფასია. თუ მეტყვით, რომ დიდოსტატის ნოდებამ დიდი დეველაცია განიცადა და ზოგი ამ ნოდების მატარებელი სულაც მესამე თუ მეორე თანრიგის ძალით თუ თამაშობს (თუ ეს ხუმრობაა, ძალზე გადაჭარბებულად გვეჩვენება!), ისე კი ბევრ დიქტორს მეცნიერებასთან არაფერი ესაქმება, წარმოდგენაც არა აქვს“ და ა.შ.

ანანდ (დაიბ. 1969 წ.) — გელფანდის (დაიბ. 1968 წ.) მატჩის წინ აღინიშნა, რომ მეტოქეებმა ამ ორთაბრძოლაში დაახლოებით 30 პარტია ითამაშეს. სულ მცირე უპირატესობა — ერთი ქულა — ინდოელს ჰქონდა, რომელსაც მიმომხილველთა უმრავლესობა, წინასწარ უკეთეს შესაძლებლობებსაც კი აკუთვნებდა, ექსპერტთა უმეტესობა კი ყოველგვარი შეფასებისაგან თავს იკავებდა.

მათი აზრით, 12 პარტია მსოფლიო პირველობის მატჩისათვის ძალიან ცოტაა და, ამდენად, ნებისმიერი შედეგი გამორიცხული არ არის. ეს ორთაბრძოლის დებულებაშიც აისახა. თუ იგი ყაიმით 6:6 დამთავრდებოდა, მაშინ დაინიშნებოდა მატჩი 4 პარტიისაგან სწრაფ ჭადრაკში, სადაც თვითეულ მხარეს მოსაფიქრებლად 25 წუთი ჰქონდა. თუ ეს მატჩიც ყაიმით (2:2) დამთავრდებოდა, მაშინ თამაში ელვისებური ჭადრაკის (5 წუთი) წესებით გაგრძელდებოდა ორი პარტიისაგან შემდგარ ორთაბრძოლაში. ორგანიზატორებმა ისიც კი გაითვალისწინეს, თუ მთელ 5 მატჩს არცერთი მხარისათვის არ მიეცა უპირატესობა, 1:1 აღნიშნულიყო. ასე ხომ არ შეიძლებოდა გაუთავებლად! მაშინ ინიშნებოდა ერთადერთი, გადამწყვეტი, „სიკვდილის შეხვედრა“, სადაც თეთრებით მოთამაშე 5 წუთი ეძლეოდა, შავებს კი 4 წუთი თუ კვლავ საყაიმო შედეგს მივიღებდით, მაშინ გამარჯვებულად შავებით მოთამაშე ცხადდებოდა. გულშემატკივარი ამ დებულებაში შეიძლება ბევრ ქაოსს ხედავს, მაგრამ ორგანიზატორმა „მოიშველია“ ძველი ქეშმარიტება — კანონი კანონიაო.

მატჩი, რომლის ჩატარების ინიციატივა აქამდე ჩვენთვის უცნობ მოსკოველ ბიზნესმენ ანდრეი ფილატოვს ეკუთვნოდა, განთქმულ ტრეტიაკოვის გალერეის დარბაზებში გაიმართა.

ახლა, როდესაც ჩვენს განკარგულებაშია 12 ძირითადი და კიდევ 4 სწრაფი პარტია, შეიძლება ითქვას, რომ ორივე მეტოქე თეორიულად ბრწყინვალედ იყო წაგებასაც კი ამოივალა და ფრთხილობდა, რაც გასაგებია: ერთ წაგებასაც კი შეეძლო ორთაბრძოლის საბოლოო შედეგი განეპირობებინა. ამით აიხსნება ყაიმების ძალიან დიდი რაოდენობა: 12 პარტიაში ასეთი შედეგი 10-ში (!) აღინიშნა. ფიშერი, ალბათ, საფლავეში გადაბრუნდებოდა,



ვიშოვანათან ანანდი

ბორის გელფანდი

კასპაროვს კი საფუძველი მიეცა სარკასტულად აღენიშნა, რომ არც ანანდი და არც გელფანდი არ მიეკუთვნებიან მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რიცხვს (მამ ვინ მიეკუთვნება?!).

პირველი ორი პარტია საერთოდ სწრაფი ყაიმით დამთავრდა. მესამეში ანანდს თეთრებით ჰქონდა ერთგვარი უპირატესობა, მაგრამ რაიმე არსებითს ვერ მიაღწია. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე შეხვედრები ასევე სწრაფი ყაიმით დასრულდა — 3:3. მეშვიდე შეხვედრა მაინც ერთგვარ სენსაციად ჩაითვალა. 38-ე სვლაზე გაიმარჯვა თეთრებით ბრწყინვალე მოთამაშე გელფანდმა — 4:3. ნამდვილი სენსაცია თუ გენბავთ, ეს უკვე მერვე შეხვედრაში აღინიშნა: 17 სვლაში გაიმარჯვა ანანდმა და ანგარიშიც ასე იოლად მყისვე გაათანაბრა. ჭადრაკის სტატისტიკოსებმა აღნიშნეს, რომ ეს შედეგი ნამდვილად სარეკორდო იყო: მსოფლიო ჩემპიონატების ფრიად ხანგრძლივ ისტორიაში (ისინი ხომ 1886 წლიდან იმართება!) ასეთი სწრაფი გამარჯვება რომელიმე მხარეს არასოდეს მოუპოვებია. 4:4 — ამ მომენტში აღინიშნა, რომ მეტოქეები, ეტყობა, თანახმანი იყვნენ მატჩის საყაიმო შედეგით 6:6 დამთავრებაზე, რათა ძალა სწრაფ პარტიებში ეცადათ. ასეც მოხდა: მეცხრე-მეთორმეტე პარტიებიც ყაიმით დამთავრდა, თუმცა მათ ინტერესი არ აკლდათ. მეცხრე შეხვედრაში გელფანდს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ინდოელმა დროულად დათმო ლაზიერი ეტლ-

სა და მხედარში, რის შემდეგ მიუვალი პოზიცია ააგო.

12 პარტიის შემდეგ, რომლებიც, ექსპერტთა აზრით, მაინც ობიექტური შედეგით დასრულდა, ყველაფერი სწრაფ ჭადრაკს უნდა გადაეწყვიტა. აქ ყველანი უპირატესობას ანანდს ანიჭებდნენ, რომელიც მსოფლიოში უსწრაფეს მოჭადრაკედ ითვლება (ისიც აღინიშნა, რომ თავისი კარიერის მანძილზე პირველად მოხვდა ცაიტნოტში (!) ამ მატჩის მესამე პარტიაში).

ამ დამატებით მატჩშიც ბევრ მოულოდნელობას წავანყდით. საბოლოოდ გაიმარჯვა ანანდმა: მიიგო მეორე პარტია, პირველი, მესამე და მეოთხე შეხვედრები კი ყაიმით დასრულდა, ამასთან ბოლო ორ შეხვედრაში, ასე გასინჯეთ, უპირატესობა გელფანდსაც კი ჰქონდა. ასეა თუ ისე, ანგარიშით 8,5:7,5 გაიმარჯვა ანანდმა და კიდევ ორი წლით შეინარჩუნა თავისი ნოდება. რამდენად დამსახურებულად? ძნელი სათქმელია. ამბობენ, მოგებულს უმართლებსო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ გამარჯვებულის გაკილვა უფრო შეუფერებელი რომ გახლავთ. შეიძლება ანანდი გასულ წლებთან შედარებით რამდენადმე დასუსტდა, გელფანდმა კი, საერთო აზრით, მოლოდინს გადააჭარბა, მაგრამ ეს საბოლოოდ ვერაფერი ნუგეში გახლავთ.

ჭადრაკის გულშემატკივრებს კი მაინცდამაინც დიდი შესვენება არ გამოუვიდათ. თუ ანანდს შეუძლია დაისვენოს, გელფანდმა უფლება მიიღო დეკემბერში პრეტენდენტთა ტურნირში ითამაშოს. იგივე უფლება აქვს კარლსენსაც, როგორც მსოფლიოში №1 რეიტინგის მფლობელს. ამ ორ დიდოსტატს სხვადასხვა მონაცემებით კიდევ 6 მოჭადრაკე შეუერთდება, 2014 წელს ანანდის მორიგი მეტოქის გამოსავლენად. ჭადრაკში ხომ ნამდვილი არდადეგები არასოდეს დგება!

პელესა და მარადონას კამათი გრძელდება

ესპანეთის მთავარ სპორტულ გაზეთ „მარკას“ ადრეც არაერთგზის გამოუქვეყნებია პელესა და მარადონას კამათი. იგი, როგორც ჩანს, კვლავ დიდხანს გაგრძელდება.

71 წლის პელე ახლა პენსიონერია, თუმცა ადრე ბრაზილიის სპორტის მინისტრი იყო. 51 წლის მარადონა არაბულ კლუბ „ალჟასლის“ მთავარი მწვრთნელია.

პელე: 10 ნომერი მე მომცეს მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის წინ. იმხანად ბრაზილიის ნაკრების არცერთ მოთამაშეს არა ჰქონდა ისეთი სახელი, რომ მაისური ასეთი ნომრით ეტარებინა. მე, ჩემი მხრივ, ახალგაზრდა მოთამაშე ვიყავი, ისე რომ 10 ნომერი უფრო შემთხვევით მომცეს. თავშესაქცევია, აბა რა არის. ძილის წინ ყოველთვის ვლოცულობ და ღმერთს რაღაცას შევთხოვ, ხანდახან კი ვფიქრობ, რატომღაც მაინც დამაინც მე დამემართა ამდენი მოულოდნელი რამ. ეტყობა, მე ფეხბურთის სათამაშოდ დავიბადე, ისე, როგორც ბეთჰოვენი მუსიკისათვის, მიქელანჯელო კი მხატვრობისათვის.

ერთხელ მარადონას გავუგზავნე დოკუმენტური ფილმი „მუდმივი პელე“. თუ მესის არ უნახავს, მე როგორ ვთამაშობდი, მასაც გავუგზავნი.

მარადონა: თუკი პელე მიიჩნევს, რომ იგი ფეხბურთისათვის ბეთჰოვენია, მაშინ მე რონ ვუდი, კიტ რიჩარდსი ან ბონო ვყოფილვარ, ძალიან ემოციური ვარ. ადრეც მითქვამს, რომ როდესაც პელე იმ აბებს არ იღებს, რომლებიც საჭიროა, სულელურ განცხადებებს აკეთებს. შეიძლება მან უბრალოდ ერთმანეთში აურია, ღამით ის აბები მიიღო, რაც დილით იყო საჭირო. სინამდვილეში კი ისე სჯობს, რომ მან სხვა ექიმთან იმკურნალოს.

პელე: გახდება თუ არა მესი პელეს შემდეგ მეორე ფეხბურთელი? როდესაც იგი 1283 გოლს გაიტანს და მსოფლიოს სამ ჩემპიონატს მოიგებს, მაშინ ვილაპარაკოთ.

მე ყოველთვის მეკითხებიან, როდის დაიბადება ახალი პელე. არასოდეს! ჩემს მშობლებს კარგა ხანია შვილები აღარ უჩნდებათ.

მარადონა: მესის აქვს ერთი ღირსება, რომელიც ჩემს გარდა, არავის ჰქონია — ელვისებური აზროვნება. როცა მას ვწვრთნიდი, რაღაც სულ ჩემს თავს მაგონებდა. იგი მყისვე იგებდა, თამაშის ამა თუ იმ მომენტში, რა უნდა გაეკეთებინა, რათა იერიშისათვის ცეცხლი შეენთო.

პელე: ახლა ყველა მესიზე ლაპარაკობს. მაგრამ ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი რომ გახდეს, ნეიმარზე უკეთესად უნდა ითამაშოს. ჯერჯერობით ლიონელი მას მხოლოდ გამოცდილებით თუ სჯობნის. ახლა ბრაზილიაში ნეიმარის სიძლიერის ფეხბურთელს ვერ მონახავთ. მე მოხარული ვარ, რომ „სანტოსმა“ ასეთი მოთამაშე აღზარდა. იმედი მაქვს, მესის არ დაემსგავსება, რომელიც კლუბში ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ ნაკრებისათვის არაფერს აკეთებს.

მარადონა: პელე აცხადებს, რომ ნეიმარი მესიზე უკეთესია? ღმერთო ჩემო, ეს ხომ, უბრალოდ რომ ვთქვათ, სისულელეა, შეიძლება ნეიმარი მსოფლიოში უძლიერესი მოთამაშეა, მაგრამ მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ მესი — სხვა პლანეტის ფეხბურთე-

ლია. მე ყოველთვის ვამბობდი, მესის წამდაუნუმ ნუ ვეხებით, დეე მოვასვენოთ. უბრალოდ პელეს ძალიან არ მოსწონს, როცა ჩემსა და მესის შესაძლებლობებზე იწყება ლაპარაკი.

პელე: ახლა რომ ბრაზილიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჩაუდგეს სათავეში, იგი შემადგენლობის შეცვლით, ახალი ფილოსოფიის დანერგვით დაიწყებს, ეს კი კარგს არაფერს მოიტანს. ნუ დავივიწყებთ, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატს ჩვენ ვატარებთ და ჩვენი ნაკრებისაგან ყველა ძალიან ბევრს ელის.

ახლა ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები 23 წლისაინც კი არ არიან, ასე რომ, ბრაზილიამ უნდა გაიმარჯვოს ლონდონის საფეხბურთო ტურნირში. არ კითხულობთ, რატომ აქამდე არ გვაქვს არცერთი ოქროს მედალი ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირებში? მე რომ თამაში დავიწყე, 16 წლისა ვიყავი. ნაკრებს ოლიმპიურ ტურნირებში პროფესიონალ ფეხბურთელთა გამოყვანის უფლება არ ჰქონდა. ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებს ოლიმპიადაზე არასოდეს გაუმარჯვია, თუნდაც იმიტომ, რომ მე მასში არ ვთამაშობდი.

მარადონა: მას შემდეგ, რაც მე დავტოვე არგენტინის ნაკრები, მისი თამაში აღარ მინახავს. მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართა, ჩვენ ვერ მივალნიეთ ისეთ შედეგებს, როგორიც გვსურდა, თუმცა ვიღონეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო. მე არგენტინის ნაკრების ახალ მწვრთნელ ალფხანდრო საბალიეს წარმატებას ვუსურვებ. იგი უკვე გაეცნო ხულიო გრონ-

დონას (არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი) და იცის, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მასთან.

ვალმერთებ მაურინიოს, როგორც მწვრთნელს, როგორც ადამიანსა და ფსიქოლოგს. მას მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ. მაურინიოს შეუძლია უბრალო ლითონის ფული ვარდად აქციოს. აი, ამიტომაც მომწონს. იგი განსაკუთრებული ადამიანია.

გვარდიოლა შესანიშნავი პიროვნებაა. მას ძალიან კარგად ვიცნობ. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ამიტომაც დიდებული კარიერა ელის. შეიძლება „ბარსელონას“ ასეთი წარმატებული თამაში მთლიანად მისი დამსახურება არ ყოფილა, როგორც, ვთქვათ, „რეალის“ შემთხვევაში მაურინიოსი, რადგან გვარდიოლას უფრო მაღალი კლასის მოთამაშეები ჰყავდა.

გაზეთმა „მარკამ“ ჩაატარა თავისი მკითხველების გამოკითხვა, რომელთაც ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე უნდა დაესახელებინათ. გამოკითხვაზე 87 ათასმა გულშემამტკივარმა მიიღო მონაწილეობა.

მსოფლიოში საუკეთესოდ მესი აღიარეს, რომელმაც 57, 2% ხმა მოაგროვა, მეორე ადგილზე ზინედინ ზიდანი გავიდა (27, 5%), მესამეზე 10 პროცენტით მარადონა, მეოთხეზე პელე (7%).

მომზადდა
გივი თორაქაძე



ლიონელ მესი

ორი სტროფი ორთოქედისა

დაუფერებელია, მაგრამ ფაქტია და სად გაექცევი?! ყოფილ საბჭოთა საქართველოში 5 სოფელს (ხუთს!) ერქვა „შრომა“.

მთელმა მსოფლიომ იცოდეს, როგორ გვიყვარს შრომა! გადაჭრით უნდა ითქვას და ნურავის ნუ ეწყინება, რომ ამ ხუთი „შრომიდან“ ყველაზე სახელგანთქმული და უაღრესად პოპულარული იყო ყოფილ მახარაძის (ახლა ოზურგეთი) რაიონში მდებარე სოფელი შრომა (ყოფილი მიქელგაბრიელი).

სწორედ ამ დალოცვილ სოფელში მთელი ოთხი თვე გაუტარებია დიდ სამამულო ომში მძიმედ დაჭრილ რუს პოეტს იონ ლაზარევიჩ დეგენს. თურმე მკურნალობდა და ძალ-ღონეს იკრებდა თავისი ფრონტელი მეგობრის — საშა გაგუას (ეგებ გოგუა?) ოჯახში. რასაკვირველია, საუცხოოდ უვლიდნენ და მალე ფეხზე დააყენესო.

ალბათ იკითხავთ, ეს იონ ლაზარევიჩ დეგენი ვინ ოხერია და რა ეშმაკად გვინდა, ჩვენი სწორუპოვარი მეგობრები განა ამოწყდნენ? რომ გითხრათ, დეგენი სახელოვანი პოეტია, ცხადია, არ ირწმუნებთ. იტყვიეთ, მისი სახელი ცალი ყურითაც კი არა გვსმენია და სახელოვანი როგორ არისო?

არის, ბატონო, არის და რაც გინდათ, ის უქენით!

დეგენი ისეთი პოეტი გახლავთ, რომ სახელის მოსახვეჭად ეყოფოდა თუნდაც ის ორად ორი სტროფი, რომელიც თამამად შეიძლება დავაბინავოთ, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიო პოეზიის ოქროს ფონდში.

აი, ეს ორი სტროფი (სხვა რა გზაა, რუსულად უნდა დავიმონმოთ):

„Мой товарищ, в предсмертной агонии Не зови понапрасну друзей, Дай-ка лучше согрею ладони я Над дымящейся кровью твоей. Ты не плачь, не стони, ты не маленький, Ты не ранен, ты просто убит. Дай на память сниму с тебя валенки, Нам ещё наступать предстоит“.

ქართული პნკარედი — რუსულის არმცოდნეთათვის:

„ჩემო ძმობილო, როცა სულს ღაფავ, ტყუილად იხმობ მხსნელს და მეგობარს, სჯობს, რომ გამითბო ხელისგულები შენგან მდინარი სისხლის ოსშივრით. ახლა ბალღივით ნუ სტირ, ნუ კვენი, კი არ დაჭრილხარ, უბრალოდ, მოგკლეს. მოდი სახსოვრად ვაღენკებს დაგხვდი, ხვალ გვეძახიან ისევ ბრძოლაზე“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

როდესაც, ოციოდე წლის წინათ, გაზეთში შემთხვევით ნაანყდები ამ ორ უნიკალურ სტროფს, ბუნებრივად გირჩნდება ნადილი, რომ იმავე პოეტის სხვა ლექსებიც ნაიკითხო და, საერთოდ, შეიტყო — ვინ არის, სადაურია, თავს რა გადახდენია, ეს ლექსი რამ დაანერინა?

მიდიხარ მშობლიურ საჯარო ბიბლიოთეკაში, წიგნების ანბანურ კატალოგში გულდასმით ეძებ ზემოხსენებულ გვარსა და სახელს. არავითარი ლექსები! მითითებულია მარტოოდენ ავტორეფერატი დეგენის სადისერტაციო ნაშრომისა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ამგვარი ფრიად გაუგებარი სათაურით: „მაგნიტური ველების სამკურნალო მოქმედება საყრდნობ-მამოძრავებელი აპარატის ზოგიერთი სნეულებისას“ (მოსკოვი, 1973).

როგორ მოგწონთ? ეძებდი პოეტს და პპოვე მკურნალი!

ეს გუშინდელი ამბავია, შორეული წარსული! დღეს კი, როგორც მოგვხსენებათ, ყველას, მდიდარს თუ ღარიბს, ჭკვიანს თუ სულელს, გვპატრონობს და გვმფარველობს ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, უტყუარი და უღალატო ინტერნეტი. ალაღინის ლამპარი შეგიძლება ჯადოსნურ გამოქვაბულში და საძიებელი პიროვნების მთელი ასავალ-დასავალი თქვენს თვალწინ ზღაპარით გადაიშლება.

იონ ლაზარევიჩ დეგენი დაბადებულია 1925 წელს ქალაქ მოგილიოვ-პოდოლსკში (უკრაინა). 1941 წლის ივლისში საშუალო

სკოლის მე-9 კლასი დაუმთავრებია და 16 წლის ბიჭი მოხალისედ წასულა ფრონტზე (უფრო ზუსტად — დედასთან ერთად ევაკუაციაში მიმავალი გაქანებული მატარებლიდან ჩამოხტარა და საომრად გაქცეულა). აი, მისი სამხედრო კარიერის იერარქიული კიბე: რიგითი წითელარმიელი. მზვერავი. კურსანტი. ტანკის მეთაური. სატანკო ოცუელის მეთაური. სატანკო როტის მეთაური. დაუჭრიათ სამჯერ. უკანასკნელად — 1945 წლის 21 იანვარს და მესამე ჯგუფის ინვალიდად დაბრუნებია სამოქალაქო ცხოვრებას.

დაჯილდოებულია შემდეგი ორდენებით: წითელი დროშის, სამამულო ომის I და II ხარისხისა, მედლით „მამაცობისათვის“; პოლონური ორდენებით: „ვირტუტი მილიტარი“, „გრიუნვალდის ჯგირა“ და „Reconciliationis“ (ამასთან ერთად, დეგენი დასახელებულია საბჭოთა ტანკისტების სიაში მე-10 ნომრად).

ეს იყო ომი, ახლა მშვიდობა ვნახოთ.

1951 წელს დაუმთავრებია ქალაქ ჩერნოვცის (უკრაინა) სამედიცინო ინსტიტუტი და ორთოპედ-ტრავმატოლოგად მუშაობდა კიევის საავადმყოფოებში. 1959 წელს განუხორციელებია სამედიცინო პრაქტიკაში პირველი რეპლანტაცია კიდურისა (წინამხარი). გამოქვეყნებული აქვს 90 სამეცნიერო სტატია. მისი ხელმძღვანელობით დაუცავთ 8 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია. 1977 წელს გადასახლებულა თავის ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში, სადაც ოცი წლის მანძილზე განაგრძობდა მუშაობას ექიმ-ორთოპედად. მოცულობის უამს თავს იქცევდა ლიტერატურითაო. დასავლეთში გამოუცია რამდენიმე წიგნი (ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები).

1945 წლის ზაფხულში, ძლივს რომ დააბიჯებდა ყავარჯნებით, სხვა ფრონტელ პოეტებთან ერთად, მოსკოვის ლიტერატორთა სახლში მიუწვევიათ პოეზიის საღამოზე. სწორედ იქ ნაუკითხავს დეგენს ის უპრეტენდენტო ორი სტროფი და მთელი დარბაზი გასუსულ-გაშეშებულია. ნამდვილ პოეტებს (სიმონოვი, მეჟიროვი, სლუცკი) მოსწონებიათ დეგენის ეს პანია ლექსი, დიდი ომის ერთ მიჩქმალულ ნაფლეთს რომ ასახავდა, მაგრამ ყველა როდი აღფრთოვანებულა. 20 წლის დებიუტანტი მკაცრად განუკითხავთ მისი ლექსის სისასტიკის გამო. თქვენ წარმოადგინეთ, მაროდირობის აპოლოგიაც კი უკიყინეს (აბა როგორ — ავტორი სულთმობრძავ თანამებრძოლს ძარცვავსო!) და სამჯერ დაჭრილი, არაერთგზის დაჯილდოებული ჭაბუკისათვის ბრალდება წაუყენებიათ, ძლევა მოსილ წითელ არმიას შეურაცხყოფას აყენებო.

ყველაფერი შეიძლება დასწამო ამ ორი სტროფის შემოქმედს: გულქვაობაც, ცინიზმიც, მიზანთროპიაც, მაროდირობაც და ა.შ., მაგრამ როდესაც ეცნობი მის ბიოგრაფიას, ხვდები, რომ ამ კაცს ჰქონდა უფლება ამგვარი ლექსის შექმნისა. რომანტიკულ ლექსებს ომზე წერენ ხოლმე, ძირითადად, ნაკითხულისა თუ გაგონილის საფუძველზე, ხოლო დეგენმა საკუთარ ტყავზე იწვინა მთელი საშინელება ომისა, სიკვდილისათვის არაერთხელ გაუსწორებია თვალი, საკუთარი სისხლი დაუღვრია, საკუთარი სხეული დასახინრებია.

ის ორსტროფიანი ლექსი კი, ალბათ, ყველაზე არაორდინარული, ყველაზე გულახდილი და თავზარდამცემი ლექსია ოდესმე დაწერილ ლექსთა შორის. მართალი და შიშველი ლექსი. შიშველი, ვითარცა სიმართლე.

2007 წლის შემოდგომაზე დეგენს გაუცნია ისრაელში სტუმრად ჩასული პოეტი ევგენი ევტუშენკო, მისი შემოქმედების და უზარებელი პროპაგანდისტი, რომელსაც დეგენის ის ორი სტროფი უყოყმანოდ შეუტანია თავის ანთოლოგიაში „საუკუნის სტროფები“.

82 წლის ორთოპედს სამედიცინო კონსულტაციაც გაუწევია უმცროსი კოლეგისათვის.

აღმოუჩენელი მონეტა

თანამედროვე პოლონელი მკვლევარი ზბიგნევ ზალუსკი აღნიშნავს, რომ ნარსუსის ამა თუ იმ მოვლენაზე საყოველთაოდ გავრცელებულ წარმოდგენასა და მცირე-ოდენ სპეციალისტთათვის ნაცნობ ისტორიულ სინამდვილეს შორის, საკმაოდ ხშირად, არსებობს გარკვეული სხვაობა. ასე მაგალითად, შეხედულება ქალაქ ჩენსტოხოვის დაცვაზე, XVII საუკუნეში შედგა შემოსევის დროს, პოლონეთში ჩამოყალიბებულია ჰენრიკ სენკევიჩის „ნარდენის“ შთამბეჭდავი ზეგავლენით. მაგრამ პროფესორმა ოლგერდ გურკამ, სხვადასხვა საბუთების საფუძველზე, დაამტკიცა სენკევიჩის მიერ დახატული სურათების ნაწილობრივი შეუსაბამობა ისტორიულ სინამდვილესთან. კერძოდ, მიუთითა შემდეგი: ზემოხსენებული რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი კმიციცი ვერ ააფეთქებდა შედგა ვეებერთელა ქვეშებს, ვინაიდან შედგა რაზმს, რომელმაც ალყა შემოარტყა ჩენსტოხოვას, საერთოდ არ გააჩნდა არტილერია. მაგრამ პოლონელი მკითხველისათვის სენკევიჩის შემოქმედება ათასჯერ უფრო ნაცნობი და ახლობელია, ვიდრე ისტორიკოს გურკას, გეოგრაფ ნალკოვსკისა თუ ლიტერატურათმცოდნე სანდლერის გამოკვლევაში, სადაც ბეჯითად არის აღწერილი მრავალრიცხოვანი გადახვევები ისტორიული სინამდვილიდან სენკევიჩის თხზულებებში. ზალუსკი დასძენს, რომ მკითხველი ისტორიული რომანით სწავლობს თავისი ქვეყნის წარსულს და, ძალზე ხშირად, მისთვის ხელმძღვანელობელი რჩება მეცნიერთა მონაპოვარი.

მხატვრული სიტყვის ძალას, არცთუ იშვიათად, შესწევს უნარი დარღვილ მშრალი ისტორია. დიდი მწერლის გამონაგონი უფრო უკეთესად გადმოგვცემს ხოლმე გარდასულ ჟამთა სუნთქვას, თუნდაც ნაწილობრივ არ ემთხვეოდეს ისტორიულ სინამდვილეს.

ცხადია, შეუწყნარებელია ისტორიის შერყვნა-დამახინჯება, ცნობილი მოვლენებისა და ფაქტების ყირამალა დაყენება, შავის თეთრად გასაღება თუ პირუკუ, მაგრამ მრავალ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ისტორიული მეცნიერება თეთრ ლაქებს ტოვებს წარსულის რუკაზე, სწორედ ისტორიულ რომანს ეკისრება მიმზიდველი მისია — გააცოცხლოს ისტორია და მისი შევსებულ-გამდიდრებული პანორამა მიანდოს მკითხველს.

ამგვარი ტვირთის მძლეკართა შორის ჩვენში განსაკუთრებით გამოირჩევა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

აღნიშნული რომანის პროლოგში მწერალი მოგვითხრობს, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის მეთვალყურეს, სახელად ექვთიმეს, მისთვის უჩვენებია ძველთაძველი ქართული მონეტა, რომელსაც ასე აღწერს: „ცხენოსანს შავარდენი უზის მარცხენაზე და ასომთავრულით წარწერილია ზედ: „მეფეთ-მეფე გიორგი — მესიის მახვილი“. რომანის ძირითად ტექსტშიც ვკითხულობთ, რომ გიორგი პირველის ზარაფხანაში მოჭრილი თეთრზე აღბეჭდილი ყოფილა დასახელებული ზედწერილი.

მაგრამ ნუმიზმატიკური ლიტერატურის მიხედვით, გიორგი პირველს მონეტები ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი და, მაშა-

სადამე, მწერლის მიერ მითითებული მონეტა, მხოლოდ და მხოლოდ, მისი შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია. ოღონდ საკითხავი ისაა, რამდენად შეესაბამება მხატვრული სინამდვილე — ისტორიულ შესაძლებლობას.

საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში „მესიის მახვილი“ ჩნდება დავით აღმაშენებლის დროიდან. დავითის სპილენძის მონეტაზე ამოკვეთილი „მეფეთა მეფე დავით ძე გიორგისა მესიის მახვილი“, სპეციალისტთა აზრით, იყო შესანიშნავი გამოხატულება დიდი ქართველი მეფის პოლიტიკისა. ეს ამაყი გამოთქმა აფრთხილებდა როგორც მაჰმადიანურ სამყაროს, ასევე — შინაურ მტრებსაც. კონსტანტინე გამსახურდიამ ერთი საუკუნით ადრე გადასწია მისი დაბადება და თავისი რომანის გმირს მიაკუთვნა. წერილმან ისტორიულ უზუსტობათა მაძიებელ კრიტიკოსს, ალბათ, სრული უფლება ექნებოდა, რომ ნუმიზმატიკური მონაცემების გაყალბება ან ანაქრონიზმი ესაყვედურა მწერლისათვის, რომელსაც არანაკლები უფლებით შეეძლო გაემეორებინა განზრახვული გუსტავ ფლობერის უხეში ფრაზა, წარმოთქმული მის ნინაალმდეგ ამხედრებული პედანტი ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მისამართით.

ამასთან, რაც მთავარია, ისტორიული გიორგი პირველის (1014-1027) მოღვაწეობის ზოგიერთი დეტალი იმასაც კი გვაფიქრებინებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს თუკი აღმოჩნდა სხენებული მეფის მონეტა, არ არის გამორიცხული — სწორედ ზემოთ დამონებული წარწერა ამშვენებდეს მას.

გიორგი პირველის ჯერაც აღმოუჩენელი მონეტის ზედწერილის მხატვრული სიმართლის აღიარებისათვის თუნდაც ასეთი საინტერესო ფაქტი იკმარება: როგორც ცნობილია, გიორგი პირველის წინამორბედი თუ მომდევნო ქართველი მეფეები ატარებდნენ ბიზანტიის კეისართაგან ბოძებულ საპატიო ტიტულებს (კურაპალატი, ნოველისიმოსი, სევასტოსი, მაგისტროსი და სხვ); მხოლოდ დავით აღმაშენებელმა უარყო უფლისწულობის დროს მიღებული ბიზანტიური ტიტული, როგორც თავისი პრესტიჟის დამაქნინებელი სამკაული და ზაგრაბთონა დინასტიამ დამკვიდრებული ტრადიცია მას შემდეგ საბოლოოდ აღმოიფხვრა.

მაგრამ დავით აღმაშენებელამდეც არსებობდა გამონაკლისი, რომელსაც გიორგი პირველი ჰქვია. მან ერთი საუკუნით დაასწრო თავის სახელგანთქმულ შვილთაშვილს. იმდროინდელი ძეგლები და მატთანები გიორგი პირველს არავითარ ბიზანტიურ ტიტულს არ მიახურებ და მოიხსენიებენ მხოლოდ მეფეთა-მეფედ.

ბუნებრივია, რომ ამგვარი გამონაკლისი უნდა ყოფილიყო სწორედ გიორგი პირველი — „დაუცხრომელი დამცველი დამოუკიდებლობისა“.

ჩვენი წარსულის პოლიტიკურ მოღვაწეთა ვრცელ ნუსხაში ყველაზე რჩეულთა შორის თავისებურად არის გამოჩენილი გიორგი პირველი. სხვას რომ თავი დავანებოთ, ქართლის ცხოვრების გრძელ და მძიმე გზაზე არავის მოუხვეჭია ესოდენ დიდებული ეპითეთი: „უშიში ვითარცა უხორცო“.

ახლანან საჯარო ბიბლიოთეკის სვეტებიან დარბაზში ქეთევან შენგელიას ახალი პოეტური კრებულის „ქარიშხლის ტაში“ პრეზენტაცია გაიმართა. საღამოს გამომცემლობა „პეგასის“ დირექტორმა მარინე ცხადაიამ გახსნა. ვარდისფერი დარბაზი სავსე იყო როგორც სოლიდური ასაკის სიმპათიური სტუმრებით, ისე მშვენიერი ახალგაზრდებით — ყველაფრით იგრძნობოდა, რომ აუდიტორია ხელოვნების ნამდვილი დამფასებლებით იყო სავსე.

თავდაპირველად წიგნის რედაქტორმა მანანაჭირაქიამ ისაუბრა, შემდეგ მაკა ელბაქიძემ გამოხატა როგორც ავტორისადმი, ისე მისი შემოქმედებისადმი დიდი სიყვარული. როინ მეტრეველმა მოიბოდიშასავით — ლიტერატურათმცოდნეებზე საინტერესოს ვერაფერს ვიტყვი, და — როგორც პროფესიონალმა — ყურადღება წიგნის ისტორიულ გმირებზე შეაჩერა. სიხარული გამოხატა იმის გამოც, რომ ავტორს ასე აქვს გათავისებული საკუთარი ქვეყნის წარსული.

შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: მაკა ჯოხაძე, ვახტანგ გურული, ზაზა აბიანიძე, დავით შემოქმედელი, ინგა მილორავა, ქეთევან დალაქიშვილი, სტუდენტი თამარ კირკიტაძე, გიორგი ალიბეგაშვილი, ცირა ლანჩავა. ქეთევან შენგელიას ნათლულმა პატარა გივი ტატიშვილმაც ლექსის წაკითხვით კიდევ უფრო გააღამაზა იკუთრობა.

მთელი საღამოს მანძილზე დროდადრო ქეთევან შენგელიას საკუთარ ლექსებს კითხულობდა, მუსიკოსმა ქეთევან ნაფტყარიძემ კი ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი და კარგად ნაცნობი ნეოკლასიკის როიალზე შესრულებითა და გია ყანჩელის მუსიკით დაატკბო მსმენელები. ამ შეხვედრას ლიტმოტივად გასდევდა ფაქტორიცი, რომ — განსხვავებით მის თაობისაგან — ქეთევან შენგელიამ ასეთი ერთგულება გამოიჩინა კონვენციური ლექსისადმი და ტრადიციული ლექსთწყობით შეძლო თანამედროვეობის მაჯისცემა გამოეხატა.